

114  
1968



# ՁԵՆՈՒՄ

114

3

68

1968

# გნეოთოპი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მსახიობური  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 45-ე

№ 3

მარტი, 1968 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

სანდრო ზანდუაშვილი — ლექსები	3
ალექსანდრა მუთათელი — ჯაბა. მოთხრობა	5
ლალა სულაგარიძე — ლექსები	16
აბაკი ზაღრაძე — ლექსები	19
ჯამო ჯანელიძე — ლექსები	21
ოზა ორჯონიძე — ლექსები	22
ოთარ ჩხეიძე — ლანდები. რომანი. გაგრძელება	24
აბაკი ზაფაძე — საბავშვოელი ხმათა და ფართა. პოემა	60
ლევან გომთა — მითრიობა. რომანი. გაგრძელება	69
სიმონ ზვარცხაძე — ნასაკირალისა და საინფორმაციო გვირაბისა. დოკუმენტური მოთხრობა	101
კონსტანტინე პაუხტოვი — ოქროს მარტი. თარგმანი გურამ გოგი- შვილისა. გაგრძელება	122

### 1868 მაქსიმ გორკი 1968

გიორგი ცინციფილი — რევოლუციონარული მართლმადიდებელი კრიტიკა მაქსიმ გორკის შესახებ	132
---	-----

### კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

ზენაიდა შლენტი — გვირგვინი ცნობების იმედი	144
არჩილ ჩხეიძე — ქართული საბჭოთა საბავშვო მწერლობის საკითხები	162
პროკოპი რატიანი — ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის. გაგრ- ძელება	177

### წიგნების მიმოხილვა

გიორგი ხუბუაშვილი — სიმონა ბეთელ კავში	187
ბ. ლომთაძე — კობის საფიქრარი	189
ირსა მგებელიძე — ალ. დუდუჩავას რჩეული წიგნები	191



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მადრაძე.

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. უდენტო,  
ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენ-  
გელია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჭაფარიძე, გ. ჭიბლაძე.

ტექნორედაქტორი რ. ჩაყვიტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი,  
რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11,

პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — საქ. კ. ც.ის გამომცემლობის პ/კომპინატო,  
ბის — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/III-68 წ. ქა-  
ლაღის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა  
7<sup>1</sup>/<sub>4</sub>×12<sup>1</sup>/<sub>2</sub>. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12.  
პირობით ფორმათა რაოდენობა 16.  
უე 01979. ტირაჟი 9.200 შკვ. № 553.



## ჩემი სურათის წინაშე

როცა კედელზე ჩემს სურათს ვუცქერ,  
ის ილიმება, მე მიპყრობს დარდი;  
დახე, რარიგად დაფშოვნილია...  
გზნება ჩამქრალა, სიცივე კბარდნის!

ისე გაფრინდა ახალგაზრდობა,  
როგორც გაფრინდეს უბიდან მტრედი;  
თანატოლებიც აღრე დაგვარგე  
და აღარც ჩანან მოძულე მტრები!

ეს, ნეტა მოხდეს რამ სასწაული,  
კიდევ ავანთო კიაკოკონა;  
ლურჯას მოვებტე და გავიტაცე  
ქართლელი რძალი, ტურფა გოგონა!

კიდევ დავძახო ჭექით მაყრული,  
გიჟურ ცეკვაში შემოვყრა ტაში;  
ვუყვილო მოძმეს, როგორც უყიფის  
თაფის მეგობარს ირემი მთაში!

შეგხედე სურათს და მომეჩვენა,  
თითქოს მას ბინდი გადაეფარა,  
არ ვიცი, ამ დროს ვინ ქეითინებდა,  
გულში რა სევდა შემომებარა.

ვკითხე: სიბერემ ხომ არ შეგაკრთო.  
შენ მტკიცე იყავ, გულით მაგარი:

მაშ რაღას ნანობ? ხილი ბევრი გვაქვს  
და მოძმეს მოსწონს ჩვენი ნაბარი!

თუ ჩამეკეტა გული ანაზღად,  
შენს ხელში არის ის გასაღები, —  
გახსენ და გაეც, თუ რამე დამრჩა,  
განზე დებუდი ან წასაღები!

სასე მე სუფთა შემოვინახე,  
ვერ შემაღარონ დორიან გრეის;  
ჭრელი არწივი რომ გაეფრინე,  
მიარღვევს სივრცეს, ჩემს სახელს მღერის!

ხოლო ხანდახან თუ გზაზე შეგხვდი  
დამწუხრებული, გულსვედიანი, —  
იცოდე, ვგლოვობ დაკარგულ მოძმეს...  
ნადირს რად კბაძავს ადამიანი?!

კიდევ შეგხედე კედელზე სურათს...  
„გამხნევედი-მეთქი!“ ჩუმად ვუთხარი;  
არ ვიცი, ამ დროს ვინ ქეითინებდა,  
ვის თვალებს სწვავდა ცრემლი კურცხალი.

გარეთ გამოველ. მზე სხივებს მაფენს...  
ტყვეს გაზაფხული ფოთლებით კმოსავს...  
ჩემი მემკვიდრე სთვლემს ჯერ აკვანში...  
მოვა და იცნობთ დიდებულ მგოსანს!

## ერთი შეკითხვა

ქვეყნად რამდენი წარღვნა მოსულა,  
კვლავ რამდენია მოსალოდნელი.  
თუ წაირეცხა კაცთა ქმნილება  
ჩვენი ცხოვრების შემამკობელი, —

მაშინ რას უხმობ მარადს და უკვდავს,  
რით იზომება კაცთა დიდება,  
თუ რაღაც იყო და აღარ არის,  
არც შინაარსი გვეცოდინება?!

## ვაჟის უკვდავება

ვაჟა სთვლემდა ბუხრის ახლოს,  
გარედ ქარი სუსხავდა;  
ვიღაც ქონში შემოვიდა,  
მის ზედას მაწონს უსხამდა.

ვაჟამ ჰკითხა: „ჰეი, ვინ ხარ?  
ნაცნობს ჰგეგხარ იერიით! —  
ზედადი საგძალს არა გთხოვდა,  
ის არც იყო მშვიერი!“

ამ ჩემს ერთგულს მტრებს ვუსევდი,  
ფხიზელია, ძლიერი.  
ის არ გერჩის, არც დაგყვავებს,  
თუ ხარ გულისხმიერი!“

უცნობმა სთქვა: „შენთან მოველ,  
გადმოვლახე ფრიადო;  
სტუმარი ვარ სასურველი,  
უკვდავება მქვიანო!“

ვაჟას გულში გაეცინა:  
„ — გვიან მოხველ, ლამაზო!

სულ ვე არის შენი ჯილდო,  
რომ ზედას მაწონს სთავაზობ?“

რად გარჯილხარ... რაღას მარგებ,  
თუ მე აღარ ვიქნები?  
თუ მე ყოფნა გამიჭრება,  
როგორც თოვლის ფიჭქები?

შენ ამ ქვეყნად მხოლოდ ცოცხლებს  
გაახარებ თამაშით;  
მე — სახელი, სხვას სახრავი,  
სამკაულად მარმაში!“

უკვდავებამ გაიღიმა,  
ვაჟას მიუახლოვდა,  
ბუხარს შეშა შეუკვთა,  
ყინვას სუნთქვით აღხობდა.

ვაჟა ფიქრში ჩაიძირა,  
ალარაფერს ამბობდა,  
უკვდავება მასთან დარჩა  
და გვირგვინით ამკობდა.


## ეს რა კაცია?

მითხრა: ჰამაკი ჩამოწყდებო!  
მე მივატოვე, თვითონ ჰანაობს;  
მითხრა: იმ წყალში ბედი წყდებო!  
მე მივატოვე, თვითონ ბანაობს.

მითხრა: ის კაცი შხამიანია,  
მე მივატოვე, თვით გულში იკრავს;

მითხრა: ადგილი ეკლიანია,  
მე მივატოვე, თვითონ სახლს იღვამს.

მართალს არ გეტყვის, გზაკვალს აგირევს,  
დასაგმობს აქებს, საქებს აგინებს.  
უძვირფასესი ქურჭი აცვია...  
შენ მაინც მითხარ, ეს რა კაცია?





# ჭ ა ბ ა

## მ ო თ ხ რ ო ბ ა



ჩვენი კარის მეზობელი ჯაბა ჯაიანი ახლაც თვალწინ მიდგას. იგი დედას — ახოვან და წარმოსადევ ქალს — ივლიტეს უფრო ჰგავდა, ვიდრე მამას — ჩია და კაფანდარა კაცს — დათას. დათა კარისმერეთის სახელოსნო სკოლის დირექტორის მზარეული იყო და მან თავისი შვილი — პატარა ჯაბა იმავე სკოლაში მიაბარა. მაგრამ შვილს სწავლის დამთავრება არ დასცალდა: უკანასკნელი კლასის შევირდი 1905 წლის რევოლუციამ გაიტაცა, სკოლას თავი მიაჩნება, ჩოხა ჩაიცვა, თოფი აიღო და „წითელი რაზმელი“ გახდა. ადრე მოწიფული ჭაბუკი ახლა პოლიციას და გენერალი ალიხანოვის დამსჯელი ჯარის ნაწილებს ებრძოდა.

ერთხელ, ბაზარში მომხდარი შეტაკებისას, ჯაბამ ცხენოსანი პოლიციის რაზმის უფროსი — მეფის ერთგული ნაგაზი, ძალღაპირი, ვინმე ნესტორ ჩიჭვანი დასჯაბნა: სატყვეროთ შეუტია, მაჯა დაუზიანა, ხშალი გააგდებინა, მუზლზე გადაიმსხვრია და ფეხებში მიუგდო. ამ დღიდან ჯაბას მამაცი ვაჟკაცის სახელი დაუვარდა და „კარისმერეთის ფალავანი“ შეარქვეს.

ერთხელაც, კარისმერეთის ბაღში გამართულ მიტინგზე ქუთაისიდან მოწვეული ფედერალისტების ორატორები გამოვიდნენ. მენშევიკებმა თავისი მრველი ფეხზე დააყენეს. მათი აგენტები ხალხში ჩადგნენ და ტრიბუნაზე მდგარი ორატორების მისამართით ყვირია ასტყეხეს: „ძირს თავადების, ვაჭრებისა და ხუცეების დამქაშებო!“ ხალხმა მათი მხარე დაიჭირა და ორატორები ბალიდან გააძევა. მიტინგს მენშევიკების ადგილობრივი ლიდერები დაეპატრონენ, ფედერალისტები კი ქალაქის მოედანზე გამოვიდნენ და მიტინგი ახლა იქ გამართეს. მაგრამ მენშევიკების დამქაშებმა — ნოქრებმა, მიკიტნებისა და მეტელე-მედილიყნეების ბიჭებმა აქაც სცადეს მიტინგის ჩაშლა. ისინი მოედანზე, დუქნების წინ, არხში მიმდინარე წყლის პირას ჩაცუცქდნენ, იქ მითრეულ რკინის დაჭანგულ ფურცლებს, ტაშტებს, კასრებსა და ქვაბებს ქვა და ჩაქური გაშმაგებით დასცხეს და უურისწამლები ხმაური დააყენეს. მაშინ მოთინებდადაკარგულმა ჯაბამ ბუდიდან პარაბელუმი ამოიღო და ბაზრის ბიჭებს, დასაშინებლად, ფეხებში ესროლა. ბიჭები დაფრთხნენ, უმაღლე გაიფანტნენ და მიტინგი უვნებლად ჩატარდა.

ჯაბა მაშინ ფედერალისტებს და ესერებს თანაუგრძნობდა, მათ აგიტატორებს მიტინგებზე დაქვევებოდა და თავდასხმისაგან იცავდა.

მიტინგის დამთავრების მერმე, ის მაძახურა ორატორები — ღიპიანი ვილაც ვეჭილი და ხრიკიტარა ჟურნალისტი არდადეგებზე კარისმერეთში ჩამოსულმა სტუდენტებმა და გიმნაზიელებმა მხრებზე შეისვეს და სავახშმოოდ მდიდარი მასპინძლის — დეკანოზის ბესარიონ აბესაძის სახლისაკენ გააქანეს, რამაც ჯაბა გააოცა. პირველად შეიტანა ეჭვი ფედერალისტების „სოციალისტობაში“ და ბოლოს მათ პარტიასაც თავი გაანება.

ჯაბა 1905 წლის რევოლუციის დამარცხების მერმე მიშინვარე რეაქციის დროსაც არ ანებებდა თავს მეფის წინააღმდეგ ბრძოლას, რისთვისაც მემამოსლე ტაბუკი და აბატიმრეს, გააციმბირეს და მერმე ჯარში უკრეს თავი. მალე პირველი მსოფლიო ომზე დაიწყო, ჯაბა ფრონტზე დაიჭრა, მერმე ჰოსპიტალში გამოჩრა და ერთი თვის შვეებულებით კარისმერეთში ჩავიდა.

ჯარიდან დაბრუნებისთანავე ჯაბამ სამხედრო ტანისამოსი გაიხადა, ისევ ჩოსა ჩაიცვა და მეთუნუქობას მიჰყო ხელი. იგი აფთიაქის გვერდით გაპართულ თავის სახელოსნოს ეზოში რკინისა და თუნუქის ღუმელებს, აბაზანებსა და ტაშტებს, სპილენძის თუნგებსა და სხვა ჭურჭელს ამზადებდა.

დილიდანვე აყრუებდა პატარა ქალაქის — კარისმერეთის შიგდანსა და მის მახლობლად მდებარე ქუჩებს ჩინებული ოსტატის უროს და ჩაქუჩის ცემა და კაკუნი.

\* \* \*

ჯაბა არა მარტო ჩინებული ოსტატი, განთქმული მონადირეც იყო. მას ახალთახალ სანადირო თოფი — „ზაურის“ ჰქონდა, ჯიშინი ძაღლები — პოინტერი, ლავრაკი, მწვევარი ჰყავდა და სანადირევით უთუოდ მოგვიკითხავდა. ეს კეთილი, წვენიერი და სამეზობლო კაცი დიდი ზამთრობის დროს ნიჩბით გვეასლებოდა, დატრიალდებოდა, ან როგორც აქაურები იტყოდნენ — „დამურმალდებოდა“, სახლისა და სამზადის სასურავს უმაღლე გადათოვლიდა, რისთვისაც დედამეში ვალში არ რჩებოდა და ჩინებული ბურ-ღვინით უმასპინძლდებოდა.

იმ ზამთრისაც დიდი თოვლი მოვიდა. სანადიროდ წასულ ჯაბას ათი წლის ყმაწვილი ორღობეში კვიცივით ავედევნე. მონადირენი მდიდარი მეზობლის — დიდიენებისა და ეტლების პატრონის გაუქმებულ თავლაში შევედით და იქ ჩავესაფრეთ, თოფის ღუმელები ფიცრებს შორის ჭურჭრუტანებში გაგაძვრინეთ და ამ საიმედო სახუნდარიდან ვუდარაჯებდით შაშვეებს, ჩხართვებსა და ბოლოშაშვეებს, თავლის წინ აღმართულ, სურთოვიდებულ ვეება კაკლის ხეს რომ ეტანებოდნენ.

უფროსი ძმის მიერ ნაჩუქარ ჩემს პატარა თოფში — „მონტე-კრისტოში“ ციქქა ვაზნა ჩადიოდა. იმ პატარა თოფის ხმა ცეცხლზე შეკეთებული ნედლი შემის ქერქის ტკაცუნს წააგავდა, ტყეის ავარდნის დროს რომ გამოსცემს ხოლმე. წკიპურტისოდენა იმ დასშულ ხმას ფრინველი არ უფრთხობდა. მე კი ისევ ვდებდი ჩემს „მონტე-კრისტოში“ ვაზნას, სნაიპერივით ვისროდი და ჩხართვასა და ბოლოშაშვას ვსოცავდი. მახარაში გახვეული, ქერაულვაშინი, ცისფერთვალეა გოლიათი ვეჭკაცი ჯაბა გულიანად იცინოდა, ვეება თათს კაფანდარა, გამხდარ ბიჭს მხრებზე მიბარტყენებდა და იძახოდა: „უყურე შენ ამ ტინკას, რა სამაგალითოდ ისერის ამ საჭყებელა-ხელთოფას!“

მაგრამ დიდხანს როდი მაქებდა, მაქეხებდა და მაცლიდა ჯაბა ნადირობას. ჩემი მცირედი სანადირევი ხელს არ აძლევდა: იგი ერთი გასროლით აგდებდა სურთოვიდებული კაკლის ხიდან რამდენიმე შაშვს, ჩხართვასა და ბოლოშაშვას. თუმცა მისი „ზაურის“ გრიალზე დამფრთხალი და შორს გადაფრენილი ფრინველი ზეს მერმე აღარ ეკარებოდა. სოლო შავი კუნელისმაგვარი სურთს მწიფე ნაყოფის მოყვარული ჩიტების აბალი გუნდის მოლოდინში დიდი დრო გადიოდა.

ამ დღის მერმე ჯაბა „პატარა მეგობარს“ მეთახოდა, ქალაში და ენერში სანადიროდ დაყავდი, ხოლო ხუთმეტე წლისა რომ გავხდი, ჭვეყნის ტირ-გარამზე მესაუბრებოდა და ტკუასაც კი მგეტოებოდა. ორჯერ და მეტადაც ჩემზე უფროსი კაცი ახლასე მოკრძალებით მექცეოდა, როგორც მოწაფე თავის მასწავლებელს, მაქებდა, დიდ მომავალს მიწინასწარმეტყველებდა. ასეთი გაზვიადებული წარმოდგენა, უთუოდ, ჩემდამი მისი მეგობრებისა და სიყვარულის ბრალი იყო.



პირველი მსოფლიო ომის დროს და მერმეც ცხოვრების ჩარხის ტრიკლამა, ბერე-  
ჯერ შემსახედრა ჯაბას, მაგრამ, ეტყობა, წინ წაივარინე, რადგან ის შეხვედრები გა-  
ცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე ერთი შემთხვევა, რომელსაც ახლა გიამბობთ.

ზამთრის არდადეგებზე თბილისის გიმნაზიის უკვე მეშვიდე კლასის მოწაფე კა-  
რისმერეთში ჩავედი. ბედმა გამიღიმა: მზიანი დღეები დაიჭირა, თუმცა ძალაგამო-  
ღეული მზე შუადღისითაც კი შუბის ტარის სიმაღლეზე დგებოდა, ცის დასალიერ-  
თან, აჯამეთის ფოთლებგაცვივებულ, დამზრალ ტყისაკენ ყულგამოჭრილ ბოჩოლაპა-  
ვით მიბარბაცებდა და მალე სისხლისფრად შეღებულ, მეწამულ ზღვაში ჩადიოდა და  
იძირებოდა. მაშინ ოდნავი ნიავეც კი სახესა და ხელებს მსუსხავდა. დამით ცა იის-  
ფერი, კაშკაშა ვარსკვლავებით იჭედებოდა, ციმციმებდა და ისე ცაოდა, იფიჭრებ-  
დით — დედამიწაზე სიბი ჭეა ტყერება, სოლო ცაში გაყინული მნათობები ჟღრია-  
ლებენო.

დღით ადრე გაღვიძებულმა სამჭაროდ ტანთ ჩავეცვი... ნასაუზმევს მალღობ-  
ზე გადამდგარი ჩვენი სახლის აივანზე გავედი და არემარეს გადავხედე. ხეები შე-  
ჭირსლულიყვნენ, ხოლო სახლების სახურავებს, ესოებსა და მიწდორ-ველს ისეთი  
ხეაიანი თრთვილი ეფინა, გეგონებოდათ — დამით მოუთოვიაო.

ესოში ჩავედი, ძელქვის სისაგან აგებულ სამზადში კერაზე დედას ცეცხლი გა-  
ქრავდებინა და სადილის კეთებას შესდგომოდა.

სამჭაროდ დედა იგი მარტო ცხოვრობდა ახლა კარისმერეთში თავისი დის —  
ასალი ათონის მონასტრის ყოფილი მონაზნის — მარიაამის აშარა. დედა თავისი  
დროისათვის ნასწავლი, განათლებული, მრავალი შეიღის პატრონი, ადრე დაქვრივე-  
ბული, ბევრი ჭირისა და ვარამის მნახველი ქალი იყო. ახლაც ძაძა ემოსა. ჩემზე ცო-  
ტა ხნით უფროსი შვილი — სახიერი და გონიერი ბიჭი — ამ სამი წლის წინათ  
ქღლით გარდაეცვალა. მიემტერებოდი შრომითა და ჯაფით ჩამოშმარ, გლოვისაგან  
დადუმებულ მის მწუხარე სახეს და ეტიანჯებოდი. ვხედავდი, როგორ დნებოდა ნე-  
ლინელ და ხელიდან გვეცლებოდა ჩვენი ერთგული, ჭკუითა და გრძნობით საესე  
მწობელი. მეცოდებოდა, ვცდილობდი ყოველი მისი სურვილი უყოყმანოდ შემიტრუ-  
ლებინა, მოფერებოდი. სწორედ ამის გამო ჩამოვედი კარისმერეთში არდადეგებზე.  
რა სერსს არ მიემართავდი, ოდნავ მაინც გამეკარგებინა მისი ჯაფრი. ვუხვევებოდი:  
გამოვეტა სახლ-კარი, გასაღები თავისი დისათვის დაეტოვებინა და ჩემთან ერთად  
წამოსულიყო თბილისში, ენახა თავისი უფროსი შვილები, შვილიშვილები, გასაფ-  
ხულის დამდეგს კი უკანვე გაბრუნებულიყო სახლ-კარისა და მამულის მოსაველედად.  
ამაოდ: დედა მამულის, ადგილის დედისა და კერის მოყვარული, გამარჯე და მეოჯახე  
ქალი იყო, თუმცა ამოდენა სახლ-კარისა და მამულის მოვლას თავს ვერ ართმევდა.

დედა ახლაც უთენია ამდგარყო, ძროხა გამოეწველა, მიწდორში გაედენა, ბო-  
ხელი გამოეგავა, დაესუფთავებინა, მერმე კი ქათმები დაეკლა და სამზადში ფუსფუ-  
სი დაეწყო.

• • •

კერაზე გაჩაღებული კოცონიდან ავარდნილი ბოლი და ცხელი პაერი უჭერო სამ-  
ზადის ყავრის სახურავს წვედებოდა და ზედ დაფენილ თრთვილს ადნობდა. სახურავ-  
ზე წყალი მოწანწკარებდა და მისი წვეთები საფარში შხაბუნით სცვივოდნენ. კარი  
გავადე და ზეარემი შევედი. შუადღისას მზეს ძალა მოემატა, თრთვილი ერთბაშად  
გაძნა და გაიბარა. ახლა ჩვენი და მეზობლების სახლებისა და სამზადების სახურა-  
ვები ნელინელ შრებოდნენ და ოხშივარი ასდიოდათ. მზით განათებული ჩვენი სახი-  
მინდის ჭეემ ბელურები, სკვინჩები, მესკიები დაფრენილიყვნენ და მზიარული ჟრია-

მული გაემართათ. მანამდე მიყურებულ დაბაში მამლებს ყვილი, ძაღლების ყეფა და ხორების ბღავილი გაისმა. ხალხი აივანებზე და ეზოებში გამოეფინა.

სიამე ვიგრძენი, ზვარე ვავლიე და არემარეს გავხედე. მინდორსა და ველზე მსუბუქი ნისლი იდგა. დედამიწას რძისფერი ორთქლი ასდიოდა, თითქო სუნთქავსო, ეზოებს, ზვარებსა და შავად გაწოლილ მარმანდელ ხნულებსაც ორთქლი ასდიოდა; ზედ მზის სხივებით გაისრული, ობობას ცისფერი ქსელი ქანობდა და ისე ირხეოდა, იფიქრებდით, — ის ზვარები და ხნულები ირმებმა გადაიბრინეს და პირიდან მოდენილი, დრუნჩხვ მომდგარი ქაფი და დორბლი მიმოფანტესო.

„ირმის დორბლი“, გავიფიქრე მე და ისე მომეჩვენა, თითქო ნადრევი გაზაფხულის სიომ დაჰბერას. ეს სიო მთელი მკერდით ჩავისუნთქე და, როგორც დასტური გაზაფხულის მოახლოებისა, — ზვარეზე ობლად მოფარფატე პეპელა დავეინახე.

ნაღვლიანი ღიმილით გავაყოლე თვალი იმ თეთრ პეპელას...

სამხრეთისაკენ მივიწვილ, მზით განათებულ სამზადის კედელთან სკამი დავიდგი და წიგნის კითხვა დავიწყე, მაგრამ წიგნის კითხვას გული ვერ დავუდევი.

სამზადის კედლიდან კარისმხრეთის გარეუბანი, ფართო ველი, ტყე და მის იქით ლამაზი გორები ჩანდნენ, მერმე კი — სპეტაკი თოვლით გადალესილი ბუშბერაზი მთები. ის მთები უბილავი რაღაც ძალით მიზიდავდნენ. გამტკრებით გავსცქეროდი ამოუცნობი ფიქრით დადუმებულ მთებს და, მათი სილამაზით დატყვევებული, მათებრ ველოდი რაღაც სასწაულს. ამაოდ! იმ მთების ფიქრი და აზრი მხოლოდ მთის მესაიდუმლე დიდმა მგოსანმა ვაჟამ ამოიცნო...

ნაშუადღევს მზემ დააცხუნა. მოვიტენეთ და რული მომეკიდა. მალე თავი ავიღე და, რახან ისევ ბუნების წარმტაცი სურათი ვიხილე, თვალი ახლაც ვედარ მოვაშორე.

საქართველოს ბუნება კი მართლაც წარმტაცია, იმდენად წარმტაცია, რომ წიგნის კითხვას და ფიქრს არ გაცლის. მოდი და, ამის მერმე, ქართველ კაცს სიზარმაცე უკვირნე! ერთიმეორეზე გადაბმული, მიჯრით მიწყობილი ჩვენი მთა და ველი, სოფლები, დაბები და ქალაქები ერთი მთლიანი ბალი გვეგონება. საქართველოს მზე ცხოველმყოფელია, ბაერი — სანეტარო, ცა — ლურჯი სამოთხე, მიწა — ნოყიერი და დოვლათიანი. იმდენად ნოყიერი და დოვლათიანი, რომ ჭირნახულის მოწყვას დიდი შრომა, ჯაფა, თავისმტრევა და დავიდარაბა არ ეცივრება. მისახივე რომელიმე ხეხილს შტო, თავი წაუშანე, ჩაარტე მიწაში და იგი უმაღლე გაიხარებს, ხოლო ერთი ან ორი წლის მერმე ნაყოფსაც გამოიღებს. ქართველ კაცს ბევრი დრო რჩება ლალი ცხოვრებისათვის, ლხინისა, ცეკვა-თამაშისა, სიმღერისა და დროსტარებისათვის. მას უყვარს თავისი სამშობლო და ამაყად იძახის: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?“ (ქვეყანა არ უნახავს და აბა, რა გაემტყუნება!) ქართველ კაცს ვჯავრება უცხო ქვეყნებში მოგზაურობა, ხეტიალი, სამშობლოს მიტოვება, გადაკარგვა და გადახვეწა. იგი სხვის ქვეყანაში ცხოვრებას ნაკლებ ეტანება, ხოლო მის სამშობლოს სხვა ქვეყნის მკვიდრნი კი ჭარბად ეტანებოდნენ და ამჟამადაც ეტანებიან, იმდენად ჭარბად რომ, ასე თუ გაგრძელდა, ჩვენს მიწა-წყალზე დაფუძნებული არაქართველნი ქართველებზე უფრო მრავალრიცხოვანი აღმოჩნდებიან... მზდი და ამის მერმე ქართველ კაცს სტუმარ-მასპინძლობა, სამშობლოს სიყვარული, სიზარმაცე და უდარდულობა უკვირნე! ასე ვფიქრობდი სამშობლოს ბედუკუდმართობის გამო იმ დროს დადარდიანებული ჭაბუკი.

ფიქრი დეღამ გამაწყვეტინა. იგი სადილზე მეძახოდა.

\* \* \*

ნასადილევს ისევ სამზადის კედელს მივაშურე.

მზე მთის ქიმზე დაეშვა და აცივდა. ტანში გამაქროლა, მაგრამ მარადი თოვ-

ლით დაფენილ, მზის სხივებით აელვარებულ მწვერვალებს თვალი ისევ ვერ მოგწყვიტე და შინ შესვლა დამეზარა. ასე ვიჯექი დიდი ბუნების ჭერტით გაშტკრებული ჭაბუკი, როცა საპატიმროს ეზოდან ჩვენს ბაღში ჩოხიანი ვიღაც გოლიათი კაცი ჩამოხტა. მაშინვე ვიცანი ჯაბა ჯაიანი. მან დაფეთებული თვალები მომარბია, სვარეუყე გადაირბინა და ღობეს მიაშურა.

ივლის წნელით მოწნული, მოგრიგალბული და კვალ-ბარდით ჩახერგილი, ჯარჯულიანი ჩვენი ღობე ისეთი მაღალი და გადაულახავი იყო, რომ ზედ ქათამი კი არა, ჩიტიც ვერ გადაიფრენდა. ჯაბა ღობეს მიაწყდა, მაგრამ ქონი მორეოდა, დონდლოთ გამხდარიყო და ჯარჯულიდან ამოწვდილ მარგილს ვერ მისწვდა. მაშინ ღობის წნელებს შორის, როგორც უზანგში, ფეხის წვერი შესდო, აიწია, მარგილს ხელი წააგლო და ღობეზე დათვივით გადაბობლდა.

გამიკვირდა, თან გავიფიქრე: „რას ჩადის ეს კაცი, სად გარბის, თვალი რად მომარბია და არ მომესალმა. რა დავუშავე. ის ხომ „მეგობარს“ მიწოდებდა, მაქებდა, მაიღებდა?!“

ფიქრი არ დამცალდა. მაშინვე საპატიმროს ეზოდან ჩვენს ბაღში მეორე კაცი ჩამოხტა და მანაც ჩვენს ჯარჯულიან ღობეს მიაშურა. ესეც მაშინვე ვიცანი. იგი ჩაფარი მათე გალდავა იყო, ჩვენი მეზობელი და ყანის მოზიარე. მათეს კოკარდიანი რუსული ქუდი ესურა, მაღალყლიანი რუსული ჩექმა და სამხრეებიანი შავი ქურთუკი ეცვა. ხელში „სმიტისა და ვისონის“ სისტემის, ვერცხლისფერი, დიდი ყალიბის პისტოლეტი ეჭირა, მგერვლები „ეთოეთის“ რომ უწოდებდნენ ხოლმე. ჯაბას მადევარს ჭალარამორეული, ნიჩაბივით წვერი მკერდზე სცემდა. მიუხედავად მისი ასაკისა, ამდროული კაცი სწრაფად გარბოდა. იგი შეხტა, მარგილს მარჯვედ მოკვიდა, აიწია და ღობეს მწვეარივით თავს გადაეგლო.

სახტად დავჩრი. მეწყინა, მეზობელმა მეზობელი მოსაკლავად რომ გაიმეტა, მომაგონდა, შარშან ზაფხულს პაპანაქებით მხედაკრული ჯაბას პოინტერი ენაგადმოვდებული ქართაში რომ დარბოდა, დაუსრულებლივ წრეს ავლებდა, ხოლო მეზობელი ქალები მამაკაცებს ეხვეწებოდნენ და თავზარდამცემი ხმით აკიოდნენ: „ცოფიანი, ბავშვებს დაქებენ. ესროლეთ, ესროლეთ, მოჰკალითო!“

ბაზარში სადარაჯოზე მდგარმა ჩაფარმა მათე გალდავამ ხალხის ქოთქოთი, ქალების წიოკი, მოთქმა და კივილი რომ გაიგონა, უმაღვე ქართაში შევარდა, ბერდანი გადმოიღო, გამართა, აკუნტრუშებულ ძაღლს დაუმიზნა, დუმდუმის ტყვია მკერდში დაჰკრა და სული გააცხებინა.

ის ძაღლი ჩინებული მამებარი იყო და შემეცოდა. მას სხვადასხვა ფერის თვალი ჰქონდა: მარჯვენა — წაბლისფერი, მარცხენა კი — მარლი. გეგონებოდა, ლიბრი გადაჰკრიათ. ამის გამო ჩვენი მეზობელი — „კუდიანი დედაბერი“ — მაიკო ჯაკუას ქალი იმ ძაღლს უფრთხოდა, „ემმაკუელს“ უწოდებდა და სწყყელიდა. ნამდვილად კი ის საბრალე პოინტერი კეთილი, თვინიერი, დიდებული გემისა და ნაბულის მქონე ძაღლი იყო და მარლი თვალი — თეთრი გუგა სრულიადაც არ აცინებდა მის მხედველობას. თავისი პოინტერის ცოფი არა სჯეროდა ჯაბას და აი, იქნებ, ისევ მოგლული პოინტერი მოაგონდა ბაზარში, გაბრაზდა და მათეს სცემა, მათე კი იარაღით გამოუდგა? არ მოჰკლას, — გამიელვა თავში და შეეძრწუნდი. მაშინვე საშხადის კედელს მოვწყდი, ღობეზე გადავხტი და ჩაფარს დავედევნე.

\* \* \*

აკაფული ჩალის ღერებით, კატაპრასა, მრავალძარღვა და რძია-რძიით მოფენილ, უკაცრელ მიწდორში შურდულივით მივქროდი. გაპობილი პაერის გამო, ყურის ნიქარებში, ისე როგორც ბავშვობისას, მხუილი, ჯღრიალი და ისეთი საამო სტეე-

ნა ჩამესმოდა, თითქო მინდვრის ჩიტები გალობდნენო. ძროხებმა, ხარებმა და ჯორებმა ბალახის ძოვა მიატოვეს, თავები ასწიეს და გაოცებით შემომხედდნენ. ჯაბა და მისი მღვდარი — მათე ჩაფარი ტყეში შესვლისთანავე დადგნენ წაბლანარის ბილიკზე გარბოდნენ. უეცრად მათეს შემზარავი ძახილი შემომესმა:

— გაჩერდი, ჯაბა, გაჩერდი, გესროლე!

ძუნძულით მარბუნალი, მსუქანი ჯაბა შეკრთა, თითქო ზურგში ტყევა მიარტყოს. ნახიჯზე გადავიდა, ტყეში ხელმარცხნივ გაუხვია და უზარმაზარი თხრილის პირას ცარიელი ტომარივით დაეგდო. მაღალი ბუხრის ქუდი მოისადა, დაკეცა და სახეზე თფლი მოიწმინდა. მათე შორიახლოს გაჩერდა. მეც ხესთან გავიტრუნე. მათეს მიერ სასიკვდილოდ გამეტყბულ ჯაბას მივაშტერდი. ხანგრძლივი რბენის გამო არაქათგამოლეული, მსუქანი კაცი ისე საშინლად სუნთქავდა და ქშენდა, რომ მისი ვეება მკერდი საბურველივით ადიოდა-ჩადიოდა. უმწეოდ მიწაზე დაგდებული, თხრილში ფეხებჩაკიდებული ჯაბა, ცუდ საქმეზე წასწრებული კაცივით, თვალს გვარიდებდა, ტყეში დარცხვენით ისეღებოდა და სულს ძლივს იბრუნებდა. სამივენი ვღუმდით, რის გამო ტყის სიღუმე უფრო გულსაკლავი მეჩვენა. ვფიქრობდი: „რისთვის შეუშინდა და გეცა ამ კაჟანდარა, მოხუც კაცს „კარისმერთის ფალავანი!“ პირისპირ უხერხული დგომა და სიღუმე გრძელდებოდა და მალე მივხვდი, შეურაცყოფა და ნხუბი აქ რომ არაფერ შუაში იყო. ბოლოს მათემაც სული მოითქვა, დაცხრა, „ხმიტი“ დაუშვა და ჯაბა გაჰკიცხა:

— სად გარბოდი, შე კაი კაცი! რამ გადაგრია და შეგმალა? შენი თავი თუ არ გეცოდება, მე მაინც შემობრალე!

— შენ რა გჭირს შესაბრაღისი, შე უბატრონი! — აგდებულად და მკვახედ მიხალა ჯაბამ თავისი წვრილი, გამყიავანი ხმით, რომელიც სრულიად არ შეეფერებოდა ამ წვერგაპარსულ, ქერაულვაშიან და ლოყებდაჟღაჯა ვეება კაცს.

— რას ფიქრობდი, რომ გარბოდი? — ჰკითხა მათემ.

— რა უნდა მეფიქრა? — გაუკვირდა ჯაბას და შინდისფერი ჩოხის გრძელი, გაფრიალებული კალთები ლაჯებში ამოიკეცა, თითქო ტყეში დიდხანს ჯდომას და მათესთან პაექრობას აპირებოს.

— ის უნდა ვეფიქრა, რომ ჩემი მორიგეობის დროს ციხიდან პატიმარი თუ გამეჭყოლი, ციხიბირი არ ამშორდებოდა, — მიხალა მათემ, მაგრამ თხრილთან უმწეოდ დაგდებულ, შერცხვნილ, ისტიბარგატებნილ, უიარაღო, გოლიათ ვაეკაცს თვალი რომ გაუსწორა, შეკრთა, შეწუხდა, წვერზე ხელი ჩამოისვა და თავი შეაკოდა:

— რას ეტყოდი, ბიჭო, ჩემი ნათლული, ჩემს ცოლ-შვილს, გოგიას და კაკოს? — მათე გვიან მოვიდა ცოლ-შვილს: მისი გოგია წელს ამთავრებდა სემინარიას, კაკო კი — სამოქალაქო სასწავლებელს. ჯაბა უმაღლე გონს მოეგო. მიხვდა, საპატიმროდან გაპარვის გამო რა დღემიც აგდებდა მორიგე გუმავს და წაილულულა:

— გოგიაზე და კაკოზე მაშინ არ მიფიქრია... მე ჩემი საფიქრალიც ბევრი მქონდა.

მათემ, გაოცების ნიშნად, თეთრი წვერ-ულვაშის ფონზე უფრო მეტად გამორჩეული, ზეზად გაწოლილი შავი წარბები აძვიბა და ჯაბას ნიშნის მოგებით შესძახა:

— აგაშენა ღმერთმა! მეც ვიცი, ჩემზე რომ არ გიფიქრია. შენ შენს ტყავს უფრო თხილდებოდი, მე კი ფეხებზე დამიკიდე. რას მერჩოდ, კარისმეზობელი და ნათლია რომ გამწირე! ეს არის, ბიჭო, კაცობა!

— რა კაცობაზე ლაპარაკობ, მეფის ნაგაზო! — გაბრაზდა უეცრად ჯაბა.

„მეფის ნაგაზო“ მათეს გულზე ეკალივით დაესო, თავის მართლება და ჯაბას გაშავება სცადა:

— რა ვიცი, მეფის ბოქაულს მეტი გაბუნია და მეფის ოფიცერს ვასო კარგაძეს კარგად კი შეგობრობ და...

— მეტი გაბუნიას და ვასო კარგადეს ის შენი რუსეთის მეფე გულზე არ ეხატებოდა... — წამოცდა ჯაბას, მაგრამ მაშინვე გამტყუენებულ კაცივით თავი ჩაბჭიდა და თხრილის ქვიშიან კიდეს ჩექმის ქუსლის ცემა და ჩიჩქნა დაუწყო.

— რუსეთის მეფე არც მე მებატება გულზე, მაგრამ იძულებული ვარ ვემსახურო, — წამოაყრანტალა მათემ და თავისი ნათქვამისა შეეშინდა. იგი ჯაბას მიაშტერდა და წყლისფერი თვალები დამნაშავესაებრ მაღიმალ დაახამხამა. მერმე მუხლში მოუსავდა. გადაჭრილი მუხის ძირზე დაჯდა, „სმიტი და ვისონი“ კალთაში ჩაიდო, კოკარდიანი ქუდი მოიხადა და შუბლზე მომდგარი სიმწრის ოფლი მოიწმინდა. ჯაბამ უკმუნად ჰკითხა:

— ვინ გაძალბებდა მერე მტარვალსა და ჯალათ მეფეს ემსახურეო?

— გაჭირება, — მიუგო მათემ. — რომ არ ემსახურა, ცოლ-შვილს შიმშილით სული ამოძერებოდა.

— სხვაგვარი სამსახურის და ხელობის შოვნა არ შეგეძლო? ის დრო, რომელსაც შენ მეფის სამსახურს და ხალხის მოამაგე, პატიოსანი ადამიანების დევნას მოანდომე, წაღმართი საქმისაკენ რომ მიგეშობოდა, კაცი იქნებოდი, ღარიბად არ ჩაითვლებოდი და ცოლ-შვილსაც კარგად შეინახავდი. — გესლიანად შეინიშნა ჯაბამ. მათე აღმრჩა:

— როგორ შეშინება, შე უღმერთო, უწიგნურ, უმიწაწყლო კაცს ცოლ-შვილი? სამეგვიდრო მაშული მშობლებს ჩემთვის არ დაუტოვებიათ, სწავლა და განათლება არ მოუციათ, არც რაიმე ხელობა უსწავლებიათ, შენსავით ხელოსანი და ოსტატი რომ გამოგვეყვანე. ერთადერთი ჩემი ხელობა — ხენა-თესვა-თონხა იყო.

— მერმე, თოხი თოფზე გაცვალე და ასლა მეც ნადირსავით დამედევნე? — არ აცალა აზრის დამთავრება ჯაბამ.

— თოხი ხელიდან არასოდეს არ გამოგდია. აგერ, — ჩემსკენ გამოიშვირა მათემ ხელი, — ბარე ათი წელი იქნება, რაც მაგის დედის ყანის მოზიარე ვარ.

ჯაბამ მხოლოდ ასლა შემომხედა. შემოთვებული მოცისფრო თვალები შემოშინათა და დარცხვენით ოდნავ გაიშინა. ალბათ არ სიამოვნებდა ასეთი ვითარებისას ჩემი იქ ყოფნა. მათე კი განაგრძობდა:

— დღე და ღამეს ვასწორებ, მიწაში ოფლს ვღვრი, მაგრამ წლის სარჩო სამესამედოდ აღებულ ფართობზე მაინც ვერ მოვიყვანე. რა გქნა? შენ დამირჩენ ცოლ-შვილს?

— მე საკუთარი ოჯახი, მოხუცი მშობლები, უმცროსი ძმები და დები მყავს შესანახს და შენს ცოლ-შვილს საიდან დავარჩენ, — მიუგო ჯაბამ.

— აგაშენა ღმერთმა! ჰემშარიტებას ამბობ: ყველას თავისი გასაჭირი და სატკივარი აწუხებს, — ნიშნისმოგებით შესძახა მათემ.

ხესთან ატუხული ჭაბუკი ჯაბას და მათეს უცნაურ კამათს სულგანაბული ვუსმენდი. მართლაც უცნაური რამ ხდებოდა ახლა ტყეში, თითქო ხრამის კედელზე პირისპირ ჩამოშხდარი კარისმუხობელი გლეხები მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე საუბრობენ, კამათობენ და სრულიად დავიწყნიათ, რომ ისინი ერთიმეორეს მოწინააღმდეგე ადამიანები არიან: — ერთი მეფის ჩაფარი, ციხის გუშაგი, ხოლო მეორე კი — ციხიდან გაქცეული, მეფის მოძულე და მუამბოხე პატიმარი.

ისეთი დრო იყო მაშინ — 1916 წელი. ორ წელზე მეტი გასულიყო, რაც პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა. მეფის რუსეთი მოუშაადებელი შეხვდა იმ ომს და მისმა ჯარებმა დასაწყისშივე დიდი მარცხი განიცადეს პოლონეთის ავგუსტოს ტყეებსა და ჭაობებში, ავსტრიის მიმართულებით კი — კარპატებში მაკენზუნის არტილერიის ჭარისხლისებური ცეცხლის წინაშე მეფის რუსეთის ჯარი უკუიქცა, კიევის სამხედრო ოლქამდე მოაღწია და სათადარიგო ნაწილებში აირია. ჯარისკაცი ჯაბა ჯაიანი სწორედ მაშინ დაიჭრა, პოსპიტალში გამოჩნა და მერმე, როგორც უკვე

ვთქვით, ერთი თვის შეგებულება მიიღო და შინ ჩამოვიდა. ის ერთი თვეც გაგადა, მაგრამ მოქმედი ჯარის ნაწილში დაბრუნებას ჯარისკაცი აღარ ფიქრობდა. აირია მონასტერი: ძალი პატრონს ველარ ცნობდა! დაიწყო მეფის რუსეთის სახელმწიფოს დაშლა. ძველი დისციპლინა, სუსხი და სიმკაცრე არ იგრძნობოდა ახლა არც ჯარსა და პოლიციაში. ხალხისადმი მოპყრობაში მმართველ პირებს სისუსტე, მოქვენელობა და მელიაობა დაეტყო... ასეთი ვითარება იყო მაშინ შექმნილი იმდროინდელი რუსეთის იმპერიაში.

\* \* \*

მათემ შეწყვეტილი საუბარი განაგრძო. ნაღვლიანად, ოდნავი შურითაც კი შენიშნა ჯაბახ და შეეკამათა:

— მე ნუ შედრები. შენ, ცნობილ ოსტატს, რა გიჭირს. ფული არ გაკლია, თანაც პატარები შინ არ გიტყვიან. უშვილო კაცი ხარ...

— შვილის ხსენებაზე ჯაბახ გული ეტკინა. მას ახალგაზრდა, ხორცსავე, თაფლისფერთალებიანი, თეთრი და ფრიად ეშხიანი, ჯანმრთელი და გამარჯე ცოლი ჰყავდა — ქეთო შევლიძე. ქეთოს შვილი არ გაუნდა და ჯაბახ გულს ვევი ღრღნიდა, ვერ გაეგო: მასზე ბევრად უმცროსი, ნორჩი და ჯანსაღი ცოლი იყო უშვილო, თუ თავად ის?! მათე კი არ ზოგავდა:

— შვილები რომ გყოლოდა, მაშინ ჩემს სატკივარსაც უკეთ გაიგებდი. მიხვდებოდი, რამ მაიძულა მეფის სამსახური დამეწყო, მერე რა? რა უკეთური საქმის ჩამდენი მნახე! რომელი პატიოსანი და წესიერი ადამიანი გავაფუჭე! ქურდ-ბაცაცებს და ყაჩაღებს რომ დავედედე, რა დანაშაულია? შენ რა გაწუხებს!

მათემ უშვილობა რომ წამოსძახა, ჯაბახ ეწყინა, გაბრაზდა და ისევ აგდებულად და უდიერად აკითხა:

— თუ შენ წესიერი და კარგი კაცი ხარ, მე რაღას გადამიკვიდე და დამდევე, შე უპატრონო?! რომელი ქურდი და ავაზაკი მე მნახე!

მათე ჩაფიქრდა და უმაღვე მიხვდა, გაქცეულ პატიმართან ასეთი მასლათი მისთვის ახლა დამლუპველი რომ იყო, და მიუგო:

— შენ დეზერტირი ხარ და იმიტომ დაგაპატიმრა ურიადნიკმა ნესტორ ჩიქოვანმა. მე რა შუაში ვარ, რას მერჩი? მე კი არა, შენ გადამიკვიდე, მათრეე და მასამართლებ ახლა ამ ტყვეში. სასამართლო და კატორღა მაშინაც მეყოფა, თუ გამექვეცი და პატიმარი ციხეში არ მიგაბრძანე... რას გეკამათები ამ ტყვეში? კამათი მჭირია ახლა მე, შე ცეცხლმოკიდებულო!?

მათეს მართლაც ცეცხლი ეკიდებოდა. იგი ამდგრა, წამოიჭრა, ქუდი დაიხურა, ქურთუკი გაისწორა, პისტოლუტი მოიმარჯვა და ჯაბახს უბრძანა:

— ადექი, ახლავე წამოდი ციხეში!

— იარაღს ნუ ათამაშებ, — გააფრთხილა ჯაბახ, — მე რუსეთის მეფის ჯარი შეგნებულად მივატოვე და უკან აღარ დავბრუნდები.

— გინდა დაბრუნდი და გინდა ნუ დაბრუნდები რუსეთის ჯარში, ეს რა ჩემი საქმეა! კარისმურეთის ციხეში კი შენის ფუნით წამობრძანდები. — მიუგო მათემ.

— როგორ თუ არ არის შენი საქმე, შე წამხდარო ყაზახო, — შეარცხენია ჯაბახ. — თუ რუსეთის მეფე გულზე არ გეხატება, თუ პოლიციაში გაჭირვებამ მიგიყვანა, მოდი და გაანძრეე ვე ბატის ტვინი, უკეთესი მერმისისათვის ხალხის ბრძოლას მიეკედლე! ბეჩაგი, დამონებული და ფესქეემ გათელილი შენი ხალხი შეიბრალე, ქართველი არა ხარ?

— ციხეში თუ არ მიგაბრძანე, მე თვითონ მიმბრძანებენ და საქართველო უკან დამრჩება. ადექი! წამოდი! — ისევ უბრძანა მათემ და ისევ მოიმარჯვა იარაღი. ეტ-

ყოზოდა, ჯაბას პოლიტიკური და პატრიოტული ქადაგებანი მის გულს სრულიადაც არ ეკარებოდნენ.

ჯაბა გოლიათივით წამოიჭრა, ბუხრის ქუდი დაიხურა, ახალუხზე მოცმული ჩოხა გაისწორა და მათე ისევ გააფრთხილა:

— დააყენე იარაღი! ნუ მაშინებ, თორემ გაებრახლები და შავ დღეს დაგაყენებ. შინ წადი, წაილე და იქ შეინახე შენი „სმიტი“. სხვა საქმისათვის გამოგადგება.

— რას ჩერჩვობს! მე არაფერი არ ვიცი... ლაპარაკი ზედმეტია. მორჩა და გათავდა, წამოდი ციხეში! — ისევ უყვირა მათემ.

— ციხეში არ წამოვალ, — დაბეჯითებით მიუგო ჯაბამ.

— არ წამოხვალ და, აქვე გაგათავებ. ხომ იცი, გაქცეული პატიმრის დახვრეტი-სათვის პასუხს არ ვაგებ! — შესძახა მათემ და თვალები დაუბრიალა.

შიშმა ამიტანა. ჯაბამ კი გააფრთხილა:

— ჩემი ძმების წინაშე აგებ მაშინ პასუხს. შალვა და ილიკო ცოცხალს არ გაგიშვებენ.

შალვა და ილიკო ჯაბასებრ მამაცი, უშიშარი ვაჟაკები იყვნენ, და მიხვდა ჩაფარი, ხაფანგში რომ ჩავარდა, შიშმა აიტანა და ჯაბას ილაჯგაწყვეტილი კაცივით აკითხა:

— აბა, რა ვქნა, ბიჭო! რას გადაწყვიდე და რად მაგდებ ჯოჯოხეთში, შე უღმერთო! გაგიშვა და, — მე დამხვრიტონ?

— ნუ გეშინია, არ დაგხვრეტენ. ასლავე მიმიყვანე მექი გაბუნიასთან! იქ ყველაფერი მოგვარდება.

ბოქაული მექი გაბუნიას ხსენებაზე მათე გაშეშდა. ჯაბამ ისარგებლა მისი გაღვნიებით და ბოქაულის ეზოსაკენ მიმავალ ბილიკს გაჭყვა.

— უკანი! — შესძახა გონსმოსულმა ჩაფარმა და ისევ დაუმიზნა პისტოლეტი. ჯაბა შესდგა. მათე ახლოს მისვლას ვერ ბედავდა, ადგილზე ფაფხურობდა და გაშიშვებით გასძახოდა: — წამოდი ციხეში. წინ გამიძეხი, თორემ გესვრი. იცოდე, გესვრი, აქვე ძალღივით გაგაგორებ!

ჯაბა პირდაპირ მათესაკენ გაეშურა, მის წინ დადგა და შესძახა:

— მოდი, მესროლე, თუ ვაჟაკი ხარ! მე შენი... — აგინებდა და აქეზებდა ჯაბა. ალბათ დარწმუნებული იყო, ჯაბანი ჩაფარი სროლას რომ ვერ გაუბედავდა: — აბა, მესროლე, რაღას უცდი! მესროლე, თორემ მაგ იარაღს წაგართმევ და კონდახით თავს გაგიპობ...

ეს იყო საშინელი წუთი. უხილავმა ძალამ ადგილს მომწყვიტა და მათესთან მიმავდო, რათა ვცემოდი და ჩაფარის ხელიდან იარაღი გამომეგლიჯა. მაგრამ ჯაბამ დამტყუპა, მათეს ხელი არ ახლო და შინ წადიო. უცბად მათე დაცხრა. ერთბაშად მოეშვა. გულში რაღაც ჩაუწყდა მოხუცს. პისტოლეტი დაუშვა და მერმე სასოწარკვეთილი ხმით ჯაბას შეეხვეწა:

— რას შერჩი, ბიჭო! რას გადაწყვიდე, თავს რად ილუპავ და მეც მლუპავ, შენს ნათლიას! წამოდი ციხეში. ცოდვაში ფეხს ნუ ჩამადგმევინებ!

— ჯერ ბოქაულთან წამიყვანე!

— ბოქაულიც ხომ ციხეში მიგაბრძანებს!

— არა, — მოუტრა ჯაბამ. — ურიადნიკმა ნესტორ ჩიჭოვანმა, ბოქაული გაბუნიას დაუკითხავად, დამასია ჩაფრები უიარაღო კაცს... ხომ იცი, ჩიჭოვანი გალახული, განიარაღებული მყავდა და იმითომ... მიმიყვანე ბოქაულთან! ორივენი — მე და შენც იქ დაგზავდებით.

— რას ჩააცივდი, ბიჭო, ბოქაულს მექი გაბუნიას! იმედი გაქვს, დეზერტირს რომ გაგიშვებს? — აკითხა მათემ.

— უგეტყველად გამოიშვებს, — მიუგო ჯაბამ, — სწორედ იმიტომ გავრბოდი ციხიდან, რომ მასთან მივსულიყავი. ნახე, მადლობა თუ არ გითხრას...

— უთუოდ მადლობას გამოგიცხადებს მეტი გაბუნია, ციხიდან პატიმრობის გაქცევისათვის, შუბლში მაცოცებს და მკერდზე „ზახრბაროსტის“ მედალს ჩამოგიდებს, — დაცინვით ჩაილაპარაკა მათემ და თავი ჩაქკიდა.

— დამიჯერე: მადლობას გეტყვის, — მიუგო ჯაბამ.

— გერაფერი ვერ გამოგიცხადებს ჩვენი ბოქაულისა, — შეეყოყმანდა მათე და, თითქმის თავის თავს უპასუხებდნენ, წამოცდა: — დანამდვილებით ვიცი, ამასწინათ პოლიკარპე კობალეიშვილი და ათანასე ნადარეიშვილი რომ გააფრთხილა: ბრძანება მივღე, დაგაპატიმროთ და თავს უშველეთ.

მათემ შეშინებული თვალები ჯაბას მიაბჟრო და მოკუმულ ბავშვს ხელისგული მიიფარა. ჯაბამ იდუმალის ხმით შენიშნა:

— გცოდნია, ნათლია, და რაღას მალაპარაკებდი! მეტი გაბუნია ახლა ახალთაობის ხალხს შველის. რაღაც იყნოსა იმ მათუსალამ, გაიგო, რომ მეფის ტახტის დამხობა მოახლოვდა.

— ეს შეუძლებელია, — გაასაგსავა ხელი მათემ, — გოგია და კაკოც ამასვე ჩამძახიან და ჩამწიჩინებენ, მაგრამ არა მჯერა, ზღაპარია.

— დაიჯერე, ნამდვილი სიმართლეა, — მიუგო ჯაბამ. — მეფის ტახტი უკვე შეირყა და სულ მალე დაეშობა. მეტი გაბუნია ახლა საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობს. შენ კი ახალი თაობის ხალხს და მეც — შენს ნათლულს და კარისმეზობელს — იარაღით დამდეგე. დაფიქრდი, რა შევადღეში იგდებ თავს... სად დამალები!

მათე შეშინდა და მყისვე უღონო მკლავები ჩამოცვივდა. იგი ისე მოეშვა და ჩაიფუკა, თითქმის ერთბაშად მოტყდა, დაბერდაო, ნებაწართმეული, წელში მოხრილი, მალალ და მრუდე ფეხებზე მდგარი კანჭა-მოხუცი ჯაბასთან მილასლასდა, სასოწრ-კვეთილი და განწირული კაცის ხმით უთხრა:

— წადი, ბიჭო, ბოქაულთან! თუ გინდა, ეს „სმიტიც“ წაიღე და გამათავე, რაღას მაწვალებ და მტანჯავ, შენი ნათლია არა ვარ, შე უღმერთო!

— შენი წახდენა და გათავება რომ მდომოდა, აქამდე გაგათავებდი, შე გლახა, — მიუგო ჯაბამ. — ხომ გითხარი, ბოქაულთან დაგზავლებით-მეთქი!

— ისმეც შენი მტერი დაზავებულა, — შენიშნა მათემ.

— დამიჯერე, სამივენი დაგზავლებით, — მიუგო ჯაბამ და ისევ ტყეში მიმავალ ბილიკს დაადგა.

გოლიათი კაცი დევივით მიაბოტებდა ახლა შამბნარში.

ზეწველად გათავებული მოხუცი ჩაფარი კი უკან მიჰყვებოდა და ჩიოდა:

— რაღა ჩემი მორიგეობის დროს გაიქციე, შე ცოდვით სასვე, ციხიდან?!

— დღეს რომ არ გავტყველიყავ, ხვალ გვიანდა იქნებოდა: ქუთაისში გადამგზავნიდნენ, ქუთაისში კი დეზერტირის უგეტყველი დახვრეტა მკაავა ხელში, — მიუგო ჯაბამ და განაგრძო: — შენ ის თქვი, რაღა მაინცდამაინც შენ აღმოჩნდი დღეს მორიგედ! სხვა ვინმე ყოფილიყო, მე ვიცოდინ... შენ კი რა გიყო, შე ღვთის გლახა! მეცოდები, ნათლია ხარ და ამიტომ მივდივარ ბოქაულთან.

ბოქაულის ხსენებაზე მათეს თავბრუ დაესხა, ფეხი შეეშალა და ხეს მიაწყდა.

— რა მოგივიდა, — მიუბრუნდა ჯაბამ. — ჩაფრობა რა შენი საქმე იყო, შე უბედურო! შე საიქიოს მესანთლევ!

— მე ვიცი, რაც არის ჩემი საქმე, მაგრამ ნათლულს, მოკეთეს, მეზობელს, ქართველ კაცს ტყვია როგორ გესროლო! — ამოიხუნემა მათემ და დასძინა: — ღმერთმა დასწვევლოს რუსი მეფის კანონი! საშველი არ არის...

— არის საშველი! დღეს თუ ხვალ მეფის ტახტი დაემსობა. რად გინდა, შენც იმ ტახტს ბაღლინჯოსავით რომ მიგატყლიტონ?!

— რუსი მეფის ტახტის დამხობა შეუძლებელია... დაგაეიწყდა, როგორ დამთავრდა 1905 წლის აჯანყება! დაგაეიწყდა, რა უბედურობა გაიარე? ციხე ციხეში ბირი...

— არ დამეიწყნია და ამიტომ არ მინდა მეფეს ვემსახურო, დამიჯერე: მეფის ტახტი სულ მალე დაეშობა.

— ვთქვით დაგიჯერე, მერე რა უნდა გქნა? სად გავექცე აბალი თაობის ხალხს? — დაბნული სმით ჰკითხა ჩაფარმა და ისევ უმწუოდ ამოიხვნეშა.

— მოიგლიჯე და გადაადგე წყვეული მეფის სამხრებში! გადაადგე ეს კოკარდიანი ქუდი! — ურჩია ჯაბამ. — გაიხადე ეს დასაწყავი მუნდირი, რომელიც შენ ისე გიხდება, როგორც ძროხას უნაგირი! ჩაიცვი შენი ძველი, მამაბაბუელი ჩოხა. ისევ ფეხქვეშ გათელილ, შეგინებულ, ლეჩაქანდილ შენს დედა სამშობლოს, შენს მშობელ ხალხს, მწრომელ გლეხობას, შენს ძველ მეზობლებს, სახლიაკებს დაუბრუნდი, თორემ გვიანდა იქნება და მერე, ვერც მე და სხვა ვინმე გიშველის! გახსოვდეს: ორი ღმერთის სამსახური შეუძლებელია!

— შენი და შენი ამხანაგების იმედით მტერმა იარა. არ გახსოვს თქვენს გამო როგორ გადაწყვეს სოფლები... როგორ აწამეს ხალხი! — ანგარიშობდა ორ ცეცხლს-შუა ჩაფარდნილი ჩაფარი.

— ასლა სხვა დროა. დარდი ნუ გაქვს... — გაამხნევა ჯაბამ, მაგრამ მათემ უცებ ფეხი წაჰკრა მიწიდან ამოსულ, ბილიკზე გაწოლილ ხის ფეხებს და წაიქცა, ჯაბამ წამოაყენა და უთხრა: — რა მოგივიდა, შე უბედურო!

ჩაფარმა სული მოითქვა, თავი ასწია, შეხედა და მიუგო:

— შენ გგონია ადვილი იყო ჩემთვის ნათლულზე, მასლობელ მეზობელზე იარაღის ამოღება? ეს, შენ რა იცი, ბიჭო, რა ცეცხლი ტრიალებს ახლა ჩემს გულში!

— ვიცი, ჩემო მათე, ვიცი! — მიუგო ჯაბამ: — მეც და შენც ამ უკუღმართო დროების მსხვერპლი ვართ.

— ეს თუ იცოდი, ამ დღეში რად ჩამავდე, შე უღმერთო, — ამოიკნაგლა ცრემლმორეულმა მათემ.

— სომ გითხარი, სხვა გზა არ მქონდა-მეთქი, — მიუგო ჯაბამ ზეზეულად გათავებულ, მხრებაწურულ მოხუცს. მერმე ჩხირივით გამხმარ მკლავში ვეება ხელი წააგლო და სიარულში მიეშველა...



ღამო სულაბაჩიძე

## მარტინა მიწვევით ბილბოს წიგნზე ამინდები

მურმან ლებანიძემ დასჭეჭა პიშინი  
ესპანეთზე და შენზე, მარტინა,  
რომელმაც ბევრჯერ მე მომანატრა  
ბასკებისა და ქართველთა ლხინი.

ჰა, ჩემი კრინიც,  
ჰა, ჩემი კრინიც,  
შენმა ალაღმა სვედამ, მარტინა,  
რაკილა ქართულ-ბასკური ღვინის  
ღონიერებით გული მატკინა.

შე ჩავიკითხე ეს წიგნიც,  
შენი,  
პწკარს ასთები  
ცრემლივით ჰკიდა.  
წიგნი, დაწერილი ქართული ენით,  
თბილისიდან ბილბაომდე  
გადგმული ხიდა.

სომ მოიხილე მინტეგთა გვარის  
საგვარეულო სამარხებიცა,  
გადაწომილი ბავშვობის ქარით  
შენი ბასკონიის სანახების ცა,  
ჯავრით გაცრეცილი მამაცი დედა,

რომელმაც გურულივით დაგიძახა:  
— ნენა!  
ოცდაათი წელი ეს დარდი გგვემდა,  
გურული კილო გიხდება შენაც.

ჯავრით გაცრეცილი  
კვლავ გელის დედა,  
ჰა, ჩავიკითხე ეს წიგნიც,  
შენი.  
იმღერე, მარტინა, ბასკური სვედა  
შენი შვილების ქართული ენით.

მურმან ლებანიძის გუგუნებს პიშინი.  
ჰა, ჩემი კრინიც,  
ჰა, ჩემი კრინიც.

ყურს მოკრავს ჯავრით გაცრეცილი დედა,  
მოუღბეს ეგების დედური სენი.  
იმღერე,  
მარტინა,  
ქართული სვედა,  
შენი ნალვლიანი ბასკური ენით.

## გზე ღიღის ჩსტორიანი

მზემ გააღვიძა მთვრალი ლანდები.  
ზმორებ-ზმორებით გავიდნენ გარეთ  
მთვრალი ლანდები,  
მთვრალი ლანდები,  
წუხელ რომ დარჩათ აქ კაცებს მთვრალეებს.

ზმორებ-ზმორებით გავიდნენ გარეთ,  
გაქვენენ მუხნარში შეპარულ ღამეს.

მზე აეტუზა რესტორნის კარებს,  
შიგ მზისფერ ღვინოს ალარა სვამენ.

ჩამომხრჩვლებივით ბროლის ჭაღებზე  
წუხელ დაღლილი ხმები ჰკიდა.  
ოქროს საკეტით კარებს აღებს მზე.  
შიგ სიწმეა...  
შიგ სიმშვიდეა...

მაგიდებზე წევს  
 დამცხრალი ქარი,  
 ხელში შერჩენია დაცლილი ჭიქა.  
 ბოთლებში ჩარჩენილ ღვინიდან წყნარი  
 თვალს აფახულებს  
 ლოთების ჭინკა.

თეთრ სუფრას ჩაფრენია ცხრაფეხა ლაქა  
 წითელი ღვინის.  
 აღარ შლის ბახუსი აბრეშუმის მაქმანს,  
 რომ კალმახივით დაიჭიროს ლხინი.

სიჩუმე ლოღნის  
 პურის ნატყებებს და დამჭკნარ მწვანისს,  
 ორთქლი არ ასდის მწვადსა და ხინკალს.  
 ჭიქებში ჩარჩენილ ღვინიდან წყნარი  
 თვალს აფახულებს  
 ლოთების ჭინკა.

ოქროს საკეტით კარებს აღებს მზე.  
 შიგ სიჩუმეა...  
 შიგ სიმშვიდეა...  
 ჩამომხრჩვლებივით ბროლის ჭაღებზე  
 წუხელ დაღლილი ხმები ჰკიდა.

10680 ხმები  
 ზარხოშში შესულ კაცების,  
 ხმები  
 სიმღერის და აღტაცების.  
 ხმები,  
 პაპიროსის კვამლში რომ შეერთდა, —  
 ვაჟკაცთა,  
 მიჯნურთა,  
 ფარისეველთა.

ხმები  
 ბალახის და ატმის ფერები,  
 ხმები  
 ღრუბლისა და წვიმის ფერები.  
 ხმები  
 მაყრებისა და შაფერების,

ხმები  
 ჯისვის რქათა კლდეზე ძველების  
 შედის რესტორანში მზე და აღვიძებს  
 ხმებს,  
 ჩამომხრჩვლებივით ჭაღს რომ ჰკიდა.  
 — გზა გაგვინათე, მშუო, გაგვიძებს! —  
 და ხმები ჭალაქში მიდიან.

ხმები  
 დედებთან ეშურებიან;  
 ხმები  
 მამებთან ეშურებიან;  
 ხმები  
 საფლავებთან ჩაიმუხლებენ;  
 წვიმად ეღვრებიან  
 ძელქვეებს და მუხებს;  
 ლომივით ბუხუნებენ  
 სამშობლოს კართან;  
 მშვიდად სუნთქავენ  
 ყანასთან, ზვართან;  
 კამარას უქებენ  
 არწივს და შევარდენს;  
 ცეცხლს სულს უბერავენ  
 ბუხარში შენანთებს.

რესტორნის კართან  
 თეთრ საყელოზე წაავლო ხელი  
 მასხარამ  
 ცივ ხმებს  
 ფარისეველთა,  
 წამოიკიდა კუდზე და გრძელი  
 ხარხარით შეჰყვა უღრან ტყე-ველთა.

მზე წაეტანა ვარვარა სხივით  
 დაუცლელ ჭიქას,  
 ხმა გატყდა ჭიქის.  
 დააშრო ღვინო,  
 რომელშიც ცივი  
 თვალი ელაგდა ლოთების ჭინკის.

ჭალაქში შედის ფხიზელი მზე.



## პაპარა ზარი



ვიღაცას ელის პატარა ზარი,  
ჩიტვით ფხიზლობს დაკეტილ კართან.  
ვიღაცას ელის პატარა ზარი...  
და კარს აწყდება გრიალი ქართა.

დაკეტილია ორნაირ კლიტით  
ოთახის კარი,  
ცისფერი კარი.  
ზარი კი, როგორც პატარა ჩიტი,  
ვიღაცას ელის ბუდეში მჯდარი.

აფრთხილდება...  
აწყრილდება...  
და ჩარაზული იღება კარი.  
შეირხვევიან ჭაღის სანთლები...  
ისევ ბუდეში ჩაჯდება ზარი.

ეთამაშება გარედან ხელი,  
ფრთებს უფათქუნებს კიბეებს ქარი...  
და ისევ ელის,  
ვიღაცას ელის  
დაკეტილ კართან პატარა ზარი.



## სვანეთის მარცხი

ვკრიფე, ვკრიფე, ვერ ავკრიფე,  
დასწევს, მსგავსად აბედისა  
ფრაგმენტებად გაფანტული  
მატიანე სვანეთისა.  
მაგრამ უკვდავს ვერ აკრთობდა  
წარმავლობა წამ-ერთისა,  
არ ყოფილა მონატრული  
სხვა მზისა და სხვა ბედისა,  
ამიტომაც შემეყვარდა  
მატიანე სვანეთისა.

## სვანეთის კოშკებს ღრმადი სიღრმადი

სვანეთის კოშკებს ცრემლი სდიოდათ,  
ჩამოსდიოდათ სისხლი და ცრემლი.  
ჭაღარა სვანებს გული სტკიოდათ,  
ჩაჟანგულიყო ბალახში ცელი.

გარდაეწყვიტათ იმედი ღვთისა,  
მბუტბავი კვარი ეჭირათ ხელთა...  
ეს იყო ცრემლი დედის დარდისა,  
ეს იყო ცრემლი კლდეთა და ხვეთა.

ცრემლში ცურავდა იმედი მწველი  
ბედის წიგნივით დახურულ ბჭეთა, —  
და მაინც სვანი მაშვრალი ხელით  
ცრემლში უცრემლო მომავალს ჭედდა.

## ყაყაჩოების ხანძარი

ციური შუქის ლოდინში  
ხეობის გული მღვლეარებს.  
ყაყაჩოების ზღვაა, თუ  
ცეცხლი ედება მწვერვალებს?



იქნებ დაღუპულ წინაპარს  
 გზის გაშუქება სწადია,  
 ზვავის გატანილ ვაჟეკაცთა  
 გული კელაპტრად ანთია?  
 იქნებ ბექობზე დამჯდარა  
 მაშერალი კაცი მძიმედა,  
 წკვარამ ღამეში რომ იდგა,  
 ვარსკვლავი დასციმციმებდა?  
 მთა აღმართულა ცათამდე,  
 ვითა დიდების ტაძარი,  
 ენგურმა უნდა დაშრიტოს  
 ყაყაჩოების ხანძარი!

## სვანის ღირსება

მწვერვალები თეთრი ქუდით იმშვენიებენ თავს,  
 როცა სვანი საქართველოს სადღეგრძელოს სვამს.  
 საჯიხვეში თეთრი დალი სხივთა რიდეს რთავს,  
 არწივები დაჰყვირიან ჯინგიითაუს მთას:  
 „საქართველოს რას ახსენებ, თუ არ იცნობ სვანს!  
 ძვირფას სტუმარს საკლავს უკლავს, წყნარად უკრავს ჩანვს,  
 უკვალავი ბილიკებით მიგიკვალავს გზას,  
 მეგობრისთვის უჭიდება ბურუსსა და ჯანლს,  
 თუ სამშობლოს სამსახურში ხარჯავს თავის ჯანს, —  
 ხალას გულში ნაღვლის ნახახს ვერ უპოვნით სვანს.  
 მტერთან მტრობა, მეგობართან მეგობრობა სწამს,  
 მოყვრისათვის შევხლება მეწვერსა და ზვავს,  
 მყინვარებში იყინება თუ სახმილი წვავს, —  
 არ გაგწირავს, არ გიმუხთლებს არხად არა წამს,  
 მიგინდობს და მოგენდობა, თუ ენდობი სვანს!“  
 მწვერვალები თეთრი ფიფქით იმშვენიებენ თავს,  
 როცა სვანი საქართველოს სადღეგრძელოს სვამს,  
 მაგრამ კაცმა თუ გასწირა, ორბი დაჰკრავს ფრთას,  
 მაშინ შავად ეღუშება თეთრი შუბლი მთას,  
 ცის და მიწის რისხვის დაგლა მიაჭვს ხევში ზვავს.  
 გუგუნებენ ნაპრალები, მთა გასძახის მთას:  
 „ბედმა ჩვენი თეთრი ქუდი დაჰკრას კუპრის ზღვას,  
 ჩვენი შვილი სიყვარულში თუ ჩამორჩეს სხვას!  
 სიძულვილით ვინც შეხედავს, სინანულით ზღავს,  
 და ძმას ნახავს, ხალას გულში ვინც ჩახედავს სვანს“.  
 ბილიკების ბადე სერავს სოფელსა და ხევს,  
 საჯიხვეში მონადირე ციურ წყაროს სვამს,  
 კუსტი უშმა მქისი შუბლით ნისლის რიდეს ხევს,  
 ზვავის ენით გადმოსძახის ჩვენს ზღვასა და ხმელს:  
 „არასოდეს გაგაწმილებს, თუ ენდობი სვანს!“

## ტ ბ ა ს თ ა ნ

პატარა ტბასთან,  
ფერგამკრთალ ტბასთან  
თებერვლის თოვლი ბარდნის და ბარდნის,  
ეს რა თქნება სცოდნია ზამთარს,  
ფიფქები ალბათ ფიქრია ზამთრის  
და მთები, როგორც წუხილი ზართა  
და ჯერ უთქმელი, ვეება დარდი,  
გაუსხვევია ბინდ-ბუნდში ზამთარს  
და როგორც კვამლი, ზეცისკენ ადის.

საოცარია, პატარა ტბასაც  
ეს რამოდენა სცოდნია დარდი.

• • •

ფრთხილად დაადგით ფეხი ამ მიწას,  
აქ, ამ მიწაზე,  
ამ გზის ნაპირას,  
განისვენებენ შინმოუსვლელი ჯარისკაცები.  
ვაი, რომ მათთვის  
აწ არასოდეს აღარ მოვა თეთრი აპრილი,  
მათთვის არც მოთოვს,  
არც გაწვიმდება.  
ფრთხილად დაადგით ფეხი ამ მიწას,  
აქ, ამ მიწაზე,  
აქ, ამ მინდორზე,  
როგორც მარცვალი გაზაფხულისას,  
დათესილია სული და ძვლები ჯარისკაცების.  
ფრთხილად დაადგით ფეხი ამ მიწას,  
მიწამაც ისე,  
ვით დედის გულმა,  
იცის ტკივილი,  
იცის წუხილი  
და იცის სევდა,  
ფრთხილად დაადგით ფეხი ამ მიწას...



იზა ოგაონიძე

• • •

ადექ, მონასესებ დღეთა  
მიწას დაუბრუნე ვალი,  
რა გაქვს საკინკლაო ღმერთთან,  
თუ არ დაგიბრმავა თვალი,

შენთვის გაიმეტა თუკი  
ორი დღეკეთილი ხილად,  
ადექ, ხმამალალი ბუკით  
მთებზე გადმომდგარა დილა.

• • •

ჭაში ვისროლე,  
ჭყურტი რომ სჭირს  
მუდამ, ბადია,  
უკანასკნელად ჩაყვინთა და  
ავკრიფე ჯაჭვი.  
ვარ ფრინველივით,  
ამ წყლის გარდა  
დღეს მბაბდია  
ცის ანაჭერი  
და დიდძალი ხასხასა ყაჭი.  
შემოვიღურებ ამ ბღენძ კოკას  
შერვეულ მხარზე  
და ნაკვესივით გადაცვივა

აჭა-იქ ღვარი,  
თითქოს ვიღაცამ მომაგება  
მზურა და აზრი.  
შეედგები წამით,  
და ვიღიმი ოთხივე მხარეს.  
ჩვიდმეტი წლის ვარ!  
მემჩატება ქვეყანა მხარზე,  
და ქვეყანაზე არ არსებობს  
ჩემი ბადალი,  
მაცოფებს კარი, დაკეტილი  
შიგნიდან რაზით.  
და მთვარე გდია გზაზე  
როგორც მგზავრის სანდალი.

ღ ი ღ ი თ

გაფუებული,  
როგორც ცური,  
კვიდა ფრთილა.  
ყუა მეღო და  
წყალი მედგა...  
ბრწყინავდა ტენი,  
მიულწველი არც რა იყო.

საკუთარ ჯილაგს  
შეუცდომელად გრძნობდა ახლოს  
ტანადი ცხენი.  
არაგინ ჩანდა,  
დარჩენოდა თხუნელას დიჭედ  
დარბაზის ბჭენი.



## საღამო ნათლივ

მიიდრიკა და მიიფერფლა  
 ლადარი დიდი.  
 გაგანი მიწყდა  
 სადაგი დღის დაოკდნენ ძალნი.  
 უჩინოთაგან უჩინარმა დაუსვა რიდე  
 და კრეტსაბმელი ყველა ცათა...  
 აღახვენ თვალნი  
 და დაიყურსე,

დაჭიმული სამყაროს მყესი  
 შეუშვეს ოდნავ,  
 რომ დალანდო საწყისი ხვალის.  
 ფუთფუთებს მატლი  
 ნათლივ, როგორც იმედი — ხემსი  
 ვსი. მთების ყელში  
 სათქმელივით ფოფინებს წყალი

## წ ვ ი მ ს

ფართხალებს  
 ჩემი ყინულის ჩიტი,  
 მკერდში რომ ბუდობს...  
 წვიმს.  
 დედამიწა  
 როგორღაც იტყვის  
 ზღვაურის ოხვრას.  
 კიდევ და კიდევ

ვეითხულობ იმ წიგნს,  
 რომელშიც მხოლოდ  
 თავფურცელია,  
 და რიცხვი შავად  
 წვიმს... როგორც მკვდარი  
 მესღვაურის  
 ჯიუტი ცოლი,  
 ნაპირთან ვდგავარ.



## ლ ა ნ ღ ე ბ ი

### ა მ ბ ა ნ ი

#### XIII

ამოდ როდი იცნებდა ტუჩებსა... ისედაც ხომ ხმა დადიოდა, უდიდო ნაქანდაკევი გამოიტანაო, ეს ხმაც ამისგან მოდიოდა, მოიკლებდა თუ მოიმატებდა, ამისგანვე იყო მოსალოდნელი. აღარც დაუყოვნებია, მაშინვე ჩაუჭადა ტელეფონსა და ასტეხა ყველა, ვისი ატეხაც ადვილი გახლდათ. ხმა იზარდა, იზარდა, გაზეთშიც გამოეფონა, გამოეფენის მომწყობნიც შეაფიქრინა, შეაღონა, შეაქოქმანა, დილას რომ გამოეფონა, საღამომდის გადმოხეტქდა, გადმოსკდებოდა, მოედებოდა ქვეყანასა. რაიმე უნდა ეღონათ ღროზე, უთუოდ, აუცილებლად ღროზე უნდა ეღონათ და კიდევაც იღონეს: „ქალი“ საღდაც მიკუნჭეს, ჩაქედეს, გააქარწყლეს, „სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატი ირემია ჭინთავა“ შემოდგეს იმის ადგილსა. შემოდგეს და დამშვიდდნენ, მით უფრო დამშვიდდნენ, საღამოს გაზეთებში რომ არაფერი სააუგო არა ქაჭანებდა, ხოლო მეორე დილის გაზეთებში „ირემია ჭინთავა“ გამოცხადებულიყო ახალ ვარიანტად ცნობილი მოქანდაკის ცნობილი ნაწარმოებისა. ჰო ცნობილი ნაწარმოებისაო და მართლაც ცნობილი გახლდათ, ათი წელწაღია გამოჰქონდათ ყოველ გამოეფენაზე, საშემოდგომოსა თუ საგაზაფხულოზე, სათარიღოსა თუ საზე-

მოზე, გამოჰქონდათ ახალ-ახალ ვარიანტად. ეურნალისტებსაც შემოიხვევდა ავტორი, სულერთია შემოდგომა იდგა თუ გაზაფხული, შემოიხვევდა და უმტკიეებდა, ქეშმარიტმა ხელოვანმა ერთ ნაწარმოებს უნდა შესწიროს თავიო, ჩვენ ვიჭარობთ და ზოგი რამ ნაკლი, თუ რაიმე ნაკლი გვაქვს, ამ სიჭარბის ბრალი არისო. ესაო წვრილ ბურჭუაზიულ გადმონაშთებს მიეკუთნებო და რაც უფრო მალე დაეძლევთ, მით უკეთესი იქნებაო. ამ ნაწარმოებზე დიდი ხანია ვმუშაობ და თქვენვე ჰხედავთ, რა ახალ-ახალ იდეურ შინაარსს იძენსო. ეგვეე მტკიცებანი და ეგვეე იერემიას ფოტოასლები გამოჰვეყნებულიყო შარშანცა, შარშანწინაცა, იმის წინაცა. მაგრამ გამხსენებელი არაეინ გამოჩნდებოდა, თუნდაც გამოჩენილიყო, მერე რაო, რა ხმა ამოედებოდა, სრულყოფა შეიძლებოდა დაუსრულებლად, — ერთი ხელოვანის სიცოცხლე ერთ ნაწარმოებს უნდაო. ნათელი დებულება გახლავთ, ხოლო დებულებანი სხვა რა მოხელენი არიან თუ არ გაამართლეს მოქმედება ადამიანისა. თუმცა კარგა ხნით აღრე ამასვე ამბობდა ჟან-ჟაკ რუსოცა, მაგრამ ბევრი რამ დაუწერია, ერთი ნაწარმოებისათვის არ შეუწირავს თავი, ერთით არ გაუბეზრებია ხალხი.

ოღონდ ისევ დებულებისა ვთქვათ... „ქალი“ რომ მიკუნჭეს, საამისოდაც არ მოისაკლისებდნენ დებულებასა თუ მტკიცებასა, მერე სულაც რომ მიმაღეს,

არც ამისი ახსნა გაუჭირდებოდათ, ყველაფერს გასჩენია თავისი გასამართლებელი, უსაშინელესი ბოროტბანიც გაუმართლებიათ. გვერა თუ არ, ეგ არაფერი, ბევრი არაფერი, ხმა თუ არ ამოგლეხა, დაუჭერებლობა რა ბედენა... ხმის ამოდება არც მოუწადინებია, იდგა შუა დარბაზში, იდგა და თვალებს აცეცებდა, მარჯვენა დარბაზშიც გავიდა, მარცხენაშიცა, იქაც აცეცებდა თვალებსა, რა იქნათ, კითხულობდა დაცეცებული თვალებითა, ენით არა, არაფერი უკითხავს ენითა, ისედაც არაფერი უთქვამს, უფროსნი არა სჩანდნენ, ნაცნობნიც არა, სადაც გაკრეფილიყვენ თუ მიუყუთლიყვენ, რა უნდა ეთქვა უცნობთათვისა. დამთვალეირებლებს რა ეკითხებოდათ... იმათ არც არაფერი მოუსაკლისებიათ, „ქალი“ იქნებოდა, შეხედადენ „ქალსა“, „იერემია“ და ხვდათ? — შესცქეროდნენ „იერემიასა“. შეხედადენ და ჩაივლიდნენ, ფეხს არ შეანელებდნენ, თვალს არ შეაჩერებდნენ, „ქალთან“ ეგება შეჩერებულიყვენ, ჩერდებოდნენ სხვანი, ეგებ ესენიც შეჩერებულიყვენ. მაგრამ გამქრალიყო „ქალი“ და შეყოვნდებოდნენ თუ არა ესენიცა, რაღა სამკითხაო იყო?..

ჰო გამქრალიყო „ქალი“, აქედან გამქრალიყო, არ დაეკარგებოდა, ამისი შიში არა ჰქონია, საოცარია, ოღონდ თითქოს წყენაც არ მოჰკიდებია, მხოლოდ გული შეუქანდა, ერთი-ორჯერ შეუქანდა და ისიც მიუყუჩდა. მერე სულცა გაინაბა გული, თითქოს აღარა ძკვრდაო, გაინაბა, ლანდი რომ მიუახლოვდა, ხელი მოჰხვია და აატარა-ჩამოატარა; ვერც გაიგო თუ როგორ მიუახლოვდა, საიდან გამოჩნდა, დამთვალეირებლებს გამოეყო, ბინდიდან ამოვიდა თუ ეს ეს არის შემოდგა ფეხი, შემოვიდა და პირდაპირ იმას წაადგა თავსა, ხელი მოჰხვია, მოეფერა შეფიქრიანებულსა, აიარა, აატარა, ჩამოიარა, ჩამოატარა, არსად შეჩერებულა, არაფერს მიახლოებია, არც ნაქანდაკეთა, არც ზეთის ტი-

ლოებსა, არც გრაფიკოსების ნაწარმოებთა, არც არა უთქვამს! მხოლოდ მხრებს არხევდა, ვეება მხრებს! არანავ ახველებდა თუ „ჰმ“-ს გამოსცემდა ცოტა თავმოწონედა, ცოტა დამცინავდა, ცოტა გამომწვევდა; ან ეგებ სხვა ვინმე გამოსცემდა, ეს მხოლოდ ლანდი იყო, მხოლოდ მოსჩვენებოდა, მაშ რაო, მხარზე ედო ვეება ხელი და ვერაფერსა გრძობდა, არც სუნთქვა ესმოდა, არცა ჩქამი, გვერდიც არ გაუკრავს. ხელი გადაეხვია, მხარში ამოესვა და არ მოჰკარებოდა. მხოლოდ სვანური ქუდი მოუჩანდა ნათლად, რუხი, შავზონრიანი ქუდი. მოხვდა, ხელში ეჭირა, ქუდმოხლილი ჩასდევდა მხატვართა გამოფენასა. შესტიამი მიეძღვნათ ის ქუდი, მიეწვიათ, პოეზიის სადამო გაემართათ და ის ქუდი მიეძღვნათ. სადაც იყვე, ქუდიც იქაური დაიხურეო, — იქვე დაეხურა და აქაც გამოეყოლებინა; გამოეყოლებინა და ეს იყო ცხადი, რუხი, სვანური ქუდი, შავი ზონრითა, ჭერკიდევ ცხადი იყო, მალე გათავისებურდებოდა, იქცეოდა ლანდის ნაწილად.

გართათ ქუდი გავიდა, ცხადი გავიდა, ქუდიანი ხელი წაეტანა კარსა, გამოსწია, თუ ქუდი არა, ხელი არცვი გამოიჩინოდა, — არც გამოჩინულა, ქუდი ეცა კარსა, წინ გავარდა და ეცა, ქუდმა ვადახსნა კარი, წინაც ის გავიდა, ჩაჰყვა კიბესა, თან ჩაიყოლა დიდი ლანდი და ლანდს შეყუთული ახალგაზრდა მოქანდაკე, ჩაიყოლა, გაიყოლა, გამზირი ჩაათავა ეგრე რუსთაველისა და ოპერის თეატრების მხრითა. თუმცა მანამდის აკადემიის წიგნის მალაზიასთან შეჩერდა, ვიტრინას ეკიდა სვანური ქუდი, კარისაკენაც წაესწრაფა, მაგრამ შესვენების დრო ყოფილიყო, ველარ შეიარა, აქანავდა უამურობის ნიშნულა, გამოტრიალდა და კვლავ წაუძღვა. მერე თავზე მოექცა ქუდი, ხოლო ამას ეგონა, აღარც რა მიმიძღვის, აღარც არავინ მომყვება, ვარ მარტომმარტოო. ასე ეგონა, ოღონდ თოჯინების თეატრთან რომ შეჩერდა, მიხვდა, თავისი

სურვილით როდი შეჩერდა, შეაჩერა სხვა რამ ძალამა, იმავე ლანდმა შეაჩერა, ხელი გაუწოდა, ჩამოართვა ხელი, მოუჭირა, მოუჭირა, ძლიერად მოუჭირა, ჭახუნის დაუწყო ძვლებმა. არ გამოუტაცნია ხელი, დაე ეჭახუნა ძვლებსა, იცოდა, რომ არ უნდა სტკენოდა, რა ვუყოთ თუ ეტყინა, არ უნდა სტკენოდა, არც იმჩნევდა ტკენასა. ის ილიმოდა, ლანდი ილიმებოდა, საოცარია, მართლა ილიმებოდა, თვალები უციმციმებოდა, ტუჩები გაეშლებოდა და მოეკუმებოდა, ლაწვები უხტოდა, უხტოდა წარბებიცა, ხოლო ფართო შუბლი გადაუნათლებოდა და მოუბურუსდებოდა, ამოვიდოდა და მიჰქრებოდა, გადანათებისას ამოიზრდებოდა, ხორციელად ამოჩნდებოდა, მობურუსებისას მიიღოდა, მიჰქრებოდა ისევ ლანდადა. მარჯვენა მაინც ხორციელისა იგრძნობოდა, ძლიერი, ღონიერი, გამამხნევებელი; შო გამხნევებისა იყო, ამიტომაც გადაჰხვია ხელი, გამოიყოლა, ჩამოატარა, ამიტომვე ემშვიდობებოდა ასე უცნაურადა, უცნაურადა და გამამხნევებლადა.

იქვე ნაცრისფერი ვოლვა შეჩერდა და გოგონა გადმოხტა. აჩქარებით გაეცალა ლანდი. გოგონამ გასდია. შემობრუნდა, ხელი დაუჭინა და გაეშურა. გოგონამ გაბრწყინებული და იმავდროს ოდნავ გაბურთული თვალები გადაეგნა. მერე მიეჭრა ფრიდონსა, ხელი წაავლო, ავტომობილში შეიტაცა და აჩქარებით შეიკეტა კარი, თითქოს შიშობდა, ლანდმა არ წარიტაცოსო.

ავტო შემობრუნდა, გამზირს დაუყვა.  
— სად წავიდა? — გოგონამ იკითხა, ტუჩები გამობუსხა და ისე იკითხა.  
— გამოემშვიდობა...  
— ნეტა ვამოგვყოლოდა!  
— ჰმ!..  
— რა იქნებოდა?!  
— არაფერი... მაგრამ წავიდა და...  
კიდევ უფრო გამოიბუსხა ტუჩები გოგონასი, თვალებს წყრომა არ ეტყო-

ბოდა, კრიალებდა, ელავდა ღამაში თვალები შუქით სავსე თვალებზე.

— რატომ აღარ მოხვედრებოდა?

— შევიხანხე, როცა დამქირდება...

— იქ არ იმუშავებ?!  
— იქ...  
— არ იცი, რა ხდება.  
— რა ხდება?  
— მოდი და ნახე.  
— ახლავე რომ ვიცოდე?  
— იცოდე. მანჭანის სადგომი აღარ გეგონოს, ამაილეს, ზევიდან შუშებს უკეთებენ, ნამდვილ ატელიეს დაემგვანება. ისეთი არ იქნება, ძია ბიბოსი რომ არის, მაგრამ რაც უნდა იყოს, ატელიეს დაემგვანება.

— რისთვის?!  
— უნდა იკითხო, ვისთვისათქო.  
— ვგრე ვიკითხავ.  
— იკითხე!  
— ვისთვის?  
— შენთვის!

გოგონა შეჰყურებდა წრფელი თვალითა, თანაც თამამი, ლაღი თვალითა, ყოყმანი თუ შეეტყობოდა, იწყენდა, ძალიან იწყენდა, ეგება სამუდამოდაც შემოსწყრებოდა, — მწარე წყენა სცოდნია სიწრფოებისა და სიალაღესა.

— მშობლები შეაწუხე, — ამასღა იტყვის ფრიდონი, — უბრალოდ იტყვის.  
— მამაჩემისთვის ეს ძნელი საქმე არ არის, თუმცა აღვიღადაც არ დამთანხმებია... შეწუხებდაც ეს ითქმის.  
— ურჩი შეილი.  
— ყოვლად მორჩილი, — ამბობს მართლაც ყოვლად მორჩილივეთა, — ამ გადაკეთ-გადმოკეთებაში ნაკეთობანიც გადააწყ-გადმოაწყეს, მაგრამ ფიქრი ნუ გეჭნება, არაფერი გაფუჭებულია, მხოლოდ „მარადიულ კერპს“ დაეცა ავტური, ისიც არ დაზიანებულა.

— არ დაზიანდებოდა.  
— ცოტა არ იყოს, შემეშინდა... ახლა კოჯრისაკენ ვავისერიწოთ, თანახმა ხარ თუ არა?  
დასთანხმდებოდა თუ არა, სულერთი იყო. ავტო უკვე კოჯრისაკენ მი-

დიოდა, საქმესთან ახლად შედერებულნი ყმაწვილი იქდა. ეგება იმასაც რაიმე არ ეპრიანებოდა, მაგრამ ვერაფერს გააწყობდა, ვერ ეურჩებოდა ამ ცოცხალ, ცქრიალა, წრფელ და მოუსვენარ გოგონასა. ახალ შედერებულ სილამაზესაც თუ დავუმატებთ, ურჩობის გრძნობა ვერ გაიქაჟანებდა ახლო-მახლოსაცა. ან რა სახსენებელია, საურჩებელი რა უნდა ჰქონოდა ყმაწვილსა, მამას მანქანა ეთხოვებინა, კიდევაც უხაროდა, კოჯორს კი არა, მანგლისსაც მოვიღიდა, გადავიდოდა იმას იქითაცა, ისე, ტყუილად, უსაქმურად, უაზროდა ან რა აზრი უნდა სიხალისესა; თუ მინც უნდოდა, — ლილი ჩახტომოდა, ფრილონი ვიპოვნოთო, იპოვნეს, კოჯორი მოვიართოთ, მოვიღიდნენ და ეგეც შენი აზრი. წყნეთის გზა მომწყინდა, არც მიხსენოთო, არც უხსენებდნენ, მოვიართოთ და მიჰქროდნენ, მისდევდნენ აღმართებსა. მოსწონდა გზა აღმართებიან, მიხვეულ-მოხვეული; თუმცა რაო, რაღა არ მოსწონდაო, — ყველაფერი მოსწონდა, ყველაფერი ახარებდა, სიცოცხლეს იღვიძებდა მასში, სიცოცხლეს ერთოდა ბავშვური უშუალობითა, უზადო სიწრფეობითა; ავტო ასდევდა აღმართებსა, ის სავარძელს მისვენებოდა, მინდობოდა თუ გადაკიდულიყო ხრამებზე, ხრამებზე მიფრინავდა. ხრამებზე ქროლავაც ახარებდა, მაღლა ქორი მოჩანდა, ქორიც ახარებდა, ტიტინებდა, ტიტეცებდა, ეღურტულებდა ბავშვური ჭკუითა და ბავშვობისაგან თითქოს განსხვავებული ხმითა, მეღერი, შემდგერებული ხმითა; ზოჯჯერ ბავშვური ხიწვი თუ შიშინი ამოჰყვებოდა, ოღონდ ეტყობოდა, გაუვლიდა, მალე გაუვლიდა, ჯერ ხმაში გაუვლიდა ბავშვური, მერე ქცევამიცა, თქმამიც მიეღოდა, სხვად იქცეოდა, გამოიცილებოდა და დასანანი იქნებოდა ეს სიწრფეობაც თუ მიუქრებოდა, ეს გულუბრყვილობა და სიალაღაც თუ დაეღოდა; მართლაც სხვადა იქნებოდა, უცხო, გამოუცნობი ან აღვილადაც გამოსაცნობი, მაგრამ მაინც

სხვაი და დასანანი. დღე გამოსცვლოდა ყველაფერი, თუნდაც გამოსცვლოდა ეს სილამაზის დამამიდებელი მანქანები, ოღონდ შერჩენოდა სიწრფეობა; ან ეგება მოესწრო და გადაეტანა, — ბარელიეფზე გადაეტანა, მაგრამ არა კმაროდა ბარელიეფი, ნახევარი სახე, ნახევარიც არა, ნახევარი ტანი, ნახევარიც არა, არა კმაროდა. თანაც სხვანიც იყვნენ, სხვა გოგონები, ყველას უნდა განაწილებოდა გრძნობა თუ ოსტატობა ხელოვანისა, ყველას თავისი შექმრდილი უნდოდა, თავისი მოქნილობა თუ დახვეწილობა, ერთიმეორეს შესჯობებოდნენ თუ ჰფარავდნენ ერთიმეორესა, თვალი დაიბნეოდა მაყურებლისა, დაიბნეოდა ან ერთბაშად აღიქვამდა ყველასა თავთავისებურებითა თუ ერთობლივობითა, ერთობლივობაშივე გაითქვიფებოდა ეს სიწრფეობა, ეს სიხალისე. უნდა გადაერჩინა, უნდა შეენახა, პორტრეტიც არ იკმარებდა, მთლიანად უნდა გამოეძერწა და მერე გამოცვლილ-სათვის ეჩვენებინა, აი რა იყავი, აი როგორ გამოცვლილხარო. ეგება არც არაფერი დაემართოს, ეგრედვე დარჩეს, — ძნელი სათქმელია, საძნელო იმედია, ოღონდ მაინც ეგება გადაჩრჩეს ეს წრფელი, ეს ბავშვური და რაღაც აფუთფუთებული, მაგრამ ჯერკიდევ იღუმალი განცდითა თუ დიდი მოლოდინით გასხივოსნებული სახე.

და უცებ: მომწყურდაო, გოგონამა თქვა, წყაროსთან შეეჩერდეთო.

მანამდის სასაუბრე გამოჩნდა გზის პირსა, ფრილონმა იქიდან ლიმონათი და შოკოლადის ფილები გამოიტანა. ცოტა დაცილებით ფანჩატურში ჩასხდნენ. თბილოდა, მზე დასდგომოდა ფანჩატურსა, საამოდა თბილოდა. საქვე მზე ეკიდა ცაზე, უღრუბლო, კრიალა ცაზე. პაერიცა კრიალებდა, ხასხასებდა მთებიცა, შორს ჩამონგრეული ციხეცა ხასხასებდა, თუმცა ეგრეც მოსჩანდა, თითქოს მთის თხემი დაკბილულაო, ფერიც მთისა დასდებოდა ნაციხარსა, მზის ქვეშაც მთისნაირი იყო, მინაბული და

ახსახსებული. სხვაც ყოველივე მინა-  
ბულიყო, დროდადრო ოღნავ, სულ ოღ-  
ნავად აქა-იქ რაღაც იშმუშნებოდა, ეს  
მიძინების შემუშვნა თუ იყო. ახლა

მზე ვედარავფერს გამოიტყუებდა, ათ-  
ბობდა და ეგ იყო, საამოდ ათბობდა,  
ოღონდ ღრუბლის ქულა თუ გადაეფა-  
რებოდა, თხელი, სიფრიფანა, გაბენტი-  
ლი ღრუბლის ქულა, სუსხი ჩამოივლი-  
და მაშინვე, შეძომგინდებოდა ყველა და  
ყველაფერი. ამიტომაც იშმუშნებოდა  
ბუნება, ოღნავ იშმუშნებოდა, არა ფუ-  
თფუთებდა, არ იზმორებოდა, არა ფუფ-  
ღებოდა, თუმცა საამოდ ათბობდა მზეი,  
მაგრამ ჯანაფხულობით სხვა სიამე მოჰ-  
ქონდა, სხვანაირად ათბობდა, ყველა-  
ფერი დაიძრებოდა, ადიოდა, მალღდე-  
ბოდა მიწაცა, მცენარეცა, სულერიცა,  
უსულოცა; კარგი რამ გახლდათ მზე  
ჯანაფხულისა, ესეც კარგი რამ იყო,  
ოღონდ არსაიდან წამოჰპარებოდა  
ღრუბლის ქულაი. საღაღაც მწვერვალე-  
ბზე ჰყრია თეთრი ღრუბლები, ჭერ აყ-  
რას არ აპირებს, ჭერ მზე ეღვარებს,  
თითქოს ჩამუჭებული, ჩამწიფებული  
მზეი. ამათაც დასციალებს. ფრიდონი  
სხნის ლიმონათის ბოთლებსა, — ელ-  
ვარებს ბოთლები, ხელებიცა ეღვა-  
რებს.

— რა ლამაზი ხელები გაქვს... — ამ-  
ბობს ლილი.

ფრიდონი წითლდება, თითქოს უნდა,  
დამალოს ხელებიო, ვერცა მალავს, მხო-  
ლოდ ლილის შეჰყურებს, ეგება თვა-  
ლებით ავკრიფო ამისი თვალები და  
ჩემს ხელებს დაეხსნაო.

— ყველას ასე გვაქვს, შთამომავლო-  
ბითა გვაქვს, — ლულღუღებს ფრიდონი,  
— ჩვენი წინაპრები მეთუნეები და  
მძერწავები ყოფილან, უხსოვარ დროი-  
დან მისღევდნენ ამ ხელობასა. ეტყობა  
ხელობას ზეგავლენა მოუხდენია. ხელო-  
ბაცა და ხელიც იმათგან გადმოგვეცა,  
მეცა, სხვებსაცა, ჩვენი ღირსება არ  
არის, გადმონაცემია.

— ყველაფერი გადმონაცემია, მაგრამ  
ჩვენია. — არ ეთანხმება ლილი. ისევ

დაჰყურებს, — აღარ იცის ფრიდონმა,  
საით წაიღოს ხელები.

— ჩვენია, მაგრამ ჩვენი ღირსება ჩვე-  
ნი შენაძენია.

— წინაპარიც ჩვენი არიან.

— ჩვენა ვართ იმათნი.

— სულერთი არ არის?

— არ არის სულერთი.

ლილი ლიმონათსა სვამს, აღარ ეღა-  
ვება, დაიჭერა თუ არა, სულერთია, აღ-  
არ ეპასუხება, სახე უციალებს, მზისთ-  
ვის შეუშვერია და უციალებს, ჩრდილი  
თუ მოადგა ხის ტოტებისა, გადაიწვეს,  
ჩრდილს გადასცდება, მზემ მიქციროსო.  
ერთხანს ასეა დაღუღებული და განაბუ-  
ლი მზის გულზე, მერე ინატრებს:

— ნეტა წამოსულიყო!..

— ნეტა...

— აქ რაღაც იგრძნობა, რაღაც ისეთი,  
მე რომ ვერ გამოვთქვამ ან ვერც მიე-  
მხვდარავარ, პოეტი გამოსთქვამდა.

— ის ლანდია...

— როგორთუ ლანდი?!

— ღიღიხანია მიატოვეს მუზეზმა,  
ხოლო მუზეზისაგან მიტოვებული პოე-  
ტი ლანდიდა არის.

— ჩვენ გვასწავლიან, კვლავაც შემო-  
ქმედებითი აღმავლობით უმღერისო...

— ჩვენც გვასწავლეს, მაგრამ... მოუ-  
თავდა „შემოქმედებითი აღმავლობა“.  
გააფრთხილეს თუ არა, სევდა აღარ  
იყოსო.

— იყოს, ვის რას უშლის?!

— ვინ უწყის...

— წეროს თავისთვის, შინ ვინ შეეკ-  
რება...

— სულში თუ შემოგვეკრენ, მარტო  
ველარ იქნები. ყოველშემთხვევაში თუ  
სწერს თავისთვის, ხორციელი თუა, მა-  
რტო რომ არის, ჩვენთვის მაინც ლან-  
დია.

— ლანდს ელაპარაკებოდი?!

— მამხნევებდა, ისე, უთქმელადა,  
ლანდებს რომ სჩვევიათ. თუმცა რა ვი-  
ცი, რა სჩვევიათ ლანდებსა... მგონია,  
რაღაცას მანიშნებდა, მანუგეშებდა, მამ-  
ხნევებდა.

— გაუფია?

— გაუგია, ალბათ...

— შენ?..

— იქ ვიყავი, იქ შეგხვდები...

— მეტი მეგონა, არაფერი იცოდი, მინდოდა, არ გაგეგო. ძნელია, არა?

— ძნელია!.. მაგრამ არის ნუგეში: ქანდაკებაში სილამაზემ უნდა გაიმარჯვოს, ქანდაკება არ იქნება სილამაზის გარეშე, როგორც ადამიანი არ იქნება გონების გარეშე, სილამაზე გონებაა ქანდაკებისა, ყველაფერია, სილამაზე ყველაფერია. თუ გამოვკვეთე სილამაზე, მშვენიერება თუ გამოესახე, მოქანდაკე ვიქნები, ეს არის ნუგეში.

— თუ ვერა?

— თუ ვერა... — მხრებს ჩამოჰყრის ფრიდონი, სევდისა თუ დარდის იერი გადაეკლება სახეზე, თვალები მიეხუტება, თითქოს ეს არის ჩაქრებაო.

— ლანდი ზომ არ იქნები?

— ლანდი?! — თითქოს გამოცოცხდება ფრიდონი, მაგრამ მალევე მიეღება შუქი თვალებში.

— აუარებელი ხალხი ცხოვრობს, ნამდვილად ცხოვრობს, ტყეება სიცოცხლითა, ასეთი ფიქრები არც ელანდებათ.

— ხელოვანს ელანდება, ხელოვანი ლანდია...

— შენ ზომ არ იქნები?! — გოგონა შემინდება.

— ლანდი?.. — იკითხავს ფრიდონი, მეტს ვერაფერს იტყვის; რაც უნდა იყოს, ოღონდ მისწვდეს მშვენიერსა, სახიერბესს, მერე რაც უნდა დაემართოს, რადაც უნდა იქცეს, აღარ ენალელება. იმას უკვე აღარ ენალელება, ის უკვე მისწვდა მშვენიერსა, კარგახანია მისწვდა და აღარ ედარდება, — რომ მიდის, თითქოს მესტრიაში ნაჩუქარი ქული მიდის, სულ მალა, ყველაზე მალა მიდის. ხორციელი რომ იყო, ახოვანი გახლდათ, ლანდადაც შეინარჩუნა ახოვნება. მიდის რუხი ქული, შავზონრიანი ქული და თავსა ჰჭრიან ლანდები. ჰა?! ეს მისწვდა მშვენიერსა, ამათ არაფერი გაეგებათ მშვენიერებისა, მაშ ვიღაა ლანდი, ეს არის თუ ესენი არიან? თუ მხოლოდ ქულია ნამდვილი? რადაც

აერევა თვალთა წინა, ყველაფერი ათქვიფება, მხოლოდღა ქული მიდრეკილებს, რუხი, შავზონრიანი ქული ფერდობზე ლილი ჩარბის ტკრიაცითა, შემოდგომის ყვავილისათვის მოუკრავს თვალი, შემოდგომის მზესაც გამოუტყუებია ყვავილი, თვალი მოუკრავს და მირბის; ჩერდება და მირბის, დაინახავს და მიეკარგება, მიეკარგება და შეჩერდება, დაინახავს და გაეცილება. მზე იცინის, იცინის საამურად. მიწა იშმუშნება, მიწა იშმორება, ლამის მოტყუვდეს, ლამის აიწიოს, მაგრამ ეს ზმორებაა მიძინებისა, გაღვიძების ალოც დაუდგება ერთი ყვავილი მაინც წამოჩიტულა, თავი წამოუყვია, წამოჩენილა; ვერც წამოჩენილა, წამოციმციმდება და მიიმალება. ეს ადგილიდან არ იძვრის, ყვავილსაც ვერა ჰხედავს, არც აქეზებს, მხოლოდ გაჰყურებს თუ როგორა პატარავდება, პატარავდება პატარა ლილი, მერე ამობრუნდება და ამოიზრდება, დაღმართში მალე პატარავდება, ნელ-ნელა ამოიზრდება შემოდგართშია.

XIV

კარგი დღე გამოდგა, დარდი როდი გასკდომია, გულთან არაფერი მიიტანო რომ ურჩიეს, ალბათ დაიჯერა გულმა, იყო მშვიდადა, თუმცა თუ შეირბეოდა, ცოტა უცნაურად შეირბეოდა, ოღონდ ნალევლისა თუ დარდისა არ უნდა ყოფილიყო ეს უცნაური შერხევა. გარეთ ასე ეგონა, ხოლო შინ რომ მივიდა, რაღაცამ შეჭხუთა, თითქოს სუნთქვა შეეკრა თუ მაჯლაჯუნა შემოაწვია: ეგება ეს იყო დასაწყისი დარდისა, მძიმედ დაძრულიყო, არც გაეგებოდა, ისე დაძრულიყო, მერე ერთბაშად დარევედა ხელსა; ან ვინ იცის, ვაცივდა, საიდლანდაც დრუბელი მართლაც წამოეპარა მზესა, მთანი მოიქუფრნენ თუ ძალიან ჩამუქდნენ და სუსხი გამოუშვეს, თუმცა მაშინ უკვე ავტომში სხდებოდნენ, — ისე აზიზი როგორაა, უცბად გაცივებულიყო. მაინც უჯობდა, სიცხე ჰქონოდა, სიცხე ერჩინა, ყველა-

ფერი ერჩივნა მძიმე დარდასა. შეიძლება დიასახლისის ბრალიც ეროია: ბუზღუნებდა დიასახლისი, ბუზღუნებდა და შემაზრუნენად სისინებდა, იქვე, ამის კარებთან მომდგარიყო, რაღაცას აჩხაკუნებდა, ვანგებ, ჰო თითქოს ვანგებაო, გულისგამაწვრილებლად აჩხაკუნებდა და ასდევდა სისინითა, — ერთი ამით დამიხედეთო, კოლმეტურნეებიც რომ დაირქვესო, სპეკულიანტები უნდა გერქვათ, ეგ იქნება თქვენზე ზედ გამოჭრილიო. ცხადია, ბაზარს გაებრაზებინა დიასახლისი, ბაზარზე მოსდიოდა გული და ამას აგონებდა, ამაზე იყრიდა ჯავრსა უცნაური სისინითა, რიღაცის უცნაურივე ჩხაკა-ჩხუკითა... თბილისის ბაზარი ყოველთვის ექოთ, უამრავი უცნოელი მოგზაური გაკვირვებულა თბილისის ბაზრის სოხვითა და სიიაფითა, ერთ პეტერბურგელ ჟურნალისტს ასეთ შედარებაც დაეწერა: პეტერბურგის ბაზარი წვეთია ზღვაში, თბილისის ბაზარი ზღვა არის წვეთშიო. მას შემდეგ საუკუნეზე მეტი გასულიყო, შეიძლება ბევრი რამეც მომხდარიყო, მაგრამ რაც უნდა მომხდარიყო, ბაზარი მაინც არ უნდა გამხდარიყო ასე საკიცხავადა. უნდა უთხრას ასეთები და ამნაირები, პეტერბურგელი ჟურნალისტის აზრიც მოახსენოს, კათოლიკე მისიონერებისაცა, მაგრამ იმასაც ეს უნდა, ერთი გამოეპასუხოს, ერთი ისტყვა შეუსწოროს, მერე ნახოს თუ რა დღე დაადგება თავის ჟურნალისტ-მისიონერებთანადა. დღე უკვე დასდგომია, სუნთქვა შეკვრია თუ მაჯლაჯუნა შემოსწოლია. რაც იყო, იყო, შინ ვეღარ გაჩერდა, ქუჩაშიც ვერ მოისვენა, მერე კამერული მუსიკის კონცერტს დაეწერო. იქ თითქოს მაჯლაჯუნამ გადაუარა, მაგრამ სხვაგვარად აემღერა სული, თითქოს ტირილი უნდოდა, ხოლო გულში ეცინებოდა, კარგია, კარგი დამემართოსო, კარგი რამ სანახავიც ვიქნები, ცრემლები თუ წამსკდაო. მაშინ ამირანი ამოიზიდა და ვადაიარა ღრუბელმა, მზეში ამოიზიდა, კაშკაშა მზეში, ძლიერი, დაუმორჩილებელი, იმედიანი.

ამირანი ამოიზიდა და ამირანს მოაშურა იქ, შინ, ხალდეშა... იქაც თბილი მზე ტრიალებდა, ჯვეილი ამოეწვერნა, გადაეხასხასებინა მინდორი. ფოთლო მანკა ცვივოდა, ფოთლით აღვსილიყო ბაღ-ვენახები, გზებიცა, შუკებიცა. ფოთლო ეგებებოდა, ესალმებოდა და მიჰყვებოდა მუსაიფითა. შინ გაკვირვებულნი დახვდნენ, არ ელოდნენ, ამიტომ თუ გაკვირვებულებიყვნენ. ჩვეულებრივ არც ეგებებოდნენ ყვილ-ხივილითა, მაგრამ წინ მაინც წამოდგებოდნენ ხოლმე, ახლა არც დაძრუტან ადგილიდანა: დედა მარნის კარებში იდგა, მამა თუთის ძირას მიმჯდარიყო მზიგულადა, უმცროსი და-ძმანი აივანზე გადმომდგარიყვნენ. ესეც შეყოვნდა, მიმოათვალიერა იქაობა და იქა მყოფნი, დაკვირვებით მიმოათვალიერა, ხომ არაფერი მომხდარაო, — არაფერი, არ ელოდნენ ეს არის და ესა. კიდევ სხვაც არის, — გახარებულან, გახეტებში წაუეთხავთ ამისი ნაჭინდაკეციც რომ გამოუფენიათ და გახარებულან. მერე რა მომხდარა, აღარ გაუგიათ, არც არსად დაწერილა, არც არავის მოუტანია ამბავი. ჰო გახარებულან და ეს რომ დალილიადა თუ რაღაც სხვანაირად გამოიყურება, საეჭვოდ არ მიუღიათ არც პატარებსა, არც მამასა; მხოლოდ გაკვირვებულან და გაკვირვებამაც ვადაუარა ჯერ პატარებსა, მერე მამასა. მამამ გამოხედა მოღლილი თვალებითა, ერთი წამით გაუშუქდა მისავათებული თვალები და შვილი მიხვდა, ეს იყო სიხარული მამისა, ან მკრთალი გამოძღვენება სიხარულისა. მეტი არც შეეძლო ან უფრო მეტად ვეღარც განიცდიდა სიხარულსა. პატარებს ბევრად მეტის ვანცდა შეეძლოთ, მაგრამ მოკრძალებულიყვნენ, ვერ შეებედათ, ნელნელა ჩამოდიოდნენ, უახლოვდებოდნენ, წაქეზებას ელოდნენ და წაქეზა ამანაც, ორივე ხელი ასწია, რაღაც დაიძახა, უნაწევრო, გაურკვეველი რამ ამოიძახა, ოდონდ სიხარულისა იყო ამოძახილი, წაქეზდნენ და შემოეხვივნენ ისინიცა. დედა აღარ მოჩანდა, ღიად ეგდო კარი მარ-

ნისა, ჩრდილი მოსდებოდა, სიშვევ ჩამდგარიყო კარის ჩარჩოში; დედა ამოვიდოდა, ამოაბობდა იმა სიშვევსა, მალე ამოვიდოდა, ჯერ მარანში დაფუსფუსებდა, მერე სათონეში დატრიალდებოდა და პურმარლით მიეგებებოდა ძალიან შორით თუ არა, მაინც შორით დაბრუნებულ პირმშოსა, გამოეგებებოდა, ვიდრე დაძმანი ეხვივნენ ვარსა.

ისევ ეხვივნენ დაძმანი, სკოლის ამბავს ეკითხებოდა, თავისი სკოლისა და ამათი სკოლისა, მიუგებდნენ და თანაც აგრძნობინებდნენ, ვიცით, ვიცით ყველაფერიო. დედამ ხონჩა გამოიტანა მცირე რამ ნუშლითა, ხელადით მაჭარი მოაყოლა, კუნძი მიავორა თუთასთანა, ხონჩა შემოდგა კუნძზედა, მერეღა გახედა ჩამოსულ შვილსა, მოდიო, უთხრა. მივიდა, მიუჯდა ხონჩასა, მამას დააცადა. ლავაში ვახია მამამა, ვახია შვილმაცა. ჭიქები დედამ შეავსო, აშუმხუნდა მაჭარი, პირშიც აშუმხუნდა, ჭიქაში ვერ მოეთავებინა შუმხუნი; შუმხუნებდა და იფშვებოდა ენაზედა. ამას ეამებოდა, მამას არა, დაილოცა, მოსვა, დადგა ჭიქაი. ქალი მიუხვდა, იმისთვის სხვა ხელადა გამოიტანა, ძველი ღვინო გამოიტანა, სხვა ჭიქა შეუვსო და ჩამოჯდა შორიხლოსა, ხელი აღარაფრისათვის წაუტანებია, აღარც ჭიქები შეუვსია. მამა ავსებდა, ორი ხელადა ედგა აქეთ-იქითა, ძველი ღვინოთა, ახალი ღვინოთა, თითონ ძველსა სვამდა, შვილსაც ურჩევდა, ძველი დალიეო. მაჭარი ეამებოდა შვილსა. ხონჩაზე აკიდოებიც ეწყო, მისწვდა აკიდოსა, ატანდა რბილ ლავაშსა და შუმხუნა მაჭარსა. შენი ნებააო, ეტყოდა მამაი, ყოველ ჭიქაზე ეტყოდა, ხელახლა რომ ავსებდა, ძველსა სთავაზობდა. ისევ უარობდა შვილი, ისევე მშვიდადა, უბრალოდა, თითქოს პირველად ეუაროსო. უარი არა სწყინდა მამასა, დაეინება არ აღიზიანებდა შვილსა. შვილი გემრიელად ილუკებოდა, მამა არა, ლავაშსა ციკქნიდა, პირს აცმაცუნებდა, ვითომდა რაო, მხარი ამიბიაო, მარტო კაცი პურიქამშიც ბრაღია და აპა, მხარი

ამიბიაო. შვილი ილუკებოდა და სიამე ეუფლებოდა დედასა, რახან მალაზნა, ჯანზეც იქნებო, რახან მალაზნა, ხალონზეც იქნებო, ისე ამოვიდოდა, მოვენატრებოდით, დრო ექნებოდა, გამოეშურებოდაო, სხვა თუ არაფერი ამირანისთვის ამოვიდოდაო.

პირველად თითქოს ცუდად ენიშნა, მაგრამ ეს დედის გაუნელებელი შიშისგან თუ იყო, სიამე არაფერი სჭირს. ილუკებდა მადიანადა, ცოტა ფერი ვერ აღევს კარგი, თითქოს ვაფითრებულაო, თუმცა ეს ფერი ქალაქისაა, ერთი კვირაც რომ შეიცადოს სოფელში ამ ფერს ვადაიყრის. მაგრამ სად ეცლებოდა ერთი კვირითა, — აგერ მოსულა, მიიხედ-მოიხედავს და წავა, ოღონდ ამირანისთვის თუ გამოუშვებს. — არა, ახლა არ გამოუშვებდნენ, თვითონ მოენატრებოდა, დახედავს და წავა... შეჩერდა. ეგება შეისვენოს და ისევ განაგრძოს ჭამა. არა, კალთა დაიბერტყა, უკან გასწია სამფეხა სკამი. მალე აიკრა პირი, ლუკმა მისხლობით გამოუთვლია დედასა, ნამცეციც რომ მოაკლდეს, მიუხვდება, აზომვა არ უნდა, აწონა არ უნდა, ისევე მიუხვდება. იმდენი არ შეუჭამია, იმისი ნახევარიც არა. მადიანად შეუდგა, მარიფათიანად მოეკიდა სუფრასა, რომ იცოდა, ისე მოეკიდა, დალილია, დანქრეულმა რომ იცოდა, დალილიც უნდა ყოფილიყო, დანქრეულიცა, მაშ რა იქნებოდა ქალაქიდან დაბრუნებული, შეება მართლაც დაბრუნებულებითა, და აუქარა, უცებ აღო ხელი... რა დამართინა?! ცუდად ენიშნება ფერი, თუმცა ფერი იმდენიც არაფერი, ერთ კვირას მოიციდის, ვადაიყრის ფერსა, შემოდგომის მზემ იცის, ჩაამუჭებს თავისებურადა; იცის მზემა და დედის ხელმა იცის, მაგრამ ვერ დახანდება, არ მოიციდის. მოაცდევინებს, დაახანებს, თუმცა რა ბედენაა, ქალაქი მალევე დასდებს თავის ფერსა, არა ღირს მოცდენადა... ეგეც არაფერი, ქალაქი ქალაქია, თავისი იცის ქალაქმა, თავისი რომ არ იცოდეს, ქალაქიც არ იქნებო; ჰო ეგ არაფერი, ფერი იმდ-

ნიც არაფერიო, სხვა რამ არ იყოს, გულდასაწყვეტი არ იყოს, სადარდებელი არ გაუჩინოს, ფერი არაფერიო.

შვილი აღგება, ბაღში შედის... მამა გააყოლებს თვალსა, კალთას დაიბერტყავს, ააღაგეო, ანიშნებს დედასა. თავს დაუქნევს დედაი, ოღონდ როდი წამოიწივს, ისევე ზის, არც ირხვევა, იმ ადგილს შეპყურებს, შვილი რომ იჯდა, ისევე შეპყურებს, თითქოს იქვე ზისო: ისედაც არ იჯდა, როგორცა სჩვეოდა, ლუკმაც პირში გაუჩერდებოდა ხოლმე, მერე აჩქარებით მოიქნევდა ყბასა, ყლაპავდა სანახევროდ დაუღუქავს, დროდადრო ზურგთუკან გადაიხედებოდა, თითქოს ვიღაცა წამოადგაო. არავინ იყო, ბავშვებიც გაკრეფილიყვნენ, მხოლოდ ძაღლმა წამოუარა, წინ დაუცუტა და იქავე ცუცქია, არც მიაღერსებია ძაღლსა, ლუკმა კი მიუგდო. არც ძაღლი დასწვდენია ლუკმასა, არც გაპყოლია, ეწადა, გაპყოლოდა, წახონდა, წაიწყმუტუნა და გაპყურებს ყურებჩამოყრილი. იხმოს, წამოფრინდება, გაეკიდება მხიარული წაგწყავითა, ცივ შეხვედრასაც აპატიებს, იმ ლუკმას მაინც აღარ დასწვდება, ცივად მიგდებულ ლუკმასა. მაგრამ არ უხმობს, მიყიალებს თავჩაქინდრული, თითქოს რაღაცას ეძებს ბაღშიო. ფოთოლი ეხვევა ფეხებზე, შრიალებს ფოთოლი. ხეხილსაც შერჩენია ფოთოლი, აქა-იქა შერჩენია, აღარა ცვივა, ჰაერი არ იძვრის, მზე დაყურსულა, აღარა ცვივა.

— ააღაგე... — მამა ამბობს, გულხელი დაუკრეფია, მუხლები განს გაუწივია, ჩაპყურებს მიწასა, ააღაგეო რომ ამბობს, განა აიხედავს ან შეირხვევა, ანა, ეგრევე ამბობს.

— ჰო... — დედა ამოსთქვამს თუ ამოისუნთქებს, არც ის ირხვევა, მხოლოდ თვალს აყოლებს, სკამიდან ჰიშკრისაკენ აყოლებს თვალსა: როგორღაც დარცხვენილივით შემოვიდა, თითქოს შემოსვლისაც ერიდებოდა. შემოდგა ცალი ფეხი და შეჩერდა იქვე, თითქოს რაღაცა დაეშავებინოს, თით-

ქოს მიტევებასა თხოულობსო. ბავშვებს ნეტავი რაღა დაემართათ, ჩამოირბენდნენ, ჰიშკართან მიეგებებოდნენ, ჰიშკრადისაც არ დააცდიდნენ, შუკაში გაუცვივდებოდნენ ხოლმე, წელან კი, თითქოს მუხლი მოეკვეთათო ან თითქოს ძეძვი გამოებლანდათო, ძლივ-ძლივობისას ჩამოვიდნენ, მიუახლოვდნენ ძლივძლივობისასა. მაინც თვალიბი უბრწყინავდათ, დედა ენაცვალოთ, უხარიათ, სიხარულმა იცის ხოლმე ასე, თუმცა ბავშვური სიხარული სხვანაირია, სხვანაირი სიხარულიც იციან, მაგრამ ასე თუ დაემართათ, ეგება იმიტომაც დაემართათ, რომ გამოჩნდა, ისე გამოჩნდა, თითქოს უმაღვე უკან უნდა გაბრუნდეს, გაიქცეს, დაიმალოსო, ეგება ამისი ბრაღია, ჰა?... ოღონდ ამდენი რა გავგებათ ბავშვებსა ან გავგება რა ბედენაა, ბავშვი გრძნობაა, გრძნობა აიტაცებსო.

— ააღაგე?... — კითხულობს მამაი, კითხულობს წაყვილი თავისსავე მუხლებზე.

— ჰო... — ამოსთქვამს თუ ამოისუნთქებს დედაი... ამას ანუ შეუნიშნავს, სხვა ფერზე რომ მოვიდა ბიჭი, თავისი ნაღველი აქვს, ჩასცქერის თავის ნაღველსა, სხვა რამე აღარც გავგება, აღარც ენაღველება ან ჰქონდა თუ არა ოდესმე ოჯახის დარდი? ძნელი საეარაუდებელია. იარა, იწანწალა, ქვეყანას მოედო, გაეშვირა თავისი უბადლო ხელები, გაეშვირა მლაღადებელივითა, — საქმე აუჩინეთ, უბადლობა რომ დაამტყიცოსო; რამდენიმე ადგილას კიდევაც დაემტკიცებინა უბადლობა, მაგრამ ძველ შენობათა აღდგენისას დაემტკიცებინა, განსაკუთრებულ და უბადლო შენობათა. თვალსაჩინო იმდენიც აღარ იყო, ახალთათვის აღარ უნდოდათ კედლისა თუ ჰერის ჩუქურთმანი და ცდებოდა ოპიზართა ბაღალი ხელები. იმათი ხეულებიც გადმოედო, წინაპართა მიგნებულნიც გადმოეტანა, თავისიც შეექმნა, მთელს წარსულ გამოცდილებას, მთელს ხელოვნებას ჩუქურთმისა, მთელს სილამაზეს იმის ხე-

ლებსა და ნიჭში მოეყარა თავი, თითქოს იმიტომ, იმასთან ერთად რომ მომკვდარიყო. იარა, იწანწალა ხელებგამვერილმა და სოფელს მოუბრუნდა მხრებჩამოყრილი, ხელებჩამოწყვეტილი. მოუბრუნდა მოქუშული, დადარდინებული, დანადგლიანებული. დანაკბილს არ უხსნის, სხივი არ უხსნის შუბლსა. უქმობაც გასძნელებულა, ბარს წაეტანება, თოხს წაეტანება, გულს ვერ დაუღებს, ვერც აუტანია, ვერ აუტანია ეს რაღაც იარაღები, რაღაც შუალენი მიწასა და ადამიანს შორისა. შიშველ ხელებს უნდა ურევდეს მიწაში, ტყუილდეს, ზილავდეს, გრებდეს, ახვევდეს, მაჯაზე გადაიქნიდეს, ისევა ზელდეს, ისევა გრებდეს, აქუწუბებდეს ყვავილებად, ფოთლებად, კავებად, ხლართებად ამოკაყვდეს, თვალს ახარებდეს, ამეტყველებდეს.

თვითვე მეტყველებდა მიწის წიადი, თვითვე ამოპყრიდა ლამაზ ყვავილთა, ლამაზ მცენარეთა, ხეულები თუ ხლართებიც თვითონვე იცოდა, თანზომიერი გასაოცრად, ლამაზი, მომხიბლავი. მაგრამ ის სხვა იყო, ის მიწის მაღლი გახლდათ, უნარი თუ ნიჭიერება მიწისა; ეს სხვა იყო, ხელის მაღლი იყო, კაცის ხელისა, ადამიანისა, რომ უნდოდა ბუნებას შეგვიბრებოდა თუ დამგვანებოდა. ეს ხელის მაღლით მოჯადოებულ იყო, ბუნებისა არაფერი უკვირდა, ეს ხელის ტყვე იყო, ტრფიალი ხელისა, ხელებს იზუტებდა გულში. დროდადრო ხალღურის ხეობას აკყვებოდა, ავიდოდა იმ ჩინებული თიხის ჩამოსატანადა, წინაპრებს რომ მიესწავლებინათ. გამოსძვრწლა მშვენიერ ჩუქურთმებსა. ახალ მინაგნებს ჩამოსძვრწავდა, ძველს იშვიათად თუ გაიმეორებდა, ერთხანს უყურებდა, მერე აიტანდა სხვენზე, იქ უხიფათოდ იქნებოდა, აღარც ფეხებში გამოედებოდა. შემდეგ იჭდა ასევე წაყეცილი ან ბარს გაიტანდა ვენახში. — გატანაც აღარ უნდოდა, იქვე ერჭო, მიუბრუნდებოდა და გამოეცლებოდა, ცოტ-ცოტა ემატებოდა ნაბარსა.

— აგელაგებინა... — იტყვის რაღაც წაყეცილი.

— პო... — ესეც ამოისუნთქებს, რა გული გააწყალა, ასალაგებელი რა არის, ერთი ხელის წამოკვრაა და მეტი არაფერი. მომზადებით კი უნდა მოამზადოს, კაი ყუთიანი ვახშამი უნდა მოამზადოს, ქათმებს დაკლავს, ეგეც ადვილია, ეგეც არაფერი. ოღონდ ეს მაინც აალაგოს, ერთი ხელის წამოკვრაა თუ რაც არის, დროზე აალაგოს, ე კაცს აწუხებს, მოაცილოს, მოაშოროს თავიდანა. მაგრამ აწუხებს განა? ნეტავი აწუხებდეს, ნეტავი შეაწუხებდეს, შეაწვდეს ვინმე ან რამე, ამ გაოგნებიდან გამოიყვანდეს, ნეტავი, ნეტავი ისევე ვაზი თუ მიიტყუებს, — თავისებურია, მომხიბლავია ვენახი, ყველაფერი უხდება, ყველაფერი სცვლის, ლაზათსა მატებს, ამშვენიერებს: გასხლავს, სხვანაირია, დაბარავს, სხვანაირია, შეყვლავს, სხვანაირი, გაფუჩნი, სხვანაირი, შეწამლი, სხვანაირია, აახვევს, სხვანაირია, ცას გაუხსნი, სხვანაირია, ყვავილობისას ხომ არის და არის, სიმწიფისას ნულარას იტყვი, ყოველწუთსა მშვენიდება, ყოველდღე იღვსება ეშხითა და ბარაქითა; თუ რამე მოხიბლავს, ისევე ვენახი, ეს ცვალებადი სილამაზე მოხიბლავს, მიიზიდავს, გამომბრუნდება. კაცია, რაც უნდა იყოს, კაცია. ეს ქალია და მიიჩქვავა ვენახში, გაიგო სილამაზე ვენახისა ან ოჯახს მიეჩქვა და სილამაზეც გაიგო, ანდა... ემ, რაც იყო, იყო, აღარა ჰღირს მოსაგონრად. თუმცა რატომაც არა, ესეც ხომ გაოგნდა? — ამ ლამაზ ხელებს გამოეკიდა, მოიმღურა დედა, დები მოიმღურა, გაგულქვავდნენ, არ თანაუგრძნეს, ესეც თუ გაგულქვავდა, იმათვენ აღარ გაუხეღია, აქამომდე მისვლა-მოსვლა აღარა აქვთ ერთმანეთში; ამ ლამაზ ხელებს გამოეკიდა, ჰერის ჩუქურთმებზე მოვლვარე ხელებსა, დასთმო ქალაქი, ფერწერა მიატოვა, გაუცრუა იმედი იმისი დიდი მომავლის მოწინასწარმეტყველებსა, არც აჯა შეისმინა, ვერც გასდრიკა კიუხვამა, მოიკვეთეს და ვერ გასტეხა მოკ-

ვეთამაცა, რალაცა შეუჩნდა, რალამაც  
 იიტაცა, ყველაზე ძლიერმა, ყოველთა  
 მძლავრმა, დაუმორჩილებელმა, იიტაცა და  
 აგერა აქ მოაგდო; როცა გამოერკვა,  
 ვვიანდა იყო, როცა გამოერკვა, ოჯახს  
 მისჯავვოდა, გასაქცევიც აღარა ჰქონდა,  
 არც ის შეეძლო, დარჩენილიყო სილა-  
 მაზის გარეშე და ჩასწვდა. სილამაზეს  
 ვენახისა, ხეხილის სილამაზესაც მიხე-  
 და, ხოლო ძველი ტილოები, კარადის  
 უკან გადაწყობილნი, აღარ ვადმოუღია,  
 ბავშვებისთვისაც არ უჩვენებია. ჰო,  
 ჰღირს მოგონებდა, კარგი მაგალითი,  
 ამიტომაცა ჰღირს, თუმცა ვინ უწყის,  
 მართლა კარგია თუ არა, მაგრამ ამის-  
 თვის მაინც კარგი უნდა იყოს, — და  
 სხვა რალა ყოფილა კარგი, ვინმესთვის  
 ყოფილა, ვინმესთვის არა. ამისთვის იქ-  
 ნება, მოუხდება, ვენახში არჰვია ბარი,  
 როგორც მიუტოებია, ისევე არჰვია,  
 ცოტა გვერდზე გადაქანებულია, ფეხი  
 რომ დაუკრავს სატერფულისთვისა,  
 მკლავი აღარ მიუდევნებია, შეუშვია,  
 გამობრუნებულა... მიუბრუნდება. მზის  
 თვალი ტრიალებს, კარგი მზისა, შე-  
 მოდგომის საამო მზისა, ვენახი იძახის,  
 მზრალიც უხდება ვენახსა.

მაგრამ უნდა მიუგდოს ყური, გაუ-  
 გონოს.

— ალაგებულყო... — გამოიძახის  
 კვლავ წაქეცილი.

— ჰო... — ესეც მიატანს, ამოიოხ-  
 რებს თუ ღრმად ამოისუნთქებს... ჰო  
 ყური თუ მიუგდო, მიუბრუნდება; თუ-  
 მცა თუნდაც ეგრევე დარჩენილა, ამი-  
 სი დარდი აღარც ექნება, ისიც თუ აი-  
 ფუტკნა, აბა ამისკენ რალა მოახედებს.  
 ალიკვალი მამაა, მამის ხელები დაჰყო-  
 ლია, გარინდებაც დასჩემებია მამისა-  
 ვითა, აქამდის არ ეტყობოდა, ახლა გა-  
 მოაჩნდა; მადიანად ილუქმებოდა და  
 უცებ ლუქმა გაუჩერდა პირში, წამით  
 გაუჩერდა, მალევე მოუქნია ყბაი, მაგ-  
 რამ მაინც შეეტყო ან დედამ იაზრა.  
 გაიფაჩუნა დედის გუმანმა, იეჭვა, შე-  
 შინდა გუმანი დედისა. ამაოდ როდი  
 შეშინდებოდა. მამის გზას არ გაჰყვეს,  
 ხელებით რომ დამგვანებია, ხასიათი-

თაც არ დაემგვანოს მამასა. ჯერ ადრე  
 არის, მაგის ასაკში ვარსკვლავებს ეთა-  
 მაშებოდა მამამაგისი, ეგეც უნდა შეს-  
 თამაშებდეს ვარსკვლავებსა, აქედანვე  
 ვაოგნება თუ დასჩემდა, რალა იქნება  
 ამის ასაკში?! ეგება მხოლოდ ფიქრია,  
 ფიქრი ამირანისა? ფიქრი იქნება, სხვა  
 არაფერია საეჭვებელი, ამირანი მოაბ-  
 რუნებდა, ამირანის ფიქრი გააბრუნებდა.  
 ამირანივე აუკრავდა პირსა, — მალე  
 მოშხედო, რახან მიხმე, სულიც ჩამიდ-  
 გი, ყამარ-ქალი მელოდებდა, ჯერ ყამა-  
 რი უნდა მოვიტაცო, მერე ღმერთს ვეკ-  
 ვეთები, და მწარედ ვანანებ ამდენ უსა-  
 მართლობასაო. ფოთლები თუ გადას-  
 ცემდნენ, ისეთი მოუსვენარი შრიალით  
 გაჰყვენენ, ისე ელამუნებოდნენ, ისე  
 ეწოდნენ, ამირანს თუ წარმოეგზავნი;  
 ჰო ამირანსაო, მამ რაო, ამირანი ამირა-  
 ნია, მაგრამ მოუთმენლობა ისეთი სე-  
 ნია, ამირანსაც შეეყრებოდაო. ჰქონდეს  
 ფიქრი ამირანისა, ვაოგნდეს, გაითან-  
 ვოს ამირანითა, სხვას არაფერს გადაე-  
 კიდოს, სხვა არაფერი წამოეტანოს; არ  
 წამოეტანოს, არ გადაეკიდოს, მაგრამ  
 რად შეჰკენესის გული, — დედა, თა-  
 ნაც წინ უდევს ასეთი მაგალითი, სხვა  
 არაფერი, არა, არაფერი, უმიზეზო იქ-  
 ნება კვენესა გულისა, შვილისაგან იქნე-  
 ბა უმიზეზოი, თორემ ეს რაც არის, ეგ  
 არის, ეგრემც ყოფილა, ოლონდ არაფე-  
 რი აუტყდეს შვილსა, არაფერი...

— ასალაგებელია... — წელში აიმა-  
 რება და ისე იტყვის, ხელსაც აიქნევს,  
 ბუზი მისციებოდა, იგერიებს, ვერც  
 იგერიებს, კიდევ იქნევს ხელსა, მაინც  
 არ ეშვება აბეზარი ბუზი, იმიტომაც  
 შეიშუშნა, აიწია, ადგა. საფეთქელზეც  
 შემოირტყა ხელი, გაუსხლტა ბუზი და  
 ისევ მიეტანა. ზონჩას დასწვდა, მაინც  
 იქ აღარ ედგომებოდა, ბუზი რა არის,  
 ბუზიც აღარ ადგომილებდა. ქალიც  
 დასწვდა ზონჩასა.

— ჰოო... — ამოისუნთქა ქალმა და  
 ზონჩა აიღო, წამოკრთა ხელადებიცა.  
 კაცი ვაბრუნდება, არაფერს იტყვის,  
 ვაბრუნდება, წავა ლასლასითა; ტანი-  
 ლია, ოლონდ მხრები ჩამოსცვენია, თა-

ვიც წაუხრია, ვერ მოსჩანს თავისი ახო-  
ვნებითა. ხილნარს ვასდევს, მარჯვნივ  
აბრუნდება, იქა ვენახი, წაფერდებული  
ბარიც იქაა, იქით მიასწორებს. მაგრამ  
არა, ველზე გავა, მიდის ველველა.  
შრიალებს ფოთოლი, ისევე ვერა, ცო-  
ტა უფრო წყნარადა შრიალებს იმის  
ფეხქვეშა, ოღონდ მაინც იგივე ფოთო-  
ლია, იგივე შრიალებს, იქითვე ჩაკარ-  
გა ბიჭი, იმ ბილიკს მიჰყოლია. თითქოს  
არც არა შეუნიშნავს, არც არავისი დარ-  
დი აქვსო, ჰმ, არც ეგრე ყოფილა, კი-  
დევაც შეუნიშნავს, კიდევაც უეჭვნია.  
ვისაც მარცხი უწევნევია, სიფრთხილაც  
იმას უსწავლიათ. თუმცა აქ მარცხი მო-  
სატანი არ არის, აქ ამირანია, მხოლოდ  
ამირანი და მიჰყე, მისდევ, იხილე ამი-  
რანი, იხილე, თუ როგორ არ უნდა და-  
მორჩილდე, არ მოტყდე, არ დაეცე.  
იხილე, გამხნევიდი, წელში გაიმართე.  
მხრები გაშალე ისევე, იმგვარადვე, მა-  
შინდელივითა, თავბრუ რომ დაახვიე  
და გამოიტაცე. დრო გარდასულა, ვე-  
ლარ იქნები მაშინდელივითა, — ნუ იქ-  
ნები, ოღონდ ნურც ასე იქნები, ნუ,  
ნუ...

## XV

თავის ბაღს მოათავებს და იქვე ძმის  
სახლია, ვიგოსი; ერთსართულიანი სახ-  
ლია, ოთახი დიდია, აივანი ფართო, ბა-  
ლიც კარგი ერთკუა, ოღონდ მიტოვებუ-  
ლია, და ეტყობა, მიტოვებული რომ  
არის. პატრონი წასულა, კოლმეფრნო-  
ბასაც ვერ მოუკიდია ხელი, კარმიდამო-  
ებში ჩაქედლია, მისადგომად ძნელია,  
მისატოვებლად ადვილი. ზეხილი გაბარ-  
დღულა გაუსწლაობითა, მიწა დაკორდ-  
ებულა, მალალი ხეშეშა ბალახი მომძლავ-  
რებულა, შიგ ჩამქდარა ხეხილი. ჭავნა-  
რსა თუ გაუვილ ტევრს დამგვანებია,  
ბილიკებიც მოშლილა, სახლსაც მოსდ-  
ებია ხეშეშა ბალახი, აივანსაც გადასწ-  
დენია. ჩამომხმარა მალალი ბალახ-ყვა-  
ვილები, ჩამომხმარა, გაყვიოლებულა,  
ყველაფერი ჩაყვიოლებულა, ზეხილთა  
ჩონჩხები ჰყრია სიყვიოლუში... ნეტავი

ერთი ამოიხედოს, ერთი ამოიხედოს და  
ესეც წაეშველება; ამოიხედოს, აქაობა  
მოალახათიანოს, ეგები აღარ წაედარს,  
თუ წაედაეებთან და წაედაონ, თვითონ  
მაინც ნუ გააოხრებს, ცოდოა მაჟულა,  
მიწა ცოდოა. თავს გადასდის ხებალა-  
ხები, მიდის, შიგ ეხვევა, შრიალებს,  
ჩხრიალებს ხეშეშა ბალახი, ჰაერი არ  
იძვრის, ეს რომ მიდის, ამას მიჰყოლია  
ჩხრიალითა, თუ ეღუნება, ბიჭი იქ არა-  
სო. იქ იქნება, უნდა დახედოს, — არა,  
იმას კი არა, აქაობას უნდა დახედოს.  
რამდენიხანია ჩამოსულა, აქეთ არც გა-  
დმოუცილებია თვალი, უნდა დახედოს.  
უნდა მოხედოს, ეგება ისიც ამოვიდეს,  
ხანდახან მაინც ამოვიდოდეს ან სულაც  
დაბრუნდეს, გაწყვეტა ხებალახი, ხეხი-  
ლი გაიხარებს, მიწა ამობრუნდება,  
აფუვდება, გაიბზის ბილიკები, ეახლ-  
ზამბახიანი ბილიკები. ბევრი ჰქონო-  
დათ ვარდი, იქით, ამათკენ კიდევაც  
ბევრია, აქეთაც არის, ოღონდ გაჯაგუ-  
ლა, ჩაკარგულა. ჩახლართულა ხებალა-  
ხებში. ვარდიც გაისხვლის, აყვავდება  
გადმოშუქდება. ჰო დაბრუნდეს, ნეტა-  
ვი ის რაღას დაბორილებს, ამოვიდეს  
და ეგების ამასაც დაუდგეს გული. ჰა?!  
არა, არაფერი... დაბრუნებულა და ისაა  
მორჩა, მოთავდა წოწიალი, ამოვიდებ,  
თუნდაც ნუ ამოვა, ამისი წოწიალი მო-  
თავდა... სახეზე ედება ხეშეშა ბალახ-  
ბი, მხრები ჩამოჰყრია, მკლავები დას-  
ცვენია, ვერ აუწევია, ვერ მოუცილე-  
ბია, იყოს, მოედოს, გაკაწროს, გაუბას-  
როს კანი.

არ ენადღებდა, გაუბასროს, ბალახი  
რა არის, ცხოვრებაში ბევრი რამა ყო-  
ფილა გამბასრავი და ბევრჯერაც თუ  
გაიბასრები, ტკივილის გრძნობა დაგე-  
კარგება; ბალახი რა არის, ადვილადაც  
მოუშუშდება კანი. გაჩხილი თავიც  
მოუშუშდება ბევრად უფრო ადვილი-  
დაო, დათვის იგავისა არ იყოს, დაკო-  
დილი გული ვერა, ველარ მოუშუშდებ,  
ველარასოდესაო; ჰო არ ენადღებდა და  
ადვილადაც გაატანს ხებალახებში. აი-  
ვანთან სამსაფებურიანი კიბე რომ არის,  
ჩაწეწილია ბალახი, აღრიხდელი ჩაღ-  
ე

წილია, ბიჭი. აქ მოდის ზოლმე, ეს არა, არა ყოფილა, არ უნდა ხელი შეუშალოს ბიჭსა. თვითონაც არ უყვარდა, ვინმე თუ დაჰყურებდა, თუმცა დაჰყურებდა არა, — შეჰყურებდა, თვითონაც შეჰყურებდა კერსა, თავაწეული შეჰყურებდა, იქ თავდახრილი შედის:

— წავალ... — იტყვის ანუ ორიოდ წუთით შემოვედი, ხელს არ შეგიშლი, შენ შენი განაგრძე, თუ ვერ მოგიხერხდება, რა ვუყოთ მერე, ამ ერთი წუთით მოცდენაც არაფერია იმდენ წუთსა თუ იმდენ დღეს მოგიცდენს წუთი-ზოფელიო. ბიჭი სკამს მიუტანს. არ ჩამოჯდება სკამზედა, ფეხს შესდგამს, იდაყვით დაეყრდნობა მუხლსა და ეგრე გაჰყურებს ფართო ოთახსა. ერთია, ოღონდ ფართოა, ნათელიც არის, დიდი ფანჯრები დასტანებია, ფანჯრებსაც ამოსწდენია ხებალახი, მაინც ნათელია ოთახი, ფოთოლი ჩამოცვენილა, ბალახი გამხმარა, ველარ ეფარება სინათლესა. მზის შუქი აფრქვევია მოდელებსა, ესკიზებსა, დეტალებსა, ყალიბებსა. ეგება აქვე იყოს მოდელი თუ ვარიანტისმაგვარი „ქალისა“, — გამოფენაზე გაუტანიათ, კარგია იცოდეს, თუ რა გაუტანიათ. „ქალი“ დაურქმევია, ლამაზი იქნება, წამოზრდილა ბიჭი, სილამაზეს რახან მისტანებია, ოღონდ მიტანება მიტანება, თუ მისწვდომია, საქმეს არის. კიდევაც წამოიზრდება, რახან მისტანებია, კიდევაც მისწვდება. ამის ვაგებაც დიდი რამ არის, სილამაზე რომ არის საძიებელი, ბევრი ხელოვანი დაბერებული ამის გაუგებრად, ეს მხოლოდ წამოზრდილა და უკვე მისტანებია... სილამაზე სხვა რამეცა ყოფილა, მაგრამ ქალიცა ყოფილა, აქ ქალია, სხვა რამეს ნულარ გამოვეკიდებითო. ოღონდ რომელია ამათში? ხამაძლა არ იკითხავს, არც მოჰყოლია თვალქვეშა. აგერა ვეება დეტალი, კართანვე დგას: კაცის წვივია, მხოლოდ წვივია, ტერფი თუ აწეულა, დაჭიმულა წვივი; აგერა ხელის მტევენები; აგერა ნიდაყვი... ეს დეტალებია, აგერ ესკიზებიცა, ყველაფერი კაცისაა, ყველგან კაცია, ქალი არა

სჩანს, რახან მოათავა, ალბათ მიილგე-მოალაგა იმისი ნაკვალევაცა.

— წავალ... — მამა ამბობს. იმისთვის შემოვედი, იქ ჩასვლა არ მინდოდა, ჩავალ, ან არც ჩავალ, იმასაც შეველევ, ოღონდ შენი წარმატების ამბავი მომდიოდეს, ისიც მეყოფა ან მეტიც აღარაფერი მინდა... თუმცა ბიჭს სამუშაო ხალათი არ გადაუცვამს, ისევეა, როგორც მოვიდა, განწყობილებისთვის თუ შემოსულა, ესეც შეიცდის, ესეც განწყობილებამ შემოიყვანა, ქალი თუ არ არის, კაცი ზომ არის, თუ მიმხვდარა სილამაზესა, აქაც გამოჩნდება, კაცსაც თავისი სილამაზე ჰქონია, ქანდაკებამაც ეს უნდა გადაიღოს. მაგრამ მთლიანი ფიგურა არა ხვდება თვალში, დეტალები ბევრია, თუმცა მთლიანიც არის, ოღონდ მცირე ზომისა, — აგერ იქითა კუთხეში: რამდენიმე სართულიანი სახლები, სახლებზე გადმომდგარი მთა, მთაზე მთლიანი ფიგურა, — პროპორციისთვისაა, ფიგურა გამოკვეთილი როდია, ესკიზია პროპორციისა. იქ სილამაზე არ შეიმჩნევა, სხვა ესკიზზეც საამისო არაფერი გამოირჩევა, თუმცა იქ ფიგურა ბევრად მოზრდილია, მრავალსართულიან სახლებშუა მოქცეულა მოედანი, მოედნის გულში—ძეგლი; ოღონდ ნაკვეთები აქაც არ გამოკვეთილა, ესკიზია, ვარიანტია. უფრო დიდი ფიგურებიც მიმოდგმულა: წახრილი, შემართული, ხელებაწვდილი, ფეხწადგმული... მაგრამ ესეც ძიებაა, ძიება მდგომარეობისა, აქ ჯერ სხეული არ არის გამოყვანილი, სწრაფად, ოღონდ დაკვირვებითა და გულმოდგინედ გამოიქრწილა ნიშნები მოქნილობისა თუ სილამაზისა, მხოლოდ ნიშნები, ისიც სწრაფადა, თითქოს დაუდევრად, მაინც იგრძნობა ხელი ოსტატისა, სილამაზისკენ მიიწევს ხელი.

ვარიანტი რამდენიმეა, ყველა შიშველია, შიშვლად გამოქანდაკება თუ გადაუწყვეტია, ყოველი ნაკვეთი უნდა ამოსახოს, ყოველი წერტილი უნდა გააცოცხლოს, დიდი შრომა უნდა, დიდი გამბედაობაც არის, სახიფათოა სილამა-

ზისთვისა, მცირე შეცდომა ყველაფერს გააფუჭებს, ბევრად ადვილია, რაიმეს თუ წამოათარებს, — თუ არ ჩააცმევს, წამოათაროს მაინცა, უფრო ადვილია, ბევრად ადვილია, მაშინ სახე და, თუ არ დაგიშლია, ხელებია დასახვეწი; ეს შიშველია, მთლად შიშველი, ვარიანტებშიც არ მოსჩანს ჩაცმული თუ წამოსხმული, ერთიც არ მოსჩანს, ალბათ თავიდანვე ჩაიფიქრა თუ არა, ასევე ჩაიფიქრა... ჰმ, წამოზრდილა ბიჭი, თუმცა გაბედულება ყმაწვილობამაც იცისო, ოღონდ ეს სხვა გაბედულებაა, ძიება არის, კიდილია დაუდგრომელი, ბრმა შეხლა როდია, წუთიერი ანთება როდია, ფიქრია, გაბედულებაა ფიქრისა; წამოზრდილა ბიჭი, ფიქრი უსწავლია, იფიქროს...

— წავალ... — წარმოსთქვამს მამაი ანუ: ხალღურას ხეობას ავეყვებით, იმ თიხას ჩამოგიტან, ეტყობა, ბევრი დაგქირდება, დეტალებს ემჩნევა, ვეება რამ განგიზრახავსო... ჰო დეტალებს ეტყობა, ოღონდ ბიჭსაც ეტყობა, ხელის განძრევასაც რომ არ აპირებს, როგორღაც ზენაქვერად არის, განზე იყურებს, ფიქრი თუ განცდა ისეღაც შეიძლება, მაგრამ ფერი ვერ ადევს საიასაღო; ხელიც უთრთოდა, კიჭა რომ ეჭირა, ავად ხომ არ არის ან რაიმეს ხომ არ შეუღონებია? ავად ნუ იქნება, ხოლო ახალგაზრდული შეღონება, ბევრი არაფერია, აგერ ამოსულა, დაჰხედავს, გამხნევდება, დანიგნებს და ისევე შეეგმის. დახედვა უნდა, ირგვლივ ტრიალი, გაბრუნებული, შთაგონებული ტრიალი უნდა. შემოქმედება მძიმე რამ ყოფილა, იქ არ მოუსვენებია, აქეთ გამოუგდია. ძველი თქმულებაა, ვერ მოისვენებს მკვლელით, თუ არ მიუბრუნდა მკვლელობის ადგილსაო. მძიმე განცდა დააბორიალებს, მძიმე განცდა ვერ მოასვენებსო. დაჰხედავს და ცოტა ჩაწყნარდება, მოიცილის და ეკვეთება ახალი ძალითა. უნდა წავიდეს, უნდა ჩამოუტანოს. მერე სულაც ასწავლას, თვითონ იაროს, იაროს ნაბილიკარზე წინაპრებისა. ბევრჯერ წარმატებულან წინაპარნი, ბევრ-

ჯერ დასდგომიათ ეამი შეჭირვებდა, თვითონაც შეჭირვებულა, წარმატებული ეგება შენ გამოდგე, ბიჭო, მიგასწავლოს, იარე იმავე ბილიკებითა, მარცხიც რომ გელოდეს, იარე იმავე ბილიკებითა. მხოლოდ ჯერ თვითონვე წავა, იქ თითქოს სიცოცხლე ემატება, მხარი ვაეშლება, მკლავიც მოიცავს ძალასა, მუხლი ხომ რა, — გაჩაუქდება, ასდევს და ასდევს, ღონიერად აღის შეღმართულ ნაკვლეკებზე, ან ნაკვლევი სადღაა, აღლოსდა ასდევს. აღლოს მისდევდნენ წინაპრებიცა, კვალს არა სტოვებდნენ, მისდარაჯებოდნენ სხვა ოსტატები, ცდილობდნენ მიეგნოთ იმათი თახისთვისა, კვალს აბნევდნენ ისინი, აქამდის დაებნიათ კვალი, ახლა აღარავინ შესჩენოდათ, არც აღარავინ უნდოდა, თვითონაც აღარ დადიოდნენ, სულაც გამჭრალიყო კვალი. მაშინ აბნევდნენ, ახლა გამჭრალიყო, აღლო არ გამჭრალიყო, აღლოს მიჰყავდა, ძლიერ აღლოსა, სისხლში გამჯდარსა, — ე ბიჭმაც რომ მოინდომოს, მივა, მიაგნებს, ჯერ ხომ არა ყოფილა, მაინც მიაგნებს, ისეთი აღლო გადმოსცემია წინაპრთაგანა. მაინც ასწავლის, წაუძღვება, აიყვანს. ჯერ იყოს, იფიქროს, იტრიალოს გაბრუნებული მკვლელოვითა: უნდა გააცოცხლოს და ვიდრე გააცოცხლებდეს, მკვლელს დამგვანებია.

— წავალ... — ჩაიდუღუნებს მამაი ანუ: სიმარტოვე უჯობს, ამასაც უჯობს, ზევიდან, სულ ზევიდან, მაღალი მთებიდან გადმოჰხედოს ქვეყანასა. იქ აღარაფერი აწუხებს, იქ თვითონღაა და ლანდები წინაპართა. ვინემ თვალი ხომ არ შეგასწროო, შესძახებენ წინაპრები. არაეინაო, დაამედებს და დამშვიდდება. მეტი არც არაფერი აწუხებთ, ადვილად შეშფოთდებიან, ადვილადვე დამშვიდდებიან. არ იციან, ამას რომ აღარავინ უდაროელებს, ოსტატები აღარ არიან, დიდ კომბინატებს დიდი ლაბორატორიებიცა აქვთ, ქიმიკოსები თუ სხვა სახის სწავლულები თავს დასტრიალებთ, რაც უნდათ, მიიღებენ, რაც უნდათ, გააკეთებენ. ეს მაინც სხვაა

არის და იყოს, არავინ მოსდევს, არავის ემალება, თავისუფლად მიდის, რაც ზევით ამოდის, ამოდის უფრო თავისუფლად, ასეც ეუბნება ამაოდ მოშინართა, ნულარა შინობთო. შინში ამოადა რაც უფრო ამოა, მით უფრო უაზროა, ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზავიწრო, ვერცა კლდოვანიო; თუ მონღომებენ, კიდევაც გაიგებენ, არ არს დაფარული, რომელი არ გამოცხადდნო. ძალიანაც მალავდნენ თბილისელი ოსტატები ქართულ ფოლადსა, მაღალი ხარისხის ფოლადის საიდუმლოსა, მაგრამ ყარამან ელიზარაშვილმა ვასცა საიდუმლო, ოქროს მედალიც მიიღო, ფულიც ბლომად ჩაიხზარიალა, ჩუმად როდი, აშკარად მიიღო, დიდ დამსახურებადაც ჩაუთვალეს... მაგრამ ზომ იყვენ ამ სახელგანთქმული ყარამანის გარდასხვა ხელოსნებიცა, საიდუმლო რომ იცოდნენ და არავის ვაანდეს, ერთგულნი დარჩნენ დიადი ფიცისა, თავიანთი ქვეყნის ერთგულნი დარჩნენ, თუმცა სამეფო თუ სახელმწიფო მოშლოდათ. იმათი სახელი აღარავინ იცის; ვინ უწყის, ისინი სიმშლითაც დაიხოცნენ, ვინ უწყის წამებაც ერგო რამდენიმესა, ვინ უწყის ყველანიც ეწამებინათ, ოდონდ ყარამანმა ყველა გადაარჩინა; ჰო, გადაარჩინა და ცხადია, ეკუთვნის სახელიცა; სახელიც ეკუთვნის და კიდევაც დაუმკვიდრებია, ხოლო იმათ რაო, იმა უსახელოთა, იმა ერთგულთა, — ვიღას ერთგულთა, საერთგულო რომ აღარავინ იყო, სახელმწიფო თუ მოშლილიყო? რას მოსძახიან ეს აჩრდილები, რად უნდათ საიდუმლო, ვისთვისდა უნდათ ანუ რისთვისდა? ან ვის უნდა? ის საიდუმლო იქაც დაკარგულა; აქ ზომ ვაიცა და დაიკარგა, ხმაღმა რომ აღარ ივარგა ომში, მიივიწყეს და დაიკარგა; ხმაღმა აღარ ივარგა ომში, მაგრამ მაინც საჭირო ვახდა უღვესი გამძლეობის ფოლადი, იქაც ემებენ, აქაც ვჭებენ, თავი გადაუდვით მრავალნაცად მეციერიოთა, უნდა ვადასდონ, უნდა იპოვნონ, მეტი რა გზაა, სადღაა ყარამან ელიზარაშვილი ან ის უსახელო

ოსტატები, სადღა არიან ან შთამომავალთა რაღა იციან? შთამომავალთავეს აღარაფერი გაუნდვით, გაცემული რაღა ვასანდობი იყო, გარდაგებულან, თან ჩაუტანიათ; თან ჩაუტანიათ და დაკარგულა... ეს ისეთი რა საიდუმლოა?! დაე იყოს, იშიშონ იმათაცა, შინშიღა ამფოთებს იმათს ძელებსა, შინშიღა ამოჰყავს ლანდებდა. ესეც ლანდადვე გაერევა ლანდებში, არც გამოირჩევა ან ეს უფრო ლანდია, უფრო მკრთალი, შინშიც აღარ იცის, ამიტომაც თუ გამკრთალბულა, სულაც გაქარწყლდება, ვადნება, გაჰქრება, თუმცა აქ რაღაც იმედი ტრიალებს, ბიჭის იმედი... სჯობს, გეცალოს.

— წავალ... — ეს კი ნამდვილად წასვლისაა, კიდევაც მიდის, მიდის ფეხაკრეფითა; ესეც ჩვეულებაა, წინაპართაგან ვადმოცემული, ძველთაგანვე გამკვიდრებული, ასე თუ მიიპარებოდნენ ხალღურას ნაპირებზე, არავინ დაგვიწახოს, არავინ ვავეთვალოს, არავინ ვამოგვეყვეს, არავინ ვიაგნოს ჩვენს მადანსაო. იმას შინში აღარა ჰქონდა, მაინც დადიოდა ფეხაკრეფითა, იმას აღარა ჰქონდა, ამან არც იცოდა, მაინც დადიოდა ფეხაკრეფითა. ახლა არა, ახლა იდგა შუა ოთახში, ათვალეირებდა ესკიზებსა თუ დეტალებსა, ის ვავიდა, ეს იდგა ისევე, ათვალეირებდა თუ არც ათვალეირებდა, მუშაობას აპირებდა თუ არც აპირებდა, რამდენიმე დღეს მაინც დარჩებოდა თუ ახლაც ვაბრუნდებოდა, — არ ეტყობოდა, არც თვითონვე ვაგვებოდა რამე. იცის ასეთი ვაბრუნება თუ დაბნეულება, როცა საქმე ადგილიდან ვერ იძვრის, ველარც ფეჭრი იძვრის; თუმცა ფეჭრს უკვე ვადანწყვიტა: უნდა ვამოხატულიყო აშვიების წუთი... აი აშვიებს, აშვიებს ამირანი; სახეს, სხეულსა, ყოველ ნაქვთს უნდა დასტყობოდა სიხარული ვანათვისსუფლებსა. ეს სიხარულის ქანდაკება ეწებოდა, ვანათვისსუფლებს სიხარულისა; ჰო ფეჭრს უკვე ვადანწყვიტა, საქმე საქმეზე მოსულიყო, ბევრი ებრუნა, ბევრი ეწვალდ ფეჭრსა, ბევრი ეტრია-

ლა, ჯაჭვთან ერთილა და უარყო ჯაჭვი, ჯაჭვი პირქუშისა. ამ ჯაჭვით ება ამირანი, ეს ჯაჭვი იყო, გმირს რომ ბორკავდა, ჯაჭვი უნდა გაწყვეტილიყო, ამას მოჰყოლოდა სიხარული თავისუფლებისა. მაგრამ მაშინ ჯაჭვი იხატებოდა, იყარგებოდა სხეული, იყარგებოდა ადამიანი, თვალს მოიტაცებდა ჯაჭვი, ზოლო რა განცდა აპყვებოდა ჯაჭვსა? განცდა მხოლოდ ადამიანსა სკოდნიც, ქვესა თუ თუქში ამოკვეთილ ადამიანსა, ჯაჭვი განცდას გადაეთარებოდა და გადააგდო ჯაჭვი. არც სხვა რამ უნდოდა, არაფერი უნდოდა ვარდა სიხარულისა, სხეული კმაროდა სიხარულისთვისა, შიშველი სხეული, ლამაზი სხეული, უძველესმა მოქანდაკეებმა როგორც იცოდნენ; ჰო ფიქრს რომ გადაეწყვიტა, საქმეც საქმეზე მოსულიყო, ზოგი დეტალი დამუშავებულიყო, ნელნელა მიწყებოდა, ყველა ხაზს მიწყებოდა; მხოლოდ ახლა არ ეტყობოდა სამისო ხალისი, მამა მაინც გამოლაპარაკებოდა, რაიმე მოეწონებინა, რაიმე დაეწუნებინა, აზრს აღუძრავდა, ეუარებოდა ან დათანხმდებოდა, სულერთია, შეირბეოდა და ვინ იცის როგორ შერხეულიყო. არ გამოელაპარაკა, თვალი მიატარ-მოატარა, კარი გაიგდო და წავიდა. ეს მარტო დარჩა, დარჩა ასე შუა ოთახში, გარეშემორტყმული ესკიზებითა, დეტალებითა, მოდელებითა, ყალიბებითა, დარჩა დაბნეული და გაბრუებული.

ეს გახლდათ შეგრძნება მარცხისა... ნათლად მოჩანდა გარდაუვალი მარცხი, — გენადის უპირისპირდებოდა. რალა თქმა უნდა, გარდაუვალი იყო მარცხი. რაც უნდა შეეჭმნა, თუნდაც უჩვეულო რამ, ღირსი გენიოსთა ნიჭისა, მარცხი არ ასცდებოდა. გენადიმ უთხრა, ისე ვერ მიხედვებოდა, ან არ დაიჭერებდა, უთხრა და სჯერა. ბიბომაც უთხრა, იციან და, რაც იციან, ნათლადც გამოსთქვამენ. ცოტა ლათკონი აურიბა ბიბომ, მაგრამ ეგ არაფერი ლაოკონში თუ დავითი ეგება ვერ გაარჩიოს ვერც იმანე, ვერც გენადიმ, ვერცა ნესტორ-

მა, ეგ არაფერი, ის მაინც იციან, თუ მოინდომებს, კიდევაც გაიტანს გენადი, ოღონდ მოინდომოს და გაიტანს. სადაც უნდა დასდგამს, რასაც უნდა დასდგამს, დასდგამს თუნდაც იგივე ლაოკონსა, თუნდაც დავითსა, თუნდაც მონებსა, ან სამივეს გაერთიანებს, სხვასაც დაუმატებს, არავინ ეურჩება, ვერავინ ამხელს, პირიქით, კიდევაც წააჭებებენ, მიდი, მიდი, დიდებული რამ არისო; ჰო წააჭებებენ, თავი მოიჭრას, შეირცხვინოსო, მაგრამ შემარცხვენიელი ვილა გამოუჩნდება, — ვინც იცის, არ დასძრავს კრინტსა, პირში წყალს ჩაიგუბებს, გატვრინდება. ზოლო ვინც არ იცის, ხოტბასაც მორთავს, არ დაილევინ უვაცი მებოტბენი, მლიქვნელებიც არ დაილევინ. ამას ვინ გამოუჩნდება მებოტბე თუ მლიქვნელი? იგივენი შეესევინ, ჩაჰოლავენ იგივენი, უცებ გარდაიქმნებიან, ხელოვნების მაღალ იდეალთა დამცველებად გამოცხადდებიან იგივე უვაცი მებოტბენი, იგივე მლიქვნელნი. ჰოდა ამათა, რაც უნდა შეჰქმნას, თვით გენადიმ უთხრა, ზოლო გენადი ამაოდ როდი ლაპარაკობს ხოლმე, დაიქადა და არც ქადილი იცის ტყუილად, დაიქადა და ძალაც შესწევს ქადილისათ.

ასეთ დაპირისპირებას არც ელოდა, არც დიდი რამ განზრახვა ჰქონია. ბავშვობიდანვე მოხიბლულიყო ამირანი, მოხიბლულიყო კავკასიონის მწვერვალებითა, იქ ეგულებოდა ამირანი, და, როცა მოიბურებოდა, ეგონა, ესაა ჩამოვიდა ღმერთი, ახალ სატანჯველს უმზადებს ამირანსაო: როცა ჰქროდა, ეგონა, ამირანის გულიდან ასხლვტილი ისრებიო. ამირანის გული ვერ გაუქვეთია და მოღმუის გარისხებული, მოგრუხუნებს, სხვა ვინმეს რომ დაატყდეს, სხვაზე იძიოს შურიო. მერე სურვილი აღუძრა, გამოესახა ამირანი, ფიქრად იქცა სურვილი, ფიქრმა მოიყვანა აქამდისა, — ეგება სადილომოდ მაინც გამომადგესო. სხვა არაფერი ჩაუგონებია ფიქრსა, მეტი არაფრისათვის წაუქეზე-

ბია, თუმცა საღდაც, გულის კუნჭულში ძალიან ჩუმად თუ ფაჩუნებდა. ნდომამ მეტისა. — ალბათ ფაჩუნებდა, იქ, კუთხეში, ესკიზი რომ არის, პროპორციის ესკიზი, სხვა რა უნდა იყოს თუ არა გამოტანა იმ ჩუმი ნდომისა. მაგრამ ესკიზები სხვაც ბევრია, ისიც იმათაგანია, ისიც ძიებად თუ ჩაითვლება, გამოთქმად არა, გამოაშკარაებდად არა, თუმცა გამოთქმაც რომ ყოფილიყო, ველარ გაიმეორებდა გაბედულადა. სხვამ გამოუთქვა, სხვამვე გაუმეორა, გაბედულება გაუღვივა, თანაც დაემუქრა... არ ელოდა, გამოთქმასაც არ ელოდა, ასეთ დაპირისპირებას მითუმეტეს — არა, არც დიდი რამ განზრახვა ჰქონია, — თურმე ჰქონია, გამოუთქვეს და გამოტყდა, ხოლო მარცხი თუ ელოს, რიდასთვის იშრომოს? — ამიტომაც დაბნეულიყო, გაბრუებულიყო.

დაბნეულებაც გაივლიდა, გაბრუებაცა, ალალი ბიჭი გახლდათ, ალალი ფიქრით ასე გამოვიდოდა: გამოაქანდაკებს, რის გამოაქანდაკებაც შეუძლიან, შექმნის, რის შექმნაც ძალუძს, ხოლო თუ არაგის ენდომება, რა ვუყოთ მერე, აგერ აქ დარჩეს, დარჩეს ძია გიგოს ეზოში; თუ ძლიერი რამ გამოვა, გამოუჩნდება ძლიერი პატრონიცა, მერე, ოდესმე გამოუჩნდება, თუ არ ივარგებს და რა ბედენაა, თუნდ აქა მდგარა, თუნდაც მთაწმინდაზე აუტანიათ, რა ბედენაა?!

ჰო გამოირკვეოდა ასეთი ფიქრი, მაგრამ აქამდის მისვლა ადვილიც არ გახლდათ.

## XVI

გარეგნულად არაფერს იმჩნევდა, თუმცა ვერ გამოაპარა დედის თვალსა. იმდღესვე იეჭვა, იმდღესვე დაიბეჭითა. მერე თვითონვე ერიდებოდა, არ შემამჩნიოს, რომ მივხვედრილვარ, არ ითაკილოს, აქაც არ აიყაროს გულიო; თუ თქმა უნდა, თვითონვე იტყვის, თუ არა და არ ითაკილოსო. მხოლოდ ქმარს არ ეშვებოდა, სიტყვას ჩამოუგდებდა, თუ ვერ მიმხვდარა, ეგება სიტყვით აღდექ-

რა ექვიო. სიტყვაც აღარა სჭრიდა. ჯერ თითქოს გულისყურით მოეკიდებოდა, ჩაეკითხებოდა, გაამეორებინებდა, „ჰააა?...“ კიდევ ჩაეკითხებოდა გავრძელებულადა, მერე „ჰოოოო...“ მოადევნებდა უფრო გავრძელებულადა, ვითომდა, გაივგეო, ვითომდა დიდხანია მივხვდარვარო, ვითომდა ბევრი არაფერიაო. ეს მხოლოდ მაიკდურობა იყო ხმის კილოსი, გულდაგულ მხოლოდ ამას შესთხოვდა, ოღონდ დამეხსენი, მეტი არაფერი მინდაო. არ დაეხსენებოდა ქალი. მაშინ ადგებოდა და ჩავილოდა ეზოში. ეზოშიც ჩაპყვებოდა ქალი. ვენახისკენ აიღებდა გეზსა, იქაც გაედევნებოდა. მერე ხალღურას სათავესაკენ გაექცეოდა თვალი, მაგრამ იცოდა, იქაც აღარ გაუშვებდა მარტოდმარტო, ხოლო წინაბრებს დაუბარებიათ, ქალებს არაფერი გაუმხილოთო. სხვარაღა ელონა, იღგა, ჩიჩქნიდა მიწასა. ვენახსა ბარავდა, გვერდით უდგა მეუღლეცა, ისიცა ბარავდა, ძალაუნებურად იბარებოდა ვენახი; ვენახი იბარებოდა და ქალი ისევ ეკითხებოდა:

— ვერაფერს ატყობ?

— ჰააა?

— ვერაფერს ატყობმეთქი...

— ჰოოო...

— მერე?

— ჰაა?

— რა ვიღონოთმეთქი...

— ჰოოო...

— მამა ხარ, კაცი ხარ, რჩევა გმართებს.

— ჰაა?

— რჩევა გმართებსმეთქი.

— ჰოოო...

— შესაძლოა, არც არაფერია, შესაძლოა თავის ნაწარმოებს დაუფიქრებია, რაღაც სიძნელეს წასწყდომია და იმას დაუფიქრებია, მაგრამ ვინ იცის რაღაცა მომხდარა, ხომ უნდა ვიღონოთ რამე, შშობლები ჩვენი ვართ, სხვა რას იღონებს, სხვას ვის რაში ეკითხება ჩვენი ავანჩავანი.

— ჰაა?

— სხვას ვის რაში ეკითხებამეთქი

— ჰოოო...

— უშენობა ძნელი იყო ჩემთვისა, მაგრამ ძნელი იყო თუ ადვილი, ჩემი თავის ანაბარა ვიყავი და, როგორც შემძლო, ვიკვლევდი გზასა, შინ რო ხარ, მეც შენ შემოგვკეპრი, რჩევასა და ბრძანებას ველი.

— ჰაა?

— ბრძანებას ველიმეთქი.

— ჰოოო...

— არც მინდა ველოდო, მაგრამ უნებურად შემეკვრია ხელფეხი, შენი უფლება შენი უფლებაა, წინ არ წაგივალ, ოღონდ თუ არაფერი იღონე, დედა ვარ. ეგრე ბევრსაც ვეღარ მოითმენს დედაი.

— ჰაა?

— ბევრსაც ვერ მოვითმენმეთქი.

— ჰოოო...

ჰაერი ხასხასებდა, თბილი, ხალასი ჰაერი; ჰაერი გაყუმულიყო, მკაფიოდ გაისმოდა ხმადაბალი ნათქვამიცა, თითქოს ეს თუ შეაკრთობდა ხეზე შეარჩენილ ფოთოლსა, შეაკრთობდა და შეარხევდა, ოღნავ, სულ ოღნავ შეარხევდა, მაინც უსუსტებდა ყუნწი, მოწყდებოდა, წამოვიდოდა ნელა, სულ ნელა, ტოტიდან ტოტს დაეფინებოდა, შეჩერდებოდა, აქანდებოდა და შეიკავებოდა თავსა, კვლავ აქანდებოდა, ჩამოსრიალდებოდა ისევ ნელა, ახლა სხვა ტოტს დაეფინებოდა, როდისროდის ჩამოაღწევდა ძირსა, ჩაინახებოდა მიყუჩებულ ფოთლებში, მიიწმინწევდნენ ფოთოლნიცა, მიიწმინწევდნენ და წაინახებოდა. ხმა კიდევ იწევდა ან ღრმა ამოსუნთქვაც გაისმოდა, სხვა ფოთოლსაც უსუსტებდა ყუნწი, წამოვიდოდა წყნარადა, მშვიდადა, არ გაერეოდა ორთა საუბარში, ესეც თუ ორთა საუბრად ითქმოდა:

— თუ უყვარს, ჩვენი ჩარევა არც საჭიროა, არც მართებული იქნება. ან თანაუგრძნობს ის ვიღაცაა, ან არ თანაუგრძნობს და ესეც მოერევა თავსა; ან უკვე უარი თუ მიუღია, გამოიგლოვებს და ეგ იქნება. ახლა მძიმე ურვა აღარაგინ იცის, მოწონებაც ადვილია. შეყვარებაცა და გადაყვარებაცა. ასე

ჩემსავითაც აღარაგინ გადმოიკარგება სოფელში, სიკეთეს აღარაგინ დაავლებს, თავს აღარაგინ გასწირავს.

— ჰაა?

— თავს აღარაგინ გასწირავსმეთქი.

— ჰოოო...

— მე სხვა მეგონა, სხვანაირადა ვფიქრობდი, სიყვარული და მოვალეობა წმინდააწმინდა რამ იყო ჩემთვისა. მაგრამ მე აბა რა შუაში ვარ?! ბიჭი შენადვლიანებულა, ჩაფიქრება გემართებს, ხოლო თუ სიყვარულისაა ეს შენადვლიანება, ჩასაფიქრებელიც არაფერი გვექნება... იყოს, გამოსცადოს, ახალგაზრდობა უმაგისოთაც არ ვარგა, მხოლოდ დაღი არ უნდა დარჩეს, თუმცა სიყვარულის დაღი მაინცა სჯობიან სხვა დაღსა, ცხოვრებამ რომ იცის, მწარესა, მძიმესა, გამაჩანაგებელსა.

— ჰა?

— გამაჩანაგებელსა სჯობიანმეთქი.

— ჰოოო...

— მაგრამ ჩვენ რომ ამითი დავიარხებით გული და სხვა რამ იყოს? ბიჭი მარტოა და ბევრი ცდუნება იცის სიმარტოვეში, ბიჭი იმ ასაკშია, ახარტს რომ აჰყვება ადვილადა. ეგება დაისაჯა ან სასჯელს ელოდება? ვინ იცის? მივაგდეთ თავის ანაბარადა, აქაოდა, წესიერი ბიჭიათ, სწორედ წესიერი არის ცოდო, თორემ უწყესო და უკულმართი ადვილადაც გადაიტანს ყველაფერსა.

— ჰა?

— უკულმართი ადვილადაც გადაიტანსმეთქი.

— ჰოოო...

კაცი მუხლს ძალას როდი ატანს, ზეზელა ბარავს, ბელტსაც არ ასწორებს, ოკრობოკროდ გასდევს ნაბარი. ქალის ღონე რა სათქმელია, ოღონდ რაც ძალუძს, ის უფრო ღონიერად აწევება სატერფულსა, ბელტსაც ასწორებს, ნაბარი მისდევს ლარში გამოყვანილივითა.

— ასე თუა, განზე ვერ გავდგებით. უნდა ჩავერიოთ, უნდა ავაშოროთ ხიფათი. ღმერთმა ნუ ჰქნას, ასე რომ იყოს, მაგრამ კაცნი ვართ, ვინ იცის!... კაცი ხარ და შენ უნდა მიხვდე, თუ ვერ

მიმხედარხარ, უნდა გამოჰკითხო, გამოათქმევიო. კაცი ხარ და კაცურადაც იღონე რამე. გოგოებს მე მივხედავ, არც მიეუშვებ ასე გულწათხრობამდისა, ბიჭებისა შენ უნდა იცოდე. თუმცა ვარეთ იყავი, მაგრამ ხომ დაბრუნდი. შინა ხარ ახლა, შენი ადგილი დაიკირე, ოჯახის უფროსი გქვიან და გვეუფროსე.

— ჰა?

— გვეუფროსემეთქი.

— ჰოოო...

— მე გული მითქვამს, ისევ იქ, გამოფენაში უნდა იყოს ძალის თავი ჩამარბული. თუმცა გაზეთებში არაფერი წერია, მაგრამ დასწერენ, ეგ ალბათ წინასწარ იხეთქავს გულსა. ჩვენ აქ რა ვუშველოთ?! რატომ, რატომაც არა, შეიძლება ვუშველოთ. აქეთ რომ წამოსულა, გამოქცეულა, ცოტა შეღავათია, შორს თუ ხარ, ხმაც ნაკლებად აღწევს, სულისკვეთებაც აღვიღადა ნელდება, ჰოოო გამოქცეულა, გამოშორებულია, ცოტაც რომ დავაშოროთ, ეგება უკეთესიც იყოს, ეგება ააყოლო ხალღურას ნაპირებსა, ეგება დროა, იქ რომ აიყვანო, სათავეში...

— ჰა?

— ხალღურას სათავეშიმეთქი.

— ჰოოო...

— თავისებური უცნაურობა იცის პირველმა გამოფენაში, ვერცკი ახსნი, ისეთი უცნაურობა იცის. მახსოვს ან რა დამავიწყებს, ჩემი, სურათი რომ გამოფინეს, ერთი მეგობარი ხმას აღარა მცემდა. ვერ მივმხვდარიყავი თუ რად დამმღებებოდა, სხვები ჩამძახოდნენ და არა მჯეროდა, დიდხანს არა მჯეროდა, მერე დავიჯერე და ძალიან შევწუხდი. ჰმ!.. სასაცილონი ვიყავით ორივენი. ცოდონიც ვიყავით, მე მაინც უფრო ცოდო ვიყავი.

— ჰა?

— ცოდო ვიყავიმეთქი.

— ჰოოო...

— ასეთი რამეც მოსალოდნელია. თუმცა ესა თუ ასეთები არაფერია, ყმაწვილობანაა, შეტსაც განიცდიან.

შეტსაც გაიგებენ, თავშეკავებასაც მიეჩვევიან. თავშეკავება შეგნებაცაა, ჩვევაცაა, შური და უხასიათობა თუ არ ჩაერთა, თავშეკავებას არაფერი სჯობიან:

— ჰა?

— თავშეკავებას არაფერი სჯობიანმეთქი.

— ჰოოო...

ქალი შეჩერდება, ეგების ესეც შეჩერდესო, თვალთ მივაცივლები, ეგება ცოტა შეტად გამოერყვესო, თავის დარდი თუ აღარა აქვს, ბიჭის დარღმა მაინც გამოარკვიოს, ცოტა შეჯანჯღარდეს. ეგება თვითონაც ეშველოსო. მაგრამ თავს არ აიღებს კაცი, ბარავს ისევე უგერგილოდა, თითქოს გაუგებრადა, ჰო თითქოს არც იცის, რას აკეთებსო.

— წამოიყვანე, ამოიყენე ვერდითა. სხეანარი ხალისიც იცის სხვა საქმეში, სანაღლოს გაუქარებებს ან გაუნელებს. მერე ეგებ გულიც გაგიხსნას, გავიგებო, რა სჭირს, რა ეშველება, მივხედებით, რა ვიღონოთ. თორემ ასე რა გამოვიდა, არაფერი ვიცით და ვწუხვართ, ხოლო წუხილი რისი მალამოა?!

— ჰა?

— წუხილი რისი მალამოა მეთქი.

— ჰოოო...

— ვერდით ამოიყენემეთქი.

— ჰოოო...

— დაუძახე!

— ჰო...

— დაუძახე!

— ჰო...

— ეხ!.. ბედმან ვისაც რაცა მისცეს, დასჯერდეს და მას უზნობდესო, ჰმ!.. რას დავეჯრდე, როგორ დავეჯრდე?!

კაციც შეჩერდება, ქალის ჩაცვებულმა თვალეზმა თუ გასტეხა ან არც გასტეხა, შეჩერდა წელის გასაშლელადა. მუხლისქარის ამოსაღებადა, ოღონდ სულერთია თუ რისთვის შეჩერდა, ქალის ჩაცვებულ თვალებს წააწყდა და ვედარც თვითონ მოსწყვიტა თვალი. მოსწონდა ის თვალები, საოცრად იზიდავდა, მამინ იზიდავდა, ხიბლავდა,

აჯადობდა. პო მაშინა, პირველად, მერეც მოსწონდა, ყოველთვის მოსწონდა, ოღონდ ის ცეცხლი აღარა ჰქონდა თვალებსა, ეშვი მოჰკლებოდა. გარეშე მო ნაოქები რომ შემოგროვებოდა, ეგება ამისი ბრალიც იყო, თმა რომ გათეთრებია და გადატყეცია. — ეგება ამისიცა, სახის კანი რომ ჩასწვია, გამოშრობია, — ამისიცა, კიდევ ბევრი სხვა რამისაცა. თუმცა კიდევ ელვარებს თვალები, მაგრამ ეს სხვა ელვარებაა, ელვარება მოუსვენრობისა, შიშისა, ზრუნვისა. მაშინ შიშისა არაფერი იცოდა, ნაოქებიც არა ჰქონდა თვალთა ირგვლივ, ბუნდოვანი სწრაფვით აღესილიყო, უსაზღვრო სწრაფვითა, ეს სწრაფვა იყო სხეანაირად რომ აელვარებდა ბუდეშურის თვალთა. სიჭორფიც იყო, სხეაც იყო, სხვა ხალისი, სხვა აღტაცება, ზრუნვით შეცვლილა, შიშით შეცვლილა, შენ არ გინდა უშეღვათო, ზოლო თვალთა ელვარება კლებულობს, ასე ყოფილა წუთისოფელი, დასაბამიდან ასე ყოფილა, წინ ვერაინ გადასდგომია, მოიკლებს, კიდევ უფრო მოიკლებს, მერე? ჩაპქრება მერე, ისიცა, ვისაც შეჰყურებს, ესეცა, უნც შეჰყურებს, ოღონდ მანამდის კიდევ რაღაცა შემორჩენია ძველი ძალოვნებისა, ის რაღაცა შეარბევს კაცსა, ბინდს გადაუწმენდს.

— დასჯერდეს და მას უბნობდესო... — კაცი გაიქორებს, — უბნობდესო, მოსთქვამდესო და კიდევაც მოვთქვამთ. ზოგი ხმაძალა მოსთქვამს, ზოგი ჩუმადა, ხასიათია. ჩუმად მოთქმა მინც უკეთესია, სხვას არავის შეაწუხებს.

- ეგრე გგონია?
- ეგრე მგონია.
- კარგად ვერა გგონებია, ხმაძალა მოსთქვამდე, ის მირჩევნიან.
- ხასიათიამეთქი.
- ეგ ხასიათი უფრო მძიმეა.
- რა შეთქმის, მე რა ძაღმისი? რა მოეუხერბო, რაც ჩემს ხელთ არ არის?! როგორ წაუვიდე თუ იმის ხელთ ვარ?! ხასიათია ბატონ-პატრონი, უნდა გვიყ-

მობს, უნდა გვაქცევს მონადა. უნდა გაგვააზატებს. ნუ იტყვი, ვითომც ასე არ იყოს, ნუ იტყვი, ვითომც კაცს მოვითონვე იყოს მკედელი თავისი ბედისა, თუ იტყვი, მე მაინც ჩემი ამიხირებია, დაბადებითვე დაპყლია თავისი ბედი ადამიანსა და ვერსაით წაუვა, ბევრიც რომ იფანთხალოს. კაცი ბედი და ხასიათი, სისხლია ორივე ერთადა. სისხლიც იბადება, იზრდება, ბერდება, კვდება, ყველაფერი ეგრეა, ეგრეა სისხლიცა. იყო დრო, იზრდებოდა ჩვენი სისხლიცა, იზრდებოდა, ჰყვოდა გვარი ჩვენი. მაშინდელი მინაგნებია ხალდეს თიხაცა, სახელგანთქმული ოსტატობაცა, სახელიც მაშინდელი განთქმულია. სისხლის სიცოცხლე უფრო ხანგრძლივია და სახელიც დიდხანს შეინარჩუნეს ჩვენი წინაპრებმა. მაგრამ ეპაა, რაც უნდა იყოს, მოთაგებულა ის ხანგრძლივობაცა, მოთაგებულა და სიბერე დაწყებულა ჩვენი თა ან ჩვენამდე დაწყებულა, საითღა წაუვალთ სიბერესა, ვინ წასვლია, ჩვენ რომ წაუვიდეთ? აჰა, ხმაძალა მოთქმაც ეს არის და მერე რა ბედენაა, ვის რას არგია, ასეთი ფიქრი სხვასაც მოაღუნებს, სჯობს ისევ გულში ჩაიძახოდე, შენთვის მოსთქვამდე, შენთვის უბნობდე.

- ცუდი ფიქრია.
- მეც მაგას ვამბობ.
- კარგი იფიქრე.
- პო... მაგრამ როგორა? თუ დაბერებულხარ, ძალა აღარ შეგწევს, ძალა თუ არ შეგწევს, ბრძოლა არ შეგიძლიან, ბრძოლა თუ არ შეგიძლიან, ცხოვრებაში ვერ გამოდგები. თქვი, შენ რაც გინდა სთქვი, უხეირობის აზრებითაქო, თქვი, მე მაინც ჩემი ამიხირებია, მე რაც მომეწია, მომეწია, ზოლო ე ბიქმაც თუ ვერ ივარგა, მე რაც მომეწვია, იგივე მოსწევია ამასაცა, გვარი დაბერებულა, ჩვენ შევსწრებოდით სიბერის ემსა და თუ რამეს ვინატრებ, ამასღა ვინატრებ, სკეკილს ნუღარ შემასწროს ღმერთმა... — აჰ გავმოეკლება ბარსა, თითქოს აღარც ახსოვდა, ბარს რომ დაპყრდნობოდა, ტა-

რი დაასკდება, პირი ამოსვრის გორი-  
ხებსა, მტვერსა, აბრწყვილდება მტვე-  
რი.

— რეებსა ლაბარაკობ, — წყრება  
ქალი, ხმას აუწევს. რამდენიმე ფოთო-  
ლი მოწყდება ერთდროულად, აჩქარე-  
ბით წამოვა ძირსა, — სასიკეთოს ვე-  
რაფერს შეეყრები ეგეთი ფიჭრითა,  
ცხოვრებას გაიტანჯავ და ეგ იქნება,  
მეტი არაფერი. შენი თავი თუ გაგიმე-  
ტებია, ჯანდაბას! ახლა ასეც მითქვამს,  
მაგრამ ე ბიჭს რაღას ერჩი, ე ბავშვებს  
რას ერჩი! ამ აზრით რომ შეჰხედონ,  
რა იმედით უნდა შეჰხედონ ცხოვრება-  
სა, ამ აზრით რომ იარონ, როგორღა  
გაიხარონ სიცოცხლითა, ზოლო თუ არ  
გაიხარეს, რაღაა სიცოცხლე, ჭიან კაკ-  
ლადაც არ ეღირება.

— ჰა?

— ჭიან კაკლადაც არ ეღირებამეთ-  
ქი.

— ჰოოო...

— გვარის სიბერე მონაჩმახია და  
მეტი არაფერი, თუნდაც დასაჯერებელი  
იყოს, გვარიც ისევე განახლებდა, რო-  
გორც თაობანი; თუნდაც იყოს, შორსაა  
ეგ სიბერე. შორსაა ჩემი შეილებიგა-  
ნა, ჩემი სისრული ახალთ-ახალია, ჩემი  
სიცოცხლე ახალთ-ახალია, ჩემი სიცო-  
ცხლითა სულდგმულობენ ეგენი.

— ჰაა?

— ჩემი სიცოცხლითა სულდგმულო-  
ბენმეთქი.

— ჰოოო...

წავიდა, ისევე ჩაღრმავდა, მორჩა, ად-  
ვილად აღარ გამობრუნდებოდა, ძალას  
თუ დაატანდა, ფუ გამოაბრუნებდა,  
იტყოდა იგივესა, გვარის სიბერის, სი-  
სხლოს სიბერის აზრებს გამოსთქვამდა.  
აღარ უნდოდა ამისი გაგონება, დაე ეგ-  
რევე ყოფილიყო, ეგრევე ჩაღრმავებუ-  
ლი, ჩაფლული, უთქმელი, ეგრევე ყო-  
ფილიყო, აღარაფერი ეთქვა, ბავშვებს  
არ გაეგონათ, ცოდონი იქნებოდნენ ბავ-  
შვები, ბავშვებს სიცოცხლე უნდა უხა-  
როდეთ, ბავშვები იმედებით უნდა  
აღიესონ, აღიესონ რწმენითა, ადაშია-  
ნობის, სიკეთის, მარადიული სიცოცხ-

ლის რწმენითა. ისე ბავშვობა ჩამწარ-  
ლებოდათ, ისე დილობაც ჩამწარდებოთ.  
ეს ჯანდაბას, ჯანდაბას რახან გამობრუ-  
ნებას აღარ აპირებს, ი ბიჭს მაინც არ  
დაგიტომობს, ბავშვებს არ დაგიტომობს.  
თავიანთი ქვეყნის სიყვარული უსწავ-  
ლებია, წარსულის სიყვარული ჩაუნე-  
რგია, იმედები ჩაუნერგია, ამ სიყვა-  
რულს ახარებს, ახარებს ამ ნერგსა,  
ამას ვერ დაუტომობს, იყოს ეგრე, იბო-  
რილოს, ზოლო ბავშვები რომ დავა-  
კაცდებიან, სიცოცხლითა და შეილი-  
შვილებით აღუვსებენ აქობასა, აქაც  
ველარ დაეტევიან, მხრებს გაშლიან,  
აქეთ-იქით გადასწვდებიან, ზოგი მაშინ  
ილაპარაკოს სიბერესა თუ გარდაგება-  
ზე. ოღონდ ახლა დადუმდეს, ნურც  
გაეყარება ი ბიჭსა, აღარც რჩევა უნ-  
და, აღარც უფროსი უნდა, ასეთი უფ-  
როსი, თვითონ იცოდა, თვითონვე  
იცის...

## XVII

კარგახანს არ დაუძინია, სამი ჯერი  
მოაშხადა სახვალიოდა, დილაღრიან პი-  
რველ ავტობუსს გაჰყვა, ზოლო ავტობუ-  
სით მაინც მოებრუნდებო, ქუთით იყა-  
ვითო, ბავშვებს დაუბარა, რამდენჯერმე  
გაუმეორა; ბავშვებს დაუბარა, ოღონდ  
დიდებს გააგონა: საჭმელ-სასმელი მზა-  
და გაქვთ, თქვენ თქვენი საჭმე იცით,  
უსაქმოდ არ გაჩერდეთ არცერთი წუთი-  
თაო. შინ არავინ გააბრაზოთ, გარეთ  
არავის აწყენოთ, სკოლაში საყვედუ-  
რი არ მიიღოთ. წყნარად დაიბარა, ხმა  
არ აუწვევია ოდნავადაცა, ოღონდ ეტყო-  
ბოდა, მცირე დანაშაულსაც არავის აპა-  
ტიებდა, არცა პატარებსა, არცა დიდებ-  
სა. თვალი არ მოუცილებია ქმარსა, სად  
მიდისარო, ეკითხებოდა თვალებითა,  
ამას ზედაც არ შეუხედაია, ვითომც არა  
ხარო, რახან არა ხარ, ნუ ხარო. ზურგი  
შეაქცია და ბავშვებს უბრძანა, არავის  
არაფერი გაუგონოთ, ჩემს ნათქვამს არ  
გადახვიდეთო... ჰო არაფერს ამბობს,  
მაგრამ ვინ იცის თქვას, კაცნი ვართ,  
რომ გამიგულეებს, ვინ იცის, საღერღელი  
აეშალოსო, ამიტომაცა ბრძანებდა, ჩემს

ნათქვამს არ გადახვიდეთო. ჭიშკარამდე მიჰყვამ ქმარი, ჭიშკარსაც ვაგიდა, გაჰხედა შუკასა, აღარ შემობრუნებულა ქალი, სწრაფად ჩაიარა, შუკა ჩაათავა და ჩაიმალა... ქმარი ვერ მიუხვდა, თბილისი რომ მიეშურებოდა, თუმცა თბილისი ეგება მოლანდებოდა, ოღონდ ბიბოს კარს რომ მიადგებოდა, ეს მაინც ვეღარ მოეხლანდებოდა.

სუსტმა, დაღვრემილმა გოგონამ გაულო კარი. ეთერი იკითხა, ტუჩი ასწია გოგონამა, უამურად ასწია, მიანიშნა ეთერის კარი, კრინტი არ დაუძრავს, შებრუნდა, მიიმალა. ასეთ შეხვედრას არ ელოდა, თუმცა არ ელოდა უკეთესსაცა. შეხვედრისა თუ მიღების ლაზათი არც აფიქრდებოდა, ოღონდ ვერც მდუმარე ტუჩთა ნიშნები ვაიგო და იდგა დერეფანში მხრებჩამოყრილი. რა ელონა აღარ იცოდა, საით წასულიყო, ვერ მიმხვდარიყო. ვინ იცის ეთერი აქ არცკი ცხოვრობდა, ჭინ იცის ამიტომაც მოგრიხა თხელი ტუჩები, აქ სად მოსულხარო. ამასობაში ეთერმა გამოიხედა, შეცბა ეთერი, დერეფანში ვიღაცა ასუსულყო, ვიღაც მალალი, სუსტი ქალი, ასე შუანისა, ოღონდ უფრო გატუნლი, გატეხილი ხანთან შედარებითა, შინაქსოვი შალის ხაესისფერი ეაკეტი ემოსა, შინაქსოვი, ოღონდ ლაზათიანად გამოყვანილი და ამოსახული, კბა იისფერი ეცვა, ჩაშვებოდა მუხლებს ქვემოთა. თვალში ეცემოდა ადამიანსა, მუხლებზევით როცა იჭრიან კბასა, ჩაგრძელებული თვალში ეცემოდა. ეთერსაც ეცა თვალში, კალათიც ეცა, ახალთახალი ქილის კალათი, თავმოდგმული, ვახისფოთოლ შემოწყობილი.

— ლალოსთან?.. — იკითხა ეთერმა, პასუხისთვის არც დაუცდია, — ლალო! — გასძახა.

— თქვენთან... — მიუგო ქალმა.

ლალოც გამოჩნდა, ნახევრად გამოჩნდა კარის ფარდაში, ტუჩები აღარ შეურბევიდა, სახე არ შეუტეხია, ოღონდ თითქოს შეაკანკალაო ან ფარდა თუ ქანაობდა.

— მეგონა... — ეს ლალოს გასაგონადა

თქვა ეთერმა. ლალო მიიმალა. — მობრძანდით! — ეს სტუმრის გასაგონადა.

კალათა დერეფანში დასტრავა სტუმარმა, ფართო, ნათელ ოთანში შეჰყვა; შეჰყვა და პირველივე მოხვედრილ სავარძელში ჩაეშვა. ეთერმა ტახტს მიამურა. შუა კედელთან მიედგათ ტახტი. ვეება ხალიჩა ეშვებოდა ჭერიდან იატაკამდისა, ტახტზეც გადმოველო, რბილ ტახტზედა. რბილად ჩამოჯდა ეთერი. კბა გაეჭვა, წაავლო თითები, მუხლებამდის მოზიდა დიდის გაჭირვებითა, თვალიც არ მოუცილებია სტუმრისთვისა, სათქმელს ელოდა.

— ირინე ვარ, — თქვა სტუმარმა, — დეიდა ირინე...

— დეიდა ირინე?!

— დიახ, გყავს ასეთი დეიდაცა.

— ვიცი... თქვენი თვალები ფრიდონს გამოჰყოლია.

— ისე მამისა ჰგავს... თანდათან ემგვანება... — ირინე მოიღუშა. მოიღუშა ეთერიცა, ირინეს აჰყვა, თუმცა არ იცოდა, რამ მოღუშა დეიდა ირინე.

— როგორა ვხვდებით?! — შესძახა უცებ ეთერმა, შესძახა და წამოდგა, — არც მიკოცნია...

— ჰა!.. — წამოდგა ირინეცა, — კარგს არას ჩაგაგონებდა დედაშენი.

— არც ეუღსა, — მიუახლოვდა ეთერი, აკოცა ლოყაზე, ისე მოვალეობისა თუ წესისათვისა, არც შეუშინებინებია რომ არ ებიტნაებოდა გაუხეშებული, მზექარმოკიდებული კანი. — არც ვიციოდი თქვენი ამბავი, გვიანდა ვაიგე, დებს არ მოსწონებიათ თქვენი არჩევანი და შემოგწყრომიან, თუმცა ასეთი გაუთავებელი წყრომისაც ვეღარაფერა გამოვიგა... მე თუ მკითხავთ, კიდევაც მომწონს თქვენი გაბედულება.

— ახლა ეს გაბედულება აღარაა, მაშინაც აღარ ითქმოდა გაბედულებადა. გაუთავებელი წყრომა მეც მაკვირვებს, მაგრამ არა ვძრახავ ჩემს დებსა, ეგება ჩემი ბრალი უფროა, ვითაკილე, არად ჩავადდე, იმათაც არ მოიმდაბლეს თავი.

— მე შეგარიგებთ, — ოღონე იცინის ეთერი.

— გადავეჩვიე, — იცინის ირინეცა, — გულს არ მაკლიან, არც იმათ ვაკლივარ, ალბათ, არ ვაკლივარ...

— მგონი... — უდასტურებს ეთერი.

— რა თქმა უნდა, ყველაფერი ჩვევა ყოფილა, ალბათ, ვეღარც შევეჩვიეოთ ერთმანეთსა.

— არა, რატომ...

— ვინ იცის რატომ, ან რა საკითხავია, რაც არის, არის.

— ბედს ურიაგდებით?

— არა!.. — შეირბა ირინე, დების დარდი აღარცა ჰქონდა, თავისი ოჯახი წამოაფტევიდა, იმიტომაც შეირბა, როგორთუ ბედს ვურიაგდებით, — არა, რა სათქმელია!..

— მოგეხმარებით, შეგაჩვევთ...

იოლად ამბობს და ირინე ფიქრობს, ნებიერი ქალია; დიდი რამ საზრუნველი არაფერი აქვს, გასართობი იშოვნა, გაერთობა, იმხიარულებს, იცინებს, ათასჯერ მოაყოლებს, როგორ იყო, როგორ წაეკიდნით ერთმანეთსაო, ცალცალკეც მოაყოლებს, ერთადაც მოაყოლებს და იცინებს, უფრო იცინებს, დები თუ კიდევ წაიკიდებიან, — ეგრე კი არა, ასე იყო, მე კი არა, შენა ტყუილიო; ბედნიერი ქალია და იცინებს, ლამაზია და ბედნიერი, იცინებს ბედნიერი, აცინებს უფროსთა უხასიათობა თუ წინაუბედობა; იმ ხელოსნის ნახვასაც მოინდომებს, იმ საარაკო ხელოსნისა, ავა და იხილავს მხრებჩამოყრილსა, მოდუნებულსა, ბურანში დაკარგულსა; იხილავს, ოღონდ ვერ წარმოიდგენს, თუ როგორი იყო, მერე რაო, მაინც გაერთობა, უფრო გაერთობა, მართლაც რომ ღირებულა გატაცებადაო. მართლაც ამას რა ენაღვლება, ბედნიერია და ლამაზი, ოღონდ უგუნებობა თუ შეატყო თავის ბავშვსა, — იმ თხელ გოგონასა კარი რომ გაუღო, — ზოგი მაშინაც გაერთოსო. თუმცა არა, არა, რატომ, — კარგად იყოს ის გოგონაცა, ესეც იყოს ასე ბედნიერი, ასე ლამაზი, დიდხანს, დიდხანს იყოს ლამაზი. მხოლოდ ახლავე უნდა გააგებინოს შესარიგებლად რომ არ მო-

სულა. აღარც ენაღვლება, აღარც ახსოვს.

— კარგად იყენენ ჩემი ბედნიერება? ბი, იყენენ უფრო ბედნიერადა... სხვა რამეს შევეუწუხებოვარ.

— სხვას?! — სახეს შეიკრავს ეთერი, — ფრიდონი სად არის?

— შინაა...

— რატომ?!

— მეც ეგ მინდა ვიცოდე.

— ინსტიტუტში კითხულობენო.

— ის შინ არის.

— ალბათ, მუშაობს.

— არა...

— რატომ?!

— მეც ეგ მინდა ვიცოდე...

— არას ამბობს?

— არაფერსა... დგას ამირანის ნაწევეტებში, დგას და დგას, თუ დაიღვება, ჩამოჯდება, ეგ არის და ეგა იმისი საზრუნავი. მამამისი დაღუმებულია, ისიცა ღუმდება. ერთი მღუმარეს ატანაც ძნელი იყო, ორისა მითუფრო გაუსაძლისია. რა სჭირს, არ ვიცი, რა ვიღონო, არ ვიცი, წამოვსულვარ ვითომც საკითხავადა. ვინ მიმიკითხავებს... — ხუმრობს ირინე, კიდევაც ილიმის, მაგრამ ვაი ამ ხუმრობასა, ვაი ამ ღიმილსა.

— ადვილი სამკითხაოა, — ასდევს ეთერიცა, არც ამისი ღიმილი ითქმის ღიმილადა, — გამოფენიდან მოხსნეს...

— „ქალი“?

— „ქალი“...

ირინე ფიქრობდა, ნიკაპზე, ტუჩებზე ეტყობა, ნერწყვისა ყლაპავს მოჩქარებითა. რამდენი რამ იეჭვა, ეს ვერა, ბევრად დამშვიდებით შეხედებოდა იმა ნაეჭვთა. ბევრად უარესიც რომ ყოფილიყო. თუმცა რაღა იქნებოდა უარესი, — დე. ბიუტი დამარცხებია. მარცხი ყოველთვის მარცხი ყოფილა, მაგრამ დებიუტის მარცხი მაინც სხვა ყოფილა, დედაგრძნობს, გაფითრებულა, აღარა ჰყოფნის ნერწყვი. წყალი შემოაქვს ეთერსა, ცივია, კარგია, მაკივრიდან თუ გამოიღო. შევლის წყილი. ნერწყვისაცა პოულობს.

— რა ვუყოთ მერე, ეგებ არ ივარ-

გა... — ირინე ცდილობს, თავი დაიშვებოდეს.

— ივარგა. უკეთესთაგანი იყო...

— ძნელი გასაგებია.

— ასატანად უფრო ძნელია.

— უფრო...

რაც უნდა იყოს გაიგო, გაიგო და ემწევა, ამასვე ემწევა, ი ბიჭი როგორღა დაამშვიდოს? მიუხედედა, დედის ალლო მიუხედედა როგორმე. ფერი უბრუნდება, მზექარის ფერი. წყალს კიდევ მოსვამს, კარგია ცივი წყალი, უხდება გახურებულ გულსა: გეწყინაო, იტყვიან ხოლმე დამცინავადა, თუ გეწყინა, ცივი წყალი დალიეო; მართლაც კარგია, მართლაც ეწყინა, მართლაც მოუხდა, გადიმებასაცა ცდილობს, იმათ თუ უღიმის, იმა დამცინავ მრჩეველებსა, ისინიც თუ უღიმიან, კიდევ დაგვირდება ცივი წყალიო.

— ერთი ჭირი კაცს არ მოჰკლავსო...

— ეთერი ამბობს.

— კიდევ რა არის?

— კიდევ... — ჭიქას ვაპხედავს ეთერი, წყალი აღარა დგას ჭიქაში.

— თქვი, — მხნელ ამოიძახებს ირინე, — ნუ შიშობ, გაიარა, ველარაფერი ამფორიაქებს.

— მშობლებს მეტი სიღინჯე მართებთ.

— გასაგებია... კოპებს შეიკრავს ირინე. შენ შენი თქვი, დამრიგებლად ნუ დამიდგებიო.

— ამირანს სხვაც აქანდაკებს... — წამოიწყებს და შეიკდის ეთერი.

— ... იმას საკმარის გავლენა აქვს, ის გაიმარჯვებს, გასაგებია... — მშვიდად მიადევნებს ირინე, თანაც ისე შეპხედავს, თითქოს ნიშნს უგებსო, აჰა, ხომ აღარ შევეძრწუნდიო. იმან რომ უნდა გაიმარჯვოს, ამიტომაც მოხსნეს გამოფენიდანა, საიმისო სამზადისია, ერთმანეთშია გადაჯაჭვული, მთავარი ესაა, ის მომდევნოა, იმან ვააფიორა, ამან აღარა, სულერთია, გადაიტანა გადასატანი, ახლა შეიღს უნდა გადაატანინოს, მითუფრო მეტი მხნეობა მართებს, სხვა რამეც მიჭაჭულოყოს, ბევრად გრძელი

რომ იყოს ჯაჭვი, ბევრად ბევრი მხნეობაცა მართებს; ჰო სხვა რამეც რომ მისჯაჭვოდესო, თუ არ მისჯაჭვი, შეეჯაჭვება, ასე იოლადაც არ მოთავდება. მოთავდება თუ დასთმობს ი ბიჭი, მაგრამ დასთმობს? არ უნდა დასთმოს, არ უნდა დასთმოს, დაე დამარცხდეს, ოღონდ არ დასთმოს! სულის დაცემა დასთმობამ იცის, დამარცხებამ არა, დამარცხებამ შურისძიება იცის, დაე დამარცხდეს და იბიოსშური, ოღონდ არ დასთმოს, ოღონდ არ დასთმოს დაჩაგრული, დაჩაფრებული, არა, არ გაეცალოს. უნდა შთაავონოს როგორმე, ამით აღვსილა, აღარც რა შეაშინებს, აღარც რა ეცემა ელდასავითა.

— გაიმარჯვებს... — ცივად ამხნეებს ეთერი.

— თქვენი მეუღლეც იმისკენა?

— იმისკენა...

— მოწაფეს გადაუდგა...

— დაითხოვა.

აჰა, ამ ჯაჭვიდანაა, იმ ჯაჭვის რგოლია, კარგია იცოდეს, იცოდეს ჯაჭვი თავიდან ბოლომდისა, ხელთა ჰქონდეს, თუმცა იმათ ეჭნებათ ხელთა, — ჰქონდეთ, ამან იცოდეს. კიდევ მიპყვეს, კიდევ გაიგოს:

— მასწავლებელს რომ დაუთმოს, უარი რომ თქვას ამირანზედა?

— არა მგონია, დამშვიდდეს მასწავლებელი.

— ისა?

— არც ისა... მთავარი ამირანი როდია, „ქალი“ ხომ ამირანი არ იყო, „ქალი“ სილამაზეა, ხოლო ამათ სილამაზე არ გაეგებათ... რას უშველის დასთმობა ამირანისა?!

— რას უშველის?! — კითხულობს ირინეცა, — ამირანის დასთმობა არაფერს უშველის, ოღონდ თუ მიმხედარან, მიხედრა უშველის.

— ახალგაზრდობას უშველის, — ამბობს ეთერი, — იმათ ველარა... მიხედრა ერთია, მეტი ჩაწვდომა უნდა სილამაზესა, საუკეთესო წლები უკან დარჩენიათ, როდისღა ჩასწვდნენ? გაბორო-

ტების მეტი აღარაფერი დარჩენიათ და ვი იმას, ვისაც ეტყვიან იმსა.

გული მოეწურება ირინესა, მოეჩვენება, თითქოს ფრიდონსა სცემიან ყელში და ახრჩობენო. მაგრამ ავი გამხნეველა, ავი ველარაფერი შემამინებსო, — ვერ შეამინებს ველარაფერი. ოღონდ ის ულპობელი ხელები თითქოს ავრ ამის გარშემოც დასრიალებენ, წივიან, სისინებენ, სისხლი მოსწვეთავთ ფრჩხილებიდანა, მაინც დაეძებენ სასისხლოსა. აჰა, მე მომწველით, მოკალით წყურვილიო, ბევრიც ევედროს, არ მოსწვდებიან, დედა ვის რად უნდა, დედა უნდა კვენსადეს, მხოლოდ ამისად გაჩენილა, მხოლოდ უნდა მოსთქვამდეს, — შვილო ზურაბ სადამდისაო; უნდა შეპყრებდეს თუ როგორ ჩაუტანებიათ კედელში იმისი პირშიო, ცოცხლად ჩაუტანებიათ, ჩაუტანებიათ და მარხავენ ცოცხლად; უნდა შეპყრებდეს და მოსთქვამდეს, — შვილო ზურაბ სადამდისაო. ვაიმე დედაც, ყელამდისაო... ხელებს ჩაიმტვრევს ირინე, შიშით არა, სიბრაზით ჩაიმტვრევს.

— ხალხს მალალი ხელოვნება უნდა. ხალხისათვის სულერთია, თუ ვინ ააღორძინებს...

— მაგათთვისა... მაგათი პატივმოყვარეობისთვისაც სულერთია?

— აბ, ეს პატივმოყვარეობა!..

— აბ...

ამოიძახებს მსუბუქადა, ისე, თანაგრძნობისა და ზრდილობისათვისაო, ირინე ფიქრობს, თუ რამ სიყვეთ მიწინაა, პატივმოყვარეობისაგან მიწინაა, ეგრე ზოლადაც ვერ დაძრახავსო. პირუთენელად რომ დაპარაკობს, ამისგან ესეც კარგი რამ არისო. მაგრამ უბრალოდ რომ ამბობს, გულგრილად რომ დაპარაკობს, ეს რისგანაა, შემრიგებლობისაა თუ არ მიიჩნია მიანცდამიანი დიდ ცოდვადაო.

— მოწაფის წარმატებაც უნდა აქეზებდეს მასწავლებლის პატივმოყვარეობასა. — იტყვის ირინე, ყველა სიკეთე რომ მოგიხვევიათ, ეს ზნეობრივი სიკეთეცა გქონდეთო.

— ჰა, ჰა ჰა... — ეთერი იცინის, ლეგენდებია... ან ოდესმე თუ მანცა ყოფილა, აღარავის ახსოვს.

— ჩვენ თუ აღარ შემოგვრჩენია გრძნობა სიკეთისა, სხვას მაინც ნულარ დაეძრახავთ, მითუმეტეს, ნუ დაეძრახავთ წინაპრებსა. — კობებს შეიკრავს ირინე.

— ნურც ახლებს დაეძრახავთ...

— ნუ!..

— ყველაფერი აუცილებლობის შედეგია, ადამიანი სათამაშოა აუცილებლობისა, ადამიანის ნებისყოფა ვაბათილებულია აუცილებლობითა და ამიტომაც აღარაფერი დაეძრახება.

— არც ეგბრეა...

— ნუ არის, მე ეძრახავ... თქვენ სიკეთის გრძნობა გერევათ, ამბროსიმ არ იცის ასეთი გრძნობები და როგორ გაიხარებს შეგირდის წარმატებითა? სიხარული სიკეთისაა, მხოლოდ სიკეთისა, ხარობენ კეთილნი, ძალიან მკითრედიანაც ხარობენ, ამბროსის ნუ მოსთხოვთ სიხარულსა... — ჰო ამბროსისათ, ზედოზედ ასე იმეორებდა, მანამდის ბიბოდ იხსენიებდა, მაგრამ ირინეს არ შეეძლო შეემჩნია, თუ რა მომხდარიყო, მანამდის რა იყო, როგორ შეცვლილიყო ან რა იყო მოსალოდნელი, არა, არ შეეძლო ამისი გათვალისწინება. მის წინ ქმრის სახელით გაამაყებული ქალი იჯდა, ასე სჯეროდა და ადვილადაც ვერ გადაისხვებებდა აზრსა. სახეც არ ეცვლებათ ეთერსა, ხმის კილოც არა, ამბობს თითქოს განუცდელადაო, დასწავლილივით იმეორებსო. — იმან მხოლოდ ეჭვი იცის და კარგადაც იცის, რაც მართალია, მართალია, კარგადაც იცის.

— საუბველი რა უნდა ჰქონდეს? — ირინეს უკვირს.

— არც რაი, მაგრამ ყველაფერი გამოდგება საბაბად... „ქალს“ მე მამგვანებენ...

— ჰა?! — ირინე წამოიწევს და ჩაქდება მოსხებითა.

— მე მამგვანებენ...

— განა არ იცის?!

— იცის, მაგრამ გაგება აღარა აქვს.

ვილაც-ვილაცები აღიზიანებენ, ისინი ერთობიან ან ასე სჭირდებათ და აღიზიანებენ, ამას გაგება აღარა აქვს, ბრმად მიჰყოლია. მე გავლენა აღარა მაქვს ამ ოჯახში, აქ ყველაფერი უცხოა ჩემთვის, მეც უცხო ვარ ყველასა და ყველაფრისთვისა, რაღას ვუზივარ არ ვიცი, ან როდემდის გასტანს ასე, არ ვამეგება. — გულწრფელად ამბობს, აუღელვებლადაც ამბობს ეთერი, ვითომც დიდი არაფერი ყოფილიყოს ან სხვისი ამბავი ყოფილიყოს, ათასჯერ მოესპინოს, ათასჯერვე გაემეორებინოს. თანაგრძნობით ვინ მოჰკიდებია ასეთ ნათქვამსა, ირინე რომ მოჰკიდებოდა, თანაც სჯეროდა ბედნიერი რომ იყო, უბრალოდ ნათქვამი ვერ შეუცვლიდა დაჯერებასა. იმდენს მაინც მიხვდა, შველა არ შეეძლო ფრიდონისა, არც შველა შეეძლო, აგზნითადაც გახლართულყო იმის ცხოვრებაში. ოღონდ თვითონ ეს არც აწუხებდა, ასეც იგარაუდა ირინემა, ხოლო ფრიდონისათვის მძიმე განსაცდელი იქნებოდა, ყველაზე მძიმე, საშინელი, აუტანელი. სხვა რგოლები იმდენი არაფერი, იქამდის რომ საშინელი ეგონა, იმდენი არაფერი ყოფილა, ესა ყოფილა, რაცა ყოფილა, თუ წაუშერს ეს წაუშერს, ეს გადაუმტკრევს ძვალსა. ცილისწამება მძიმე სასჯელი ყოფილა, სასჯელი სულისა. სისხლის სამართლის კოდექსებმა არ იცის ასეთი სასჯელი, სიკვდილი რა არის, მაინც სიკვდილის შვილები ვყოფილვართ, სულისკვეთება ყოფილა სიკვდილზე სიკვდილი. ცილისწამებას მოჰყოლია სიკვდილზე სიკვდილი. თუმცა ამისთვისაც ხომ ცილისწამება, მაგრამ ეს ბედნიერია, ღამაზია და ბედნიერი, ბედნიერები აღვილად არ აღელდებიან. უბედურებსაც არაფერი გააკვირვებთ, გულჯრილნი არიან ცხოვრებაგამოვლილნიცა, ხოლო ისა, ჯერ რომ არაფერი გაუგია წუთისოფლისა, ჯერ რომ მხოლოდ სიალალე და გულუბრყვილობაა, — შეიძლება მწარედ დადასაჯოს ცილისწამებამა. ოღონდ ვაი თუ ცილისწამებაც არ არის. ვაითუ რაღაცა ცოდო ზღვება, ვაითუ ნათესაობა-

საც აღარ დაგიდევნენ, დაბრმავებულან, გაგიყებულან, აბუჩად აუგლიათ ზნეობა წმინდათაწმინდა, ვაი თუ, მაშინაა?!

— ცილისწამებაა?! — ირინე კითხულობს, ფიქრდება პასუხის მოლოდინში. პირდაპირ ეტყვის, უღობობლად მოუგებს და ძრწის, არ მითხრას, ცილისწამება არ არისო.

— ცილისწამებაა...

სჯერა ირინესა, ფერი მოუვა. წყალი მაინც უნდა, ცივი, ძალიან ცივი წყალი. ეთერის ჭიჭით მოაქვს. სურთ მომიტანეო, სთხოვს. და მერე სვამს, სურითვე სვამს, აღარც ებოღიშება.

— იცის? — იკითხავს ირინე, სურას რომ ჩამოსდევას.

— არა...

— არც უნდა ვაივოს.

— გაიგებს, — დარწმუნებით ამბობს ეთერი, — ვინმე ეტყვის, მოძულე ეტყვის ან მოკეთე, ზოგის ზნეობა ისეთია, კიდევაც შემურდება, ეტყვის შურითა. ვერ ასცდება...

— მაშ?! —

— არ ვიცი...

ირინე ღგება... კიდევაც დიდხანს დააყოვნა ეს ღამაზი და ბედნიერი ჭალო, კიდევაც ბარაქალა, აღმღვრეულად რომ ელაპარაკება, შეწუხებულა და არ აგრძნობინებს. — რა ვუყოთ დეიდა თუ ბრძანდები, პირველად შეგბეგვდრია, დეიდაბა არ გიგრძნობინებთა, დისწულობით როგორღა გადაგიხალოს, უცხო-სავითა ხარ, უცხო-სავითა, ზომიერებას მაინც არ გადადის, გისმენს, გიპასუხებს, მაგრამ საზღვარი ყველაფერს დასდებია, ამ საუბარსაც დასდებია თანისი საზღვარი, — არ ვიციო, საზღვარიც ეს არის და ღგება ირინე, მადლობას უხდის, ემშვიდობება. ეთერი არ უშვებს, სადილად დარჩი, იმათაც მოვიწვევ, ხომ დაგპირდი, შეგარიგებთმეთქი. ირინე უარზეა, უარი მტკიცეა, გარდაუვალი, ემშვიდობება და მიდის, კალათას უტოვებს. კალათაში ყურძენია, საგანგებოდ არჩეული, ტკბილი, დამკრახული ყურძენი, აგრემც დამტკბარხართ, ბედ-

ნიერი ხართ, კიდევაც ბედნიერი იყავით...

კაცი ქიშკართან დახვდა, დილას რომ გასდია, თითქოს იქვე დარჩა, იქვე ელოდება დილასაქვითაო. ქალს არ უთქვამს, თუ სად იარა, რად იარა, კინტიც არ დაუძრავს. ერთი ვნახოთ, როგორია მღუშარებო, შენი თუ მოგწონს, სხვისა როგორღა მოგეწონებაო.

### XVIII

სამაგიეროდ ენადგაიჭრია შვილთანა, სახელოსნოში შეჰყვა, დეტალებსა თუ მოდლებს შეჰყურებდა მოწონებითა და ჰყვებოდა, ჰეცა ვსწავლობდი ქანდაკებასო, მაგრამო ქანდაკების ნიჭი არ აღმომაჩნდაო, ფერწერა მიტაცებდა თავიდანვე, ისევე ფერწერას მოვკიდე, იმასაც ჩამოვშორდი, ალბათ საიმიხსო ნიჭიც არა მქონდაო, თუმცა ჩემს მოულოდნელ გათხოვებას აბრაალიან ჩემი მახლობელი, მეც ასე მგონია, მაგრამ ვინ იცის უნიჭობის ბრალი უფროაო. ნიჭი ისაა, რასაც ამოიჩემებ თუ აღარ მოეშვეები, არ დასთმობ არ დანებდები, აიხირებ და ბოლომდის მიიტანო. სხვანაირად უნიჭობა გამოვა, ხალასი ნიჭითაც რომ იყვე სავსეო ხელოვნებას ბევრი წინააღმდეგობა ასდევს, ჭოუტი ახირებაც ამიტომ უნდა ხელოვანა. ერთი წინააღმდეგობა თვით ხელოვნებისეულია, მშვენიერების ძიებაა, მეორე ქიშკობაა, თვით ხელოვანთა ქიშკობა, არის სხვაცა, ვარემოებისაა ის სხვადასხვანი, ვთქვათ. დიდი გასაჯალი რომ არა აქვს, რაც უნდა მშვენიერსა ჰქმნიდეს, შენი არ ესმით, არ იციან ღირსება შენი მარჯვენისაო. არც ეს არის ადვილი ამბავი, მარტო ფიროსმანის ბუდი გეყოფა მაგალითადა, მაგრამ მთავარი მაინც ის ორია, იჭიდანაც მეორეს ყურადღება არ უნდა მიაქციო, უნდა ამაღლდე ხელოვანის ბუნებითა, შურმა თუ მტრობამ, ცილისწამებამ თუ ლალატმა, ცოდვამ მრავალმა თუ მრავალგვარმა პისხლი არ უნდა ავიმღვრიოს, უნდა გადადგე იმა პირველის-

თვისა, მშვენიერისთვისა, უნდა გადადგე თავგანწირვითაო. თავგანწირვულუბა ყველაფერს დაგაძლევინებს, მთავარია აქამდის მიხვიდე, მთავარია აღიგსო ამ განცდითაო. მე ალბათ არ შემეძლო ამდენი, ამიტომაც მოვიხიბლე ადვილადა და აი, აჰა... არა, ბედს არ ვემდური, ალბათ ასე უნდა მომხდარიყო, სამღურავი რილავი მაქნისია, მხოლოდ მაგალითად მოგახსენებ, ველარაფერმა და ველარაფინ უნდა მოგახიბლოს, ვერც ვერაფინ თუ ვერაფერმა უნდა დაგძლიოს დიდი მშვენიერებით თუ აღვსილხარო. სხვაც თუ ჰქმნის, შეჰქმნას, წარსულის მოქანდაკეებისა თუ არ გეშინიან, მომავლისა თუ არ გეშინიან, რად უნდა შევაშინოს ვინმე თანადროულმაო. წარსულში გენიოსები ყოფილან, ვერ გაშინებენ, მომავალში კიდევ ვინ იცის ვინ იქნებიან, არც გენალელება, ეს ისეთი რა არის თუ ვინ არის?! ვინც უნდა იყოს, უთვალავი მისასვლელი აქვს მშვენიერსა, უთვალავი ბილიკი, ყველა ხელოვანსაც თავისი ბილიკი აქვს, ყველა დასდგომია თავისი ბილიკსა, ჭერ ერთიმეორეს არავინ შეხვედროია, არც არასოდეს შეხვედებიანო.

დაჭერებულხარ, იმისას მიიღებენო და შეძრწუნებულხარ? — მიიღონ, შენ ხომ მშვენიერებას მიესწრაფი, — შენ მისწვდი, მიიღონ იმისი, შენ ოღონდ მიწვდი, დასტოვე აგერ ბიძაშენის ეზოში, ხებალახი შემოველებე, სურო თუ ფათალაო გადაუვლის, შემოეხვიოს, გადაუაროს, შენ ოღონდ მისწვდი, სურო ჩამოეცლება ერთის ხელის მოქნევითა, ხებალახაც ჩაიქვლება, შენ ოღონდ მისწვდი, დღეს თუ არა; ხვალ აღიარებენ. არ დაკარგავენ, მშვენიერი არ დაიღუპება, შენ ოღონდ მისწვდიო. არ შეგაძრწუნოს არაფერმა, ცილისწამებამაც არ შეგაძრწუნოსო. ბაირონს დაი შესწამეს, შენ უფრო მეტი რა უნდა შეგწამონ, შესწამეს თუ არ შესწამეს, წავიდა, გადაიარა, დარჩა პოეზია მშვენიერი, წარმტაცი, მომხიბლავიო. ოღონდ შეიქმნას, ოღონდ დარჩეს, სხვა ყველაფერი წარმავალია, მხოლოდ ხელოვნებაა მარა-

დიული, თუ კი რაიმეა მარადიული ამ ქვეყნადო. შენ ოღონდ მისწვდი, — რაც უნდა დამართოდეს მამაშენსა, სილამაზის განცდა მაინც არ დაუკარგავს და უსათუოდ გამობრუნდება, შენ ოღონდ მისწვდიო. უფრო მეტი ჭილდო რა გინდა, უფრო მეტი აღიარება რაღა გინდა, — თუ გინდა, გინდოდეს, ჭერ ეს იკმარე, დანარჩენი მოვა, მოვა ერთ მშვენიერ დღესა, რომ აღარ ელი, მაშინ მოვა, შენ ოღონდ მისწვდიო. კიდევაც მისწვდები, არ აპყვები წერილმანსა, სხვა თუ არაფერი, მე მაინც უნდა მომეშველო, აქეთ მამაშენი, იქით ბატარები მოიხიტნენ, წამოიჭოჩნენ, ერთბაშად წამოიჭოჩნენ, ველარ გავწვდები, მე ველარ გავწვდები ასე ერთობლივადო; მე მაინც შემციოდებ, რაც უნდა იყოს, შემციოდებ და არავის დაეჩაგვრინები, არავის დაეჯაბინები, არავისა და არაფერსაო. ოღონდაო შემომფიციეო, თავს თუ ველარ ერეოდე, ეს ფიცი გაიხსენე და მშვენიერისადმი მისწრაფება არ დასთმოო... ფრიდონმა ჩაღუნა თავი. დედა არ მოეშვა, შემომფიციეო. ფფიცავო, თქვა ფრიდონმა. კიდევო, დედამა ბრძანა. ფფიცავო, გააფრორა ფრიდონმა. კიდევო, დედამა ბრძანა. ფფიცავო, თქვა და ასწია თავი, შებედა ღრმა, ძლიერი თვალებითა. დედამ იწაშა ფიცი, აღარაფერი უთქვამს, დანარჩენი თვითონ იცისო...

იცოდა თუ არ იცოდა, ინსტიტუტს რომ უნდა დაპბრუნებოდა ეს მაინც დიდი საცოდნელი არ იყო, ჰო დიდი საცოდნელი არ იყო და კიდევაც დაუბრუნდა. იქ სასტიკი საყვედური გამოუცხადეს, თანაც გააფრთხილეს, კიდევ თუ გააძღენ, სტიპენდიას მოგიხსნითო; ერთომ გააფრთხილეს, ხმის აუწვევდაც უთხრეს, მაგრამ კაი გვარიანი მუქარა გამოდიოდა, ცოტა არ იყოს, შეკრთა, სახეზეც შეეცყო, ამიტომაც გაუმეორეს დაპყრითებითა, მოგიხსნითო. რაც უნდა იყოს, ბევრად უარესი იქნებოდა თუ ეტყოდნენ, მოგიხსნითო. ეს ჭერ მხოლოდ მუქარა გახლდათ, ხოლო მუქარა მალე გაივლის ხოლმე... მანქანის სად-

გომს რომ მიაშურა, თავისი ნაკეთობანი სადაც შეპყარა, იქ რომ მივიდა, აღარც მუქარა ახსოვდა, აღარცა მომუქტუნება, გადასწურვოდა ქმუნვა თუ ნაღველი, ვული გადაპხსნოდა, გადაპხსნოდა შუბლიცა, აცხადებულოცო ლილის ნატიუნარი კოჭრის გზაზედა. ცოტა აეწიათ მანქანის სადგომი, შუშა გადაეხურათ. გვერდით სხვა სადგომები ჩაწყვილიოცო, სახურავით გამორჩეულიოცო იმათგანა. მესამე სართულზე რომელიღაც შეშაბანდიც გადაიხსნა, კინლამ გადმოწყდა, ჭახანით გადმოიხსნა, ხელებიც გადმოცვივდა, სახეც გამოჩნდა, ხმაც მოისმა, ახალავეო; გამოჩნდა, გაისმა, გადაიქროლა ელვასავითა, ჭერ ისევე ქანობდა გადმოხსნილი კალთები. ცხადია ლილი იქნებოდა, ალბათ თავბირისმტკრევით ჩამორბოდა კიბეზე, შესაძლოა სიჩქარემა სძლიოს, მიუხედავად უსუსტოს, სადმეც დაეცეს, თავბირი დაიღწეწოსო. გაეშურა მისაშველებლად, ოღონდ ჭერ ჩქამი არ ისმოდა სადარბაზოში, დაიგვიანა ჩქამმა. მერე ჭახანი გაისმა კარისა და მართლაც თავბირისმტკრევით დაეშვა ლილი, მართლაც მიუსწრო, გადაეღობა. ის კისერზე ჩამოვიდა ჩვეულებრივად და ისე უსაყვედურებდა, სად დაიკარგეო, გოგოებს იმედი გადაუწყდათ, ხელი ჩაიჭნიეს, ალბათ დაშთაერება აღარ უწერია ჩვენს ბარკლოფსაო. უწერიათ, დააიშედა. უკვე დავურევე, ახლავე მოვლენ, აბა ენაბოთ თუ უწერიათ.

ჰო ახლავე მოვლენო და მოვიდნენ, თუმცა მოვიდნენ კი არა, მოცივიდნენ თქვათაქუფითა, საყვედურებითა, ეს საყვედური მისალმებაც იყო, მიაღერებაცა, — რა არისო, გასწიე და გააწიაწიე, ამდენი ხანი ბუღას ქანდაკებასაც არ მოუნდებოდნენო. ბუღა რა არის, თვალის დახამხამებაში გამოკაქანდაკებ ბუღასაო. ახლა დიხაც გამოკაქანდაკებ. ახლა ადვილია, ჩვენ იმ პირველ მოქანდაკეზე მოგახსენებთო. ის არავინ იცისო. ჩვენ ვიცითო, ამდენხანს არ მოუნდებოდათ, ჰო ჩვენ ვიცითო და ვერც აუხიბდებოდა, ან როგორ აუხიბ-

დებოდა, ამათ თუ იცოდნენ, რაც არავინ იცოდა. მაინც მართალნი გამოდიოდნენ, აქამდის უნდა დამთავრებულიყო „გოგონები“. — „გოგონები“ თუ „მოლოდინი“? გოგონები იყოს, ახსნა აღარ უნდა, სურათმა ახსნას დანარჩენი, მოლოდინიცა, მისწრაფებაცა, ვაოცებაცა, ყველაფერი, ყველაფერი ახსნას, სათაურად „გოგონები“ კმარაო. რაც უნდა იყოს მალე დამთავრდება, აგერა ბარელიეფი, აგერ ესენიცა; ლილი, ნათელი, ნანა, მანანა... ლალო? არ მოსულა. ელოან გოგონებიცა, მალიმალ გარეთ იხედებიან, ხან საითაოდა, ხან ერთბაშად წაივარდლებენ კისერსა, ერთადვე შემობრუნდებიან, ჩვენ ავად გვეგონე, შენ კი სოფელი მოგივლია, მკუბარი გისვამს, მოფერიანებულხარო. ლალო მაინც არ მოდიოდა. ლილიმ თქვა, კიდევ დაეურეკეო, აირბინა, ჩამოირბინა, მოვიო. დღეს მაინც ვერაფერს ვაფაქებუბ, მხოლოდ შევთანხმდეთ, როდის მოვიყაროთ თავით. უღალოდ ვერ შევთანხმდებითო, ხელები ვაატატანეს გოგონებმა.

ლალოც გამოჩნდა, მაგრამ რა გამოჩნდა, თითქოს უფრო ვალეულაო. თხელი, ნაცრისფერი პალტო ემოსა, მაგრამ რა ემოსა, თითქოს ჯოხზე ჩამოუცვამო. ამათაც ემოსათ თხელი პალტოები, ისევ მზე იდგა, ოღონდ შესაძლოა ღრუბელი გამოჩენილიყო, მხოლოდ კაბას ვერ ენდობოდნენ, — ამათ რომ ემოსათ, მართლაც ემოსათ, იმას ეკიდა. მოდიოდა ნელა, საღდაც შორს გაქცეოდა თვალი, თითქოს ამთაქენ არც მოემართებან ვერცა ჰხედავსო. ესენი მიეგებნენ, თავი მაინც არ დაუღია, თვალი არ დაუხრია; შემოეხეივნენ, ის გამოუძღვა, ვითარცა წინამძღოლი, ამაყი, ძლიერი, დაჭრებული. თვალებზე ასე ემჩნეოდა, ჭალულ სახეზეც ემჩნეოდა ასევე, ყელ-კისერზეცა, მოღერებულ, დაძაბულ ყელ-კისერზედა. ასე წარმოდგა, მიესალმა, თვალებიც დაალო, მიმოატარა ამ სახელდახელოდ გამომცხვარ ატელიეში და სიცილი წასკდა, მოულოდნელი, უეცარი, მძაფრი, გამომწვევი. გო-

გონები გაშრნენ. ლილი აიღუნა, ფრიდონი ილიმოდა, მერე აპყვა მოცინარსა, სიცილი რომ გაგაძღლდა, აპყვა, ცუდად ენიშნა და იმიტომაც აპყვა. ცხადი იყო, ატელიე იცინებდა ლალოსა. მამის ატელიე ზომ იცოდა და იცოდა, მამის მეგობართა ატელიეშიც მოველო, ყველა დიდებული გახლდათ, ყველა ერთიმეორეზე უკეთესი, ყველა ჰღირდა სანახავად, ეს საცოდაობად მოსჩანდა იმათთან შედარებითა. ასეთი არ ეგონა, ვერ წარმოედგინა, არ ენახა უბადრუკი სახელოსნოები და ცხადია ვერც წარმოედგინდა, ბევრად უბადრუკი არ ენახა, თორემ ეს რა სათქმელია. ჰო არ ენახაო, არც ელოდა და მოულოდნელობისაგან აუტყდა სიცილი. ლილის ერჩივნა, სილა გაეწნათ ასე საჭაროდა, უფრო მეტ ხალხში გაეწნათ სილაი. ატაციებულოყო თავისი გამონაგონითა, ატაციებულოყო, ხელოვანს რომ დაეხმარა თუნდაც ცოტახანობითა, დროებითა, ვიდრე ძია ბიბოს ატელიე ისევ მოიცილოდა, ატაციებულოყო ბავშვური უშუალობითა და უცებ სილა ენატრებოდა, მწარე სილა ენატრებოდა, ძლიერი, დაუზოგავი. აქამდისაც რომ გამოჩნდებოდა, აქამდის მიმხვდარიყო, ესოდენ დაცივნა თუ ელოდა.

გვიანდა ნატრობდა, ლალო იცინოდა, ველარ შეეკავებინა თავი, რას დაყრდნობოდა, აღარ იცოდა, — ისევ ფრიდონს მიეყრდნო და იცინოდა თვალებში მოგზნებული, დაწვეწვეწებული. ფრიდონიც იცინოდაო. ჰა?! ფრიდონიც დასცინოდა, თუ რისგან იყო ეს უხეირო თუ უგერგილო სიცილი. გოგონებსაც ანიშნებდა, თქვენც გაიცინეთო. თითქოს ანიშნებდა, როგორღაც ისე არაცრაცებდა თავსა. ჰა?! ისეთი რა ჩაიღინა, რა, რა ჩაიღინა ისეთი?! სახე მოერღვა, გაუშვავდა, თითები მოერკალა, თითქოს ეს არის, აგერა ისკუბებსო, მსხვერპლს დააცხრება, დაანარცხებსო ძარღვს გამოგლგეს და სისხლს დაეწაფება, დაეწაფება მოწყურებულო. ვერც წაუვიდოდა მსხვერპლი, არც ელოდა, იცინოდა, მხოლოდ იცი-

ნოდა, იცინოდა გაბმულადა. მინელდებოდა და მოსკდებოდა სიცილი, მინელდებოდა და ისევე მოსკდებოდა. ეს არ ითქმოდა უბრალო სიცილადა, არც ჩვეულებრივი დაკინვა გამოდიოდა, ბევრად მწვევე იყო, მწვევე იყო მეტისმეტადა, სიცილის გამომწვევი უკვე დაკარგულიყო, რაღაც სხვა სიმწვევე გამოისმოდა. აწურულიყვნენ გოგონები, ვისთვის მიეხედათ, აღარ იცოდნენ, ლილის შემოპხვეოდნენ, მაგრამ ეტყობოდა, ლალოს უნდა შემორტყმოდნენ, ლალო უნდა დაემშვიდებინათ. აწურულიყო ფრიდონიკა, აღარ იცინოდა, ოდნავ ხელს უთათუნებდა ლალოსა და ლილის შეპყურებდა, გოგონებსაც მიაჩერდებოდა, თითქოს ღამობდა მიმხედარიყო თუ რა მოჰყვებოდა ამ ატეხილ სიცილსა. მაგრამ სჯობდა რამე ელონა, ლოდინი უარესი გამოდიოდა.

— კმარა ლალო! — თქვა მწყრალადა, სხვა რა ელონა?!

ლალო შეჩერდა, მხოლოდ წამით შეჩერდა, ისევე მორათო სიცილი.

— კმარაო... კმარაო... — იწივლა ლილიმა, ფეხი წინ წადგა, ხელუბი წასწია, თუ დაცხრომია, დააცხრება და ეს არისო.

— რა გაწივლებს?! — კოპები შეიკრა ლალომა.

— კმარაო, ვითახრეს — ლილიმ გაიმეორა, ხმას დაუწია, ოდონდ მტკიცედ გაიმეორა.

— თუ ეცინებათ, იცინონ, სიცილის დაშლა აღარ გამოიგონია...

— ერთი თუ იცინის, თავს დასცინისო.

— ორნი ვიცინოდით, — ლალომ მოუჭრა, ფრიდონს გაპხედა შეთქმულივითა. იმან თავი ჩაღუნა, ცუდად გამოუვიდა, დასამშვიდებლად აჰყვა, თანხმობად მიუღია ან ეგებ არც მიუღია თანხმობადა, მხოლოდ გამოიყენა, სიტყვა მოუჭრა, თვალციკ გადაეღო ამაყადა. სახეზე აღმურმა უმატა ლილისა, ოდონდ ველარც ხმას აუწია, ველარცა თქვა უფრო მწარედ:

— შენ ცუდად იცინოდი.

— ცუდი სიცილიც არ გამოიგონია!

— მე გამოიგონია.

— შენი არ ვიცი, მე არაფერს გამოიგონია ცუდი. — კიდევ მოუჭრა, კიდევაც მოუჭრიდა, დამშვიდებულისყო, სიამაყე მოსჭარბებოდა, ისე მისუსტებულად როდილა გამოიყურებოდა, თუმცა პალტო ისევე ჩასთრევდა, მაგრამ სიამაყის იერი ჰფარავდა სისუსტესა, ძლიერი თვალები ჰქონდა, ძლიერი თვალებითაცა ჰფარავდა; ხოლო ლილის თითქოს გადაჰკარგოდა ძალა თვალებისა, სილამაზეც მოშლოდა; დამაბუღიყო მთელის სხეულითა, მომართულიყო ბიჭივითა, საკრივოდ მომართულიყო, თითქოს გოგონა აღარც იყო, ის კეთილი, მიაბიტი, ცუგურმელა გოგონა, თითქოს ბიჭად გადაჰქეულიყო, სიტყვით თუ ვერა, მუშტით დაიცავდო ღირსებასა. სხვა გოგონები მოჰყოლოდნენ ამ ორთა შუა, ერთმანეთს აჰკეროდნენ, ასუსტულიყვნენ, დააცეცებდნენ დამფრთხალ თვალებსა, — ხან ერთს მიაცეცებდნენ, ხან მეორესა, უფრო ხანგრძლივად ფრიდონს მიაჩერდებოდნენ, თითქოს ემუდარებოდნენ, იღონე რამეო. იღონა და ეგ იყო, შეაწყვეტინა სიცილი. თუმცა ვინ იცის, ის იყო უნდა შეეწყვიტა, მოეთავებინა, შეძახილი და მოთავება დაემთხვა ერთმანეთსა; რაც უნდა ყოფილიყო, კიდევ ელონა, ისიც ამისი ღვაწლისა ყოფილიყო, კიდევაც ელონა, ერთმანეთი არ დაექოჩრათ, საბიჭო საქმე არ დამართოდათ გოგონებსა.

— დღეს მუშაობა არ მოხერხდება... — იტყვის ფრიდონი, — ხვალ შევიკრიბნეთ... არა, ზევა... მახეგ, მახეგ იყოს. — მიადვენებს საჩქაროდა, მანამდის შერიგებასაც მოასწრებენო. მაგრამ გაკლენიანი ვერ გამოდგება ეს ნათქვამი, თითქოს არც გაუგონიათო. ლილის მაინც საპასუხებელი დარჩენოდა, ვერც დასტოვებდა უპასუხოდა:

— მე გამოიგონია და შენგან გამოიგონია ცუდი.

— ჩემგან?! ცუდი ჩემგან?! — ლალო გაიოცებს.

— შენგან... — ლილი უმეორებს, იგრძნობს სიტყვის ღონესა, მუშტებს დაუშვებს, ოღონდ დონიჯს შემოიდგამს, ეგება დასჭირდეს, ისევ მალე მომართავს მუშტებსა.

— ჰმ, ჩემგან ცუდი... — იტყვის ისე, ვითომდა რაო, ღირსიც არა ხარ პასუხისათ.

— დიას, ცუდი... დედობილი მძულსო, რამდენჯერ ვითქვამს, რა არის ესა, ცუდი არ არის?! — დონიჯს შემოიდგამული ჰკითხავს ლილი, ფრიდონსაც მოაულებს თვალსა, გოგონებსაცა, დამიდასტურეთო. გოგონები თავს ჩაჰკიდებენ, ფრიდონი თვალსაც არ დაახამხამებს. — ცუდია, — თვითონვე იღასტურებს ლილი, — სიძულელი ცუდია და ეს სიციულე შენგანა მსმენია.

— ეგ შენ არ გეხება... — ამბობს ლალი.

— გამიგონიამეთქი... — უტევს ლილი, მრისხანება არ მოჰკლებია, თავდაჭერება მოემატა და უტევს დაჭერებულს.

— მაზეგ შევიყრით თავსა, — ფრიდონი იმეორებს, თითქოს ბრძანებასაცა ჰგავს ეს გამეორება. ლილი სთმობს, ჩამოჰყრის დონიჯსა. ლალი არა სთმობს.

— არა, — უარობს ლალი, — უამისოდაც არ ვივლიდი აქა. მოიცლის მამას ატელიე და...

— მე იქ აღარ მოვალ. — ამბობს ლალი.

— ერიპაა, — შესძახებს ფრიდონი, — ბოლოს აღარ მიმადევნებინებთ?!

— მოიცლის მამას ატელიე და...

— მე იქ არ მოვალ!

— შენი ნებაა!

— შენიც ნებაა!..

— ჩემი? — ფრიდონი იკითხავს, — ჩემი ნებაც თუა, ჯერ აქ ივლით, მერე იქა. მაზეგ მოვიყრით თავსა.

— მე ნუ მელოდებით. — შეუვლია ლალი.

— ლალი!.. — ნათელა შეჰხედავს წყრომიათა.

— ლალი!.. — ნანა შეჰხედავს მუდარითა.

— ლალი!.. — მანანა შეჰხედავს ცრემლმორეული.

— ნუ მელოდებით, — უღმობელია ლალი, — არც მომწონს ეს „გოგონები“... სადღაც მირბიან, სად მირბიან? რად მირბიან? არ მომწონს ასეთი კომპოზიცია. რახან გოგონაა, უსათუოდ უნდა დახტუნაობდეს, ასკინკილაზე იდგეს, დაკერობანასა თამაშობდეს, ჰქუა არ უნდა ეკითხებოდეს, რახან გოგონაა. გოგონას ჰქუაცა აქვს...

— შენს დღევანდელ საქციელში ჰქუას ვერა ვხედავ. — ისევ ლილი შეეხმის.

— ვერც დაინახავ... — ცივად ჩაიციენებს ლალი, საამისოდ გონება არ გეყოფათ.

— ლალი!.. — წყრომა ემატება ნათელასა.

— ლალი!.. — მუდარას უმატებს ნანა.

— ლალი!.. — ცრემლი ემატება მანანასა.

— ერთისიტყვით, ნუ მელოდებით!.. — შეჰკეილებს ლალი, ადგილიდან მოწყდება, კართან შემოტრიალდება, სახე ისე მოექცევა, თითქოს კიდევ უნდა გაიცინოსო, კიდევაც ჩაიციენებს, ოღონდ მაშინვე ტირილი ამოსკდება და ეგრე გაფარდება კარში. გოგონები გაეკიდებიან, აქეთაც შემობრუნდებიან გაოცებულნი, დაბნეულნი, მერე ისევ გასდევენ, შემდეგ ერთი კვლავ გამობრუნდება, ორი თან მისდევს, ერთი იმათგანიც შეჩერდება, ერთიღა მიჰყვება, ისიც ველარ მიჰყვება, ჩამოსცილდება. თავს მოიყრიან, გამტყუნებენ ერთმანეთსა. ან ვერ შეთანხმდებიან, შეკამათდებიან, გაიბუტებიან. ვინ იცის სამუდამოდაც გაიბუტებიან. სხვა დროსაც გაბუტულან, მაგრამ ის სხვა იყო, პატარები ბრძანდებოდნენ, მას მერე მოჩიტულან, მოზრდილან, გაბუტებაც სხვანაირია ახლა, შეურთგალია ან ძნელად შესართგალი. გვიან, ხანში რომ შევლენ, ადვილად იტყვიან, სულულები

ვიყავითო, ოღონდ ახლა ვერ იტყვიან  
 ეგრე ადვილად, მრისხანებენ ახლა, რაც  
 ძალა გააჩნიათ, მრისხანებენ და იშლე-  
 ბიან; იშლებიან გოგონები, ვერც დაამ-  
 თავრა „გოგონები“, ისე იშლებიან, დაი-  
 შალონ, ეს მინც დაამთავრებს, მოათა-  
 ვებს უამათოდა. დამთავრებულეითაც  
 ითქმის, განწყობილება დაჭერილია. გან-  
 წყობილება ბავშვობის მოთავებისა, რა-  
 ლაც ახალის, ჩერ შეუცნობელის, გაურ-  
 კვეველის, ბუნდოვანის დასაწყისისა.  
 ბუნდოვანისა, ოღონდ მიშრიდველისა.  
 ამიტომაც მისწრაფიან; ამიტომაც წა-  
 კიდებულან, განა იციან რად წაკიდებუ-  
 ლან, — არა, არაფერი იციან, გვიანლა  
 მიხედებიან, ბოლოსლა მიხედებიან და  
 იტყვიან, ახ, რა სულელები ვიყავითო.  
 ეგება ველარც შეხედნენ ერთმანეთსა და  
 ცალცალკე თქვან, თქვან ვილაც სხვას-  
 თანა, მანამდის უცნობსა თუ უცხო-  
 თანა, მაგრამ სულერთია, იმისთვისაც  
 ნაცნობი იქნება ეს ამბავი, იმასაც ექნე-  
 ბა ასეთივე მოსაგონარი, იმასაც წამოს-  
 ცდება, — რა სულელები ვიყავითო, არ  
 გაგვეგებოდა ბუნება რომ გვიხმობდა,  
 იღუშალებას ვერ ჩაეწვდომოდით, ხმა-  
 ნებები ვერაფრით აგვეხსნა, ვერც გა-  
 მოვტეხილიყავით თუ რა გვეხმანებოდა:  
 არც გაგვეგებოდა, ვერც გამოვტეხილი-  
 ყავით და ერთმანეთს ვეკინკლავებო-  
 დითო, — რა სულელები ვიყავით, ჰოი,  
 რა სულელებიო...

## XIX

კიდევაც დანატრებდნენ, მინც და-  
 ნატრებდნენ, ის დრო სჯობდათ, —  
 ყველა დანატრის ბავშვობასა, ისინიც  
 დანატრებდნენ, „გოგონებსაც“ მოიგო-  
 ნებდნენ, მაგრამ ვინ უწყის მიაგნებ-  
 დნენ თუ არა, — ატორი ბედმაც რომ  
 არ დასწიხლოს, ვინ იცის თვითონვე  
 სად მიაგდოს ან მიატოვოს „გოგონები“.  
 თუმცა ეცდება, გამოფენაზე გაიტანოს,  
 საგაზაფხულო გამოფენაზე, — თუ გა-  
 ტანინეს; თუნდაც ვაატანინონ, შემფასე-  
 ბელნი თუ მორეცენზიენი არ მოიხსე-  
 ნიებენ, არავის უჩრევენ და მიიკარგება,

მიჭკრება უკვალდა. ჰქუა რომ იხმა-  
 როს, იქვე, სადმე გოგონათა შორის ერთ-  
 თი ორი ბიჭიც ჩაქედლოს თუ ჩააყენოს  
 და რაღაც სხვაგვარად მიაწეროს მამინ  
 სხვა იქნება, კიდევაც მოიხსენიებენ,  
 ბევრსაც ილაპარაკებენ, სადმეც გამოი-  
 ყენებენ, ჭებასაც მიიღებს, ფულსაც  
 მიიღებს, მხოლოდ ჰქუა უნდა, მხოლოდ  
 ჰქუა იხმაროს, მეტი არაფერი სჭირდე-  
 ბა. ამდენი ჰქუაც არ გამოჰყოლია, რაც  
 გამოჰყოლია, არც დაანებებს, რაიმე  
 დაუშატოს „გოგონებსა“, დაე დაჩკარ-  
 გოს, დაე ბევრიც რომ ეცადონ, ველარ  
 მიაგნონ დაბერებულმა „გოგონებმა“.

გოგონები კი არა ამირანიც რომ და-  
 გეკარგოს, ნურას ინაღლეუბო, ოღონ-  
 დაც მისწვდი მშვენიერსა, სხვა ნურა-  
 ფერი გენაღლეუბო. რაღა მიწვდომია  
 თუ დაეკარგება? რაღადღა მისწვდეს,  
 ამოდ თუ ჩაივლის? დედა თუ ფიჭ-  
 რობს, არ ჩაივლის ამოდო, ოღონდაც  
 მისწვდი, არაფერს ჩაუვლია ამოდა, არც  
 არაფერი ჩაივლოს ამოდო. ნუგუშის-  
 ცეშა, დედაა, დედურ ნუგუშა სცემს.  
 ეგება სწამს, ეგება დაჭერებითაც ეუბ-  
 ნებოდა, ალბათ სჯერა, არც გასაკვირია.  
 სოფლად გამოეკეტილა, აჭურვი ალარა-  
 ფერი იცის, მხოლოდ სურს, გამარჯვე-  
 ბა უნდა შეიღოსა, სურვილს გამოს-  
 თქვამს იმედინადა, არაფერს ჩაუვლია,  
 არც არაფერი ჩაივლისო. მაგრამ აი, ტე-  
 ლევიზორში გადმოდგენ ბატონი გენადი  
 ანუ გელი, ბატონი ამბროსი ანუ ბიბო,  
 ბატონი ნესტორი ანუ, — თუმცა ამას  
 არ დაუმოკლებია თავისი სახელი, არც  
 შინაურული შეძახილი გამოუტანია გა-  
 რეთა, მამ აქ ანუ აღარ გამოადგებო-  
 და, ოღონდ თუ მინც არ უნდოდა ჩა-  
 მორჩენოდა მეგობრებსა იყოს — ანუ  
 ნესტორი, ე. ი. ნესტორი ანუ ნესტო-  
 რი, ერთისიტყვით ტელევიზორში გად-  
 მოდგნენ და თქვეს...

მამ ბატონი გელი, ბატონი ბიბო და  
 ბატონი ნესტორი ტელევიზორში გად-  
 მოდგნენმეთქი... შუაში გელი ბრძან-  
 დებოდა ანუ იგულისხმეთ, — ბიბოსა  
 და ნესტორის შუაში, თორემ ისე, იქ  
 სხვაც იყო — დიქტორი ქალიშვილი,

მშვენიერი ასული, ულიმონა, შესცინონა, შეხარონა, თითქოს ამათზე ამოსდის მზე და მთვარეო. მაგრამ ნუ აღვეძვრით შერი, თუნდაც მოშურნენი იყვით, იმათ წინ ხომ სხვას შეხარონა, სხვათა და სხვათა, ამათ მერეც შეხარებს ასევე სხვათა და სხვათა, ეს სამსახურის სიცილია, მეტი არაფერი იფიქროთ, ეს ყუყუნი თვალთა, ეს სანდომიანი წამოწველმა ბაგეთა სამსახურისაა, სულ სამსახურისა: ჰოდა ისიც აქ გახლდათ, ჰოდა შეხარონა, თითქოს ამათზე ამოსდის მზე და მთვარეო, ის ეკითხებოდა, ესენი მიუგებდნენ: ის აუყუყუნებდა თვალებსა, ამათაც უნდოდათ წაეყუყუნებინათ, ის მოხდენილად არხევედა ბაგეთა, ლამაზად გამოსთქვამდა, ამათაც უნდოდათ მოხდენილად გამოეყვანათ ტუჩები, მაგრამ უფრო ეგრიხებოდათ, სიტყვა ეხშობოდათ თუ ემტვროდათ და თავს ანებებდნენ მიბაძვასა, დაფიქრებულად მიუგებდნენ, გამსწავლულად, ბრძნულად, დამაჯერებლად. ოღონდ კარგი არტისტები ბრძანდებოდნენ ეს ვაებატონებიცა: დიქტორი რომ ეკითხებოდა, გეგონებოდათ, თვითონვე მოუფიქრებია, იქვე მოუფიქრებია და იქვე ეკითხებო, ესენიც ვითომც იქვე მიუგებენ, ვითომც წინასწარ არაფერი სცოდნიათ; გეგონებოდათ და ვერ მიუხედედოდით, თვითონვე რომ დასწერეს შეკითხვებიცა, პასუხებიცა, კარგახნით ადრე დასწერეს, წააკითხ-წამოაკითხეს, შესწორ-შემოსწორეს, დაიხებიერეს ბეკითი მოწაფეებიცა და მერედა გამოჰყენენ თუ გამოაყოლეს იმ თვალყუყუნა გოგონასა. ჰო ვერ მიუხედედით და არც არის საჭირო, — რა საჭიროა აბა ?! — მსჯელობდნენ ბრძნულად, დამაჯერებლად, საკმარისია ყველაფერად.

რაზე მუშაობთო, ეკითხებოდა თვალმზარა ასული, თუმცა უნდა ეკითხა, რას აკეთებთო, რასა იქო, რასა საქმიანობთო, მაგრამ არ იკითხა ასე, ისე იკითხა, მახინჯად იკითხა და მშვენიერად მოწყობილი ტუჩებიც დაუმახინჯა მახინჯად ნათქვამმა, თუმცა რა იმისი

ბრალია, როგორც დაუწერეს, ისე იკითხა, რა იმისი ტუჩების ბრალია, აფსუსს, რა მოხდენილად მოყვანილი ტუჩებისა! რაც იყო, იყო, რაზე მუშაობთო, ჯერ ნესტორსა ჰკითხა და მოდგა ისიცა, აქო თავისი „კოლონიალიზმის მსხვერვა“, აქო და აქო, ფრაგმენტის სახით მიხდოდა წარმომედგინა ამ საშემოდგომო გამოფენაზე, ოღონდ თავი შევიკავეო, აჩქარება თუ აცუნდრუკება ყმაწვილებსა სჩვევიათო, ხოლო საგაზაფხულო გამოფენისათვის უთუოდ გამოვიტან სკულპტურულ ჯგუფს კოლონიალურ უღლისაგან განთავისუფლებულ სხვადასხვა ერთა, მრავალ ერთა ძლევადასაღებების გამოხატულებასაო. ჯერ ერთი შეკვანიანი გამოეძერწა დამსხვერვლ ბორკილებით ხელში, — ეტყობა ამისთვის დაურქმევია ფრაგმენტი, ახლამდენიმეს კიდევ ამოუყენებს აქეთიქიდანა და ალბათ ეს იქნება „სკულპტურული ჯგუფი“... ოღონდ გაფიქრებასაც არ აცდიდნენ, უკვე ბიზო ლაპარაკობდა თავის შორეული ცურვის კაპიტანზე, იქაც ჯგუფი იქნებოდა, შემართება, მალლა აწეული თავი და სხვა, ეს უფრო ვრცელდა ლაპარაკობდა, ესკიზებიც გამოაჩინა... მამ დაუწყია, მამ მალე შორებო. აქ უკვე გენადიმ მოიღერა ყელი, ესკიზები თუ ნახაზები არ მოუშველებია, ხმა ისეთი ჰქონდა, საბუთები აღარ უნდოდა იმა ხმასა, — ძლიერი ხმა ჰქონდა, ძლიერი, მეღერი, ზოგჯერ იქამდის აიწევდა, თითქოს იმტვრევას და სწორედ მაშინ აღწევდა დიდ ზემოქმედებას: ამირანი თითქმის დაემათავრეო. ამირანი გმირია, ოღონდ გმირი მარტო არ არის, გმირი ხალხით არის, ხალხი იქნება ჩემი ამირანით; თქვენ იცით, ისტორიაა ჰქმნის გმირება და არა გმირი ისტორიასაო, მე გამოვსახავ თუ როგორაა ჰქმნის ისტორია გმირსაო... და ქვეყანა უსმენდა... ხოლო შენ შენსა ეცადე, ნურავის ყურს ნუ უგდებო, სათქმელად ადვილია, ჰო ადვილია, ყურს ნუ ათხოვებო თუ ნუ უგდებ ყურსაო, აბა, ნუ უგდებ ყურსა, ქვეყანა უსმენს, შენ მოუყრუე, შენ

შენსა ეცადე, შენსა მისწვდი და მერე დააჯერე ვინმე, რომ შენ მისწვდი, ის კი არა, დააჯერე აბა დააჯერე! ყურები რითაც გამოუჭედიათ, ისიც არა სჯერათ, ჩადუმებულისა თუ გაყუჩებულისა რა უნდა დაიჯერონ. ან როგორაა: დარჩეს აქ დარჩეს, ხეზალაბა შემოეხვეს, სურომ გადაუაროს, ოღონდ მისწვდიო. რიდასთვისა?! აგერ აუწყებს ქვეყანასა, ეს აუწყებს და ამას დაულოდებიან, შენ რიდასთვისა უნდა ეცადო, — ოდესმე გაიგებენ, ოდესმე აღიარებენ?.. როდისღა მერე? „შენ ოღონდ მისწვდი!“ ჰა?..

აქ უკვე სხვას იკითხავს თვალმახარა დიქტორი, — რა აზრისა ხართ თანამედროვე დასავლეთის ქანდაკებაზეო. საამისოდ გენადიმ გამოიღო ხელი და კაა ბლომად ლაფიც გადაასხა დასავლეთის ქანდაკებასა: დაცემის გზაზე დგასო, არა, უკვე დაეცაო, აბსტრაქციონიზმი სრული დაცემა ქანდაკებისა, ველარც ვეღარასოდეს აღორძინდება თუ ძირეული სოციალური ცვლილებები არ მოხდა დასავლეთშიო; აბსტრაქციონიზმი ჩვენი საბჭოური სინამდვილისათვის სრულიად უცხოა, მაგრამ მაინც არა ვართ დაზღვეული ამ საშიშროებისაგანაო. ახალგაზრდობა იოლად ასდევს ცდუნებებსა, ჩვენ მოვალენი ვართ დროზე განუუმარტოთ და სწორ გზაზე დაგაყენოთ... — ეს მხოლოდ შინაარსია ნათქვამისა, ასე მოკლედ როდი ულაპარაკნია, რახან ერთი ზედ შედგა, აღარც ჩამოსულა, მისდგა და მისდგა, დაისისხლიანა პირი. დიქტორი ცდილობდა, შეეჩერებინა, კიდევაც შეაჩერა, დრო ამოიწურაო, საამოდ მოახსენა, კიდევ შეეხედებითო, დააიმედა. შეეხედებითო, დაუდასტურა გენადიმაცა, უფრო დაწვრილებითაც მოგახსენებთო, აღუთქვა. ეს როდის იქნებოდა, იქვე არ დაუდგენიათ, მერეც ზელახალი შეთარხმებანი უნდოდა, ამათ კი ლაპარაკის საღერღელი აშლოდათ და ვერც მოსვენებდნენ თუ არ მოიღლიდნენ ყბებსა. ჰოდა კაფეში მოიღალეს ყბები, ოღონდ ცისფერ კაფეში როდი, ნამდვილ

კაფეში. ცხადია ამას აღარ უჩვენებდნენ ტელევიზორითა. კარგახანია დაემშვიდობა თვალმახარა დიქტორი, უსურვეს შეეძომქმედებითი წარმატებანი რაატქმუნდა თვალთა ქუეყნითა, ტუჩების სანდომიანი მოყვანილობითა. ჰო, დაემშვიდობა და უიმისოდ ისხდნენ კაფეში, „შამპანურს“ უსხდნენ, „შამპანურსა“ სვამდნენ: — ჩვენში მაინც არა მგონია, ვინმეა, ვინმე აპყვეს აბსტრაქციონიზმსა — თქვა ბიბომა.

— ხომ აპყვენ იმპრესიონისტებსა? — გენადიმ იკითხა.

— აპყვენ. — ნესტორმა დაუდასტურა.

— ეგ ოციან წლებში იყო, მაშინ არ ჩვევანი ჯერ კიდევ შეიძლებოდა. ახლა? — ბიბომაც იკითხა, იკითხა ურჩადა.

— ცდუნება ყოველთვის შეიძლება. — გენადიმ განაცხადა.

— შეიძლება... — კვერი დაჰკრა ნესტორმა.

— რაც უნდა იყოს ძიება. — არ დასთმო ბიბომა.

— მაზინჯი ძიებაა. — წვრილი თვალები დააბრიალა გენადიმმა, რა დაგეშართა, ნუთუ ამდენიც აღარ გესმისო.

— ჩვეწში მაინც არავისა სცხელა საამისოდა. — ისევ ბიბომ თქვა.

მძულვარედ გაპხედა გენადიმმა, მძულვარედაცა დაკვირვებითაცა, მართლა ვერაფერს მიმხვდარა თუ მე შალიზიანებსო, — ვერ გაუგებდა, ვერ ჩასწვდებოდა, თუმცა კარგად შეესწავლა ხვეულები იმისი სულისა, ამჯერად მაინც ვერ ჩასწვდებოდა. ბიბო ბრაზობდა, ოღონდ არ იმჩნედა, ბრაზობდა ტელევიზორში თითქოს დასაკითხად რომ გაიყვანეს და მერე მოწმესავით დასვეს. ქანდაკების მენაირალტრედ გენადი წარმოდგა, იმან განსაზღვრა წარსულისა თუ მომავლის გზები, იმისი ნება და გემოვნება საზომად დაისახა, — რაც შექმნილია იმის საზომად, რაც შეიქმნება, იმის საზომადაცა. ბიბო და ნესტორი თითქოს უდასტურებდნენ, ისე ისხდნენ რომ უდასტურებდნენ, — ღიახაც ეს არის,

ქეშმარიტება დაღაღებს ამისი ბავითოთ. ნესტორს კიდევაც ეკადრება ასეთი თაყუანისცემა, მაგრამ ამას, ბიბოს ეკადრება განა? რატომ მოეწყო ასე? გენადიმ მოაწყო და ასე მოაწყობდა, მაშ რაო, მაინც სხვანაირად როგორ გინდოდა? — აქ მხროლედ ახელებდა და ფიქრს აღარ მოადევნებდა, მხოლოდ ბრახობდა, ოღონდ სიბრაზე ამკარადაც ვერ გამოეტანა, ბანზე აეგდო, ვითომდა რაო, ყველაფერი დიდებულია, ყველაფერში თანახმანი ვართ, ცოტა ეს არის, აბსტრაქციონიზმის საკითხები გვაქვს დასაზუსტებელიო. გენადის თვალსა თუ ალმოს რა გამოეპარებოდა, მაგრამ ეს მაინც გამოეპარა, — ალბათ, ვერას მიმხვდარა და სჯობს პირდაპირ ვუთხრა, გადაკრული კიდევ უფრო დააბნევსო.

— შენა გცხელა. — თითი გულზე დააბჯინა გენადიმა.

— შეეე?! — გაიკვირა ბიბომა.

— შენა გცხელა. — ახლა ნესტორს მიაბჯინა თითი.

— შეეეეე?! — ბევრად მეტად გაიკვირა ნესტორმა.

— მე მცხელა... — გულზე დაიბჯინა თითი და ერთი წამით შიში გამოუტარა თვალეში, ოღონდ მალე გადიოყარა შიში, მაინც ველარცერთს გაუსწორა თვალი, სისუსტე არ შემატყონო, თავი დაღუნა და ისე განავრძო, — ახალგაზრდობა რაღაც ძიებებშია, აბსტრაქციონიზმი თუ მინამგვანია, ან თუ მინამგვანიც არ არის, ვინაა ახლა მაგისო გამრჩევი. ჩვენი მოვალეობაა გავაფრთხილოთ. იქ უკვე დაიწერა. — თავი გადაიქნია, თვალეში მილულა და ისე გადაიქნია თავი, — იქ უკვე... აქ ჩვენა ვართ, ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ.

— ალბათ გვეტყვიან... — ნესტორმა წაიბუზღუნა, ვითომდა რაო, რას აგვიანებენო.

— ვინც ვვეტყვის, იმანვე გაიმეოროს. — ჭიქა ასწია ბიბომა, ვინმე ვალეგრძელოთ თუ ასევე დავლიოთო.

— დღეს რაღაც არ მეცნობი, — მახა დაუწია გენადიმა, ვითომდა რაო, ჭი-

ქა მიშლის, უფრო კარგად უნდა შემოგხედოო.

— გამდიდრდები. — სიტყვა აუტყრა ბიბომა.

— გამდიდრებისა რა მოგახსენო, მაგრამ აბსტრაქციონისტებმა თუ გაიმარჯვეს... — წაიხრება გენადი, კისერს წაიგრძელებს, მიიწევს, მიიწევს სისინითა.

— თუ გაიმარჯვეს... — ქირქილებს ნესტორი, ვითომდა მე რაო, ვითომდა გენადის რაო, შენ იკითხეო.

— გელანდებათ... — არა სთმობს ბიბოი.

— გველანდება?! — სისინებს გენადი, სულ ახლოს მისულა, ისევე წაბრილი, კისერწაწვდილი.

— გველანდება?! — იკითხავს ნესტორიცა, მიიწევს ისიცა, შუაში მოუქცევიათ განრისხებულთა, თითქოს უნდათ მოჭყლიტონო. არ იმჩნევს ბიბოი, ისედაც მაღალია ორივეზე, სარქენად რომ წამოლერებულა, კიდევ უფრო მაღალი და ძლიერი მოსჩანს. არც ეჩოთირება, ეგრემც ყოფილანო. გენადი შენიშნავს და გასწორდება, გასწორდება ნესტორიცა, ეს ცხადია, ამას თქმაც არ უნდა, გული მოსიდოთ, თანაც ხარობენ ჩუმ-ჩუმად, ახლავე ცვილივით მოვარბილებთ ამ ჩვენს ძვირფას მეგობარსაო. იციან, სჯერათ და ხარობენ, კარგად იცნობენ და იმიტომაც იციან თუ ხარობენ, მაშ რაო, რიღას მეგობრები იქნებიან, კარგადაც რომ არ იცნობდნენ, — სჩვევია ასეთი ახირება, დათმობაცა სჩვევია, მაშ რაო, მაშ რაღა მეგობრები იქნებიან თუ არ დაუთმეს, თუ არ გაუგეს, თუ არ აპყენენ ერთმანეთსა. ელიმება გენადისა, ილიმის ნესტორიცა. ერთიმეორეს შეჭყურებენ და ილიმიან, ილიმიან დამციანავადა, თითქოს უღმობელი უნდა იყოს ის ლიმილი, მაგრამ არა, კეთილად ითქვას, მეგობრები ილიმიან და ითქვას კეთილად. შამპანურს მოსვამს გენადი, მოსვამს ნესტორიცა. ვაზი იშლება, ღვინო დნება ენაზედა. ტკბება გენადი, ტკბება ნესტორიცა, ვადახედავენ, ასე ამაყად რომ შემართულა

ბიბოი, გადახედავენ და ტყეებიან.  
 — არასოდეს არაფერი მომლანდებია, — აცხადებს გენალი, — მოჩვენებებისა არაფერი გამოვგება.  
 — არც მე. — დასძენს ნესტორი.  
 — თვალი საღი მაჭვს.  
 — მეცა. — დასძენს ნესტორი.  
 — გონება ნათელი.  
 — მეცა. — დასძენს ნესტორი.  
 — და რასაცა ვხედავ, ვხედავ აი ასე. — დაძებდავს ხელის გულსა.  
 — აი ასე. — ხელის გულს გამოშლის ნესტორიცა.  
 — ასევე ვხედავ... რის ლანდებო, რა ლანდებო, ასევე ვხედავ ამასაცა, იმასაცა...  
 — იმასაცა... — დასძენს ნესტორი.  
 — ყველაფერს დაგეჟურებ ასე, ყველაფერსა, რაც უნდა იყოს, თუნდ დიდი რამ მოვლენები იყოს, თუნდაც წერიმილი ამბები, თუნდაც ქანდაკების ბედი იყოს, თუნდაც ბედი მეგობრისა.  
 — ბედი მეგობრისა... — დასძენს ნესტორი.  
 — ვხედავ ნათლად, ისევე ნათლად, როგორც დღისით, მზისით კოჭრის გზაზე შეიძლება გამოჩნდეს დადარღინებული... დადარღინებული...  
 — დადარღინებული... — დასძენს ნესტორი.  
 — შენი შეგირდი თავის მანუგეშებელთან ერთად.  
 — მანუგეშებელთან ერთად. — დასძენს ნესტორი.  
 — ვისთანა?! — სახე ამღვრევა ბიბოსა.  
 — მა-ნუ-გე-შე-ბე-ლთა-ნა... — ნესტორი დაუმარცვლავს.  
 — ნუგეშისცემა ხომ უნდოდა იმ დღესა, „ქალი“ რომ გადმოუგდეს? უნდოდა... კაცი კაცით არისო, ნათქვამია, კაცი ქალითაც არის, „ქალის“ დამწუხრებულს ქალივე ანუგეშებდა.  
 — სიცრუეა!.. — კბილებში გამოამტკრევეს ბიბოი, — სიცრუეა! — გაი-

მეორებს და მუშტებს მოიღერებს, თითქოს ვილაცას უნდა დასცხოსო...  
 — ნეტავი ანგრე!... — მარავსაქმნიშენელობითა თუ თანაგრძნობით ამბობს გენალი.  
 — ნეტავი ანგრე... — დასძენს ნესტორიცა.  
 — ველაპარაკე... ვიცი... სიცრუეა! — ხმას აუწევს ბიბოი.  
 — ელაპარაკე?! — ქირქილებს გენალი, — ვანა ქალს რამე დაეჯერება?!  
 აღარას დასძენს ნესტორი, მწვავედ ითქვა, ძალიან მწვავედა, გააფუტებს ამ სიმწვავესა, მიხვდება და აღარას დასძენს. დაე იაროს შხამიანად ნათქვამმა, ჩაეონოს წვეთ-წვეთადა, ჩაეონოს, ჩათქოროს, გაუჯდეს. თქოროვს კიდევაცა, ნელნელა ილუნება გაშლილი მხრები, ცვივა მკლავები, ირღვევა წელი, ლამის მაგიდაზე დაეარდეს ბიბოი. კონიაცს მოითხოვენ და სთავაზობენ მეგობრები, გამხნევიდო, შესძახიან აქეთ-იქიდანა, სუამენ, ასმევენ, ლაპარაკობენ, მხოლოდ ესენი ლაპარაკობენ, ის აღარა, აღარც უსმენს, აღარ ენაღვლება აბსტრაქციონული ცდუნებანი, „შორეული ცურვის კაპიტანიც“ აღარად უღირს, არც ამისი „ამირანი“ ედარდება, არც იმისი „კოლონიალიზმის მსხვერვეა“ თუ ნეოკოლონიალიზმი, აღარაფერი ენაღვლება, მოშლილა, მოფუტუნულა. მაგრამ ეგ არაფერია, იციან მეგობრებმა, მაშ რაო, რაღასი მეგობრები იქნებიან, ამდენიც არ იცოდნენ, — იქნება ასე, ერთხანს იქნება მოკუნტული სიმწარითა, სულით-ხორცგაყრილი იქნება, მერე აიშართება, ჯავრი ამოეზიდება, ჯავრი გამართავს წელში, წელან რომ იყო, ისე აიშართება, ოღონდ ისე ამაყად როდი, ამაყად არა, მრისხანედ აიშართება, წამოეგზნება შურისძიებადა და საითაც მიუთითებ. ვადაეარდება თვალისდაუხამხამებლად, თუნდაც ხრამში ვადაეარდება, — იციან, რათქმუნდა, იცნობენ მეგობრები, მაშ რიღას მეგობრები იქნებიან...



# საბავშვები ხმათა და ფერთა

## პოემა

### ფიქრი

ვინ იცის, მიწა რამდენხანს იწვა  
 უსასრულობის უაზრო ზღვაში.  
 როდესაც ფიქრი გაუჩნდა მიწას,  
 აზრი გაუჩნდა სიცოცხლეს მაშინ.  
 ფიქრია მიწის პირველი მკვიდრი,  
 პირველი ცეცხლი, პირველი ბოლი.  
 დღეს დედამიწა სასუნა ფიქრით,  
 ფიქრთა ყუთინით, ჭიდილით, ბრძოლით.  
 მიწის ფიქრია ბალახი ნედლი,  
 უმანკო, როგორც ღიმილი ბავშვის.  
 მიწა სულს უდგამს ვაზსა და ჯეჯილს,  
 ხე მიწის ფიქრებს ამაღლებს ცაში.  
 მიწის ფიქრია მალაა ღრუბელი,  
 ძირს — ყვავილები ნაირნაირი.  
 ხმელეთის კეთილ ფიქრთა სურნელით  
 გაელენთილია ახლა ჰაერი.  
 ფიქრია მწვანე, ფიქრია ლურჯი,  
 თეთრი, წითელი, რუხი და შავი...  
 ზოგ ფიქრს ტილოზე აცოცხლებს ფუნჯი,  
 ზოგიც ედემის ბაღებად ჰყვავის.  
 მიწის ფიქრსა აქვს ათასი ფერი,  
 ათასი ხმა და ათასი თვალი,  
 კვნესის და გალობს, მოსთქვამს და მღერის,  
 ბღავის უხეშად, ჩურჩულებს კრძალვით.  
 ხან სუნთქვას იფხებს გრიგალურ ბორცვით,  
 ხანაც პეპელას ფრთებით ირთვება.  
 არწივი, გვრიტი, მტრედი თუ ორბი  
 დღეს დაფრინავენ მიწის ფიქრებად.  
 ფიქრის შვილია ნიავის ნანა  
 და ვნებაც — სავე ლტოლვით და  
 გზნებით.  
 მიწის ძველ ფიქრთა ძველებად დგანან  
 ლურჯ ცაში თეთრად აწვდილი მთები.

არ იკარგება ფიქრი უკვალოდ,  
 თუმც ბევრნაირი სიკვდილი იცის.  
 კენჭი ფერადი, კენჭი უბრალო  
 გაქვავებული ფიქრია მიწის.  
 მე ახლა მიწის ფიქრებს ვუგალობ  
 და ჩემი ფიქრიც საამოდ იწვის

### ჯილდო

ფიქრს მიწის მადლი ესალბუნება  
 და სულის დროშას საამოდ არხვეს.  
 ვარ ბედნიერი — დედაბუნება  
 მეც მანდობს თავის ფიქრებს და ზრახვეს.  
 მე ვარ ფიქრებით მდიდარი გემი,  
 მაქვს ფიქრისავე აფრა ძლიერი,  
 ეს უდიდესი ჯილდოა ჩემი,  
 მე ამ ჯილდოსი ვარ მადლიერი.  
 მე ფიქრის აფრებს არასდროს ვკვყავ,  
 თავს სიკვდილისგან ფიქრებით ვიცავ.  
 ჯერ ვერ გავიგე, რას ფიქრობს ზეცა,  
 მაგრამ მე ვიცი, რას ფიქრობს მიწა.  
 ქვეყნად სიცოცხლის გაჩენის დღიდან  
 ჩემსკენ ილტვოდა მდინარე დიდი,  
 წმინდა და მღვრიე, მღვრიე და წმინდა.  
 მშვიდი და შმაგი, შმაგი და მშვიდი.  
 ჩემსკენ ილტვოდა მდინარე ფართო  
 ადამიანთა ფიქრის და ღელვის  
 და ახლა — მე რომ არა ვარ მარტო,  
 თვით ის უკვდავი მდინარე მშველის,  
 ფიქრთა მდინარის დუდუნი მშველის.  
 სხვა რა ვიწამო მე უკვდავებად,  
 ფიქრია ჩემი უკვდავი ღმერთი.  
 ვხარობ: დღეს ჩემი ფიქრი-ღვთაება  
 ფიქრების უმრეტ მდინარეს ერთვის,  
 სიცოცხლის უკვდავ მდინარეს ერთვის.

ფიქრს გზას ვერ უკრავს ხევი, ჭიუხი და ვერც გრიგალის აგუგუნება. ვარ მადლობელი — ფიქრთა სიუხვით დამაჯილდოვა დედაბუნებამ.

### ხმათა მორევი

კიდითი კიდე გავიდგი ფეხვი, იდუმალ გულში ჩაფეხვი ცხოვრებას და ახლა მიწის ყველა ხმა მესმის, არც არაფერი მუუცხოვება. პაუ, რამდენ ხმას იტყვს მთა-ბარი. ირგვლივ ტრიალებს ხმათა მორევად ქალის ქვეთინი, მუხის ხარხარი, ზღვის განგაში და ამთავორება. ტყე ილუმპება ღრუბელთა ცრემლით, ჩველი ბავშვივით ტიტინებს ღელე. ჩქარობს ჩაქუჩი, დუგდუგებს გრდემლი, ტრაქტორი ფატრავს მინდვრებს და ველებს.

მიწის წიაღში ხრიალებს ბურღი, ქვესკნელში ეძებს მადანს და ნავთობს. სამხრეთში გზები საესგა ბუღით, ჩრდილოეთში კი ყველაფერს ათოვს. გამოლმა ისმის სიმღერა ლაღი, გაღმა — ღრიალი ვაების ღვართა. ხეგებს ქუზილით აყრუებს ნაღმი, ეილაც ჩურჩულებს მონასტრის კართან. მე ვისმენ ცრემლის სიცილს და კენესას, ზოგჯერ ცრემლი სდის თვით უკვდავებას. თურმე წუშილი სცოდნია კლდეცაც, იდუმალია კლდეთა ვაება. ჩემამდე აღწევს ხმა იდუმალი მდუმარე ტაძრის, მდუმარე ზარის. მგზავრებს უხმობენ გზები უვალი: წუთისოფლის გზას ბუერი ჰყავს მგზავრი. ვინც კი გაჩნდება, მგზავრია მისი. და ვინც იხილავს მზის ელვარებას, ზოგს ნაადრევად უწრება სისხლი, ზოგს კი სიკვდილი ვერც ვკარება. მიდიან გზაზე კენტად თუ დასტად გიგი და ბრძენი, ბავშვი და დიდი, ბუერის გზა წყდება საფლავის ქვასთან, ზოგი კი მერეც მიდის და მიდის. მესმის ტყეების სულის დუღილი, მესმის უდაბნოს ჩუმი ვარამი და სასაფლაოს ლოდთა დუმილის. უხმო კივილი გულშემზარავი.

მდინარე ჩანჩქერს აბლავლებს მთაში, ხარ-ირემს უხმობს ფური ირემი, გალობს ტოროლა, ჭახჭახებს შაშვი ბილიკს მისდევენ მონადირენი. მძინარე ჭიუხს აღვიძებს ტყვია, მთას და ხეობას — ექოს ხივილი. მოკლული მგელი მდინარეს მიაქვს, არწივი ცაში მიჰქრის ყვილით. კბოდეს გოდებით სცვივა ლოდები. სადღაც ჭიხინებს დამფრთხალი კვიცი, მავანი იკლებს ზეცას გოდებით, მავანი ველარ იკაევებს სიცილს. ლიანდაგების ისმის გუგუნი, მატარებლების ისმის კივილი და ამ კივილით დამე უკუნი ხშირად გვიღვიძებს სულში ტკივილებს. მე ახლა ვგავარ რადიომიმღებს, ჩემში ხმაურობს ქვეყნიერება, უცნობი კაცი ხვამილად მიმსელს, სიმღერით მატკობს და მეფერება. ჩემს სიმარტივეს ასე ვართულებ, სიმარტოვეს კი ვუმართავ ბრძოლას. დღეს ტელეფონის ყველა მავთული აუტანია ჟრჟოლვას და თრთოლვას. ამ მავთულებში ზუზუნით გარბის ათიათასი ხმა და ამბავი, სვედა და შვება, ლუნა და დარდი, უმინშენლო და დასასტამბავი. სადღაც ომი, ხანძარი ბოლავს, თვითმფრინავები ყუშმარებს ყრიან. კაცთა სისხლისღვრას არ უჩანს ბოლო, მართალს და მტყუნას არ არჩევს ტყვია. გამოლმა აკვანს არწევან წყნარად, გაღმა ხმაურით კუბოს ჭედავენ. ეს ორივე ხმა დარჩება მარად, სიკვდილს რამდენიც უნდა ვედავოთ. სვაგი ვერ ძღება კაცის სისხლ-ხორცით. სიცოცხლე მაინც დიდ გზაზე მიდის. წინ მიჰყავს ხალხი სიკვდილ-სიცოცხლის ამ მარადიულ შუღლსა და ჭიდილს. სიკვდილ-სიცოცხლის გზათა გრუხილი მთებს ასცდა, უკვე, მიწვევს ცაშიც. ქვეყნად სიცოცხლე რომ არ ებილა, რაღას მოკლავდა სიკვდილი მაშინ? ვიდრე სიცოცხლე არ გაჩნდა ქვეყნად, სიკვდილიც არსად არ იყო ლანდად. სიცოცხლე არის სიკვდილის დედა და კუბოს ფიცარს აკვანი რანდავს.

მიმოდის ხალხი ვეება ხიდით,  
ათასფერია ხიდექვეშ მორვეი.  
სიცოცხლე არის. სიკვდილზე დიდი  
და მზეს ღრუბელი ვერ მოერვეა.  
კიდიით კიდე გავიდგი ფეხვი,  
სულში ძირამდე ჩავწვდი ცხოვრებას.  
ვხედავ ყველაფერს, ყველა ხმა მუხმის,  
ალარაფერი მეუცხოვება.

### ფერთა მეჯლისი

ერთხანს რატომღაც ენა დამება,  
მერე დაგბრმავდი, დაგვრუვდი კიდეც:  
ლექს აღარ ვწერდი და ეს წამება  
გოლგოთის მიმე ჯვარივით ვზიდე.  
დავწერე ლექსი, ვიგრძენი შეება:  
ისევ მომესმა ხმაური დიდი,  
კაცთა ცხოვრების ლანძღვა და ქება,  
ლორთქო ბალახის შრიალი მშვიდი.  
ფიქტა ფრთქალი, გრუბუნე ზვავის  
და ერთი ზვავის ქცევა ზვავებად,  
ატომის გრგვინვა, ჩხავილი ყვავის,  
მგლოვიარეთა უბმო ვაება.  
ეული ქარი ზუზუნებს მწარედ,  
კლდეებს ასკდება მკერდზე ფიქალი.  
სადღაც ებრძვიან ზარები ზარებს  
და ფრთებს აღუწავს გრიგალს გრიგალი.  
მესმის ყვავილთა ალერსი ნაზი,  
გულის ხმაური, სისხლის ხმაური.  
ბოლოს მომესმა ყაყანი ბაზრის  
და კვლავ დაგვრუვდი აურზაურით.  
ერთხანს რატომღაც ენა დამება  
ენადამული დაგბრმავდი კიდეც:  
ლექს აღარ ვწერდი და ეს წამება  
გოლგოთის მიმე ჯვარივით ვზიდე.  
დავწერე ლექსი, ვიგრძენი შეება  
და ამეტილა თვალები მყისვე.  
დღეს ჩემი მშერა უფსკრულებს სწვდება,  
აქ ქვეყნად ვამჩნევ ყველაფერს ისევ.  
მე მოვირჩინე ჯვარცმის იარა,  
კვლავ მეფერება ჩემი ფერია  
და ვხედავ: ცისქვეშ შვიდი კი არა,  
ათიათასზე მეტი ფერია.  
არის მეჯლისი ურიცხვი ფერის,  
მეჯლისში ფერი ფერს ეფერება.  
აქ ფერთა გუნდი საამოდ მღერის,  
უგალობს მზეს და ბედნიერებას,  
ოქით — ფერები ებრძვიან ფერებს,

ფერები მღვრიე, ფერები წმინდა  
და ამ სურათის დანახვის მერე  
ტირილიც გინდა, სიმღერაც გინდა  
მე ვხედავ ხელებს, ნისლეებს რომ იხვევს.  
ვხედავ უდაბნოს, ედემსაც ვხედავ,  
ვხედავ დახრკულ ძველისძველ ციხეს  
და იქვე ახალ სასახლეს ვხედავ.  
მჭედელი ერთი ლითონით ჭედავს  
გუთნებს, მახვილებს და ღმერთის სახეს.  
მე ნაცრადქვეულ ქალაქებს ვხედავ,  
ვხედავ ნაცრიდან წამომდგარ ბალებს.  
ვხედავ: რამდენი წყარო დამშრალა,  
მაინც არ წყდება შრიალი ხეთა.  
ვხედავ: საესეა ხალხით გზაშარა  
და სასაფლაოს ლოდებსაც ვხედავ.  
ვხედავ: სადა წევს მდუმარე პაპა,  
ვხედავ: სადა წევს მდუმარე დედა.  
ბუხართან ვარწვან ძველისძველ აკვანს,  
აკვანი ჩემი ღიღინით თბება.  
ვინც მე სიცოცხლე მომცა განძივით,  
ვინც მე აკვანთან მიმღერა ნანა,  
დაუფლებია ყველას ღრმა ძილი,  
კარგა ხანია ლოდებქვეშ წვანან.  
მე ვიზრდებოდი მშითა და წვიმით,  
მე მზრდიდა მიწა, სიცოცხლე მზრდიდა  
და როცა პირმშოს შევესწარ ღიმილს,  
უცებ ვიქეცი სიცოცხლის შიდად.  
ზეცას შევხედე ღვთაებრივ კდემით:  
შვილი ვიყავ და გაგნდი მშობელი.  
შვილს გადგულოცე სიცოცხლე ჩემი  
ვით უკვდავების საგალობელი.  
ამიტომ მიყვარს სიცოცხლესავით  
მე ეს აკვანი და ის ლოდები.  
ამ წუთისოფლის სიბრძნეც ეს არის,  
რომ მუდამ ახალ მზეს ველოდებით.

### წვიმის სიხილი

ღია მაქვს მუდამ სარკმელი გულის  
და შიგ შემოდის დღეცა და ღამეც.  
მძაფრი სურნელი ახალი ხნულის  
სულში მიღვიძებს ფიქრების ყანებს.  
ქარი შარაზე აცეკვებს სილას,  
მიურეგება ფოთლებს მარულით.  
სულში შემოდის განუწყრელ წყვილად  
მიწის ნალველი და სიხარული.  
გულში შემოდის ცოდვა და მადლი,  
შხამი და თაფლი, სითბო, სიცივე,

ჩახანა მზე და ღრუბელი აედრის,  
 მზის ტირილი და წვიმის სიცილი.  
 თითქოს ბერტყავენ ვეება ხურჯინს,  
 შემოდის მტვერი გზისა და თივის,  
 და იასამნის სურნელი ლურჯი  
 სულში ნაკვერცხლის ალივით ღვივის.  
 თარეში მტვრისა არ უყვარს ზეცას,  
 უჭირავს შავი ღრუბელი ხელში  
 და ზეცა ირგვლივ ყველაფერს რეცხავს  
 დელგმით და ღვარით, თქორით და თქემით.  
 ღამით შემოდის ჩურჩული ფრთხილი,  
 ჩუმი ჩურჩული უსაყვარლესი,  
 ვნებით გამთბარი ჩურჩული ტკბილი,  
 სავე თაფლით და სავე ალერსით.  
 საღამოს ნიავეს ერევა ძილი,  
 ხეს ღამის ბინდი ჰკიდია თმებად  
 და ბაღში ხეთა მდუმარე ჩრდილი  
 უცებ ივსება იღუმალ ვნებით.  
 ციდან ციგლივით მეცემა ცვარი,  
 ცვარს მოსდევს გუნდი ვარდ-ყვავილების.  
 გულში შემოდის ნათელი მთვარის  
 და მთვარესავით ვივსებ-ვილვევი.  
 მეც მიხმობს ვნების ფარული ზარი  
 და იღუმალი შრიალი ბადის,  
 სულში მენთება მსაროლავე კვარი  
 და ათასფერად მორთული ჭალი.  
 სადღაც ლულუნი ისმის მტრედების,  
 სადღაც მღერიან ჩემად გედები.  
 უდაბნოსავით ვცარბილდები  
 და კვლავ ვივსებ, როგორც ედემი.  
 ყველაფერსა აქვს თავისი მადლი,  
 თავისი მზე და თავისი ჩრდილი  
 და სულში სადმე თუ დამჩნა ჭეარტლი,  
 უმაღლე რეცხავს ჰაერი დილის.

### სიმღერის ღონე

არ ვესარბები ბრჭყვიალა ნივთებს  
 და ოქრო-ვერცხლი თვალს ვერ მიბრმავებს.  
 მე გაუცვეთულ ბილიკებს მივდევ,  
 თვალმოზიბლული ვუსტკერ მთიბავებს.  
 მიყვარს, ვინც მიწას ალერსით ებრძვის,  
 მიყვარს, ვინც მიწას შვილივით უვლის.  
 ვისთვისაც მიწას სითბო აქვს დედის  
 და მიწას კოცნის მსურვალე გულით.  
 მიწას უკვდავს ხდის მარჯვენა გლუხის,  
 მიწა ჩვენი დედა-მშობელი,  
 ვისაც მიწაზე არ უდგას ფეხი,

მუდამ დაჩაგრავს წუთისოფელი.  
 მე სულის აფრებს არასდროს ვეცხვე  
 მზისთვის გულისკარს არასდროს ვეცხვავ  
 და მე ვაფასებ სიცოცხლის ცეცხლად  
 თავისუფლებას ყველაზე მეტად.  
 როცა არ ადევს ბორკილი ხელებს,  
 როცა არ გვადევს სულზე ბორკილი,  
 როდესაც სუნთქვა არ უჭირს ველებს,  
 ფიქრი არა გვაქვს შემოღობილი.  
 კიდითი კიდე გავიდვი ფესვი  
 და ფიქრის გემით გავედი ზღვაში,  
 როცა მეგონა, გათავდა ლექსი,  
 ლექსის მდინარე მოვარდა მაშინ.  
 მაშინ მოვარდა გრიგალი ლექსთა.  
 და ჩემი სულის აგრივალუბამ  
 მე შემაჭიდა უხილავ კლდესთან,  
 რომელსაც ჰქვია იღუმალუბა.  
 ზღვას შეერია ლექსის მდინარით  
 ჩემი სული და ნამდვილი ლტოლვა.  
 ტალღები ზღვისა შემხვდნენ მძინვარედ  
 და გამიმართეს სასტიკი ბრძოლა.  
 გრივალმა ჩემი ლტოლვა და გზნება  
 ცაში აზიდა არწივის ფრთებით,  
 ცის ოცნებები შემასხა ფრთებად  
 და დამანახა ახალი გზები.  
 მე საკუთარი ძალა ვიწამე,  
 მუხში ჩემივე მზით გავირუკე  
 და შევერევი მიწის სიმწვანეს,  
 მთათა სითეთრეს, ზეცის სილურჯეს.  
 მსურს არსად ვჩანდე, ისე ვით ფიქრი,  
 და ყველგან ვიყო — კაცში თუ ხეში,  
 ვიცოცხლო ჩემი საფლავის იქით  
 და მუდამ დავთორე სიმღერის ეშხით  
 ფერადფერადმა ჩემმა ფიქრებმა  
 მზის ნათელი გზით იფრინონ მარად,  
 ციდან მოვიდნენ წვიმად, ფიქტებად  
 და დაეპკურონ ყვავილებს ცვარად.  
 მე დამდევს მუდამ ჩემივე ჩრდილი  
 და ჩემ სიმღერას ებრძვის გოდებით.  
 მე სიკვდილამდე სიმღერით ვივლი  
 და მერე, ვიცი, აღარ მოგვკვდები.  
 არ კვდება ლექსადქვეული კაცი,  
 ვინც სიკვდილამდე სიმღერით მიდის  
 მე მივენდობი ფიქრების არწივს  
 და გაღმა გავალ უხილავ ხილით.

ველი ბედის უხილავ ვარსკვლავს უხმო ლოცვით და უხმო ვედრებით. მზიანეთიდან არ მინდა წასვლა და მზის სხივს ლექსის სივით ვებმები. მეც ვედავები, ვინც მედავება, ყოველდღე ბილიკს დავეძებ ახალს. წუთისოფელი მეცოტავება, არარაობას სიმღერით ვმარხავ. სიკვდილის ბუდეს ვარბევ სიმღერით, გალობით მიწის ვუმატებ ფერებს. დღეს მე უსაზღვროდ ვარ ბედნიერი, ლექსი დაეწერე დიდი ხნის მერე. მე ლექსი განა უზრალოდ მართობს, ცას ვეჭიდები ლექსის ხელებით. მე შეიძლება სიცოცხლე დავთმო, სიმღერას მკვდარიც ვერ შეველევი. მჯერა, საფლავშიც ვიმღერებ წყნარად და ყურს დამიგდებს მშობელი მიწა. მე ამ სიმღერით ვიცოცხლებ მარად, დავლენა კუბოს ოთხივე ფიცარს. გულში ვიგროვებ მზის შუქს ხეავებად, კაცი იმედის განძით ვმდიდრდები. შეუურიგდები ათას ვაებას, სიკვდილს არასდროს შეუურიგდები. მე კაცის ფიქრის მწამს გაკაცება და ჩემს სიცოცხლეს ფიქრებად გავშლი, ჩემი სიმღერით და აღტაცებით გადავალ მიწის ფერში და ხმაში. გვიან კი კაცად ვიქცევი ისევ, რომ ვესაუბრო ადამიანებს. მივალ და ბოდვის მოვიზიდი მყისვე, თუ სადმე მისვლა დაეგვიანე. ჩემს აფრახ მარად ვაქროლებ მძაფრად და გავუმართავ დავას ბუნებას, გადავაბიჯებ საკუთარ საფლავს და შემდეგ ვივლი დაუსრულებლად. ვეღარ მაშინებს საფლავის ლოდი, დიდი ღუმელი მწვანე ლოდების, მიჩვეული ვარ დიდი ხნის ლოდინს, უკვდავებასაც დაველოდები.

### ძველი გზები

რაკი ვიტყვით ვოლკოთის ჯვარი და მწერლის კალამს მოვიკიდე ხელი, უნდა დავრახმო ფიქრების ჯარი, დაგლაშქრო გზები ძველი და ძნელი. საუკუნეებს ვუსინჯო მჯავ

და ამოვიცნო ტკივილი ყველა, რაც ადამიანს ჰქონდა და დარჩა, რაც იკურნება ძალიან ძნელად. გავიგო ფასი ყოველი ლოდის, ყოველი ხატის, ყოველი ხიდის, ადამიანი საიდან მოდის, ადამიანი საითკენ მიდის. მკიღია ძველი ზღაპრების გუდა და ფიქრის მზეში დნება ფიქტები. მე სამი კითხვა მაწვალებს მუდამ, ვინ ვიყავ, ვინ ვარ და ვინ ვიქნები. უნდა ამოვხსნა ცხოვრების ლტოლვის გზა ჭეშმარიტი და გზა ცთუნების, მე უნდა გავხდე დრო-ჟამის ტოლი, შევისისხლბორცო საუკუნენი. ყველა აკლდამა გაეჩხრიკო უნდა, ენახო, სიცოცხლე ხომ არ ძველდება და ვკითხო ალაპს, ქრისტეს და ბუდას, კაცები როგორ იქცნენ ღმერთებად. ენახო, უდაბნომ როგორ დამარხა ძველი გზები და ძველი დიდება და რაც გადიქვა ქვიშად, ბალახად, წამოფაყნო პირამიდებად. მე უნდა გავხდე მეფეც და მონაც, ფარაონი და მისი მისანი, გავიგო მიწის ნამდვილი წონა, მზის ჭეშმარიტი გზა და მზიანი. მე დავიბადე უხსოვარ დროში და უცნაური გზებით ვიარე, მნაცრავდა მზე და მყინავდა თოში, მიწა მირჩენდა ყველა იარას. გაზაფხულს ცვლიდა ცხელი ზაფხული, შემოდგომას კი ცვლიდა ზამთარი და ზაფხულიდან შემონახული სულ თბილი მქონდა კერის ღადარი. მე ვცივდებოდი და კვლავ ვთბებოდი, გზას მივყვებოდი ვკალ-ბარდიანს. მუდამ ვკვდებოდი და ვცოცხლდებოდი. სულ მიწამ მომცა, რაც მბადაია. მე არ ვიცოდი ოდესღაც დარდი, მიშვლად დავრბოდი ზამთარ-ზაფხული, ქვითა და კეტით ვხოცავდი ნადირს და სახლად მქონდა გამოქვაბული. დღეს ვარსკვლავეთის ხიდებსა ვხაზავ და სულ მზისაკენ გამირბის ხაზი. მე გავჩნდი, როცა იფეთქა აზრმა, მოკვდები, როცა მოკვდება აზრი.

ჩვენ ვაჩენთ ხანძრებს, ჩვენ ვაჭრობთ ხანძრებს,

ჟამია ჩვენი მკვლელიც, გადიაც, რაც გვაბადია, სულ მიწა გვაძლევს, სულ მიწა გვართმევს, რაც გვაბადია. მიწა გვამდიდრებს, მიწავე გვძარცვავს და ქვეყნად მაინც რაღაცა გვრჩება, ზოგი აყვავებს სიკეთის მარცვალს, ზოგი სიკეთეს ახვავებს მთებად. ქედებს ზვინები ზურგზე ჰკიდია, დრო-ჟამი ისევ თიბავს და თიბავს. ახალგაზრდები მთისკენ მიდიან, ბერიკაცები მოდიან მთიდან. ამ წუთისოფლის გრძელი შარაგზა მოფენილია ქვეებით და ჯვრებით. ჩვენ, კაცთა მოდგმა, მაინც მარადჯამს მომავლის მშით და იმედით ვთბებით, სულ გეჯერა: ვაქცევთ ავდრებს დარებად, მრისხანე დელგმას — ლამაზ ფერებად. დავეძებთ მუდამ ჩვენ უკვდავებას, დავეძებთ მზეს და ბედნიერებას. ჩვენ უკვდავებად სიკეთე გვრჩება, გვრჩება სიმღერა, ვაზი და შვილი. ქვეყნად სიცოცხლე არასდროს კვდება, თუმცა ხანდახან ერგვა ძილი. თვალს ახელს მზე და დაღლილი ხეუჭავს, ისიც მგზავრია ამ წუთისოფლის. და მზის სხივები, სულ ერთი მუჭა, პურადაც გეყოფნის, ღვინოდაც გეყოფნის. ბედნიერებას დავეძებთ ხენებით და გულის ცეცხლით გაჩაღებთ კერას. ოლოლები კი კვიან ტყეში:

— იპოვე?

— ვერა.

— იპოვე?

— ვერა.

უდაბურ ტყეში, ალბათ, ისინიც ბედნიერებას ეძებენ მუდამ.

ტყეში ყოველთვის რაღაც იცინის,

რაღაცას მწარე ტირილი გუდავს.

ტყეში გასძახის ოლოლი ოლოლს:

— იპოვე?

— ვერა.

— იპოვე?

— ვერა...

მაინც არ ვკარგავთ იმედს და ბოლოს

ბედნიერებას ვიპოვით, გეჯერა.

იმედი ბუდეს ყველგან იკეთებს

და გვიყვებს უბეს თეთრი ოცნებით. მე რომ არ მწამდეს ხვალის სიკეთე, თავს ერთი დღითაც არ ვიცოცხლებდი. სწორად უტირის გული ხეშარას და ნადიმს მოსდევს დღეები მძიმე. ვის შეხვედრია გაუხუნარი ბედნიერების მპოენელი ვინმე? როცა ტმუნვა და დარდი გვერევა, ოცნების ლამაზ გზებს ვეფერებით. არის უსაზღვრო ბედნიერება თვითონ ძიება ბედნიერების. ლამაზი არის ჟიხვი რომ გარბის, საცოდავია მოკლული ჟიხვი. ეკ, ზოგჯერ როგორ ტკბილია დარდი, როგორ ანათებს ხეებზე ტირილი. ჩვენ მზეს დავეძებთ ღრუბლიან ცაზეც, რისხვას მალავენ ზოგჯერ დუმილით. სული ისვენებს ძიების გზაზე, აზრი ახლდება გაზაფხულივით.

### აღამის კლსარება

მე სამოთხეში დავბრდი ლაღად, ვაშლი ვიპოვე ვეას უბეში. მე იმ დღეს ვეამ წამართვა რაღაც და მერე რაღაც მომცა ნუგეშად. მე უკვდავება წამართვა ერთი და მომანიჭა სხვა უკვდავება. მე შევიქენი მეტოქე ღმერთის და შევებრძოლე ყველა დღათებას. მე მივეჩვიე ტირილს და სიცილს, ყველა გზა მექცა ტირილ-სიცილად. მე შევებრძოლე უბილავ სიკვდილს, თვით უკვდავებამ რომ დამიწყვილა. რაკი გამრავლდნენ ადამის ძენი, აღარ ვუჩივი ბედსა და არჩივს. მათ გადაეცემა სიცოცხლე ჩემი, მოვეკვდი და მაინც უკვდავი დავრჩი. დამაკარგვინა სამოთხე ვეამ, მერე სამოთხედ თვითონვე მექცა. ჩვენმა ვაშლის ხემ უმატა რხევას და სხვანაირად განათდა ზეცა. ჩემი პირველი კაცური ვნება ვეას ბაგეზე თაფლივით დადნა და ვნების ცვარი გადქცა ზღვებად, ეკლად და ვარდად. შხამად და თაფლად. მე უძიებლად ვერასდროს ვერ ვძლებ, მარადიული ვარ მეამბოხე.

მე სამოთხეში ჯოჯოხეთს ვეძებ  
 და ჯოჯოხეთში — ისევ სამოთხეს.  
 ლამეს მინათებს შუქი მცირედი,  
 მოაზე ავდივარ, მერე ვეშვები,  
 უნუგეშობას ახრჩობს იმედი  
 და იმედს ახრჩობს უნუგეშობა.  
 მე გზას გავეყრებ, მიმაგალს მზემდე,  
 გზადაგზა ვარბევ ღრუბლებს და ნისლებს.  
 მე უკვდავებას, იმედს და ედემს  
 გზაზე ვკარგავ და ვაოულობ ისევ.  
 თუმც უკვდავებამ გული მატკინა,  
 შემდეგ იმ ტკივილს შეება მიება.  
 რაიც ძიებამ დამაპარგვინა,  
 მე მაპოვნინა ისევ ძიებამ.  
 სულში მიწყვია ურიცხვი განძი,  
 დაფარული და დაუფარავი.  
 ჩემ სულში ზოგჯერ მათხოვარს აწვიმს,  
 ზოგჯერაც მეფეს უდგას კარავი.  
 მე ხშირად მშხამავს ცოცხა-ამბორი  
 და უფალს ზეარაკს ამოიდ ვწირავ.  
 ქანაობს ცოდვა-მადლის სასწორი  
 და დედამიწა ირყვია ხშირად.

### ზღაპრის სიმართლე

ედემის ბალი, ევა, ადამი,  
 ღმერთი, ეშმაკი, სამოთხის ვაშლი.  
 შვიდ დღეში ქვეყნის შექმნის ამბავი,  
 ნოეს კიდობნის ტიტივი ზღვაში,  
 ღმერთკაცის უღვთო წამება, ჯვარცმა,  
 ჯვარცმული ქრისტე, მკვდრებით ამდგარი...  
 მე ვიცი, შეთხზა ოცნების კაცმა  
 და დაიჭერა ხალხმა ზღაპარი.  
 ვიცი, ბიბლიას ახლაც უკვლიან  
 როგორც გარდასულ ჯამთა დიდებას,  
 იმ გრძელ ზღაპარში გახვეულია  
 ცხოვრების დიდი ჭეშმარიტება.  
 სიბრძნე ღმერთობის და უღმერთობის,  
 სიბრძნე ლხინის და სიბრძნე ვაების,  
 კაცთა და ქალთა ურთიერთობის,  
 სიკვდილ-სიცოცხლის და უკვდავების.  
 ჩვენ გავიზარდეთ, მაგრამ ბავშვური  
 ჩვენში რატომღაც ბევრი რამ დარჩა.  
 პეშვს ვივსებთ ხშირად თოვლის ნაქურით,  
 თვალს გვიბრჭყვიალებს ოქრო და ფარჩა.  
 მზის ამოსვლაც კი გვაკვირვებს ხოლმე,  
 სადღაც მიგჭენობთ ბედის რამებით  
 და გულუბრყვილო დიდი ბავშვები

სიკვდილ-სიცოცხლეს ვეთანამებთ.  
 მეც დამყვა სითბო-სიცოცხე მიწის  
 და ჩემი ცეცხლადქცეული ვნება  
 ევას დანთებულ თონეში იწვის.  
 ევას ვნებიან ბავშვზე დნება.  
 ტკბილად ვტირი და მწარედ ვლიდინებ.  
 დელუმთან ცაზე მზეს ველოდები.  
 დედებუნების მე ვარ გვირგვინი  
 ჩემი მადლით და ჩემი ცოდვებით.  
 იმოსებიან ვარდებით კლდენი,  
 თოვლში ახელენ თვალებს იანი.  
 ცასა და მიწას ბევრი რამ შევნის,  
 ყველაზე უფრო — ადამიანი.  
 სულსა მწვავს ერთად ცეცხლი და ყინვა,  
 ვარ სიბრძნით სავსე და ვარ უვიცი.  
 ჩემში უამრავ სიკვდილსა სძინავს,  
 მაგრამ სიცოცხლეც ფიზილობს ურიცხვი.  
 ყოველ განთიადს გალობით ვხვდები,  
 აღარ მესურვიან ლოდებს დევები.  
 სული სავსე მაქვს ხავსიან ქვევით,  
 ოქროს თევზებით, მზის ნამტვრევებით...  
 მე მაქვს სიცოცხლე მიწის ზიარი  
 და უსასრულოდ ვმრავლდები ერთი.  
 უკიდვანო ცაში კი არა,  
 ჩემ სულში ცხოვრობს ეშმაკი... ღმერთიც-  
 ზღაჯერ, როცა მზის ამოსვლას ველი,  
 ცის ყველა კუნჭულს ღრუბელი ფარავს.  
 მე ალტაცებას შევყურებ ცრემლით,  
 იმედით ვუმზერ ნაღველს და ვარამს.  
 ზოგჯერ მაისის მშვენიერ ვარდებს  
 ყველაზე უღირს ვინმეს მივართმევ,  
 რომ უფრო უკეთ და უფრო ადრე  
 მიაგნოს კაცმა ნამდვილ სიმართლეს.  
 ზოგჯერ გმირობას ლაჩრობა ბადებს,  
 დესპოტი მეფე იხვეჭს დიდებას  
 და იქსოვება ეჭვების ბადე,  
 როცა ეძებენ ჭეშმარიტებას.  
 როგორც დიდ იმედს, ჩემი შვილები  
 შემომცქერიან მუდამ ოცნებით.  
 მე რომ გავიგო, არვის ვჭირდები,  
 თავს ერთი წამით არ ვიცოცხლებდი.  
 ვილაც ყოველთვის მიყურებს უნდოდ-  
 ვილაც წინ მიშლის სამყაროს რუკას,  
 ვილაც ჩემ გულში აჭედებს კუბოს,  
 ვილაც ჩემ გულში დაფდაფებს უკრავს.  
 მზეს ვბაძავ, ვებრძვი ღრუბლებს და-  
 აედრებს...  
 და ვებრძვი ოქროს მონებს და ჩარჩებს.

გებრძვი დრო-ჟამის ამაოდ მფლანგველს,  
რომ მარადისი სიცოცხლე დამრჩეს.  
ქუჩაბანდებში ვსიერნობ ეტლით,  
ზღვის ზვიად ტალღებს შივაპობ გემით,  
ცის ზომალდებით ვარსკვლავებს ველტვი,  
სამყაროს ერწყმის სიცოცხლე ჩემი.  
მინდა ვიხილო, რაც არ უხილავთ,  
მე მაქვს მიზანი უზარმაზარი,  
უნაპიროა ჩემი წუხილი,  
და სიხარულსაც არ აქვს საზღვარი,  
როგორც სამყაროს ღრუბლებით სავსეს,  
როგორც სამყაროს მზეებით სავსეს.  
ჩემი ღრუბლები გმინავენ ცაზე,  
ჩემი მზეები ბრწყინავენ ცაზე.  
არ მიყვარს, როცა კაცი წუწუნობს,  
მივდეგ საკუთარ სინდისის ძახილს.  
ვარ ეჭვიანი, ზოგჯერ ურწმუნოც.  
მაგრამ მარად მწამს სიკეთე ხალხის.  
ქვემარტ ფიქრებს არასდროს ვმალავ,  
ჩემ გულში მარტო არასდროს ვმღერი,  
მწამს მშობლიური მიწა-წყლის ძალა  
და უკვდავება მშობელი ერის.  
ჩემ ხალხში როცა მაწვიმს და მათოვს,  
მათობენ ჩემი მთები, ველები...  
სიცოცხლეს დავთმობ, სიმღერას დავთმობ,  
მაგრამ სამშობლოს ვერ შეველევი.

### ვ ი დ ი ლ ი

ზოგჯერ თუ ქედზე მედო უდელი,  
მორჩილი როდი ვიყავი ბედის,  
ვიყავ ამაყი, ქედმოუხრელი,  
დავამხე ყველა კერპი და ღმერთი.  
დღეს მოწყალებას არვისგან ველი,  
მე ვიცი, ზეცას უღმერთოდ სძინავს,  
ჩემ ბედსა ვჭედავ საკუთარ ხელით  
და ვერკინები ლოდსა და რკინას.  
იმედში ვახვევ წარკვეთილ სასოს,  
ვფერავ ჟანგიან გულსა და ფოლადს,  
რაც ფეხზე ვდგავარ, რაც თავი მახსოვს,  
სიკეთისათვის მიხდება ბრძოლა.  
მე ყოველ დილით გავდივარ გარეთ,  
მიყვარს ცა- მიწა, ზღვა, ყვავილები...  
მე სიყვარულით შეგვურებ მთვარეს  
და სიყვარულით ვივსებ-ვილევი.  
მიყვარს მწვერვალი ფეხდაუდგმელი,  
მიყვარს ჯირითი უბელო ცხენით,  
თოვლივით თეთრი მიყვარს ღრუბელი

და ცისარტყელით შეკრული დღენი.  
მე ამ სამყაროს ყველა ხმა მესმის,  
არც არაფერი მეუცხოება.  
მე ვცოცხლობ მზით და ალალი ლექსით,  
სიყვარულია ჩემი ცხოვრება.  
სხვისი სიკეთე არასდროს მშურდა,  
გულში მინთია სანთელი მზისა,  
მე სხვის სიხარულს შევხარი მუდამ,  
ველად მესობა ტკივილი სხვისა.  
მე მინდა, ყველა ცხოვრობდეს ტკბილად,  
და ყველა ხალხი ხარობდეს შვებით,  
ტკბილად გათენდეს ყოველი დილა,  
სიცოცხლემ ცაშიც გაშალოს ფრთები.  
მე ოკეანის წვეთი ვარ ერთი,  
მესმის გალობა დღე-ღამის ფერთა.  
დავამხე ყველა ხატი და ღმერთი,  
რომ სიყვარული ვაქციო ღმერთად.  
სიყვარულს თარგმნა არა სჭირდება,  
გული აქვს ერთი, ენა აქვს ერთი...  
მდინარე შედის ზღვაში ზვირთებდად  
და სიყვარული სიყვარულს ერთვის.  
კაცს თოფი ხელში რად უნდა ეყარას,  
თოფი აციებს გულსა და კერას.  
ჩვენ სიყვარულით მოვდივართ ქვეყნად  
და გვასწავლიან სიძულვილს მერე.  
მე ომის ტვირთი უმძიმეს ბარგად  
კარგა ხანს ვზიდე საკუთარ მხრებით.  
რისთვისა ვცოცხლობთ, მე ვიცი კარგად  
და ისიც ვიცი, რისთვისა ვკვდებით.  
ყოველდღე რაღაც სამინელს ველით,  
ვიზრდებით, ჩვენი შიშიც იზრდება,  
ვით ბავშვობისას დათვი და მგელი,  
ჩვენ გვაშინებენ ომის სიზმრები.  
ვილაცას შავი ზრანვები ათრობს,  
ვილაცას ართობს ფერები ღამის,  
კვლავ გვემის, ვილაც აფეთქებს ატომს,  
ჰარეს ერევა ურანის შხამი.  
წყალს მიაქვს ოფლი გლეხის და მუშის,  
მატულობს მიწის კენესა და ხენეშა.  
ვით კაცის სულში, ატომის გულშიც  
ერთი ტახტი აქვს ღმერთსა და ეშმაკს.  
ატომში სძინავს ცეცხლს და სიცივეს,  
შიგ ძვეს სიკეთე და ავი გესლოც...  
მესმის ეშმაკის ავი სიცილი  
და უკვდავების გოდებაც მესმის.  
თუ დედამიწას არ ვუპატრონეთ,  
თუ დაუშინეს ატომის მუშტი,  
ერთხელ არჩეულ გზას მიატოვებს,

გასკდება, როგორც ფერადი ბუშტი.  
 და სამუდამოდ დაიღუპება  
 ულამაზესი ციური გემი,  
 გაიფანტება ცაში ღრუბლებად  
 მარადიული სიცოცხლე ჩვენი...  
 დედამიწიდან უფრო მტვერი,  
 უბრალო მტვერი დარჩება ცაში,  
 მაშინ ყოველი გაქრება ფერი  
 და დაყრუვდება სამყარო მაშინ.  
 რომ არ დადუმდეს სიცოცხლის ბაგე,  
 მიწის გალობა, მიწის სიცილი,  
 ამაზე პასუხს ყველანი ვაგებთ  
 ჩვენი სიცოცხლით. ჩვენი სიკვდილით...  
 მე გაეჩნდი ქვეყნად დიდი ხნის წინათ,  
 მჯურა, ვიცოცხლებ დიდი ხნის მერვეც,  
 დავიმორჩილებ მზესა და წვიმას  
 და მთელ სამყაროს შეუცვლი ფერებს.  
 ყველა ჭმუნვის ფერს მოვუღებ ბოლოს,  
 ფიქრთა ხეებსაც შევუცვლი ფურცლებს  
 და ცისქვეშეთში მხოლოდ და მხოლოდ  
 სიცოცხლის ფერებს დავტოვებ უცვლელს.  
 ჭმუნვის ყველა ხმას მოვუღებ ბოლოს,  
 ცრემლის ატომებს სიცილად დავშლი

და შეუცვლელად მხოლოდ და მხოლოდ  
 მზის საგალობელს დავტოვებ ხალხში.  
 მე მოვსპობ თოფს და ყველა იარაღს,  
 რაც შეუქმნიათ სიკვდილის ცეცხლად,  
 მიწას მოვურჩენ გულის იარაღს,  
 ვარდის სურნელით დავათრობ ზეცას.  
 და შევინახავ იმ ცეცხლს, რომელიც  
 მოსიყვარულე გულებს ედება,  
 იქნება ყინვის მთათა მდნობელი,  
 ყველა უდაბნოს აქცევს ედემად.  
 ცეცხლს შევინახავ — მთვარე რომ  
 ნატრობს...

მე ვნების ცეცხლით მთვარესაც შევცვლი.  
 ეშმაკს გულშივე ჩავეუკავ ატომს,  
 რომ დარჩეს მარტო კეთილი ცეცხლი.  
 ბოლოს სიკვდილსაც მოვუღებ ბოლოს,  
 სიკეთეს დავდგამ ყველგან ხვადებად  
 და ამა ქვეყნად დავტოვებ მხოლოდ  
 სიცოცხლის ღიმილს და უკვდავებას.  
 მე მშველის მიწა — მშობელი დედა,  
 და ჩემს მომავალს ოცნებით ვხატავ,  
 სულ სასიკეთო ფერებსა ვხედავ,  
 მესმის გალობა საამო ხმათა.



## მ ი თ რ ი ლ ა ტ ე

### გ ო მ ა ნ ი

#### 7. არსიანული ზრახვები

ქვისავარძელას ბუეები კი თითქმის ხელჩართულ ბრძოლაში იყვნენ. მომავლისათვის გამიზნული ძირითადი კვალისა და ხნულის თარჯვა აღელვებდა ყველას. სადღა იყო ქებული მოხუცთ სინდინჯე და თავის შეკაეება. მათ შორის არც ერთი არ იყო ახალგაზრდა და მსკოფანობის პატივის დადებაზე აღარაეინ ჰფიქრობდა.

საერთოდ კი, მოხუცების წაჩხუბებაც, მაგრამ სრული შეთანხმებაც უფრო ძნელია, ვიდრე ახალგაზრდებისა. მით უფრო ქართველ ტომთა მოხუცებისა, რომელთაც ქართულსაერთო სამყაროში, კიდევ თავისი, ცალკე, მკვეთრად გამოსახული სამყარო გააჩნიათ და სიბრძნედაც ის მიაჩნია, რომელსაც იგი მეტყველებს, ამიტომ საყოველთაო სიბრძნე ჭირს!

— მე ვამბობ, რომ ახალი აღექსანდრე მაკედონელის ნიჭის კაცი მოგვივლინეს ღმერთებმა, ამ განსაცდელის ეამს! გაეიხაროთ და ნულარ ვგოდებთ!

— თუ საშველია, გამოჩნდა საშველი და ახლა ჩვენ უნდა ვუსაშველოთ, ნიჭს დავაყაროთ ბებერი ძალა!

— ამ ბებრეკებს რა ძალა გვაქვს... გარდა წელთსიმრავლისა! ბებერ ძელე-

ბისა? ეს არის ძალა! ძალა მხოლოდ ღმერთებს აქვთ, ადამიანს კი მხოლოდ ნიჭი ისიც განა ყველას!

— გამჭრიახი, ბრძოლისა და ნიჭის კაცი ჩანს, მაგრამ ბაღლია ჭერ! დამამრება აკლია! დაკვინიხდეს და მერმე მოსთხოვეთ ქვეყნის საქმე!

— ვიღონოთ რამე! ძალა მარტო მკლავის ძალა ზომ არ არის! ჩვენც ვიტყვი და თუ ბრძნულნათქვამი გამოგვივიდა, მაინც მოიპოვებს ძალას!

— ეგლა არის — თუ გამოგვივიდა! თორემ ყველაზე დიდი ძალა ქვეყანაზე ბრძნული სიტყვაა!

— განჭვრიტეთ! განჭვრიტეთ! სულ ცოტა — ხუთი-ექვსი წელი მაინც არის დასათმენი და განსაჭვრეტი!

— მოვითმენთ ამდენს! ან ჩვენი მტრები მოითმენენ! ბერბუენო, ვიცოცხლებთ კია ამდენს!?. შემოგვითვალეთ!

— ჩვენ არ ვიცოცხლებთ, ტომი იცოცხლებს, თემი, გვარი, სახლიკაცობა... ახლა სხვანიც საპატიოდ მოხუცდებიან... შენ გაახალგაზრდაეება სთქვი, თორემ მოხუცება ყველას მოელის! მით შორის ღმერთებსაც!

— ადამიანისა ვთქვათ — ხუთი-ექვსი წლის შემდეგ მართლაც აღექსანდრეს ნიჭით აღმოზარწყინდება? რა ბუნება აღმოაჩნდება ღმერთების წერით!

მოხუცები ერთმანეთს აწყვეტინებდნენ. ახალ-ახლურად ახვევდნენ კულკვეცილ თქმულებს, მაგრამ ზღვის ჭაბუკის იერით მოხიბლვა ყველას სძალავდა.

— ვამბობ, ისე აღმობრწყინდება! — მოჭრა ბედან-კოლხმა.

— ვამბობ, იმედი მაქვს! — კვერი დაუკრა ალო-იბერმა.

— მეც ასე მჯერა!

— განმიჭკერეთია და...

— ეს ჩვენი სურვილია თუ საერთო დასკვნა?

— სურვილიც, დასკვნაც, იმედიც... ვის როგორ წვერზე მოეკიდება!

— ბედისწერაც! — საშინელი ხმით წამოიძახა ხალღე-მისანმა.

ასე კარგა ხანს იყვირეს და იყაყანეს. ბოლოს დაჩუმდნენ... და მხოლოდ მაშინ წამოიღდა მახუნჯავ ტაოელი.

— გამხერთ თქვენა და ველარა გცნობთ, წვერშავებო! იმ ზღვის ჭაბუკის შემხედვარე, ყველას თითქოს ახალ-გაზრდობა შემოგვიბრუნდა! მოუთმენარნი გავხდით, აღფრთოვანებულნიც... მალე ჩანგებსაც ჩამოვკრავთ და ლექსებსაც ჩამოვავოლებთ... მაგრამ ეს შევლის საქმეს? ვასავლები კვალი და ხნული დავსახოთ მაინც! იმ ჭაბუკსაც რაღაც უნდა ვურჩიოთ, შევეშველოთ... თანაგრძნობისა და პირსამძიარის გარდა...

— თანადგომის სიტყვა...

— და არც ეგ კმარა! — უკვე დაძქუხა ტაოელმა, — ახლა ვუთხრათ... ცოტა ხნის შემდეგ იგი თავად გვეტყვის! ჯერ კი გზაც უნდა ვუჩვენოთ და ადგილიცა! ისევე ზღვაში კი ვერ წავა ჭაბუკი ზღვისა და მთისა!

— ეგ მართალი სიტყვი, ბაყბაყო აქედან უნდა დაგვეწყოს! თორემ — წვერ-შავებო! დიხაც თეთრა-წვერანი ვართ! ჰოდა, ისიც ვიცით, რომა ხანდახან დიდ ტანშიაც არის პატარა ჭკუა! — ცალი შერჩენილი ღოჯილა გაჭკრა ბერშუმხალიზმა. მას განსაკუთრებულად დიდი და მომშვენებული წვერი ჰქონდა.

— მთელი ქვეყანა ვაჩვენოთ... ყვე-

ლა ტომი, ნათესაური ესაო და ჩუმიდ ვართო... განა არ ვიცითა... ბოლოს აიმიღვრა, საერთოდ დინჯი შეჩაგვილმესხი.

— ესეცა და კიდევ! — ახლა მთასავით წამოიფაფრა მახუნჯავ-ღევი, — ჩემო ღმერთებო! თქვენც გაიგონეთ! არსიანის მთაზე აესულვარ და თავი ღრუბლებში გამიყვია, საირგვლივოში თვალი დავატრიალე... სპერის ზღვამდე ვაწვდინე, თოვლა-კავკასიონამდე, აჭის ქედამდე, ამირანის მთამდე, არარატამდე, შუამდინარეთის სათავეებამდე, მოსხთა და პონტოს ქედებამდე... და შეიკრა საოცარი რკალი არსიანული! — დევმა ბეროკაცებს მოჰხედა და სიტყვა ყელში გაეხირა... ირგვლივ, ქვაკალოზე, ყველას თვალეში ჰქონდა დახუტული, გარდა ბედან-კოლხისა, რომელიც გულხელდაკრეფილი იდგა და თითქოს სთვლემდა... შემდეგ მანაც მოჰხედა ქვაკალოს ბჭეებს და მახუნჯავი შეამხნევა:

— ქვეყანას თუ გრძნობ, თუნდაც თვალეში დაჰხუტე — ჰხედავ... სწორედ ამას ჰქვია მცოვანთა ხილვა! შენ შენი განაგრძე — არსიანული ზრახვა!

— ჰოდა, გადავახლოთ ზღვის ჭაბუკი არსიანიდან... დაეძანხოთ და მიუძღუნათ ჩვენ ნათესაეთა ყველა მხარე!

— რა ძალით? რა ანდერძით? რა დასაყრდენით? — თვალეში სჭყიტეს მოხუცებმა.

— მეც მანდა ვარ! დასაყრდენი მიცეთ! მერმე ჩვენზე უკეთ თავად განსჭვრეტს! ცოტა აცალეთ! ვერა ჰხედავთ, რა მძლე და მჭიდე ილეთი და საქციელი აქვს! აცალეთ, ხელი მოიმწიფოს!

— ჰოდა, სთქვი მოსამწიფებელი! — შესძახეს აქეთ-იქიდან.

— მაქვს სათქმელი... ზრახვა არსიანული... ალბათ, თქვენცა...

— გვაქვს, მაშა! ჰოდა, გვაქვს!... დიხაც! ყველამ ვთქვათ! ვარჩიოთ!

— მაგრამ, მე ვფიქრობ, ბედან-კოლხმა უნდა სთქვას, გასტეხოს ნავსი „მთავარის უთქმელობისა!“ — მახუნჯავ ისე

მოწყვეტით დაჭდა ქვაზე, თითქოს არსიანიდან ჩამოგორდა.

— დაე იყოს „არსიანული“! — ბედანმა აბიო-იბერიც წამოაყენა და ხელიც აღარ გაუშვა, — მოკლედ ვთქვათ ჩვენი ზრახვა, და მყისვე დაევიწყეთ, ვიდრე ესამი გამოხდებოდეს!

— ვთქვათ! — აბიო-იბერმა წვერულვაშზე ხელი ჩამოისვია. ყველამ ჩამოისწორა წვერ-ულვაში. ეს ფიცის შეხსენებას ნიშნავდა. ახლა რასმე მოულოდნელს ელოდნენ ბედან-ბრძენისაგან. მან კი უკვე, ყოველ მხრით „ამოთათბირებულნი“ ამბავი გაიმეორა...

— ზღვის ჭაბუკს გვირგვინოსანი მამა აღარა ჰყავს... და საერთოდ ობოლია, როგორც თავად ბრძანა!

ყველა გააკვირვა ბედანის გაჩუმებამ. მერმე მიხვდნენ, რომ „ისარი“ აქ სულ სხვაგან იყო ნატყორცნი. აბიო-იბერმა კი უმაღლ უფრო შორს გადასტყორცნა „ისარი“.

— იბერიაშიც, მოგეხსენებათ, — სულ ახალგაზრდა — არტაგ-მეფე გვყავს, უკვე მორჩმული და სახელოვანი... და არც მას ჰყავს მამა... კეთილად შეშვეგობრდებიან, არ მავტყვებს!... მაგრამ მე უფრო ძველი ამბავი მინდა გავიხსენო...

— ამას ეხება? — მოუთმენლად მიამახეს მცოვანებმა... — გვეყო ამო სიბრძნენი!

— გამოჩნდება! — აუღელვებლად განაგრძო აბიომ, — როგორც ჩვენს ძველთა წერილში არს, ფარნაოზ, ერთადერთი მემკვიდრე სამარ მცხეთის მამასახლისისა, იყო აგრეთვე ლტოლვილ და მამამოკლულ... და წარვიდა იგი ციხე-გოჯს, ქუჯთან, მეფესთან ეგრთა, მან მიიღო ვითარცა მამამ და კეთილ-შეეწია და მოიპოვა ფარნაოზმა მეფობა იბერიისა და გაერთიანდა იბერი და ეგრიისი ძალითა და სახლითა ფარნაოზისა, ხოლო სიბრძნითა და კეთილ-სამსახურითა ქუჯისათა!

ყველამ ინიშნა აბიო-იბერის ნათქვამი, მაგრამ ბედანმა უფრო ნათელჰყო აზრის დრეკა:

ამეამად ქუჯის შთამომავალია კოლხეთს — გოჯ-მცოვანი. ვიდრე ებრძინაში მძლავრობდნენ სპარსნი... ვთქვათ ეგრიის მეფობა აღდგა. ახლა კი თუ დავითობირეთ ორთავე მეფე... უშვილო გოჯ-მცოვანს ვაშვილოთ და ვამეკვიდროთ კანონიერი მეფე პონტოსი... რაიც მისაწვდომია, გადავარჩინოთ და ვაერთიანოთ. ახლო მომავალში მაინც! აი ჩვენი ზრახვა არსიანული!

ყველა ფეხზე წამოდგა. ხმა არავის ამოუღია. ყველა ფიქრობდა. ვარაუდებში ჰკეცავდა ოცნების ფრთებს და მკაცრ ვითარებას უსადაგებდა. „არსიანული“ მრავალი თვალსაზრისით დიდი საშველი იყო. ისიც ნათლივ ჩანდა, რომ მახუნჯავს თუ გულისძგერა ამოქმედებდა, ბედან-კოლხსა და აბიო-იბერს უკვე ღრმა ჭკრეტაში გაცხრილული და იმედდასაფუძვლებულიც ჰქონდათ.

ყველამ ხელი ასწია. ამირანის ნიშანი აჩინა.

— არსიანული — ერთხმად! — აი ბრძნულნაჭკრეტი! ვინ ამბობდა, ძალა არ აქვსო!

...მაგრამ ყველამ იცოდა, რომ „არსიანულს“ კიდევ, ვინ იცის, რამდენი „ქელი“ დახვდებოდა გადასალახი, ვიდრე ნამდვილ „ძალად“ იქცეოდა.

...მაგრამ ძირითადის განსაზღვრამ, უეცარი კალაპოტი მისცა აზრთა წყობას.

— ვიდრე „არსიანული“ მოგვირგვინდება — ზღვის ჭაბუკი, ჩვენი, ერთობლივი... „ქვასავარძელას შვილობილია“... და ჩვენი ბებერი ძვლები და სიბრძნე მას ვანაცვალოთ!... ჯერ მე მიმყავს! — თავიდანვე გავიციბდა გური ასკანელი, — ჩემ ციხეში ჩიტი ვერ მიაგნებს და ჩიტის რძესაც არ მოვავლებ!

— ვაშა! შენი ვაშა, გური! „ქვასავარძელას შვილობილი“! ჩვენ ვისტუმრებთ!

— სვანეთს ავიყვანთ! მზის მთაზე ან სტრობილზე! — ერთად აღმოხდათ

გვაზა მეგრსა და სუბარმან უშვანელს, — ამირან-შთებიც იქ არაა!

— ჩვენ წაიყვანით! ჩვენ! „ბჭეთა შვილობილს!“ — ახლა სხვანი ახმინდნენ და ისევ შეიქნა ცხარე ცილობა და დავა მოხუცთა... თავეკრძობამ ისევ თავი იჩინა.

— დიხაბე ჩვენა ვართ ზღვის ჭაბუკის პაპამძემენი! მაგრამ უფროსობასა და უფროსობას ნუ დავიჭადნიით! გარყულები არ დავგრჩეთ! არავინ არ დიმიძველოს!

ყველა თავისაგან ეწეოდა საერთო შვილობილს. ყველას სურდა შეწყენა და თავის ტომის „მამობილობა“ ობოლ უფლისწულისა, შვერდომა და შეფარვა მისი.

ახლა ამ „ახალ ცეცხლს“ შედეას ზეთი შეჰმატა ბედან-კოლხმა, სხვა გეზიც მისცა: — დიდ ნუგეშად გვიჩნს, რომ ჭართველ ტომთა შორის კეთილ-საერთო საქმეს კვლავ ჰყავს ამდენი მფარველი და შემატკივარი!... მაგრამ ახლა ნაწილ-ნაწილ ხომ ვერ დავჭრით შვილობილს? მიმდევრობა დავადგინოთ და იგი ყველგან დავატაროთ!

— აგრე! აგრე! ყველგან... მაგრამ ჯერ ჩემთან! — ახლა კი სქექა მახუნჯაგმა. არც სხვა მსკოვანნი იყვნენ უხმოდ. მაგრამ ეს უკვე წიდანდელი დაბნეული დავა აღარ იყო. თანაც მთელი პონტოს მხარე, უშიშროების თვალსაზრისით, ჯერ გამორიცხული იყო და ნაწილი მოხუცებისა თავის გულს ასკდებოდა.

— ჰაი დედასა! ბერშუმე-ხალიბო, შერგილ-მესხო! ჩვენ რაღა სათვალავში ვართ ახლა? — გაჰყოფდა ხალღუ-მისანი... — რამე ვიღონოთ! კაცი წავა და ქვა-კაცა დავგრჩება!

— აქ დარჩეს აქა! ქვასავარძელას! განა პირველია! მითრიდატეთა გვართ მამათმთავარიც აქ არ იყო! — გაიმახონდნენ ტუბალები, დრილები, ბიძერები და სხვა სამხრეთ სანაპიროს ტომები... — ისევ ჩვენ ვიჩაგრებით! წაიყვანენ და მერმე რაღა?

— აქ საიდუმლო გამეღვანდება! გა-

ვიწყლებათ, რომ ზღვის ჭაბუკი — ზღვის ფსკერზეა ყველასათვის; ვართღა ფიცის ბჭეთათვის! მართლა... წაიყვანონ!

ბედან-კოლხს ახლა ამოც წამოეშველა:

— „არსიანულიც“, ხომ არ ჰფიქრობთ, თავისთავად „აყვავილებმა“?

ეს „აყვავილება“ ფრიალ იწყინეს ბერიკაცებმა და ყველა ერთად აფრიალულდა.

სწორედ ამ დროს ხის სარავუნაც ახმინდა.

— ნუთუ „შვილობილი!“ — გულახდილი ალტაცებით აღმოხდა მახუნჯაგს და ბილიც აესწრაფა. ქვახერელს რომ მიაღწია, სიხარულისაგან შიგ გაიჭყეტა. აუხდა, რაც ჩაიფიქრა — „შვილობილი“ სასრევ კლდეზე იჯდა და ისრებს პირს უწყობდა.

— სწორედ დროზე! — მიიძახა და ხელი დაუქნია, ზოლო ისრები ხელში რომ დაუხახა, სულ გაიხარა, — გმაც კარგია! — აქრიფა, გადათვალა, — კიდევ მოიტათ და უკლებლივ ამოვიტანთ! — ისრების მოწრდილი კონა ილლიაში ამოიღო, „მეკურნალებს“ წინ გაატარა და თავქვე დაეშვა.

— მშვილდი? მშვილდი არ გინდა? — შეეკითხნენ ქვახერელიდან დარაჯნი. ქვევიდან „მეკურნალები“.

— არა, ჩვენ ისევ... უმშვილდოდ... საქმეც ეგ არის!

რომ ჩაიღნენ, ბერ-ბააგების ერთობლივი ხმანი და სხაბა-სხუმა ლაპარაკი მოსწევდათ. აგეთი ჩარბულალა ჰქონდათ, არც გაუგიათ მათი მისვლა.

— ეს რა გუნდურად სჯიანს! — გაიკვირვა უფლისწულმა, — ანდერძი ხომ არ აუგეთ ვინმეს?

— მართლაც გუნდურად და ბერ-ჯიქურად! — კეფა მოიქექა მახუნჯაგმა, — და სწორედ „ანდერძის კაცმა“ უნდა გავგარიფოს... თორემ ყველა თავისკენ იწევს!

ბერ-ბააგებმა ხმა გაიკმინდეს, მაგრამ

თვალბრილად და წვერ-ბურჭვად ყოფნა ისევ დარჩათ.

— შეთანხმდით პაპა-მძღვინეო? — შეეკითხა მახუნჯავი.

— ვერა! ვერა! ვერა! — აქეთ-იქიდან მიამხეხეს გააგებულმა ბერიკაცებმა.

— მე კი ისრები მოვიტანე! — მხარიღლია დანახა ღვეკაცმა.

— მაგაში კი თანახმანი ვართ! მეტი რაღა გეწყობა! ჰოდა, ეგრე უყვით, თორემ... — რაც იყოს — იყოს! — როგორღაც ხელმოფარვით დუღდუღებდნენ ბაბები, — ბედის რიგი გავითამაშოთ, მერმე ვინც ამოსავარდნია, ამოვარდეს!

ბედან-კოლხი კი სულ სდუმდა და რაღაცას ვარაუდობდა.

ბერიკაცებმა ისრები ჩამოირიგეს.

— თქვენ-თქვენი სერი დასდეთ! არ შეგვერიოს! მერმე არ დაიბნეთ, — თორემ არ ჩავითვლით!

ზოგმა ყაპა-დანა, ზოგმა სატყვერის შვილაკი მოიშველია, ჩასერა ისრის ბუნი. შერგილმა თავისი გვართბეკელი წამოაგო ზედ და დაამაგრა, ხალღუმისანმა ერთად-ერთი ღოჯა კბილი გაჰკრთ და დაატყვევა ნალოჯარი, ბერშემ-პაპამ ხალღუმური ქლიბი გაჰკრა, აბიო-იბერმა ცერული ღაჯია ჩამოაცვა, გვაზა მეგრმა და ასკანელმა ამოკუარტლეს ასოები ისრის ბუნიკზე, ტირიბაზ გორდამ და სუბარამხმა ბოლოები მიუწვეს ისრის ფრთებს.

განცვიფრებული ახალგაზრდები შეკყურებდნენ ისარადმართულ ბაბებს და ვერას გზით ვერ ვაგვოთ, ასე მუყაითად რას საქმიანობდნენ ჰალარათ-ჰალარანი.

— ჩვენც გვეხება!? — „შევირდი“ შეეკითხა, განზე მდგარ ბედანს.

— ყველაზე უფრო!

მახუნჯავმა კი კვლავ მოაგროვა სერდადებული ისრები, თავისიც დაურთო, კალთა მოაფარა, მხოლოდ წვერები გამოუჩინა და მითრიდატეს ეახლა.

— ბარემ პატივი დაგვდე და თითო-თითო ამოიღე! ტარიელ ერთგულო, შენ კი ასევე ამოღებულ-მიყოლებულად და-

აწყვე ლორფინზე! ყველამ ხელუხლებულად ნახოს თავისი!

— ისრის ყრაა? — შეეკითხა ჰახუნჯი.

— ისრისა... მერმე ყველაფერს გეტყვით!

— მე ამირანის ფიცი მიღებულნი მაქვს! — მარცხენა ასწია „შევირდი“-სახლავე მითხარით... ბრძოდ ისრის საყრელად აღარ მცალია!

მსცოვანები დადრკენნ. „შვილობილმა“ კი განაგრძო:

— გარდა ამისა, მე ვხედავ, ყველა არ მონაწილეობს ისრის ყრაში? — თან ბედანს გადაჰხედა.

— მე, ჩემო უფალო, ყველგან გეხლები, სადაც არ უნდა გერგოს წასვლა!

ახლა კი მსცოვანებს შემოუბრუნდა „შვილობილად საგულგებელი“.

— მე „მერგება წასვლა“, სადაც გადავწყვეტო, თქვენი რჩევით, ჩემი დასტურით! ისრის ყრა აქ გზის მაჩვენებლად არ გამოდგება... — ოღნავ დადუმდა და უფრო ფიჭირანად დაჰძინა, — მე ისარიცა და ბედის წილიც ვყარე, როდესაც ზღვამი შევეცურე ცხენით!

მახუნჯავმა ისრები მიწაზე დაჰყარა...

— ტომთა ბაბებს დავა შეგვექმნა, აქ დადგომა აღარ იქნება... აღარც მიზანი აქვს... და სადმე უნდა შეაფარო თავი, ხელსაყრელ დრომდე! აქ კი ყველა თავის მხარესა და ტომს ასახელებს!

— ყველა?

— ყველა უკლებლივ! ზოგი აქ დარჩენასაც მოითხოვს! დაცვას თავობს!

— შენ, ღვეკაცო?

მახუნჯავი, ოღნავ დაიბნა... აქეთ-იქით გაიხედა:

— მე... როგორც სხვანი... და გარდა ამისა... ურიგ-მარივად არსიანს მოვითხოვ! არსიანსა და „არსიანულს!“

ყველამ ხმა იკმინდა. და ასე მოეჩვენა ჰახუნჯს, თითქოს თავიც ჩაღუნა...

აღბათ, სათქმელიც თუ უთქმელიც დარჩათ რაღაც, ამ შეჩხუბებულ ბერიკაცებს...

— მადლობა ყველას! არსიანელო დე-

ვო! — ვეღარც „ერთობლივმა შეილობილმა“ დაძვარა სიხარული... თვალსახვევი ჩამოიხსნა და ბალღური, პირდაღებული ღიმილით ყველას ხელები გაუშალა:

— თუ მარტო ეს არის თქვენი დავისა და ისართ ყრის მიზეზი, მე შეგარიგებთ! — მერმე მოგონების წარბი შეკრა, — მამის სასახლეში სპილენძის რუკა იყო ტვიფრული, მთელი პონტო და კაზადოყია იყო ზედ სახული. ტარიელ, გახსოვს, ვეძებდით ზოლმე მდინარეებსა და ციხე-ქალაქებს! — ჰაბუქმა კმუნვითა და უკანჩაბრუნებული ფიჭვის თვლით გაჰხედა ზღვას. მის ქერეჭად რხეულ ტალღებს, ჩაშოშმინებულ სარკიანეთს და ზედ უდარდელად მონაგარედ სელაპებისა და ზღვის ლომების გუნდს.

— კარვად მახსოვს... ტყავებზეც იყო — სამგზავრო! — დაუდასტურა ბედანმა.

— ზელოსათვის ზღვის ლომის ტყავზე გამოიხატე! და საერთოდ ყველას ვთხოვ, ეს იქნება ჩემი პირველი თხოვნა, თავ-თავისი ტომთსაცხოვრისი, თავისუფალი თუ მტერთა მიერ მიძალბებული, ქედი, მდინარე, ვზა, ქალაქი და ნავსადგომი გამოიხატოს ტყავზე, ვისაც როგორ სურს... ოღონდ, ყველა რომ შეგვირიბოთ და გავშალოთ, ჩვენი, ქართულ-სამყარო გამოვიდეს, და ნურც ვინ გამოგვრჩება!

— მე იბერთ მეფის საბრძანებელი ირმის ტყავზე მაქვს გამოხატული... თან მაქვს, აღაღწი! — ახმიანდა აბიო-იბერი, — მხოლოდ პერთი და კამბეჩოვანი ავლია, ტყავი აღარ გასწევდა!

— ზაჭის ტყავიც დაუმატე და შაბაში — მოუკვცესა გურ ასკანელმა, — მე კი ჩემ ტყავზე თუ დავხატავ, თუ არა სხვა არა მაქვს რა!.. აქ ლომს ნუ მომაკვლევიანებთ!

— აუცილებლად ნადირი უნდა იყოს თუ? — ახითხითდნენ მსცოვანები. ეს იყო პირველი სიცილი ბჭეთა.

— გვაზა მეგრიო რუკების ოსტატი!

მაგან შეათანაბროს!...

გვაზა ცას ეწია, იგი **გატყვევებული სწავლულ-ეტიკი იყო...**

— კოლხეთში ოქროს საწმისი იყო ცნობილი! ვზათა ნიშნიანი კერპები და ქვაკაცები-ზომ ყველგან ახლაც არის! რუკის საწმისიც იყოს! შეათანაბრებასაც მე ვკისრულობ!

— მოვახერხებთ! მოვახერხებთ! ხვალ იქნება! ბჭობაზე მოვიტანთ! — ბანი მისცეს სხეებმაც...

— ახლა კი დასხედით და დამარიგეთ, ამიხსენით, რაც არ ვიცი ან რაც ჭერ არ მემისს... ჩემთვისაც და საერთო მომავლისაც ვთქვათ! გული ახლავე ბევრ რამეზე შერჩის, მაგრამ იმდენი მიხვედრა კი მახლავს, გავიგო, რომ ჭერ ყმაწვილობა მჭირს! და ჩემი აქ დარჩენა რომ შეიძლებოდეს, არც პონტოდან მოშორება მწადს! — უფლისწულმა თავი დაახარა და ლორფინზე ჩუმად ჩამოჯდა, მაგრამ მოსმენა არ დასცალდა... ქვახერელთან ოდიგარის ძელის ცემა შეიქნა.

მსცოვანები შეშფოთდნენ. ტარიელი სწრაფად გაეშურა ქვახერელისაკენ.

მალევე დაბრუნდა.

— ზღვაზე, დასავლეთიდან... დიდი ზომადლიონი გამოჩნდა... განი-განა ცურვით მოდიან, ნაპირებს ზვერავენ!

— ნუთუ კიდევ მეძებენ? — ჩაიგმინა ლტოლვილმა, — ჩვენი ნავი, ტარიელი!

— უეჭველია, გეძებენ! — მოიზიდა ბედანი, — ვინც დიდი ცოდვა ჩაიდინა, ის გულეჭვიანი ხდება... სამუდამოდ ჰყარავს მშვიდობას! ის მუდამ ელის და ელანდება მომკითხავი! თადარიგი, მახუნჯავ ჩემო, შენ ითავე! ჩვენც გამოგვიყენე ყველგან!

მახუნჯავი დატრიალდა... იგი და ტარიელი ჩავიდნენ ნაპირზე და რაც რამ საეჭვო კვალი იყო, ტყავტყის ძველით მოფარცხეს. ნაეში ქვეები ჩაყარეს, ოღნავ დააყირავეს და ფარულ ჭაჭვზე დაბმულად ჩასძირეს.

მოხუცებმა კი კერპის ქვედა ნიშიდან ირემთა, ცხენთა, თუ სხვა შენა-

წირავთ გამოფიტული ძვლები გამოზი-  
დეს და ზღვისპირი ხეაგვიანად მოჰფა-  
რეს. ყოველ მოხუცს ძვლის ხელეურე-  
ბი ვულში ჩაეკრო და გახევებულ მით-  
რიდატეს ისე უჩნდა, თითქოს მცო-  
ვანთ საკუთარი ძვლები მოჰქონდათ,  
ხრიალ-ხრიალით იშლებოდნენ და სა-  
ნაპიროზე რჩებოდნენ თეთრა ჩონჩხ-  
ბად!

— მსხვერპლმეუწიროველად, აქ, „ნამ-  
ძრახ ადგილზე“, აღარვინ გამოავა  
ძვლებს ზღვიდან ძველთაძველ ამოყრი-  
ლად ჩასთვლიან და „აე ტალღას“ გაე-  
რიდებიან, თუ საეჭვო არ ნახეს რამე!  
— ბედან-კოლხი მხარში უდგა, ამხნე-  
ვებდა ყმაწვილს. მას კი ცნობისმოყვა-  
რეობა უფრო ემჩნეოდა, ვიდრე შეკრ-  
თობა და დაბნევა.

უკანა გზაზე მოხუცებმა შშრალი სი-  
ლა ამოიტანეს და ქვასავარძლებსა და  
ნაცეცხლარზე მოჰფანტეს. მოითავეს და  
ყველანი ქვაბურელში ავიდნენ და იქე-  
დან გაჰხედეს ზღვას.

ხომალდიონი უკვე კარგად ჩანდა.  
მითრიდატემ იცნო კიდევაც ორქანდა-  
რა და სამქანდარა სინოპური ხომალ-  
დები. მას ხომ ნაოსნობა ცხენოსნობაზე  
არა ნაკლებად უყვარდა და ენერგებო-  
და. აი, სპერული საბრძოლო „სახნისუ-  
რა“, უფრო ახლო რომ მოდის ნაპირ-  
თან... ესეც მსუბუქი კოლხური კარაბა!  
მაგრამ მათ შორის ერთი უცნობი და  
უფრო ცხვირა, უფრო ვრძელნიჩბები-  
ანი იყო...

— რომაული კატარღა! ჩანს საძებარ-  
ზე უკვე ერთად დადიან! კარგა შორს  
წასულა საქმე! — ყრუდ აღმოხდა უფ-  
ლისწულს, — ზურგიც შეგვიმოწყმეთ!  
ხმელეთიდანაც თავდავლილები ხომ  
არა ვართ?

მახუნჯავს ბანაჟში უკვე აეგზავნა კა-  
ცი. სრული მშვიდობის ამბავი ჩამოეტა-  
ნა. მითრიდატეც დაწყნარდა. ყველა  
გულდაოკებით უთვალთვალებდა ხო-  
მალდების მოახლოებას. ახლა უკვე  
კარგად ჩანდა, რომ დიდ ხომალდებზე

მხედრებიც იყვნენ და ცხენებიც თან  
ჰყავდათ...

— სწრაფი სახმელეთო! ზვერცხლადე-  
ნაც განზრახული აქვთ!

რომაულ კატარღაზე თავოფოფა მუ-  
ზარადებიც ბზინავდნენ მზეზე. სულ  
ნაპირახლო მოკურავე, მორჩილ ხო-  
მალდებიდან კი რაღაც უცნაური ხმაც  
ბუბუნად გამოდიოდა.

— ძაღლები! მშვიერი ძაღლები! —  
ხმადახშულად წამოიძახა ხალღე-მისან-  
მა, მას საოცარი სმენა ჰქონდა შერჩე-  
ნილი, — მძორზე დაგეშილები! ფოცხ-  
ვერა ძაღლები!

— ახლა კი ცხადია, რომ ახალგარი-  
ყულ ლეშს დაეძებენ! — სულ ჩააზუსტა  
სუბარმახ სენამა, ბედან-კოლხმა კი მა-  
ხუნჯავს მშვილ-ისრები და შუბები მოა-  
ტანიხა, მცოვანებს ჩამოუტრიადა.

— აქედან ბევრი რამე უფრო ნათ-  
ლად ჩანს! ახლა თავდაცვა! ისიც ცხა-  
დია, რომ აქ დიდხანს დარჩენაც არ შე-  
იძლება!

— მართებულია... ვაგლახ, აგრე  
ჩანს... ვერ გზა გარიდებისა, მხოლოდ  
და მხოლოდ!

ქვასავარძელს ბქენი ახლა ქვაბე-  
რელში ბქობდნენ... და აქ უფრო ნახეს  
საერთო ენა.

შორიახლო, ნამგალა კონცხზე დიდ-  
ბომბორა ნაგაზები გადმოუშვეს, ხან  
ცალ-ცალკე, ხან წყვილად... მშვიერი ძა-  
ღლები დაძრწოდნენ და რაიმე საკბი-  
ლოს დაეძებდნენ.

უფლისწულს შეაჩრეოლა... ლეშად  
და სახრავად, ამ ქოფაყების კბილებში  
თავის თავი წარმოიდგინა. და მიუხედა-  
ვად იმისა, რომ შორს, მაღლა, სრუ-  
ლიად უშიშარ ადგილას იყო, შიშნაკრა-  
ვად შეეზიზნა ეს მძორიქამიები და  
შინაგანი ცახცახი ვერასგზით ვერ დაი-  
ცხრო. თავი გაიკილა და ისე მოიზ-  
ნევა:

— ნუ შიშობ, ცოცხლად შთენილო  
ლეშო... რაღა გიჭირს, ამ ქოფაყების  
კბილებში ზარიადრეს გულწვილ სიყ-

ვარულსა ვერძობა! არც დავიფიქვებ!...

თავად არა, მაგრამ მსცოვანებს ვაეღი-  
მათ. ასეთი მწარე ოხუნჯობის ფსი-  
მზოლოდ ხანგადასულებმა იციან.

მაღე ძაღლები დაჩონჩხილ ძელებს  
სწვდნენ... მაგრამ საუკუნეთა მიერ და-  
ღრღინისა და გამოფიტულ ძელებს  
მშვიერი ძაღლები რაღას გამორჩებოდ-  
ნენ, რა შიშისს გაინელებდნენ!

მეზღვაურებმა კი აბრუნდი დაპკრეს.  
მათ ახალი გემის პოენა ჰქონდათ და-  
ვალეზული, ჰილდოც დათქმული, და  
არა ძველი ძელებისა! ძაღლებს სსხ-  
რავე გადაუგდეს და უქმურ ადგილს გა-  
ერიდნენ.

ახლა ნაბირზე, ჩაძირულ ნავთან  
აღარც გაჩერებულან, არც ძაღლები  
გადმოუშვიათ.

ხომალდებმა ჩაიარეს. ზღვაურ მან-  
ძილში თანდათან ჩაიფიქვდნენ და სივრ-  
ცეში შავ ზოკოვებად ჩაიკარგნენ... წვერ-  
თეთრა ბეჭენი კი კიდევ დიდხანს იღვ-  
ნენ ქვახურულში და „ლუშის მიძებართ“  
გაპყურებდნენ.

იმ დღეს უკვე შედგვიანად იბქეს.  
და როგორც გურ ასკანელი მწარამაკვი-  
ლაკად ოხუნჯობდა, მსცოვანებზე „ჩანს,  
მშვიერმა ქოთაკებმა უფრო დიდი შთა-  
ბეჭდილება მოახდინეს, ვიდრე თვალ-  
ჩუბინა ვარაუდებმა და ჩაბრძენებულმა  
აზრებმაო“.

ერთ ფიქრზე მოსვლა სულ ადვილი  
გამოვდა. სამ დღეში წასვლა დასკვნეს.  
დრომდე, ყოველგვარი ჯანყი ან ტახტის  
ძიება პონტოში ნაადრევად მიიჩნიეს,  
ვიდრე „საერთო შეილოზილიც“ მოს-  
რულდებოდა, მდგომარეობაც უფრო  
გაირკვეოდა, და „ტომთ თანადგომის“  
საქმეც უფრო მომზადდებოდა. ტარიელ  
უფროსს სთხოვეს ათენს დარჩენა, „რო-  
მისა და ელადის ვითარების ფიზილად  
რკვევა“.

შეუთვალეს ყველა ქართველ და ქარ-  
თველურ ტომის მეფეს, მთავარს, ბე-  
ლადს, და ერს საერთოდ, პონტოს სა-  
მეფოს გასაჭირი, მამისა და შვილის  
მარცხი, დედის ვერაგობა, თან ყველა-

სათვის ახალი ლოცვა, ზეგარდმო რწმე-  
ნა შექმნეს: „ილოცეთ პონტოდან, ზაბე-  
როზა, ჰე! ირწმუნეთ თეთრი ელვა,  
შუჭი სვეტისა! გასსოვდეთ, დალაობის  
ჟამს ზღვაში გაჭირილი მითრიდატე ევ-  
პატორი, მარად ჰაბუჯი, სულითა და  
ხორციით უკვდავი! იგი ახლაც სპერის  
ფსკერზე სუფევს, მარგალიტის ნიჯარე-  
ბით გვირგვინს იმშვეენებს, ზღვის გო-  
ხებზე დაშნას ლესავს და ღმერთებიც  
მასთან არიან! ჟამიც დაპკრავს, ისევ  
ზღვიდან ამობრწყინდება, სვეტის შუ-  
ქად შემობრუნდება ხმელზე და ყველას  
გვიხსნის! ილოცეთ, ირწმუნეთ ყველამ,  
თეთრი ელვა, მარადი ჰაბუჯი ზღვისა!  
სპერის ფსკერიდან ელოდეთ შევლას!“

ეს „ახალი აღთქმა“ ყველა მსცოვანმა  
ზეზორად დაიხსომა, თავის ტომში გასავ-  
რცელებლად, რომ მითრიდატე ევპატო-  
რის „სასხენებელი არც დავიფიქვებას  
მისცემოდა, მაგრამ მისი საიდუმლოც  
ზღაბრულ ბურთულში დარჩენილიყო!“

მაგრამ ქართველ ხელისუფალთა მი-  
მართ სხვაფერიც მოისაზრეს — ადერკ  
იბერიელთან, ოროდ-ალბანთან და გოჯი-  
კოლხელთან „მსცოვანთ შოკიქულობა“  
დაასკვნეს. შიდა კაბადოკიის არიარა-  
ტესთან, ვით რომაელთა მონურად მო-  
მხრის მიმართ კი, სრულდუმილი არჩი-  
ეს. ტომს კი ფარული კაცები გაუჩინეს  
და „ახალი აღთქმა“ შეუთვალეს, თანაც  
გააფრთხილეს, რომ „შიდა ლალატისა და  
გარე ვერაგობის გამო, ახლა ორივე ნა-  
წილი ტუმალ-კაბადოკიისა სასწორზე  
იყო“... საერთო ხელი ტირიბაზს, გორ-  
დაის გვართუხუცესს, შიდა-ტუმალს,  
დაავალეს.

მეორე დღეს შეგვიანებით მოგროვდ-  
ნენ. ყველას მოგორგლილი ტყავი მოჰ-  
ქონდა. გარედან მრავალნაირი ბეწვი  
ჩანდა. შიგნით კი ქართული ანბანისა  
და მადლის მიწა-წყალი იყო ხაზული.

ახლა წინ ჰაბუჯი მეფისწული მი-  
დიოდა. მან ქვასავარძელას ჩაუარა და  
პირდაპირ ზღვაზე ჩაეიდა, მოსილულ  
ნაბირზე შედგა.

— აჲ გამიშალეთ! ზღვა, ჩემი პონტო

კი ნამდვილი იყოს! — და ყველას გორგალა ტყავები სილაზევე გააწყობინა.

ურთიერთ მისადაგებასა და მთლიანგამართვას ბედან-კოლხმა, გვაზა მეგრმა და ტირიბაზმა უთავეს. ტარიელმაც სიმარტედ და მიწა-წყლისმცოდნეობა გამოიჩინა.

პონტო, მართლაც ზღვის ლომის ტყავზე იყო ახლად სახული. პირველად იგი დააფინეს ზღვის პირას.

— იშოვნეთი? — შეხალისდა ჭაბუკი, — ახლა კი მეგრა, რომ მეფე ვარ! — ზღვასა და ზღვის ლომის ტყავის კიდეს ჩააყოლა თვალი. შენისლული. თან ჩაიკითხა.

ლომის რუკა ახლო მეზობლებსაც შეიცავდა, პროპონტიდიდან მთელ ბითინიას თავისი სატახტოთი, ნიკომედიით, ბერძნულ თავისუფალ ქალაქს—ჰერაკლესს, ახლა კელს დაკარგულ—ამასტრიასა და საერთოდ პათლაგონიას, მერმე პონტოს სატახტოს — სინოპეს, მდინარე ღალისის მთელი დინების არეს, ძველ სატახტოს — ამასიასა და კარგ ნავსადგომს ამისოს, ქვეყნის შიგნით — შიდა კაბადოკიის ქალაქ მახაკამდე. ტრაპიზონს იქით ზღვის ლომის ტყავი თავდებოდა და ბედან-კოლხმა მას ორი ვერძის რუკა-საწმისი მიუსადაგა. ერთში ათენი, აფსაროსი, ბათუ, ფოთი-ფაზისი, დიოსკურე და ბიჭვინთა იყო ზღვის პირ-პირ მიწისმებული, ხოლო მეორეზე კავკასიონი, და რიონ-ფაზისი, სვანეთი, ციხე-ქალაქებიც — გოჯის ციხე, ქუთათისი, ვარდციხე, ვანი, სვანდა, შორაპანი.. იმის იქით კი იბერიის ირმის ტყავი გადაშლილიყო, რომელსაც სირმასავით სერავდა მტკვარი... უფლისციხე, მცხეთა, არმაზი, ქართის მთა და თრიალეთი, კახეთი და ალაზნის ველი, კამბეჩოვანი მართლაც ზაქის ტყავზე იყო მოხატული, ვიდრე ალბანამდე და პიას ქვეყნამდე.

შიდაკაბადოკიის, არაიარატეს ნაწილი ცხენის ტყავზე იყო სახული. კიდევ დასჭირდათ ჭვირნის ტყავები კავკასიან-

დალმა ტომთათვის, ჰერეთ-ალუანეთისათვის, ხარის ტყავი მეზობელ პიასს ქვეყნისათვის და შველების ტყავებიც იქ მისამველებლად.

როდესაც ქართველ და ქართველურ ტომთა „ტყავ-კაბა“ გაასრულეს, ერთ თარგში მოიყვანეს, თეაღწინ, ზღვის პირას დიდი ქვეყანა გადაეშალათ.

ყველა ჩაფიქრდა. დიდხანს სრული სიჩუმე იდგა. ზღვაც თითქოს განაბულიყო. უფლისწულმა მესტები წაიყარა და ფეხშიშველა შედგა ზღვის ლომის ტყავზე, ახლა სხვა ტყავებზეც ჩაფიქრებულად და ჩაძიებულად ჩაიარა. ბოლოს შუაგულში შედგა და ტყავების ირგვლივ შემომდგარ მსცოვანთ შემოკხედა:

— ახლა მანძილებში გამარჯვით!

— პროპონტიდიდან ხმელეთ-ხმელეთ ფაზისამდე ორმოცი კარგი დღეა სავალი! აქედან შუაგზა ვთქვათ! — აღსხნა ბედანმა.

— ზღვით გაცილებით ნაკლებია! ოღონდ გააძაღლეს ზღვა, „სტუმართმოყვარედ“ სახელდებული... — მსცოვანებს გადააცილა მზერა ზღვის ჭაბუკმა და „კენჭი ჰყარა“, — აქ დადგომაც არ შეიძლება... მაგრამ არც ზღვით არ შეიძლება გაცლა!

მსცოვანებმა თავისი დასტური დაყვავებული ჩურჩულით გამოჰხატეს.

— ჯერ კოლხეთს წავალ ხმელეთით... მერმე იბერიას ვეწვევი, იქედან კახეთსა და კამბეჩოვანს... მერმე სხვა ჩვენს მხარეებსაც დავივლი... ახლა მეზობლებსაც გავიცნობ... ჟამიც გამოხდება და ისევ აქ, ქვასავარძელას მოვბრუნდები — დიდ შეყრაზე და ფიცის დებაზე გიწვევთ, და მერმე — პონტო! — უფლისწულმა ყველა ტყავი ფრთხილად დაიარა და ფეხის გულზე ხან ზღვის ლომის დატყევილ ბეწვს გრძობდა, ხან ვერძის საწმისს, ხან ირმისა თუ ზაქის ხეშემა ბუსუსს. — დანარჩენზე მერმე ვიფიქროთ, ჯერ კი თქვენ „შევირდი“ და შვილობილი ვარ!

## 8. ლექსკრიონი



საოცრად დამთავრებულმა დალაობამ დიდი თავზარი დასცა ყველას. ყველაფერი აირია, მტრისა და მოყვრის. გარჩევა აღარ იყო... მეფის მკვლელობა, ძეგბა თუ მოხსენიება ვისღა ახსოვდა. ერთ ვერ მონელებულ ბავთს, მეორე უფრო მოულოდნელი ვაი-უშველებელი დაერთო, სულ აშალა სინოპე და მისი ზღვისპირეთი. ერთ ლანდზე თითქოს გაერთიანდა კიდევაც საერთო გათიშულობა.

ზარიადრეს „ჩასაფრებულნიცა“ და „მითრულნიც“, რომლებიც უფლისწულის გატაცებასა და გადარჩენას ჰფიქრობდნენ, ერთნაირად სახტად დარჩენილნი და თავგზაბანეულნი, ქალაქში ჩამოვიდნენ და უკვე აშკარად, გამაგებებით დაეძებდნენ ზღვაში წასულს, თითქმის ყოველი საპირისპირო და ფარული გამომჟღავნდა, ვარდა ერთისა — ცოცხალი იყო თუ არა უფლისწული?

სასახლიდან ახალი ზარი და კვიილი ისმოდა. მოედანზე და ზღვისპირას მოსთქვამდა შემფოთებული ხალხი. მთელი ღამე ანთებულ ლამპრებიანი ხომალდები და ნავეები ზღვაში ბორიალობდნენ... ტალღის ჩრდილს დაეძებდნენ.

ერთმანეთის ეჭვმა და კრძალვამ სულ არია საძებარიცა და განავისიც.

დილით ტალღის გამორიყული შავ-ქაჯი ნახეს. მალე ყაბალახიც მოიბოვეს, უფლისწულის სხეული კი არსად იყო. ამან ათასი ეჭვი და ვარაუდი შექმნა. მისტიური ძრწოლებისა და ზეგარდმო შიშის ნარწმენი მოედო ყველას... დედიდან დედამძუძემდე... სასახლეცა და ქალაქიც სიზმარ-ცხადის ბურანში იყო. ზღვის სანაპიროს ახლა მთებიდან და ახლომახლო სოფლებიდან მოსული ხალხი გაედო და, რაც სინოპეს ახლო და შორ მოსახედში ლეში და ძვალი მოჰხელეს — სულ მოედანზე მოიტანეს... მაგრამ მხოლოდ შავ-ბედაური და ყაბალახი იყო უტყუარი...

რაც დრო გადიოდა თფქოს უმძველი ხდებოდა „უცხენო და უყაბალახო“ უფლისწულის დაღუპვა. ბევრმა წარჩინებულმა ახალი მეხი იჭრა და თავიდანვე განშორდა სინოპეს. ზოგმა, სასახლეში, დაბნეულ შვეებით ამოისუნთქა. დედოფალი ჯერ ცივი ხმით კიოდა, მერმე ლოგინში ჩაწვა და ხატულ-ხარატულა ჰქერს თვალეში მიაბორკა. გუშინ თუ თავად იმეტებდა, გულის მიღმა სტოვებდა, დიდ თამაშში ავდებდა, მთავარ მეტოქედ რაცხდა თავის სიყრმის ძეს, დღეს საშინელ ქენჯნას განიცდიდა... და ჰქერს რომ თვალს მოამორებდა, მერმე თითქოს ზღვაში იხრჩობოდა... და შეცივებულად კანკალებდა...

რამდენჯერაც მოეწვევოდა ზარიადრე, ან სამეფო საბჭოს სხვა წევრი, ამასღა ჰკითხულობდა:

— იბოვნეთ?

— ვერა! — იყო გამუდმებული პასუხი.

ბოლოს ყველა ერთად შეჰყარა — ზარიადრე, ბაზუკ პერგამელი, როსებ ნატუბალარი და ბახო-ხალიბი... არ იყო მხოლოდ მოგვთა მოგვი... ყველას სათითაოდ დააკვირდა და გაოცდა... არა, თავები ყველას მგლოვიარედ და დიდი ჰმუნვით ჰქონდათ ჩაქინდრული, მაგრამ დედოფალი გრძნობდა, კარგადაც იცოდა, მოჩვენებითი იყო ეს გლოვა... მართალია, არა ასეთი, მაგრამ მარცხი სრულიად მოსალოდნელი იყო... და უფრო მეტიც... სრულიად გარდუვალი! მაგრამ არც დედის თარგზე და არც დედოფლის თარგზე არ მომხდარა მარცხი, ეს ყველაფერს საეჭვოდა და გულშემზარავად ხდიდა... „ამათ თარგზე ხომ არ არის „მარცხი!““. აბა რატომ მაღავენ თვალებს? ან ხომ არ მატყუებენ რასმე? იქნებ ჰგონიათ, აწ ამათი სათამაშო ვარ!? მაშინ შვილი მერჩია! მე მაგათ ვუჩვენებ შავ-ქაჯს — ცოდვა ჩემი და ცოდვის ხილი მაგათ!? ახლა

ცხენს მიჩენენ და შვილს კი არა! მე გამოუჩენ მავათ და ყველას!“

ლაოდიკეს სიბრაზემ და ფხარატუხილ-მა ქენჯნამ ხელი დაპრია და ნიდაყვებზე წამოავდო... პარპაშა გულისპირიც კი გამოუჩინა, წარბებზე გაჭიჭების ხაზი დაედო, კრიკა ძლივს გადრიჯა:

— იპოვნეთ?

— ვერა! — და არც ერთმა არ ამოპხედა.

დედოფალი მზად იყო მათთვის ცხვირში ხელი ამოეკრა და აკი ამოჰკრა კიდევაც!

— მე კი ვიპოვნე! აი! — ხელი ბალიშის ქვეშ შეჰყო და ეტრატე მალდა ასწია.

ყველამ აპხედა. დედოფალმა, მიუხედავად საზღვარგადასულ სიბრაზისა, მაინც შენიშნა მათ სახეებზე ჯერაც შეჩენილი ფარული ღიმილი და სიამე... მერმე ყველას გაკვირება დაეუფლა, შიშაცა და შეკრთომაც, ვარდა ერთისა — ბახო-ხალიბისა, მას ჩამქრალი, საჭურისული თვალები, ერთი წამით შეუბრაილდა:

— უფლისწულის ბარათი? **იქნებ, ცოცხალია?**

— არა, ანდერძია მიორიდატე ევერგეტისა! — შეზვიადებულად წარმოსთქვა ლაოდიკემ და შედგა... — თქვენს შორის ერთადერთს — ბახოს ჰყვარებია ჩემი ოჯახი!... ახლა ვიპოვნე ეს ანდერძი — ერთადერთ მემკვიდრედ უფლისწულია დასახული, სამეფო გვირგვინის ბჰენი სულ სხვანი არიან, ვარდა დედოფლისა! ახლა მირჩიეთ, გამოვაჩინო თუ არა? — და თავადვე დასკვნა, — დედობრივი გულწრფელობა მიკარნახებს, გამოვაჩინო! და გამოვაჩენ კიდევაც, უკეთეს თქვენს სრულ მორჩილებას ვერ ვიხილავ!..

ახლა კი ყველას ჩამოუგრძელდა სახე.

— გვიბრძანე, დედოფალ-გვირგვინოსანო!... ანდერძის გამოჩენას კი ახლა აზრს თითქოს დაკარგული აქვს! — შემპარავად წამოიწყო ზარიადრემ, შუბ-

ლიდან ცივი ოფლი მოიწმინდა. — ანდერძის გამოჩენა შიდა ომაც შეიშინავს და გარე — რომის ამტკვლოქავეც, აღარცინ დაიჭერებს, რომ მხოლოდ ახლა აღმოჩნდა! ასე რომ, ამ „გულწრფელობასაც“ სათნოებად ვერაინ მიიღებს! შვილის მარცხიც არა ზღვასა და შვექაქს, არამედ, როგორც ხალხში უკვე ამბობენ, „შავ დედას“ დაედება! ახლა ხელახლად ჰყარეთ კენჭი... ჩვენ კი უერთგულესად გემორჩილებით!

— გვიბრძანეთ, დედოფალ-გვირგვინოსანო! — ყრუდ გაიმეორეს დანარჩენებმაც.

— ჩემს მოციქულობას რომაელებთან აღარც აზრი ექნება, აღარც საგანი დათათბირებისა... იქ თუ გამატანთ ანდერძს „მტველის მაგიერ“?... მაგრამ მაშინ სრულ საიდუმლოდ უნდა დავიცვათ ეს დაგვიანებული აღმოჩენა... რომ რომნი შეაწყნაროს, შინ კი არავინ არ აგვირიოს! — ბაზუკ პერგამელმა სხვა მხრიდან დაუარა და ჩააფიქრა. სიბრაზემ კლება უწყო, მაგრამ ერთი მძიმე შეშფოთება კიდევ შეხვდა დედოფალსა და მის ბჰევეს.

მესაწოლემ მოახსენათ, რომ უფლისწულის მეაბჯრე ოდიო ითხოვს დაუყოვნებლივ ხლებას. დედოფალს ისედაც შიგ გულსაძგერში მოხვდა მისი „შავდედობის“ ზალხში გავარდნილი ავსაყვიარი. ანდერძის „სარკე“ ეყოფა, ახლა ოდიო მოდის!... წელში გააცევა.

ყველამ ყურთა-ყური გამოიბა.

— ჩქარა მოიყვანეთ!.. — ლაოდიკეს ხმაშიაც და სმენაშიაც გატეხილ სარკის ჩხრიალი გაუჩნდა და აღარც მოეშვა...

— დედოფალ-უფალო! — შემოსვლისთანავე მუხლებზე დაეცა ოდიო მოხუცი და დედოფალს გატეხილი ჩანგი მიაწოდა, — ეს გაახლეო... შვექაჯზე რომ ჯდებოდა მაშინ, წესით, გასტეხა და მომაწოდა... თავად მოსხლიტა შვექაჯი... აბა რას ვიფიქრებდი... შიგ რაღაცა ნაწერი დევს... ახლა ვნახე, აბა მე რა ვიცი. ბებერმა მეაბჯრემა... გულმა მიგრძნო, თქვენ მოგართვით, თქვენი.

ხელისა არის. დამსაჯეთ თუ თავის დროზე ვერ ვიპაზრე და ვერა ვნახე!

დედოფალმა ხელი სტაცა ვატეხილ ჩანგს და მის ჭრუვ ნადრეკში, ჭილის მცირე ეტრატო შენიშნა, უმაღლესი შეკანკალეული ხელით ამოიღო და ჭერ ჩუმიად ჩაჰხედა... ესეც, ანდერძის შემდეგ, მეორე სარკედ მოეჩვენა. ბოლოს წაიკითხა, მერმე ერთიც შეჰკვივლა და გული წაუვიდა... როდესაც მოაბრუნეს, დარბაზში ბებერი მებაჭრე აღარ იყო, მაგრამ ხეარა მოგვთა მოგვი კი აქ მოეწვიათ, თუ მოსწევოდა, როგორც სასახლის მკურნალთ მკურნალი. სისხლიც გამოეშვა დედოფლისათვის, ნესტარი და კოტოში ჭერ კიდევ ხელში ჰქონდა.

წერილი და ანდერძი ერთად იღო დედოფლის სასთუმალთან. ირგვლივ მკაბე და მაყუნა სურნელი ერთმანეთს ებრძოდა...

ლაოდიკემ ისევ ჭერს მიასო თვალები და ენა რომ მოითრია, გველცივა სისინით იკითხა:

— წაიკითხეთ?

— წავიკითხეთ... — აღმოხდა ხეარას.

— ყველამ?

— ყველამ... — ერთად აჩურჩულდნენ ბჭენი.

— ახლა რაღას მიჩვენო?

სინთმე დატრიალდა და ხმაურზე უარესად დააბზო ყურები. ყველამ იგრძნო — ახლა იწყებოდა თავების გახმობის ეპოქა... უღანაშაულო და პირმართალი კი არც ერთი არ იყო, ან უფლისწულისა, ან დედამისისა, ან ურთიერთის მიმართ. ახლა საქმე იმაზე იყო, დედოფალ-გვირგვინოსანი რა თვალთ შეჰხედავდა ამ ყოვლად დაბურდულ საქმეს... დედოფალი კი ხატულ-ხარატულა ჭერს ჭუთუთოგაშეშებულად მისჩერებოდა და მიძიმედ სუნთქავდა. ჭერზე თითქოს ორი „სარკე-ნაწერი“ იყო გაქრული — მეუღლისა და ძისა...

— ახლა უფრო გაირკვა საქმე... — ძლივს წამოიწყო ხარიადრემ, — უფლისწული სულმოკლე ყოფილა. მოუთმენარი... ცოტაცა და მისი სულგრძელი

დედა ანდერძსაც აღმოაჩენდა თურმე! მაგრამ ღმერთებმა სხვაფრთვ ვაჩსაჯეს... და როგორც თავად ჰაბუკი სწერს, „კონტს შთავარდნა“ არჩია მოუფიქრებლად! აქ დამნაშავე არავინ არ ყოფილა დედოფალ-გვირგვინოსნიდან დაწყებული — უქანასკნელ მეჯინებმდე, იქნებ მხოლოდ ოდიო-მებაჭრე, რატომ ეს წერილი ადრევე არ აღმოაჩინა!... მაგრამ ჩვენ ამას ყველაფერს ვეღარ ვაგხსნით, სამეფოს ვერ ვაუწყებთ... აქ ბედისწერა ჩახლართულია და რამდენად დაიწყოებთ სიმართლის რკვევასა და თავის მართლებას, იმდენად უფრო გავამტყუნებენს.. გარდა სულიერი შფოთვის, არც ანდერძი და აღარც წერილი აღარაფრის მაქნისია, და ვფიქრობ, თვით დედამ თავი უნდა მოინუგეშოს, ყველაფერი მოიმტკიცოს და ორივე ეტრათი დასწვას!

— მაგრამ ტომებსაც რამე უნდა გამოვუცხადოთ მოხერხებული და საშოშმინო! — ახლა ბაზუე პერგამელმა მისცა მხარი.

— დამნაშავენიც საჭიროა „აღმოგვიჩინოთ“, თორემ აღარ დაგვიჩერებენ! — დაუმატა როსებ ნატუბალარმა, — ერთი უკვე ითქვა... ორნი მეჯინებნიც არიან! ნაწერი კი, ყოველგვარი, უნდა დაიწვას!

დანარჩენები გაოგნებულნი სდუმდნენ.

— ბაზო-ხალიბი რას მიჩვენეს! — პირდაპირ, თუმცა სახემოუბრუნებლად მას შეეკითხა ლაოდიკე.

ბაზოს ვარაუდები უკვე მოპოვებული ჰქონდა. წელან ადამიანურმა გრძნობებმა სძლია, ახლა კი ისევ „ქერქში ჩაქდა“ — თუ საქმე სწადს — გაუტყრებტ ჩრდილში უნდა იყოს, თორემ „მებაჭრესა და მეჯინებს“ შეაჯაჭვებენ!

— ამ წერილმა და ანდერძმა ურთიერთი საბოლოოდ გააბათილეს! ორივე თქვენ პირადად, მხოლოდ ვნებას მოგიტანთ და არც არავის გამოადგება! უნდა ორივე დაიწვას, სხვა გზას ვერ ვხედავ!

ახლა ყველამ გამოსთქვა თავისი აზრი. გარდა ხვარა მოგვთა მოგვისა... იგი კი სდუმდა... ენე იგი სდუმდნენ ღმერთები, წინათქმანი, ნიშნები... ეს კი ფრიად აუგი დუმილი იყო. მართალია, ლაოდიკეს სირიულ-ასურული ღმერთები უფრო სწამდა, ვიდრე ტუბალ-ქართული, მაგრამ ქვეშევრდომთა დიდ უმრავლესობას სწორედ ეს ტომები შეადგენდნენ და მათი ღმერთების მომხრეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ხვარა კი ჭიუტად, დეჟდ სდუმდა.

ლაოდიკეს ანჩხლებდა და ზარავდა მისი დუმილი. არანაკლები ძალითა სისხლს უშრობდა და გულსა ჰყრიდა, ვიდრე წედან, ნესტარითა და სისხლის გამოშვებით მართლაც რომ შვებვას აძლევდა!

ბოლოს ისევ ზარიადრემ გადასწყვიტა ხვარა მოგვის დაყოლიება, ან დამნაშავედ გამოყვანა...

— ნეტავ ღმერთები რას გვანიშნებენ, ან მოგვთა მოგვი რას გვითაობიერებს?

ხვარას მოთმინება დაეკარგა, ან უფრო დიდი შინაგანი სიფიცხის საბაზი ჰქონდა: „წვერ-ნიკაბი აუცახცახდა, თვალებიდან ცეცხლი დაჰქვესა:

— გვიან ჰკითხულობთ ღმერთების ნიშნებს! ესეც იცით, ტუბალ-ქართული ღმერთები არ ერევიან ოჯახურ საქმეებში... არ დგებიან ცოლისა და ქმრის, ან დედა-შვილის შუა ეს ბერძნული, რომაული და სირიული ღმერთების წესია. ანდერძი და მონაწერი ჩვენ ღმერთებს აღარ ეხებათ... შავ-ქაჯს კი თავი მოეკვეთოს მოედანზე, ნიშანი მაშინ იქნება! ამ ცხენის მოგვრის ნამდვილი დამნაშავენი კი უნდა დაისაჯონ!

ლაოდიკე ისევ სუნთქვაშეკრული გადაესვენა საარეკლზე... იმავე ხვარამ მაჯის ძარღვიდან ისევ სისხლი გამოუშვა, საფეთქლები დაუზილა, ციკსურნელა წყალი ასხურა, ლოცვა უბუტბუტა და მოაბრუნა.

ლაოდიკემ, ყოველი სიტყვის დეჟვითა და მიუძღურებელი ხმით, ბრძანა: 6. „მნათობი“, № 3.

— ჩვენი პირშმო, უფლისწული და ტახტის მემკვიდრე, მითრიდატე ევბატორი, უკვე მცირე გვირგვინს მკურთხელი — ჩვენი თანამოსაყდრე, შაშის დალაობის ეამს, მრავალი ტომისა და სინაბელ მოქალაქეთა თვალწინ, გახელბულმა ცხენმა ზღვაში გაიტაცა. სამი დღის საყოველთაო ძებნამ არაარად ჰყო ჩვენი იმედი აწ მარცხს — მარცხი დაერთო და გლოვას გლოვა განუქარველი...

კვლავ ძაძების კვირასა და მსხვერპლ-შეწირვას ვამწესებ მე, დედა, დედოფალი-გვირგვინოსანი, ეაგლახ, ამიერით მარტოდმკურთხელი.

ცხენი ევბატორისა ნაბოენია და დაისჯება ღმერთების შთაგონებით, ვით უმთავრესი დამნაშავე... მასთან ერთად დაისჯებიან მეგინიბენი — ორნი, რომელთაც თანამოსაყდრეს მიზგვარეს ცხენი იგი — გახელბული, და მითრიდატეს მეაბჯრე, რომელმაც თავის დროზე არ გვაუწყა ავის ნიშანი!

მერმე ანთებული სანთელი მოითხოვა და ერთსაც ცეცხლი მიუთხო და მეორესაც. ჭილის წერილი უმაღ დაიწვა, ანდერძი კი გაძალიანდა და არასგზით ცეცხლი არ მოიკიდა. მიმივე ნატისუსალი დატრიალდა „მარტოდმკურთხელის“ საწოლში. და ვიდრე თვით ლაოდიკე ცეცხლს მოიკიდებდა, ზარიადრემ შესაწოლე იხმო:

— გვირგვინოსანს სცივა! ცეცხლი გააჩაღე ბუხარში, ცეცხლი!

მაგრამ მეტუხზე მუნჯა-ქორიამ, ტუბალელმა დედაცაქმა, სანახევროდ მართლაც მუნჯმა, საოცარი ვაი-ვიში შექმნა...

— აი, არა! აი, არა! არა და არამცა! — უსამველოდ გრძელი ხელები აასავსავე, ლაოდიკეს საწოლის ბოლო დაუკოცნა, ხვარას მუხლებში ჩაუვარდა...

ისევ ხვარამ ახსნა მუნჯა-ქორიას ასეთი უარი.

— ტუბალთ წესით, უკვალოდ დაკარგულთა ოჯახში ბუხრის ანთება არ

შეიძლება, რადგან სული დაკარგულისა ბუხარშია შეფარებული!

ლაოდიკემ გაშმაგებით დაბასრა ანდერძი და ძლივს დასწვა, მერმე ისევ გული შეუღონდა, თუმცა ახლა არც მეუღლის „სარკე“ ჰქონდა თვალწინ და არც ძისა! ყურებში კი გატეხილ სარკის ჩხრიალი მაინც ესმოდა... ვაი, რომ მას კიდევ გატეხილი ჩანგის ხმაც ერთვოდა, არც იყო საშველი, გულის ყრის გარდა!

მეორე დღეს მოედანზე დილიდანვე შეიქნა სამზადისი. ისევ მოზიდეს შუშა და დიდი ხორგა დადგეს. იქვე, სამსხვერპლოსთან მშვილდ-ისრები დააწყვეს. ადრევე ქალაქის ყოველ მიჯნაზე, ფორეზე თუ ნავსადგომებში, გრძელსაყვირიანი მაცნენი გაჰკიოდნენ... გამოცხადდა „ლოგინად ჩავარდნილ“ გვირგვინოსნის ახალი გლოვის სიტყვა „მემკვიდრისა და თანამოსაყდრის“ ზღვაში დაღუპვის გამო. და ზედ მიბმით „ცხენისა და სხვა დამნაშავეთა დასჯის“ შესახებ.

დილიდან აზუზუნდა ქალაქი. დალალ-ვაჟრები დიდ ქულბაქებში მოგროვდნენ. ზღვის კლდოვანი ნაპირის თავზე, კარგა მოზრდილ, მოწყობილ მოედანზე...ეს ქულბაქები ყველაზე უძველესი იყო სინოპეში, ჯერ კიდევ ბერძენთა ჩამოსახლებაამდე. აქვე იწყებოდა რეწვის რიგიც... ქურჭლის კუთხე, ორდოლაბა ზეთის სახდლები, მჭედლები და მეტყავეები, სელის მბეჭველნი და ასე მიყოლებით ზღვის კოდმემდე.

ამქრები შეგროვდნენ და ახლა ზღვაურთ ელოდებოდნენ...

შორს ზღვაშიც მისცეს ნიშნები და ყველამ თავი ანება თევზის, ზღვის ღორებისა თუ სელაპების რეწვას.

ახლა ნავთსადგომებიდან ამოიარეს მეროფეებმა და მეაფრეებმა... ზედაც სხვა ხელოსნები და მოქალაქენი მოზღვაოდნენ, სასახლისაკენ გაემართნენ. იქაც უკვე ბლომად მომდგარიყო ქალა-

ქის ერი, მრავალენოვანი როგორც ზაბილონი, მათ შორის ძველი და ახალი სინოპელი ხალხებიც, მაგრამ სრულყოფილ არა ჩანდნენ არე-მარე სოფლებიდან ჩამოსულნი.

სინოპესკენ მომავალი ვიწრო ყელი, ზარიადრეს ბრძანებით, შეეკრათ სირიელ შუბოსნებს. არც არავის არ ატარებდნენ ზემომხრისას. ზღვაზედაც სამეფო ხომალდები დაარჯობდნენ ქალაქის ზღვის მისაველებს. ორივე ნავსადგური, კონცხის აღმოსავლეთით თუ დასავლეთით, გრძელი ჯაჭვებით იყო გადახშული...

ჯერ მამისა და ახლა შვილის საეჭვო სიკვდილს ათასი ხმები და დრტყინვა გამოეწვია. საშფოთვარი და საგანგაშო, მართლაც ბევრი იყო... ქართველ ტომების შურისძიებასა და თავდასხმას მოელოდნენ და ზარიადრეს „ლაშქართ თაღარიგი“ დაეჭირა. მაგრამ უცნაური ის იყო, რომ „ზედა მხრიდან“ ჩამიჩუმი არა ისმოდა რა!

— ალბათ, გროვდებიან! — ეკვობდა ზარიადრე, — ასე თავზეხელაღებულინი არ არიან, რომ ასეთ დაბნეულ დროს, როდესაც „ალაბი“ ხელიდან გამოეცალათ, რაიმე დიდი ამბოხი გახებდონ, მაგრამ არც იმდენად წინდახედულნი ან მშობიარანი არიან, რომ არაფერი არ მოიმოქმედონ... არავინ არ გამოატაროთ! სისხლი თუ დასალერელია იქ, ვიწრო კონცხზე, დაიღვაროს! ჩვენ კი ქალაქელი ბერძენები და სხვა ტომები გადმოვიბიროთ!

მაგრამ ერთმა გამონაკლისმა ყველა ეარაული შერია... თხების ეეება არცე მოაღდა ვიწრო ყელს, სულ დაჰვარა ვარე მისადგომები.

ასეთ „შემოსევას“ არავინ არ მოელოდა. შუბოსნებმა გაჩერება სცადეს, ზარიადრესთანაც აფრინეს მიცნე.

ზედაც რამდენიმე მწყევსი გამოჩნდა, შორიდანვე აყვირდა:

— საწყოსო! მსხვერპლშესაწირავი! შავი თხები! ზღვაში დაღუპულის მოსახსენებლად! თქვენც ვერგებით!

— ქაქარი შავი ქაქარი!... თვალში ნაკარი

სირიელებმა „ქაქარ-ნაკარის“ ვერაფერი ვერ გაიგეს, მაგრამ თხის ხორცი უყვარდათ და ერთი-ორი უკვე წამოაგეს შუბზე, მაგრამ გაჩერებით, აბა რას გააჩერებდნენ და შუბების ქნევით უკან-უკან იხევდნენ...

მალე პასუხიც მოუვიდათ ზარიადრესაგან:

— „შავი ვაცები გამოატარეთ, შავი კაცები კი არამც!“

მაგრამ ვიდრე ამბავი მიმოდიოდა, რამდენიმე ათასი თხა სირიელთა სპას, უკვე გასხლტოდა და შეუკავებელ ნიაღვარივით ქალაქისაკენ მიედინებოდა... ნახევარი ვიწრო ყელისა უკვე გავლილი იყო... მათ შორის შავებიც იყვნენ, თეთრებიცა და შავ-თეთრებიც, მაგრამ მხოლოდ თხები... „შავი კაცები“ კი არსად ჩანდნენ, გარდა რამოდენიმე ჩულიანი და ტყაბუქიანი მოსინიკ მწყემსისა. სირიელმა შუბოსნებმა ახლა გამორჩევით შავი ვაცების გაშვება დაიწყეს... მაგრამ თხა თხის შემხედვარე რას დადგებოდა, ზოგი კლდე-კლდე გაძვრა, მარცხნივ თუ მარჯვნივ, ზოგიც ზღვაში გადახტა და ყელს გასცდა... მერმე ერთბაშად შეფრთხა ეს ვეებერთელა არვე-ჯოგი და, აბა, შუბოსნები რაღას შეაჩერებდნენ რქოსანთა დიდ, შავ-თეთრ ნიაღვარს!

თხების ზვირთი კონცხის ყელს გადააგორდა და ქალაქს მიაშურა. ზედმიხებით კი არვეს რღვეულს მოზრდილი გუნდიც მიჰყვა. ჯერ კამბლიანი მოსინიკები იყვნენ, მერმე უროიანი და წერაქვიანი ხალიბები, მადნის მომპოვებელი, ჩამომსხმელი, მკედელი და შემკედლური... მერმე იარაღსხმული და ხისმუზარადიანი მთის ტუბალები მოჰყვნენ, თავისუფალი მოთემენი და გვართ-მოწიფულნი... ტანად მესხებს მხოლოდ სათხედები ეპყრათ, მუშკებს რკინის ბაღმა ფარები და მოკლე დაშნები... ქალებსაც ლასტის ფარები ეფარათ და თმაშლილად მოდიოდნენ.

თხების შემოსევამ ისე „გადათელა“ სირიელთა გუნდი, რომ თხის სასხლტის გარდა არა დაღვრილა.

არც სინოპეს განუცდია ასეთი უცნაური და უეცარი თარეში. თხები მოედგნენ ქალაქის ქუჩებს, ქულბაქებს, ზღვისპირეთს... დიდი მონასხლექი მოედანზეც მოიქრა... და „შავი კაცების“ ტალღამაც რომ მიადღწია მოედანს, იქ ყველაფერი ერთად იყო არეული — თხა და კაცი!

ზღვის მხრიდანაც ამოვიდა ხალხის ახალი ტალღა...

— მოჰყავთ! მოჰყავთ! — ხალხს ძახილმა ამოაწრო და ყველა დააფაციცა.

...გზაზე ურემი მოგორავდა. უღელს, ტაბიკებს, ურმის თავს, ქალებს... ყოველ მხრივ ხალხი შესკიდებოდა და მის ტალღასთან ერთად მოგორავდა ურემიც. ზედ ფეხებაჩაჩხული, ძალზე გაბერილი და გასივებული შავ-ქაქის ლეში იღო. გრძელი ძუა მიწაზე ეთრეოდა, ფაფართან კი წინა კოფოზე ახალდაქვრილი, სამსხვერპლო შავი თხა დაებათ, რომელიც ფეხით დაკიდებულიყო და საწყალობლად ბლაოდა. ურემს უკან ხელგაყოკილი, ჯაჭვით ურმის ქალზე მიბმული ორი მეჭინბე ბარბაცათ მისდევდა. ორივეს პირი აკრული ჰქონდა.

— ცხენსაც აუჯარით პირი, დამხრჩვალ ცხენს! — ვიღაცამ შესძახა და გაუჩინარდა. შემკრწუნებული ხალხი თვალს ვერ აშორებდა უბედურების „მთავარ დამნაშავეს“... და რამდენადაც ცოცხალი ბედური დიდად ლამაზი და მომხიბლავი იყო, იმდენად ლაზათდაკარგული და შემეზარზენი იყო უსულო! „თანადამნაშავენი“ კი მხოლოდ მხრებს უმწეოდ ატოკებდნენ. ზოგთა იცნეს მეჭინბენი, ერთი მესხი იყო, მეორე მოსინიკი... ჩურჩული შედრენილ მანგივით გაძვრა-გამოძვრა მოედანზე...

— ბაბუღა-მესხი? შარგას... შარგას-მოსინიკი? მათ რაღას ერჩიან? რას ემართლებიან? მაშინ ჩვენ ყველა დამნაშავე ვართ!

— ჩვენ პირიჯ ახვეული გვაქვს და თვალის?

ზარიადრემ სწრაფად წარმოართა საქმე... აქ შეყოვნება არ შეიძლებოდა, მით უფრო „შავების შემოსევის“ შემდეგ... მართალია, სისხლი არ დაღვრილა, მაგრამ ამდენ აღრენილ ხალხს ცხენის უსულო ლეშად ვერ ჩათვლიდა... სპაც მოაძლიერა და ენაც მოიქლესა; სამსხვერპლოს თავზე წამოიღდა და ხელი ასწია. იგი მუდამ ბაძავდა ბერძენ რიტორებს, მაგრამ სიბრძნისა და განსწავლულობის ნაკლს გაიძვერობითა და ხერხიანობით ავსებდა...

— ღმერთო ცისანო და ძენო ქვეყნისანო! — ნარევე ბერძნულ-ქართულით გადასძახა, — ყველას მდაბლად გიწვევთ მოწმედ და მსაჯულად! ჩვენ ყველამ ვიხილეთ ამა ცხენის სიბოლა წალმართ-უტელმართი! საბედისწერო მარცხის მიზეზი!

— ვიხილეთ! ყველამ ვიხილეთ! — აპყენენ მოქალაქენი... „შავი კაცები“ კი სდუმდნენ... ავად იბღვირებოდნენ და სდუმდნენ...

— ვისაც გული გერჩით, უფლისწულსა და თანამოსაყდრეს — მითრიდატე ევატორს, აწ მამათა სავანეში მყოფს, მიუვიდეს თქვენი მსხვერპლი... აჰა, შავი ვაცები მოედანზე დაიჭირეთ, სერი დაადეთ და ხეარა მოგვთა მოგვის ნიშანზე ერთად შეეწიროთ!

მოქალაქენმა იგრიალეს და თხების არვე ხელად გაქარეს... „შავი კაცები“ კი ავად იბღვირებოდნენ და სდუმდნენ.

ზარიადრემ იგრძნო და უმოკლა:

— ახლა მეორე! ამ ორთა ბოროტთა მოპგვარეს ესე — ცხენი შავ-ჭაჭი, ვახელეზული, კაბუჯ უფლისწულს! გვირგვინოსან დედის ბრძანებით — სიკვდილი ეზღოს!.. და ერთიც კიდევ! — ხელი აიქნია ზარიადრემ, ნიშანი მისცა და სასახლის კარიბჭიდან შეკოჭილი და პირმეკრული ოდიო-მეაბჯრეც გამოიყვანეს, ორ მისჯილს მიუმატეს... — უფლისწულის მეაბჯრე, ჯერ მითრიდატე მეფის სიკვდილში ეკვმიტანილი, მერმე

მითრიდატე ევატორის მოლაღატე — მასაც სიკვდილი! და უმკველად ყველას თვალწინ და ჩვენნივე ხედნის!

ასეთ რამეს, ჩანს მოქალაქენიც არ მოელოდნენ. მოედანი ერთიანად გაიტრუნა, ვახევედა, მოლუშულობა ერთბიარად მოიღო. მაგრამ ზარიადრე აღარ შეეპუა... მას როგორმე ქალაქელები და „ზედა მხრის“ ტომები უნდა გაეთიშა. ხოლო ამას სისხლის ღვრაც თუ მოპყვებოდა, იგი და მათთან მყოფნი „ზევით და ზევით“ მაინც მოგებულნი იყვნენ.

— მამ, შეეუდგეთ მსხვერპლთა წირვას, ვუხმით მოედანზე მოგვთა მოგვის... მის მოსვლამდე კი უზენაესი სამართალი აღვასრულოთ. პირველი მსხვერპლი უფლისწულის წილ — შავ-ჭაჭი ხეარა მოგვთა მოგვის ხელით, ხოლო სამნი ჩვენი ხელითა და ვინც არა მონა, არა მდაბიო, არა ამბოჯარი — აქ წარმოიღებდა, შვილდ-ისარს აიღებს და სხვებთან ზიარად აღასრულებს მსჯავრს, მოქალაქობის მადიებელია — იქმნას მოქალაქედ, თუ მოქალაქეა — იქმნას წარჩინებულად, სააბიოდ და ასე ზევით და ზევით... და გათავისუფლდეს მეფის ღალისაგან, თანაც იყოს მეფის დაცვის მოძმე!

მოედანზე გაბუსუნებული სიჩუმე ჩამოვარდა. მეფესთან „სამართალში ჩაზიარებას“, მიუხედავად დიდი სარფიანობისა, არავინ ჩქარობდა.

ზარიადრეს სიბრაზით ფერი ეცვალა, მაგრამ ფეხს არ იცვლიდა. აქ — სინოპეში — მრავალსახოვან, ენოვან და ტომოვან ქალაქში, სადაც, ბერძენებსა და ქართველ ტომებს ვარდა, ცხოვრობდნენ სირიელებიც, ირანელებიც, გალატებიც, სომხებიც ნუთუ ვერვის დაიბირებდა!?

სინოპეს, ძველთა-ძველ ტუბალურ მეთევჯეთა დაბას, შემდეგ ელინთა მდიდარსა და სახელგანთქმულ ახალშენს, პონტოს მეფეთა ხელშიაც დატოვებული ჰქონდა ქალაქის თვითმმართველობა და მოქალაქეთა საკმაო ხელ-

შეუვალობა. ზარიადრეს ზრახვით, ქართველ ტომებთან ერთად შეუღლსა თუ აშკარა ბრძოლაში, ვარკუნდასაყრდენად რომის „მეგობრობა“ უნდა ყოფილიყო, ხოლო შინაგან საყრდენად პონტოს ელინთ ახალშენყოფილი ქალაქები და, პირველ ყოვლისა, სინოპე.

ეს ძველი წესი განაჩენის „ზიარად აღსრულებსა“, ფრიად მიღებული და უმარტივესი საშუალება იყო შემომტკიცებისა. მაგრამ სინოპეში რთული მდგომარეობა იყო, ჯერ ერთი ზღვის ვაჭარ მოქალაქეებს ერთობლივ ეშინოდათ რომის მოსვლისა და სპერის ზღვის ვაჭრობის დაცემისა, ამიტომ „მითრიდატეთა წინააღმდეგობას“ შეუდამ მხარს უჭერდნენ. მეორეც, ამ ქალაქებში და, პირველ ყოვლისა, სინოპეში, უკვე დიდი იყო „ქართველ მკვიდრთა“ წილი. გარდა ამისა, ოდიო-მეაბჯრე, წარმოშობით ხალიბი იყო, ხოლო მოქალაქეობით სინოპელი, თანაც საპატრიო...

— მოქალაქენო! სინოპელებო! აბა, ვინ ხართ თავაკებო, გამოდით... ნუთუ თხებმა შეგაშინათ? — უკვე შეუტია ზარიადრემ.

„თხებისა და თხის პატრონების“ შემოჭრას ქალაქში ყველა მომავალ მიწისძვრასავით გრძნობდა, კომპლექსისა და წერაქვების სიმრავლეც გულს უფრო ედებოდა, ვიდრე „სირსვალათა“ შუბების პრიალი... საშფოთათვი სხვაც ბევრი იყო... მაგრამ ზარიადრეს აღარ სურდა განზრახვებზე ხელის აღება...

— სინოპეს ახალშენის დამფუძნებელი ავტოლოკე გმირი იყო, ჰერაკლეს მეგობარი... წადით და ზღვის პირზე აღმართულ მის ქანდაკებას სთხოვეთ მხნეობა თხებმა დაგაფრთხოთ?

— არა, დამხრჩვალმა ცხენმა!.. მე გამოვდივარ! — ვილაცამ წამოიძახა მოედნის შუაგულიდან. ყველამ იქით მიიხედა.

— აი, ავტოლოკეს ღირსეული შთამომავალი! აბა, გამოდი დამენახვე!

— დაგენახვები! ჩაგეზიარები კიდევაც ჰეშმარიატ სიმართლეში... ოღონდ

ერთი პირობა ჩემიც იყოს! — გაშრიახა და გამოწინაურდა თმამდელი და წვერმდინდლული ახალგაზრდა მოქალაქე შეკითხვაც მაქვს!

— მენოფანე! მენოფანე სწავლული! — მოქალაქეებმა იცნეს, გამოატარეს...

— ახალგაზრდა ჩანხარი! — გაიკვირვა ზარიადრემ, — მით უმჯობესი, მიხედეთ და მიჰბაძეთ! — მშვილდ-ისარი მოუშადა, — რა შეკითხვა?

— აღამიანთა მსხვერპლად შეწირვა კარგა ხანია გადაეარდა! და თუ სირიაში კიდევ დარჩა, აქ, პონტოში, განათლებულ სინოპეში, რაღად გვწადს ავლორძინოთ? არც ერთი მითრიდატე ამას არ დაუშვებდა!

— შენ ვინა ხარ? — ღჭულ შეეკითხა ზარიადრემ.

— ბერძენი, თავისუფალი მოქალაქე, ავტოლოკეს შთამომავალი, სინოპელი!

— არა მსხვერპლად შეწირვა აღამიანთა, არამედ სიმართლით სასჯელის მიზლვა, სწავლული! კიდევ ვინ მოდის, უშიშრებო?

— მოვდივარ, მეც მოვდივარ! — კიდევ გამოისმა შეხრინწული ხმა, — აბა, ერთი მეც მიმიშვი!

ეს უკვე მოწიფულიც იყო და ვგონებ მომწიფებულიც...

— არც მე შეშინია თხებისა და ვაცებისა, განტევების თხებისა და კაცების რიდი კი, დიხაც, მაქვს! ლოცვისა და თავდაცვის უფლება სინოპეში ყველას ყოველთვის ჰქონდა!

— შენ ვინა ხარ?... რის განტევების...

— დიოგენე ბერძენი გახლავართ... მაგრამ არა ის დიოგენე სინოპელი, თუ მოგვხსენებთ, კასრში რომ იჯდა... ის ჩემი წინაპარი იყო კასრში, მე რიყეზე ვარ!.. თუ არც მსხვერპლად შეწირვისა, არც განტევებისა და... პირი შეუხსენით! თავად უთხრან ქალაქს თავის სიმართლე ან დანაშაული... მერმე დავმშვილდოთ!

— შეუხსენით! პირი შეუხსენით! — ერთად იქეჭა ხალხმა.

ზარიადრემ ერთი ფანდი კიდევ გაითამაშა:

— კეთილი! მშვილდ-ისრები გამომართვიო... მერმე გაუხსნათ! — თან სირიელ მშვილდოსნებს ფარული ნიშანი მისცა, — აბა ჩამოირიგეთ! კიდევ ვინა?

— მე ცალხელა ვარ! — ცივად მიუგო მენოფანემ და მარცხენა ასწია... — ჯერ შეუხსენით!

— მე ბეცი ვარ და სულ ვერ ვხედავ შენს მშვილდ-ისარს! სინოპელებო! სიტყვას ვეთხოვ, ნუთუ სიმართლე სინოპეში დამხჩვალ ცხენს ედრება და ჩვენ კი ვდუმვართო?

მთელი მოედანი გაილურსა, მაგრამ მეხი არ გაეარდნილა. მოქალაქენი „ზედა მხრელ“ ტომებს შესცქეროდნენ, ისინი კი მოქალაქეებს... ზარიადრემ დასწრება გადასწყვიტა...

— გაოკეთ! — ხელი აუქნია და სირიელი დარაჯანი მენოფანესა და დიოგენეზე მიუშვა.

— ცხენსაც აუხევეთ პირი, შექვაბით, თორემ ბოლოს დამხრჩვალცი აქიხვინდება! — კიდევ მოასწრო მენოფანემ, მერმე კი მოედანზე მებმა იშვქა. ისეთი ძლიერი ხმა იყო, რომ ყველა გაშეშდა... მათ შორის დარაჯაც... მერმე კომბლები აღიმართნენ... უროები და წერაქვები მიჰყვნენ... უცრად ვილურ კოლტივით აიჭაგრა მოედანი... ერთი იარაღიც შექლერდა და ისევ ყველა გაშეშდა... ახალ მებსა და ხელჩართულ ძგურებას ერთი წყიპურტი აკლდა... მაგრამ ეს წყიპურტი აღარავინ აიღო თავზე...

დანარჩენი სიზმარივით გასრულდა... დედაბრები ნელი ჭიკავ-ჭიკავით დაიძრნენ... სულ ნელა მივიდნენ გაოკილებთან, ჯერ თვალსახვევი ჩამოხსნეს, მერმე ერთმა კალთის ქვევიდან, თასმანზე დაბმული დუქარდი გამოაჩინა, საკოჭავები გადაუჭრა სამივეს... ქალთა მარაქამ ახლა მენოფანესა და დიოგენეს ჩამოუარა, ისინიც გამოხსნილ „დამნაშავეთ“ შეუერთა და სულ ნელა ხა-

ლხში გაუჩინარდა... და თითქოს გადნა.

„სიზმრის“ გათავების შემდეგ ყველამ ამოისუნთქა, ქალაქლებმა და ტომთა ერმა ხმამალალი შვებით, დარაჯამ კი ნირშერეულად და ხელმოფარავით...

ზედაც მოედანზე ხეარა მოგვთა მოგვი, შეწირულებითა და მსახურ-მონებით, გამოვიდა და მოედანი ერთობლივ დაამწყალობნა... მსხვერპლის შეწირვის ნება მისცა. ზარიადრესაც თვალები დაუხრიალა და იარაღმოღერებულნი კარიბჭეში შეაბრუნებინა.

შემოძრავებულ მოედანზე კი კვლავ თხის სისხლი დაიღვარა. შავი თხები აქვე წამოაქციეს, ოთხში ამოიღეს და გამოსაშიგნავად მშრალ ხეეს მიაშურეს.

ხორგაზე ცეცხლი ავარდა. ხეარამ ჩუმი, მაგრამ სახემეტყველი ლოცვა მოისრულა, მოკლედ იქადაგა... ყველას მშვილობა და მოთმინება მოსთხოვა... შორეულებს ახლავ, დაბინდებამდე წასვლის ნება მისცა, კიდევ ურჩია... მერმე კი ცას შეჰხედა და საწესო დანები მოითხოვა...

თავჩაქინდრული ზარიადრე ისევ წინ წამოაგდა, მაგრამ ხეარამ თვალები ისევ გადაუხრიალა და სიტყვა პირში გაუჩხირა. არც მწეებს დაადგათ კარგი დღე.

— ეს „სასულადო“ დანებია! „უსულადო“ მომეცით და არც გამიუსურმაგოთ აჭაურობა! ხმაც გაიკინდეთ! ამას ყველას ვეუბნები, თხებსაცა და არა — თხებსაც! — და რადგან ყველანზე უფრო ზარიადრე ლამობდა „აჭაურობის გაუსურმაგებას“, მოგვთა მოგვმა მორთმეული „უსულადო“ დანა და ჩქიფი იმარჯვა, შავ-ქაქს გადმოკიდებული, გალურჯებული ენა ერთი დასმით მოსჭრა და გაყვიზინებულ სირიელს მისცა ხელში.

— შენ გირჩევ საბატოდ... არ გაგივარდეს, არც დაარღვიო დუმილი, წინასწარ საჭერეტს არ დაასწრო... თუ წამოგაძახა — უავესი ნიშანია! — თავად კი განაგრძო უხმო ლოცვა.

მთელი მოედანი სდუმდა, გარდა ურ-

მის თავში მიბოროტდა თხისა. ხვარას ნიშანზე, მასაც თავი წააგდებინეს და „დააჩუქეს“... ის კი ნამდვილად განტეგების თხა იყო!

ზარიადრე გავეშვებული იდგა და ჩუმად შეტყუვებდა, თუ როგორ ატყქირებულა მიერეკებოდნენ „კომბლოსნები“ თერთა და შავთერთა თხებს და მათთან ერთად მიჰყავდათ სამივე სიკვდილისქალი და ორიც „თავისუფლად გადარჩენილი“ მოქალაქე... და ისეთი გრძნობა ჰქონდა სასახლის მეგამრიგეს, თითქოს საკუთარი ენა ეკავა ხელში.

სამსხვერპლო ხორგაზე კი შიშინებდნენ შუბებზე წამოგებული ვაცები.

... და არც ვაათავა ხვარამ „დღემილა ლოცვა“, ვიდრე ვიწრო ყელს არ გადასცილდნენ თხები და „განტეგებული“ ვაცები. მერმე კი ურმის თავზე გდმოკიდებულ შავ-ქაჯის თავს მიუბრუნდა, კისერზე „საუსურმაგო“ დაუსვა, ფუძის მაღიც გადაუხსნა და თავი სულ გააცალა...

შავი სისხლი და ზღვის წყალი წამოვიდა ყორყიდან. ხროტინიც გაისმა... ყველას, შეაჩრქოლა და გაძვიფა. ცხენის მუცელმა იწყო დაჩუტვა და სულ მალე თითქმის ზომავზე მოდგა. ახლა მხოლოდ ფეხები ჰქონდა გუდგბივით დაბერილი. ყელიდან დადენილმა შავმა შარავმა კი ძუას მიღწია...

— რკალი შეიკრა! რკალი! — სუნთქვაჩაბრუნებული ხმით აჩურჩულდა ხვარა, დანა ფაფარზე აწმინდა-აალესა და ახლა ფლოქვებთან გადაუსერა ტყავი. ოთხთავე ფეხს დაუარა და ოთხივე დაჩუტა... შვებით ამოისუნთქა, ისევე შემოტრიალდა და „საპატიოდ რჩეულს“ საშინელი ხმით დასწყვილა...

— ენა!

ზარიადრემ მიართვა...

— გეკავოს ხაოაღმა... ხაოაღმა! — ატაცებულად „მისწერი ხმა-ჩურჩული“ ალშვა, დანა წრიულად ატრიალა, მწენი და მოწესენი აიყოლია...

— ხაოაღმა! ხაოაღმა! — ძახილს მოედანიც ჩურჩულით აჰყვა.

ხვარამ ენა ზარიადრეს ხელშივე და-

სერა, თავადაც დააყურადა და ენის მპყრობელიც მოიმოწმა...  
— გესმის?

ზარიადრე სდუმდა...

— გესმის-მეთქი! ახლაც არ გესმის? ბოლოს მაინც გაიგებ! — „საუსურმაგო“ უფრო მოუნაცვლა, უფრო აბრუნა ხვარამ... — დანას უშვირე, ენას უსმინე!

— ახლა მესმის! ახლა! — ენა ამოიღვა ზარიადრემ... დანა თვალს სჭრიდა, შავ-ქაჯის დასერილი, ხაოიანი ენა თითქოს სულში უძვრებოდა, — მესმის! მესმის!

— მაღლა ასწიე, მაღლა... ყველას გაავგონე! — ენიანი ზელი ააწევიდა ხვარამ და მოედნის ერს გადასძახა, — თქვენც გესმით თქვენცა!?

— გვესმის! გვესმის! — გაიძახოდნენ მწენი და მოწესენი, — ჰიხეინებს ენა! ჰიხეინებს! შავ-ქაჯის გამისნული ენა ჰიხეინებს!

მოედნის ერიც აჰყვა ძახილს, ყურთაშქნა უფრო დაძაბა და უფრო გაიგო, აკი სხვადასხვა ენაზე აგუგუნდა კიდევაც:

— ჰიხეინებს! გვესმის! რას ნიშნავს? გვაუწყე! გვაუწყე! იმისნე! იმისნე! ხვარამ შეძრწუნებულ ზარიადრეს დააწევიდა ზელი და ერთიც შეუძახა:

— ცეცხლში ჩააგდე ენა! აშიშინდეს! განიწმინდოს! მარად უენოდ ემონოს პატრონს!

ზარიადრემ ნაბიჯი წარსდგა და ცხენის ენა სამსხვერპლო ცეცხლის შუაგულში ჩააგდო. აქეთ-იქიდან შუბები და მაყაშები ჰკრეს ცეცხლს და უფრო ააბრიალეს...

— ხელები დაგვბანინეთ, ჩქარა! ვიწვით! — კვლავ საშინლად იკივლა ხვარამ. ზარიადრეს მართლაც „ეწოდა“ ხელები...

ტაძრის მონებმა ხელად მოართვეს სურები და ორხელადები, ხელები დააბანინეს. ხვარამ ერთიც „დაბორკა“ ზარიადრე...

— არ შეიმშრალო, არა... ცეცხლზე მიაფიცხე, ენის ცეცხლზე! — თავად კი

წინ წამოდგა და „ქადაგად დაეარდა“...

— გაიმისნოს მთელი ხილული და უხილავი! არიარებე! სულეთის ძალით განიჭვრიტოს ნიშანი ღმერთთა სულთუქცევრად მობოძებული... განიმსჯვალენით! სისხლის რკალის შექვერა, ნიშანია შევშინან დღეთა ცხრომისა!

— შენ გიშველონ ღმერთებმა! შენ გისმინონ! — შეზრიალდა მოედნის ერი.

— ბედღური კი პატრონთან, ლაევარდიონში დაბრუნებას ითხოვს, გვემუდარება... იქ, სადაც სპერით — სპეროზა, ბერძენთ — პოსეიდონ, კოლხთა — ჰეა მის ჭაბუკ მხედარს ჰყვანან მასპინძლებად და მფარველებად!... და ოდესმე, დაეჯეკაცებულს, კვლავ გვასტუმრებენ... ჯერ კი დედასა და ძმას შეეწყნარეთო, შეემტკიცეთო, შეეწიეთო.. ნურც მიღალავებთ, ნურც მიტირებთ, ნურცა მე და ნურც დამნაშავეს ნუღარ ეძებთო! კაცთაგანი არცინ არის ბრალთსანიო, მეცა და ჩემი ერთგული ბედღური ღმერთებმა გაგვახელესო, ძუ მგლის ჩრდილსა და კბილებს მარად ლაევარდ ზღვის ფსკერზე გაგვარიდესო! დაე, ჩემი სახსენებელი ლაევარდიონის გალობად დარჩეს ჩემს ტომთა, ქალაქთა და ტაძართა შორისო!

— მართალია! მართალი! — დიდ მოწმესავით იმეორებდა და თავ-ხელს იქნევდა „ენის მპყრობელად“ რჩეული.

— ჭიხვინებდა! გაიძახოდა! ამბობდა მხედრის მოციქული! — მოხიბლულად ლაღადებდა მოედნის ერი.

— სადიდებელი ვთქვით მითრიდატე უფლისწულისა!

— ლაევარდიონი! ლაევარდიონ-სადიდებელი! — ტუბალ-თობელებმა შექმნეს საერთო გუგუნი, მაგრამ ჩანგის ძლიერი შექედერება მოისმა და ყველა განაბა.

უთა-მეჩანგე წამოსწორდა და დაბალი ხმით, თითქოს საუბარი გაუბა ზღვის ფსკერზე ღმერთებთან ჩასტუმრებულ უფლისწულს, ჩანგის ხმას კაფთა გამოაბა...

დალაი სთქვი, თვისტომთ მოგვხედე...  
მოგვეც გული და ჩმანღა...  
ცხენუცარი წახვედი, ზღვას ვაფარე  
ტანია...

ახლა რა წყალში ჩავევარდეთ, რით  
ამოვაშროთ ზღვანია!?  
....მსხვერპლი შესწირე — შესწირე,  
შესაწირავი სრულია...  
....ჩანგი გასტეზე — გასტეზე, სულე-  
თი ხმაშეძრულია...  
....რატომ გაგვრიყე ხმელეთზე, რის-  
თვის მოგვიკალ გულია!?

კაფთა ჩასრულებულცი არ იყო, რომ ახლა „ძველსადიდებელი“ წამოძლიერდა. ტუბალ-თობელებს ახლა ქალაქელი ხელოსნები და სხვა ტომებიც შეუერთდნენ.

სამსხვერპლო კოცონი უკვე გაღვენის სიმაღლეზე აღიოდა. შემწვარ ვაცის ხორცს აქვე სჭრიდნენ და „ხმელად ჭამდნენ“. წესით ეს „გლოვის პური“ არ იყო, „ღმერთებთან სტუმრობა“, თუნდაც ზღვის ფსკერზე, ძველ ჩვევათა მიხედვით, სიკვდილად ვერ ჩაითვლებოდა.

— ახლა ჩვენ-ჩვენი, ძველი და ახალი ღმერთები მოვილოცოთ და ცხენ-ბედაურის ნაჭიხვინარი აღვასრულოთ! — ხვარა თავად მივიდა ურემთან და უღელს ხელი დაადო. მას ზარიადრეცა და სხვანიც მიჰყვნენ...

— თავი არ დაგავიწყდეთ, თავი! იგი ყველგან, ყველსათვის საჭიროა! — კიდევ ერთხელ აიმაღლა ხმა ხვარამ და ჩაქრა, ჩაიკუტა, თითქოს გაუჩინარდა.

ცხენის თავი ურემის წინა ჭალზე წამოაცვეს... ხალხიც შემოადგა ურემს. ახლა თითქოს ცხენის თავს მრავალი ადამიანის ტან-ფეხი ავრძელებდა და შორიდან ზღაპრულ კენტავრს ჰგავდა.

ურემი, ხალხი, თითქოს მთელი მოედანი დაიძრა და ზღვისკენ გაგორდა. და „უსულადო“ ცხენი, რომელიც „დასასაჭელად“, ურემზე დაიდებულად და ძუ-ათრეულად მოედანზე უპატიოდ შემოაგორეს, ახლა უკვე „საპატიოდ“ და გამოჩინებულად, ცოცხლად ჩათვლილად „მოციქულად მიჰყავდათ“.

ხალხი თავად გაება უღელში, აქეთ-იქიდანაც ამოუდგა და გზადაგზა დანაცვლებას მრავალი ურთიერთს ეცილებოდა.

წინ კი, აღმით შემკულ ორკაპა შუბზე, უფლისწულის ოქროსირმა, შავი ყაბალახი ჩამოეკიდათ, რომელსაც ენის მპყრობელად საპატიოდ რჩეული ზარიადრე, მღაბალ პატივისცემის ნიშნად უკან უგზავნიდა „ზღვაში ღმერთებთან მისტუმრებულ“ უფლისწულს.

სათვარ ტაძრიონს ზღვის პირთან, შეჭაჭვეულ ნავსადგომში, სამქანდარა ხომალდი ელოდა. შეძელილიდან ლასტები დაუგეს და ზედ ხომალდზე შეავორეს ურემი. ხვარა, ზარიადრე და სხვა საპატიონი მრავლად ავიდნენ ხომალდზე.

ხალხი ჭაჭვს შეევიდა და ზღვის გზა გაუხსნა საპატიო ხომალდს.

ქანდარებზე ჩამსხდარი მონები ჩამოსხეს და ზოფებს თავისუფალი მოქალაქენი და გვარწარჩინებულნი მიუსხდნენ... „თავი და ქედი მოუხარეს“ მითრიოდატე ევბატორს, „ღმერთების სტუმარს!“

მოგვთა მოგვმა უთა-მეჩანგე — მოიკითხა. იგიც მოჰგვარეს ხომალდზე და, ეადრე საბრძოლო ნავსაყუდის ჩამკეტ ჭაჭვს ხსნიდნენ, ხვარას ნიშანზე უთამ „ლაევარდიონის“ კილო წამოიწყო. უმაღ აიტაცეს ნაპირზე და, როდესაც ბანი ჩაბრუნებულ ზვითად დაგუგუნდა, უთამ ჩანგიც წააშველა და სათქმელიც.

სპერის ზღვის ფსკერზე არს ყვავილი — ლაევარდიონი!

სახე სიბრძნისა, ფუძის დედა — ლაევარდიონი! ბედისწერისა, უკვდავების — ლაევარდიონი...

წმიდა ზღვის ყვავილს ვერაგობდნენ მორიელკაცნი, ეძებდნენ ავის უკვდავებას მორიელკაცნი...

სპერის ლაევარდში ინთქებოდნენ მორიელკაცნი... კვლავაც ჰყვავილობს ხელუხლები — ლაევარდიონი!

...გალობდა ზღვა, ხომალდი, ნაპირი... ხომალდი შორდებოდა ნაპირს...

საკმაოდ შორს შეცურდნენ ზღვაში და ხვარას ნიშანზე ზოფებს ხელი უშვეს, შეემზადნენ...

— თვლები ამოუკარიოთ ურემს! ბელს ნულარა ვაეცდუნებთ... ღმერთებმა ნუ ინებონ, ცალ-ცალკე წავიდნენ თვლები — წარღვნასაც ნიშნავს და მიწისძვრასაც!

ლილვი მაგრად ამოუკრეს ურემს და ასევე „უსულადო ტვირთიანად“ ზღვაში გადაავდეს. ბედაურის უენო თავიც, იქნებ იმიტომ, რომ საიდუმლო მეთი არავისთვის არ გაემხილა, თან გადააყოლეს... ყაბალახშებმული ორკაპა შუბიც თავად ზარიადრემ გულმოთხებით გადასტყორცნა.

...და სულ ერთ ლანდზე, ცხენ-ბედაურის თავიცა და ტანიცა გადაბრუნებული ურმიდან, ზღვაში „ბედნიერად“ ჩაიძირა. ხოლო ურემი, მზისა და ზღვის გულზე, „მშვიდობიანად“ თვლებადმა ტაატობდა და, ხვარას ამოხსნიო, ახალ, კეთილ გზის გამოჩენას მოასწავებდა.

9. დედამეძე და სძემი დედა

ხვარა მოგვთა მოგვის უშუალო ჩარევითა და შორსმპყრეტელობით, ყველაფერმა შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. ზარიადრეს კი დარჩა გულში ღრმად შეფარული წყენა და იქნებ ეშვიც, მაგრამ ღმერთებისა და მათი შუა-

მავლის ხვარა მოგვთა მოგვის სახელდიდებას ველარ აღუდგა. მით უფრო რომ, ბოლოს და ბოლოს, ფრიალ სასარგებლო იყო ეს ჩარევა და მისნობა. ვვირგვიონოსანთანაც შესმენა ველარც გაბედა,

არც მოისურვა და მალევე დარწმუნდა, რომ კარვად მოიქცა.

ლაოდიკემ თავისი ბრძანებაც უარჰყო და არსებითად გაამართლა „მსჯავრდებულთა არ დასჯა“... ზედამხრელების მიერ მათი გატაცების არგაგება ირჩია. ტომთა „ყრუდ უამურობა“ ისედაც ცნობილი იყო და „ღია ამბოხის“ სუნი კი „ამჟაჲრად“ მინელდა. გარდა ამისა, შვილის საოცარ დაკარგვის ვითარებას დედისა და დედოფლის გულში იმდენი სხვადასხვა რილო-ჭრილო ჰქონდა, რომ ბოლოს, თვალმოჭრილივით, ბევრი რამის ვერღაანახვა ბუნებრივ ფარად გაიხადა. ხელიც მიუშვა.

ზარიადრემ ეს მდგომარეობა შესანიშნავად გამოიყენა, მოითხოვა გარეგნულად სწორედ ლაოდიკესათვის საჭირო „სამეფოს გვირგვინოსნის“ ხელი-სუფლების მოძლიერება. ზოგ უნდო „მოქალაქეთა რბევა და ექსორია“, მათი ქონებით მეფის საღაროს შემდიდრება, ზოლო ამბოხურ სულის შეღარიბება. „ერთ ანკესზე ორი ორაგულის მოხელთება“. „სხვა იგავიც სთქვა — „სამიშარ ჭიქის მოკვლაცა და კეთილსახოვან ტყავით ტახტის კიბეების მკობაც“ ეს უკვე ქართველ და ქართველურ ტომებს შეეხებოდა... „მითრათლებს“. პირველ ყოვლისა, რომელთაც აღარც მფარველი ჰყავდათ, აღარც ალამი განდგომისა.

— ღმერთებმა ინებეს, რომ თქვენს იქით გზა და დროში აღარავის არ გაანდეს! — მოხერხებულად გადაუტყორცნა სიტყვა ზარიადრემ და მოქნილად მიუფადილა საქმე. — ზოგან რბევა, ზოგან რჩევა, ზოგან თნევა! ჭერ სასახლის ერთადერთი მეფე - გვირგვინოსანი ბრძანდებით, პონტოს ქვეყანას კი აღება უნდა!

ზარიადრეს მოქალაქეთა შორის თავისი ჭგუფები უკვე ჰყავდა, მაგრამ მენოფანე სწავლულისა და დიოგენე სინოპელის აბრუნდის შემდეგ, შემპარავივით მოიფრთხილა ნაბიჯი. თუმცა არც სამნი „დამნაშავენი“ და არც ორნი მათი დამცველნი ქალაქში აღარ ჩანდნენ. ზარიადრემ უფლება იმოსა და დაი-

წყო მცირე-მცირე გუნდების თემ-თემ და სოფელ-სოფელ გზაენა და „ქრთათა რბევა“. ზოგი მონებად მოჰყავდა მენოფანის მალაროებში, ზეთსახდელეებში, მარლიის მოსაპოვარში თუ სხვაგან. ზოგს თავს ხელახლად ასყიდვინებდა, ზოგს სხვაგან ასახლებდა. ყველგან „მკვიდრ ტომთა ურჩობასა და განდგომას“ ბოულლობდა და ორმაგად „იმარჯვებდა“.

ზღვაზედაც მეკობრეობა მოიმიზღვა და სპერთა, ჭან-ლაზთა თუ სხვა ქართველ მონაპირე ტომთა, განსაყუთრებით მეთევზეთა, რბევა იწყო. არც ბერძენ ვაჭართ ინდობდა. მერმე კი ხელი შეეჩვია, მოითბო და მოიძლიერა.

ხვარა მოვეთა მოგვი გრძნობდა, რომ ზარიადრე შინა და გარე გართულებას მოხერხებულად ჰქმნიდა და ეძებდა, აღბათ, რომაელთა შთაგონებითა და პირდაპირი დავალებით, მათი ჩარევისა ან მოწვევის საბაბის შესაქმნელად. ამიტომ თავის მხრივაც შორს გამიზნული, ორმაგად თარგული საქმე იზრახა.

ლაოდიკეს ბოძებული ვერცხლის საბადო, დიდი გამოჩინებობა და „ღმერთების დამადლობებით“ ტაძრისათვის იჩუქა და „ახალ, ერთადერთ სრულ გვირგვინოსანს, არა იარაღისა, არამედ ვერცხლისა და დათმობის გზა დაულოცა. არსებითად დაასწრო ჩათრევას და თავისი ერთგულეობაცა და „ღმერთების მხარდაჭერაც“ აღუთქვა. შინა ბრძოლების გამწვავება მთისაბუთა და რომაელ კონსულთან პერგამში მოციქულთა წარგზავნის დაჩქარება სთხოვა. ზოგი რამ, იქნებ, მნიშვნელოვანის „დათმობაც“ ურჩია. თანაც „პონტოს გვირგვინოსნის პატივისა და ღირსების აღსამადლებლად გარეთ თუ შინა“, საჭიროდ ჩასთვალა, რომ „ზარიადრეს მეტი სპა ჰყავდეს“, და თუ ალამდაკარგული „მითრათლები“ გაქრნენ, მკვიდრნი კი ძველკობურობის გამო, ჭერ მაინც ვერ შეაჭერებენ საქმეს... არც მარტო სირიელეების როქის სპის ამართბა უთათბირა.

ხვარამ ლაოდიკეს ჩააგონა, რომ მარტო სირთა სპა, სახელს უტეხდა მას ყველა ქართველ ტომთა შორის და არც

საკმაო იყო ტაბრის მტკიცედ დასაყრდნობად. უფრო „ორმაგად მჭრელი“ იქნებოდა შორიდან, მაგალითად, კოლხეთიდან ახალ, დამატებით როქის სპის გამოყენება. „ახალროქისანნი ვერც გაითქვიფებიათ ტუბალ-ხალიბ-მოსინიკებში და არც ისე შორს იქნებიან, რომ მტრად ჩაითვალონ“. აღარც ზარიადრე აღუდგა ამ ზრახვას, მით უფრო, რომ „სასახლის ახალი როქის სპა“ მის ხელქვეითად უნდა ეწვიათ, თანაც „სიერთა დამატებად და სამარჩაფოდ“.

კოლხეთში გადაწყდა ბახო ხალიბის გაგზავნა, დიდი ხომალდითა და ლარით. მოციქულობა პერგამში მალევე გამოაწყვეს. ხვარას ნარჩევი „ვერცხლის გზა“ გაითვალისწინეს და მოციქულთ ხალხები ლარითა და საქრთამთ ოქროთი აავსეს.

„მეგობრობისა და თანადგომის“ წიგნები გაამზადეს პერგამს წასაღებად და რომის სენატში გასაგზავნად. ძველი დამსახურებანი რომის მხარეზე, კართაგენთან, არისტონიკესთან ბრძოლებში მდებლად შეახსენეს და კეთილმეზობლურ ურთიერთობის აღორძინება — აღდგომისათვის ითხოვეს.

მოციქულებად, კვლავ ხვარას ჩავიხედეთ, როსებ ნატუბალარი და ბახუქ პერგამელი, თანასწორად უფლებამოსილნი, არსებითად ხელშეშორებულნი გაგზავნეს. ხვარას კიანურის განზრახვა პქონდა, თუმცა სხვაგვარად ახსნა:

— ურთიერთს შეავსებენ — ათანაბრებენ... ცალ-ცალკე ვერავითარ ზედმეტს ვერ მოიმოქმედებენ... და, ვარდა ამისა, საბრძოლო თუ სადოლო ეტლში — ორი ცხენი უფრო მორჩილი და ადვილად სამართია, ვიდრე ერთი — თავნება!

საერთოდ, პონტოს სამეფოს დაცემა შეეწყინება ჩატეხილი გეზით მიემართებოდა. პერგამის მოციქულობა მძიმე პირობებში აღმოჩნდა. მართალია, მძევლობის საკითხი, მითრიდატე უფლისწულის ზღვაში შთანთქმის შემდეგ, ადვილად მოგვარდა. რომაელებს არა მძევალი ხიბლავდათ, არამედ მისი „საან-

დერძო“. ზოლო მამის ანდერძისა და მით უფრო მემკვიდრის გაქრობა-გაბრუნების შემდეგ, მათთვის ფრიალ ხელსაყრელი საბურთალო მოედანი იშლებოდა მრავალ რამის გამოსაძალავად. ამაში კი ფრიალი ოსტატობაც ახლდათ და კეთილდაც წარმართეს თავისი საქმე. მაგრამ ერთ რამეში კი განზრახ შემოიფარგლნენ. უზურგო და უუფლებო მთხოვნელნი ქრთამის მოციქულებად ჩასთვალეს, ოქრო და სხვა ლარი ამოყალ, სენსის დაბრუნებასავით, მიიღეს, მაგრამ ყოველმხრივი, ზარადანდილი მოლაპარაკება არ ვააბეს; ორი „სანისა“ და ორი „ზენის“ ზრახვის შესახებ, სიტყვაც არ დასძრეს, მხოლოდ წინასწარი „მეგობრობის აღსადგენი მოთხოვნანი“ წამოუყენეს, რაიც უმთავრესად ფრიგიისა და პათლაგონიის რომისათვის „დროებით დათმობაში“ გამოიხატებოდა, „პონტოს სამეფოსა და ახალი გვირგვინოსანის ვულწრფელ მეგობრობაში დასარწმუნებლად“.

თავის მხრივ მხედართმარჩეველები და სპის მწურთნელები რაინდულად შესთავაზეს „დედოფალ-კეისარს“.

კიდევ ერთი წინასწარი პირობა იყო, რომელზედაც მოციქულები თავიდანვე შიშნაყრავად და ათასი ფიცითა და ლიქნით დაედასტურნენ...“ ყოველგვარი ჩაურევლობა შიდა კაბადოკიის, ნათესაურ ტომთა საქმეებში“...

არსებითად ყველა ხელს ითბობდა პატრონდაკარგულ პონტის ხარჯზე, ამიტომ მოლაპარაკება „კეთილად“ მიმდინარეობდა და მალე მიადრინეს კიდევაც „დროებით ზეპირ შეთანხმებას“, რომელსაც მეორე „დიდმეგობრული დესპანობა“ უნდა მოჰყოლოდა, რომის კონსულის ან სენატის რწმუნებულისა — სინოპეს, ლაოდიკეს კარზე „ძირითად მეგობრულ ზრახვების“ უშუალოდ გასარიგებლად, იქამდე კი რომმა „იტვირთა პონტის მითრიდატეთა მიერ არამართებულად მომტკიცებულ ფრიგიისა და პათლაგონიის მმართველობა და მეურვეობა“.

ზარიადრემ კი უფრო უმატა შინა-

რბევასა და შიშვას. მეტი გავლენაც მოიპოვა. წინასწარ აღარც ეუბნებოდა ლაოდიკეს.

ერთხელ კი პირიქით მოხდა. ლაოდიკემ თავად შეახსენა ზემო მხარე, ზეგანი, სახელდობრ, სატუბალო თემ-სოფელი.

— ოღონდ თვით ძიძას არ ახლოთ ხელი... აყვია დედაცაცია, მაგრამ მაინცადამაინც ჩემი შვილის დედამძუძეა... თუმცა ახლა კი რაღა ფასი აქვს... დანარჩენებს კი, მისიანებს აქ მომგვრი მონებად... გახსოვს, რაები მაკადრას?

— გახსოვს, დედოფალ-ვეირვეინოსანა!

— ფრთხილად! მე არც იმას ვცემ მაინცადამაინც პატივს, ვისაც ბევრი ახსოვს! ის გახსოვდეთ, რაც მე მწადს და მამაღლებს!

ზარიადრე ქრეოლამ აიტანა, მაგრამ არ დაიბნა:

— მეც დავეიფიყებ და სხვასაც დავავეიფიყებ ბევრ რასმე! მეფობამან თქვენმან!

სასახლე თანდათან ისევ იპყრობდა თავის სამეფოს. ათას ჭირს, უბედურებასა და ძალადობას კი ამრავლებდა. მრავალი გაიხიზნა. დიდი ტომ-გვარისანი ციხის პატრონნი შიგ შეიკეტნენ და არსებითად ალყობაში და ოდიგარში იყვნენ. ძლივს მოსპობილი ტომთა-შორისი ომიანობა ისევ აიშალა... სისხლის აღება, შურისგება ხვართქლად და კლანჭად მოედო თემ-სოფელს. ბევრნი კაბადოკიაში გადავიდნენ. იქ ადგილობრივთ ერჩოდნენ, მოსულთ კი არა. მართალეა, რომაელთა მოძალემა იქ უფრო იგრძნობოდა, მაგრამ სირიელთა თავახსნილი ძალადობა და ძარცვა-გლეჯა არ იყო... თანაც, აგორებულ ქვას მტერი ყველგან უკვე თავის მოკავშირედ სთვლიდა! ზარიადრეს ხელი ქალაქებსაც დაეტყო. მრავალმა მეზომალდემ და სოვდაგარმა თავი აარიდა მალალ საურავსა და ღალას. ზღვის დაბა ქალაქებში გამრავლდნენ თვითნებურად მსჯავრდადებულო. მიძალებული შინამონები და მონობამისცილნი.

მაგრამ საოცარი იყო, ფუტკრის ზუზუნით გაჩენილი სულსკვეთებულადაწყებული ზვარას მისნობით, თუქველთა-ქველი „ლავეგარიონით“ და გათავებული ყოველი მხრიდან შემოპარული ჭორით, ყველა ერთ დოლაბზე ბრუნავდა და ჰღერდავდა... რომ უფლისწული ცოცხალია, რომ იგი მალე მოვა, სიმართლესა და ხსნას მოიტანს. ძალადობას ბოლოს მოუღებს! ... და ყველა თავისებურად გულისხმობდა ზღვის ჭაბუკის სიციცხლეს! ზოგი, მართლაც, ზღვის ფსკერზე დამალულად სთვლიდა, ზოგი ზღვის ვადმა, ზოგი მთაში და ასე, ათას „მტკიცე ადგილას“, ახლა ხატოვნად დაიწყეს ამისი გამოთქმა და შესხეულება. ქართველ ტომებს ოდიოგანე მოსდგამდათ ოცნებების გამომკვევრება, ჩამოლექსება, დასიმღერება.

პირველად ვგონებ უთა-მეჩანგემ „ხალღების მთაზე, კედარის ტყეში, ჰილგამეშის სტუმრად“ დასახა. ახლა სხვებმა ამირან-მთაზე — კოლხეთში გაუჩინეს თავშესაფარი, ზოგმა კავკასიონის უშმა და შხარა დაასახელა, ზოგმა არსიანის მთა, „ყველა ქართველ ტომთა თავშესაყარი“.

ვიღაც უკბილო პეპერას გუდასტვირი ილიაში მოუვდია და ერთ ვაბერვაზე ასეთი ლექსიც მოუწერია:

სახელს არ გეტყვი მისასა,  
სახელ ძმას ჰგავდა მზისასა...  
ცეცხლის ფასკუნჯად ჰყოიდა,  
პირს მთეარე ვადასდიოდა...  
სიტყვა და შუბლი შევნოდა,  
ყველგან ძმა გამოსჩენოდა...  
ზღვაშია, ზღვის მეფესთანა,  
სპერით ამოვა მზესთანა!

ახლა ლექსებზე და მელექსეებზე ნადირობა დაიწყო ზარიადრემ. მაგრამ ბალითა და იარაღით ლექსი ვის მოუსპია წყობილისიტყვაობის სამკვიდრებელში? ბერძნულ ასოებით ჩააწერინებდა ქართულ ლექსს და ლაოდიკეს მიართმევდა, გააშმაგებდა, თავადაც გაშმაგებოდა და იყო დევნა ქალაქად თუ სოფლად. გამრავლდნენ „ლექსის მონები“.

„ჭორის მონები“, „ზღაპრის მონები“... მრავალნი დაისაჯნენ, მაგრამ ძირა წყაროს ვერა და ვერ მიავნო ზარიადრემ. „ჭორის მონებში“ აღმოჩნდნენ თიამათძიძის ქმარ-შვილნიც.

ჭორი და ლექსი ერთობლივი რომ გახდა, ლაოდიკემ მოგვთა მოგვი იხმო.

— რა ნიშნებია ტაძრის წყაროში? ლექსად ხომ არ დაუწყია ჩურჩული?

მითრას ტაძარს, მართლაც ჰქონდა თავისი წყარო, რომელიც „ლექსთმო-ჩურჩულედ“ ითვლებოდა.

ხვარა დაბნევისას ჩაჩზე წაივლებდა ხელს. ღელვას ლოკვით ჰფარავდა... ახლაც ერთი მოილოცა და მერმე ქადაგად დაეარდნილივით აყვირდა...

— ყროლვისა და ჩქროლვის ეამია! უნდა ვითმინოთ! მთავარი ხომ კარგად მიედინება? ლექსი კი წვიმასავით არის, ვერ დაწერტ ...როდესაც დაიჯეჯილებს, მერმე ჩვენს ხელშია! წვიმას დარი მოჰყვება მუდამ! ღმერთების შიში მესმის, მაგრამ ლექსის შიში რის მაქნისია? საჩვენოში ლექსებით უფრო მეტყველებენ, ვიდრე ისე — წილადობილად!

— მაინც როდის გათავდება ეს „ყროლვისა და ჩქროლვის“ ეამი? — დედალ ფოცხვერივით შმაგობდა ლაოდიკე.

თავს ჩაჰხრიდა, მხრებს აჩეჩდა ხვარა... აბა რაღას ეტყოდა? ანკი რა ამოსწურავდა საკილავსა და ხსნის მოლოდინს, როდესაც საკილავიცა და „ყროლვისა და ჩქროლვის“ ეამიც სწორედ სათავეში იყო დაბუდებული.

ბოლოს „წვიმა“, მართლაც, „დაჯეჯილდა“! უფრო მკაფიო ხმები მოსწვდა ზარიადრეს ყურქეციტებს... უკვე მოკლე კაფიები კი არა, ვრძელი ზღაპრები იყო — „ტომის ბაბთა თავყრისა“, „იდუმალ ფიცისა“, „გადაცულ შვილობილის“ შესახებ...

„ლექსებზე“ მეტად არც „ზღაპრები“ შეაწუხებდა ლაოდიკეს, მაგრამ მეტად ბეჯითი ხმა გავრცელდა „ნაპოვნი ანდერძის“ ირგვლივ, რომელიც აწ „ზღვაში წასულ თანამესაყდრეს ხელთ აქვს“ და „აბჯრის უბეში უღევს“.

— მე ხომ ჩემი ხელით დაწვივი?

— დიახ, დედოფალ-გვირგვინასანო! ჩვენი თანდასწრებით! მე ყველაფერი მოჩმახული ტყუილი მგონია! ან ტყაშმენებს ვინმე! წყალს გვიმღვრევს!

— ნუთუ ახლა ზღაპრებს დავუწყით დევნა? — შეძრწუნდა დედოფალი.

— ერთი ჭორის სათავე კი მიგნებულნი მყავს, მაგრამ უბრძანოა და ხელს ვეღარ ვახლებ!

ლაოდიკე ხელად მიხვდა:

— ძიძა?

— მართალი ბრძანებაა! ძუძუმტე. მთელი ხალხის წინაშე, ზღვაში დაღუპულისა... მას კი არ სჯერა — ცოცხალი არისო!

— დიაცური უფიქრული ჯიუტობაა! — სახე და ფიქრი აერია ლაოდიკეს, — მის სიცოცხლეშივე ამიკლო, ვგონებ, ცოცხალიც წამართვა... და არც ახლა მასვენებს, ჩემს მიცვალბულსაც აღარ მანებებს! როგორ მიზედავს? რას ამბობს? ყველაფერი სთქვი... მეც „ზღაპრულად“ გაუესწორდები! მიფრთხილდი, არა დააკლო რა!

—...მაღე მოვლენო, პასუხს მოსთხოვენო... ყველაფერზე ერთად აგებსო! მე რომ მსაჯოსო, კიდევ ჰო, გასაგებიაო... მისი მოძულეებული შვილისთვის ძუძუ მიწოვებია — არც არამად შერგებიაო, თორემ თავად გამოაჩენსო!

— სთქვი, სთქვი!

— ჩემს ქმარ-შვილთ კი რა დანაშაული მიუძღვითო? იმათ რომ ამონებს და აწამებს, რა დედა-ქალური საქციელიაო!..

— სთქვი... სთქვი!

— ...ჯერ თავისიანებს დაერია, ახლა ჩემიანებსაც მოსდგაო! თუ არ გამოუშვა, მაგის მოძულეებულ შვილთან მივალ, კვლავ ვედღებო... ერთად მოვალთ და მაშინ ნახოს ბედისწერაო!

— კმარა! — თავზე ხელები იტაცა ლაოდიკემ, — რა გაასწორებთ ამით, თუ ყველანი ასეთები არიან?

— ახალი როქის სპა, იი რა! მაღე მოგვივა კოლხეთიდან! რომაელებიც დაგვიორდებიან, მრჩევლებად! ჯერ კი, თუ მიბრძანებთ, იმ როკაპსაც ჩამოვიყ-

ვან აქ! — ზარიადრემ ხმის კილოში  
 ჯაჭვები ააჩხრიალა, — ან ამათ გვეუშ-  
 ვებ დრომდე!

ლაოდიკემ თავი ასწია და ჩამძიმებულად უთხრა:

— არა, ნუ ჩამოიყვანი არც ვინ გა-  
 უშვავ... ისევ ზეთსახდელში ვჯავდეს...  
 უძძიმესი რამ დაავალონ! დაჩონჩხონ და  
 მისიკვდილონ! იმას კი ხელი არ ახ-  
 ლოთ, ისე დავწვავ ნაძიძარას, მერმე  
 თავად გამოაძინოს! მე ვიცი, სად სტუი-  
 ვა მავას! ახლა იტიროს თავი! მეტი არც  
 გამავგონოთ უტიფარის ზღაპარი!

მაგრამ ამ „ზღაპარს“ საოცარი გავრ-  
 ძელება გამოაჩნდა.

თიამათ-ძიძამ, ზეგნელმა დედამ,  
 იკუშტა, ითმინა კარზე მომდგარი ზე-  
 დიზედი უბედურება. ბოლოს მაინც გე-  
 ლარ აიტანა სულ თავგასული ძალადობა  
 და უსამართლობა. ჯერ ქმარი რომ წაპყ-  
 ვარეს, მერმე სამი ვაჟი, იგრძნო, რომ ამ  
 „შურისგებაში ქალის ხელი“ ერია. ახლა  
 სიმაართლისა და უდანაშაულობის იმედი  
 ჰქონდა, მაგრამ საშველი რომ არ დაადგა  
 ქმარ-შვილის გამობრუნებას... და, პი-  
 რიქით, ოჯახ-საქონელიც აუწიოცეს „უც-  
 ვე დაღდადებულსა და ჯაჭვდაყრილ  
 მონებს“, მაშინ თავდაც გაიწია და სი-  
 რიელ მარბიელს წინააღმდეგობა გა-  
 უწია. მარბიელებმა სოფელი აიკლეს,  
 მას კი ხელი არ ახლეს. თიამათმა კი  
 თვალნათლივ ინიშნა ყველაფერი. და-  
 ტაცებას გადარჩენილი ზვსტაგი მეზობ-  
 ლებს გადაურეკა, თავსაფარი იშორა,  
 თმები გაიშალა, წინდა-ქალამანი სულ  
 წაიყარა. თავისი გამოყრუებული დიდი  
 მიწურდარბაზი ერთხელაც გამოჰგვავა...  
 დღწაბოძთან ჩუმად ილოცა, კატა სახ-  
 ლიდან გაავდო, თავდაც გამოვიდა და  
 ქუსლა კარი გამოიხურა, კაპიანი მიჯვრა  
 აიღო, ყელზე ხის სარაკუნა ჩამოიკიდა  
 და სოფელს თავქვე დაჰყვა.

გზადგზა, ნიშებთან, კაკლებთან თუ  
 გულგულას წყაროსთან მთელი სოფელი  
 გადაუდგა. დიდ-პატარა...

— სად მიხვალ, ტუბალ-ქალო? სად?...  
 ისიც ასე!... თავზე ხელი აიდე!

— კარგი დღე არავის გვიდგავ, მაგ-  
 რამ ვუძღობთ... დედროვანნიცა და მამ-  
 როვანნიცა... შენი გავრდელის იმედითა  
 ვართ... და შენ კი... ასე!

— აბა შენი სარაკუნითა და მიჯე-  
 რით რა სამართალი უნდა ნახო?

— ენახე! — ჯიუტად იმეორებდა  
 თამაით და თავქვე მიაბიჯებდა... —  
 ზღვის ქალაქში ჩავალ, მთელ ქვეყანას  
 შევყრი... დედოფლიდან დაწყებული...

— ეჰ, დაწყებული... ველარ დანახე,  
 შვილი აღარ დაინდო, შენ რა ხეირს  
 დავყარის?

— რაც მისმა სპამ, გეშაბ-ქალის  
 გულბორბოტობით გიყო, თავად უარესს  
 გიზამს! გვირგვინიც მაგის ხელშია და  
 სამართალიც!

— არა, მაგის ხელში მოპარული, სის-  
 ხლიანი გვირგვინია, სამართალი კი სხვა-  
 გან არის! მეც ვიცი მაგის დასაბრძობი  
 ადგილი! — შეუჩერებლად ვიდოდა და  
 შემხედურებს პასუხს აძლევდა...

— კიდევ იმიტომაცა, რომ აგელო და  
 ახლა თვალებში ეჩრები?

— ამაზე უარესს რაღას მიზამს? აბა  
 მაგის გვირგვინი და ჩემი სინართლე!

— შენ თავსაც დაჰტუბავ და ჩემს  
 ზედ მიგვაყოლებ!

— ...განა არ ვიცი, ჩემი მიზეზით  
 თქვენც გეჩრები! თემსაც ზიანი მის-  
 ცეს! ყველაფერს ვეტყვი, როგორც მა-  
 შინ... მისი ოჯახის წინაშე მე და ჩემს  
 ოჯახს სიკეთის მეტი რა მიგვიძღვის!?  
 თუ მეფური არა იცის რა, ოჯახური  
 ყადრი მაინც გაიკელიოს! პასუხს მოვ-  
 თხოვ!

— გაიგე, დედაკაცო! შენი სიკეთეა,  
 მაგას რომ აბოროტებს! რას ყადრი და  
 მადლი უარეს ამბავს აიტეხავ!

გულგულას წყაროსთან სოფელი  
 კედლად დადგა.

— თემი ვართ!.. ერობა!.. არ ვაგიშ-  
 ვებთ!

თამაით დადრკა, მიჯვრა შემოჰკრა სა-  
 რაკუნას.

— მანუგეშეთ... იმედი მომეცით, რა-  
 მე, თემო და ერობავ!... მაშინ დავდე-  
 ბი! თორემ ასე — აღარც ჩემი გავრდი-

ლი უფლისწული, აღარც ჩემი უბედურ-  
რი კაცი, აღარც საკუთრივ ჩემები!  
... ჩვენ თავისუფალი მოთემენი ვართ,  
სად წაახსენს მონობაში? ან იმედი მომე-  
ცით... არადა გაიშვით! თუ თქვენც უ-  
ვე დაუჯაჭვავი მონები ხართ?

...თემი შედგა... დადუმდა... მერმე გზა  
მისცა... და კიდევ დიდხანს ესმოდა  
სულშეძრულ ზეგანს ამძვინეარებულ და  
სინოპესაყენ დაძრულ თამაითის კისერ-  
ზე ჩამოკიდებული სარაკუნას ზმიანი.

ერთ წვიმიან დღეს მუნჯა-ქორიამ  
შეშა სასახლის დერეფანში დაჰყარა,  
თავისი გრძელი ხელები ღართის კალ-  
თაზე შეიწმინდა და დედოფლის კარი  
შეაღო.

ლაოდიკე სამეფო გვირგვინის დად-  
გმის შემდეგაც დედოფლის დარბაზში  
დარჩა. მეფის საწოლს ვერც ეკარებოდა  
და ძველი სირიული წესით თუ სხვა  
პირადი მოსაზრებით ამოაქვდინა. სა-  
სახლეთაიც თავისუფალ შემსვლელთა  
რიცხვიც ფრიად შეზღუდა. მუნჯა-ქო-  
რიას წინაშე კი ყველა კარი იღებოდა.  
ბუხრები და სანთლები მას ეხებოდა.  
არც არავითარ სხვა საქმეში არ ერეოდა.  
ენამოკლებული ვერც გამოსთქვამდა ამ-  
ბავს... ხოლო მეფის ოჯახისათვის, გა-  
ნურჩევლად და საარაგოდ თავდადებუ-  
ლი იყო.

ახლა კი სხვა საქმეზე შეჰბედა ლა-  
ოდიკე გვირგვინოსანთან. ფეხაკრფით  
შევიდა. წუხანდელი ნაღვენითი სანთლე-  
ბი შეწმინდა და გამოსცვალა, ბაზმებსა  
და ლამპრებს პატრუქები შეუვრიხა და  
თვალეში სარეცელისაყენ გააპარა.

ლაოდიკე პარპაშად გადაშლილი  
გულმკერდით აღმა იწვა და ჰერს ღია  
თვალეებით უმზერდა. მებაზმე სარეცე-  
ლის კიდეს ემთხვია, მაგრამ აღარ გას-  
ცილდა.

— ააჰა, ძიძა! ძიძა იძიძახისს!

ლაოდიკემ თავი იბრუნა. მას ყური  
მიჩვეული ჰქონდა და საოცრად უკებდა  
მუნჯა-ქორიას.

— რას იძიძახს ძიძა?

— ცოცხალიაო მშმოვანო... დღდრო-

ზე მშოვანო! — ძლივს ამოაბრუნა ენა  
და გრძელი ხელები ფერდებზე კრუხის  
ფრთებივით მოიფაფხურა.

— საად არის, სად ძიძა? — ლაოდი-  
კემაც მიბაძვით თუ აღელვებით ენა აუ-  
კილა.

— აჰა... აჰა... იიიი! — უფრო ასავე-  
სავა ხელები და სარკმლისაყენ გაიშვი-  
რა მუნჯა-ქორიამ.

— მოედანზე? ქალაქში? ზღვის პი-  
რასი? — კითხვები დააყარა დედოფალ-  
მა და წამოჭრა, სახეზე წარმოუდგენე-  
ლი შეეჭარბალა ფერი დაედო.

— ააქ მომოსვლა უნდა!... აარ უუშ-  
ვებენ!

— ჩემთან? — ჯერ შეკრთა დედა,  
ძიძის შეეშინდა... რა კარგი დღე ახსოფ-  
და, მერმე პერანგის ამარა წამოვარდა  
და აქოშინდა, — მოვიდეს, მოვიდეს...  
აჰა! — და თავისი ბეჭედი გაატანა მუნ-  
ჯა-ქორიას, — შენ მოიყვანე, სხვა არ-  
ვინ მოვიდეს! ზარიადრეს არ გააქარო!

— ააარა! ააარა! აჰა, აჰა! — სულ  
აღუღღღღდა და აირია ქორია, ბეჭედი  
საღდაც, გულისპირთან, ორთავ მუშტში  
ჩაბლუჭა და გარეთ გავარდა.

მაგრამ ლაოდიკეს ჯერ შინახალათი  
არა ჰქონდა წამოსხმული, რომ ახლა,  
ჯერ კიდევ სელეკციოდან ვადმოყოლი-  
ლი, სირიელი მესაწოლე ჩრდილივით  
შემოვიდა და ყურში წასჩურჩულა...

— ზარიადრე, თქვენი ერთგული, გე-  
ახლათ... ყოვლად სასწრაფო საქმეზე,  
ახლავე ხლებას ითხოვს...

— ახლავე?... შევიმოსები... აბა ასე!

— უი, დედოფალო, საქურისია! —  
და შინაწამოსასხამი შეუსწორა, თმაც  
ერთად მოუბბთა...

— უხმე...

მესაწოლე კარს გაეფარა და გაფით-  
რებული ზარიადრე შემოუშვა...

— ამ დილაადრიანად რა მოგივიდათ?  
ჯერ ის, მერმე ეს, მერმე შენ? სულის  
მისწრებახე... კვდება ვინმე?

— არა, დედოფალ-გვირგვინოსანო,  
პირიქით, ვგონებ, ცოცხლდება! — მერმე  
სარკმელს მიაშურა და გადაიხედა, —  
გესმით ზმა?

მოედნიდან ხის სარავუნას ხმა მკაფიოდ მოისმოდა.

— რა ამბავია? ვინ არის?

— კვლავ ყველაფერი ვთქვა?

— ყველაფერი...

— ნაძიძარასა მთიდან ჩამოვიდა, ქალაქში ქუჩა-ქუჩა დადის, ხალხს აშფოთებს, სამართალს დაეცემბო! ქმარშვილს რას მემართლებითო! გამითავდა მოთმინებაო! იმ დედასაც ვნახავო..

— უძუძო დედას იტყობა!

— მე... დედამძუძუ, ჩემსას მოვიფხოვო! ყველას მოწმედ ისწრებს! თუ გავშველდით ხომ კარგი, თუ არადა უსამშველს გავფინო!

ლაოდიკე გულმეძრული, მაგრამ შურნაგებ სიხარულითაც ისისებოდა. ბოლოს გააწყვეტინა...

— კმარა!... იმაზე რას ამბობს, ჩემსაზე?.. — ყრუდ ივითხა და თვალეში შეაჩერდა ზარიადრეს, თითქოს მას კი არა, მის უკან, მოედანზე, სარავუნააღმართულ ნაძიძარას ჰხედავდა.

— იგი ცოცხალი არისო!

— არისო?

— ...მიჭირსო, მაგრამ სიტყვას ვაწვდენო..

— ვაწვდენო?

— ხალხს ამხედრებს ჩვენს წინააღმდეგ! მავათ ტომში დედაცაცებს დიდი ძალა აქვთ!... უფლებას ვითხოვ...

— რა უფლებას? იქნებ მართალია?... გესმის, იქნებ მართალი?

ლაოდიკე უკვე ყვიროდა, თმებს იგლეჯდა, თვალეებს წკურავდა, მაგრამ ცრემლს არ ღვრიდა და ეს აცვიფრებდა ზარიადრეს.

— ამ ხმებმა სულ არია ყველა! სამი ცრუმარტყვია უფლისწული დავიჭირე, სულ სხვადანსხვა მხარეში... სამივე ჰგავდა იმას!

— სამივე ჰგავდა? მაჩვენეთ!... არა, არ მაჩვენეთ... ისე მაჩვენეთ, რომ იმან ვერ მნახოს! აი, ეს ყოფილა უშველებელი!

— აღარ არიან... სამივენი ძელზე გავჩხიბეთ... გავამიშველეთ და ზღვაში გადავყარეთ...

ლაოდიკეს თვალეები გაუფართოვდა:

— იქნებ შეცდით?

გაქვინული

— არა, ხვარა მოგვთამაშებს! ვაჩვენეთ. მანვე გვიჩივია თქვენთვის არა გვეთქვა რა! ახლა გიმხელთ, რომ გავარკვიო ძირითადი, გვირგვინოსანო, რა გწადს?

...მაგრამ ქალი ყურს არ უღებდა, თავისთვის აკვიტებულად იმეორებდა.

— რატომ ზღვაში? რატომ ზღვაში? სამივე... მსგავსი... შიშველი! რატომ-მეთქი? — ბოლოს პირდაპირ შეამბახა და ლანის შეასკდა.

იმიტომ, რომ... იქნებ ზღვას ამოგედო... „მსგავსი შიშველი“... ხალხს თავად ენახა... და გვირგვინოსანი დედოფალი, რომელმაც „ცოცხლისა და შემოსილის“, შესახები ყველაფერი ბრძნულად დაგვიდასტურა, „მკვდარზე, მსგავსზე და შიშველზე“, თქმა არ უნდა, უბრძნესად, საჭირო დასტურს უსათუოდ მოგვეცემა! ეს იქნებოდა ჩვენი პასუხი ნაძიძარას!

— მერმე, სად არის თუნდაც ერთი?

— შემზარავად, ხმაჩაყარულად აღმოხდა ლაოდიკეს.

— ზღვამ ვეილაატა... ჯერ არც ერთი არ ჩანს! და თუ გამოჩნდა...

— მერმე ხვარა? — სულ აწურჩულდა დედოფალი.

— ვერცხლის საბადოს დიდი სარგებელი მოაქვს ღმერთთათვის! ვარდა ამისა, ხვარა არსებითად სიმართლეს დადასტურებს... და კიდევ არის აქ მთავარი, ასეთ „დასტურში“ უპირველესი, მარწმენი ძალა სწორედ დედას აქვს... თორემ ახლა ძიძის უფერებს ყველა! ვგონებ, ხვარაც და ვგონებ, დედოფალიც! ჩვენ ბედისწერის მოწმენი ვიყავით ყველა, ვიხილეთ რაც ღმერთებმა მოიმოქმედეს, ველარაფერს ველარ შეცვლით, მაგრამ გვირგვინოსანმა მკაფიოდ უნდა იცოდეს, რა სწადს? უკეთეს ყველამ დაიჯერა, რომ ცოცხალია, მერმე მნიშვნელობა აღარ აქვს, თუნდაც

ზღვის ფსკერზე იყოს! ჩვენ დაემარცხდით მაშინ! ამას ზარიადრე გუებნებთ, თქვენი ერთგული!

ლაოდიკემ თავზე იტაცა ხელი... სარეცელზე დაემხო, ბალოში დაკბინა... და როდესაც ზარიადრეს ქალ-გვირგვინოსანი ისევ „ხელში ალყვანილი“ ეგონა, ლაოდიკე უეცრად წამოფარდა, აკანკალებული ნიკაბი ხელით დაიჭირა და მას სისინით მიახალა:

— მე რა მწადს, ეს ჩემი საქმეა... საქურისს, ეს არ ეკითხება! მე მინდა სიმართლე ვიცოდე... ამას კი ან ძიძისაგან, ან ძიძის გზით გავიგებ! ეს ხალხსაც დააშოშმინებს! წადი, გამოატარე, ხელი არ ახლო! და თუ დაეზავდით, მერმე თვალი არ მოაშორო ნაძიძარას, მაგრამ ისე, რომ შენ ყურცქვიტებსა და თვალჩუმათებს სარაყუნეები არ ჰქონდეთ ყელზე.

ზარიადრე გავიდა თუ არა, დერეფანშივე შინამსახურნი მიეტანენ და შეასმინეს, რომ მუნჯა-ქორიამ დედოფლის ბეჭედის ძალით, ვიღაც ფეხშიშველა დედაკაცი სასახლეში შემოიყვანა.

— გამოატარეთ! — გამოლექა ზარიადრემაც და შორიახლოს, ბნელ-თანში მიდგა.

დერეფანში უკვე ისმოდა სარაყუნას უჩვეულო ხმა. მთელი სასახლე ფეხზე იდგა. თიამათი ჭიქურ-საომრად მოდიოდა.

ლაოდიკემ ნაჩქარევად პირი გადიბანა და სარაყუნას ხმა სულ ახლო, კართან, რომ გაიგო, სმენამ თუ გულისყურმა უმტყუნა და სარკმელში გადაიხედა. იქ ხალხი ჭგუფ-ჭგუფად იდგა და ორ დედათა მკაცრ რკენის შედეგს ელოდა.

მერმე კარი გაიღო და თიამათი ლაოდიკეს წინაშე სარაყუნას ხმაურით წარსდგა.

ლაოდიკემ ხელი გაუწოდა, სხვათაშორისი, უმისამართო ხელი იყო. ძიძა არ დამრულა, მუნჯა-ქორიამ თითზე ბეჭედი გაუქეთა და გავიდა. თიამათი კი განაგრძობდა ადგილზე ტყეპნასა და რაკუნს.

— გეყოფა, აქ ვარ! ვისმენ... რამ მოგიყვანა?

— შენმა უსამართლობამ! თუ შენსიძიებაა, ამა, მე, ჩემზე იძიე შური, ჩემს ქმარ-შვილს რას ემართლები? შემომხედე, ვიცი, გული არა გაქვს და თვალში გაგიყრი სიტყვას!... ჰა, შენ — უტუბო დედა, ჰა მე — დედა-მძუძე! დედაკაციური სამართალი ვყოთ, თორენ შენი გვირგვინი და მედიდურობა მე რაში მგეკითხება ან მეპრიალებს! თუ გამამტყუნე, ქვაზე და ძელზე გამაყარ! არა და სარაყუნაზე გაგაყრავ და არც გაქმარებ! — ერთიც აამაჟურა ხე და გვირგვინოსანს ყურები დააგმანინა.

ეს რა უყო, ყველა ძველსაზომი თავიდანვე დაეკარგვინა, მისჩიხა, დააბორძიკა, გულღვიძლი ამოუტრიალა. ასეთი რა ძალა აქვს ამ კნაჭა დედაკაცს? ერთი წარბის აწევა და გაათაგებს ოჯახიანად! მეგრამ რატომ არ ეშინია? დასტყობია კი ოჯახის დუბჭირი, სულ გალუულა... სიმაღლეში კი მაინც დარჩენილია... მაინც არ ხრის თავს! არ იხვეწება! გაჩუმდეს მაინც!... ნეტავ რის იმედი აქვს! უსათუოდ რაღაც იცის!... და უეცრად ლაოდიკეს მოსწყურდა „იმ რაღაცის ვაგება“, საერთოდ, სიმართლის მოსმენა არა ქლესა საქურისების თანხმობისა და დაყვავებისა... არამედ მწარე სიმართლისა... გაიგებს კიდევაც, ყველაფერს მხოთმენს და გაიგებს! რამითი მაინც უნდა აჯობოს ამ ტუბაღელ „სარაყუნას“ ძუძუთი ველარ აჯობებს, ველარც უკმეხობით, ვერც სიყვარულით, მოთმანებით და სათნოებით! აი რით! უფლება ხელთ აქვს, მამასადა-მე, სათნოებაც!

...და „ხელთაპრობილი სათნოება“ ხელკეტვივით მოიქნია... და მაინც ხელი მოეცარა, იღუმალი ფიქრი დახედა წინ:

„ალბათ, მეც მქონდა ჩემი „სარაყუნა“ და აღრევე გამებზარა, ან დაენალე, დაწვი და ახლა მართლაც უტუბო ვარ!?“

ალმაიცრად შეხედა „კნაჭა დედაკაცს“ და მოგოროზდა:

— ჯერ მთხოვე, რა გსურს?... მერ-  
მე მლანძღე, როგორცა ვწადს!

მაგრამ როგორიც კვესი იყო, ისეთი-  
ვე ტალი დახვდა...

— არა, ჯერ გაკადრებ საკადრისს,  
მერმე მოგთხოვს. მეფე-დედოფალი მე  
არ ვიცი... რა ქმრის მეუღლე და რა  
შვილის დედა! ბედნიერ ვარსკვლავზე  
ხარ გაჩენილი, მაგრამ შენ თავად აბ-  
რმავებ შენს ბედს!

— რატომ?

— მიტომ რომ ხარ მედიდური, შენი  
ქალური და დედური სიყვარული გვირ-  
გვინის ჩრდილში გამოვუღე...

— რატომ? რატომ?

— იმიტომ რომ, ხარ ვაითავეკრძო,  
გულსაჭურისი... ნახევარქალი!

— ჯერ მაქმარე... — შეპლადადა გა-  
ხევებულმა ლაოდიკემ, — ჯერ ეს მი-  
თხარი, ცოცხალია ზღვაში წასული?  
ასევე დაუნდობლად მითხარი!

თიამათი სახტად დარჩა:

— ცოცხალი! ყველა ამას მეკითხე-  
ბა... შენც... უტუტო დედაც!.. მეც ყვე-  
ლას ვეუბნები — ცოცხალია-მეთქი!

— შენი თვალით გინახავს? — შავ-  
ზანგელა თვალები შეუბებივით სახეში  
მიანერა.

— ჩემი თვალით? — ჩაფიქრდა თი-  
ამათი, — ვიდრე ჩემს მეუღლესა და  
შვილებს დამიტყუებდით... წამტაცებ-  
დი... ჩემი თვალით და ხშირად... მერმე  
კი გამოქრა შურეაცა და სიხმარ-ცხა-  
დი!

— შენებს დაგიბრუნებ... გაოვნე-  
ნებ... ჩემსას მიპოვნი?

თიამათი, ჩანს, სულ არ მოელოდა  
ასეთ შემობრუნებას. მიჯრა ხელიდან  
გაავლო... იმედითა და ეჭვით შეპხვდა...

— ჰოი, ღმერთებო! ზეგნის და ქვეყ-  
ნის სალოცავებო!... თუ სიკეთე გსურს,  
ჩემი შვილების პოვნაში, შენი შვილის  
პოვნას ნუ ჩაურევ... ვანა ბეცი ვარ,  
განსხვავებამ ვერა ვხედავდე! საერთო  
მხოლოდ ერთია, ჩვენს შორის შენა ხარ  
მთავარი სულთამხუთავი... შენსა და  
შენს შვილის შორისაც — ისევეც შენ!

მაგრამ ლაოდიკემ, სიმაართლის გავე-

ბის სურვილით შენაბყარმა, ესეც მო-  
ითმინა და დაბორკილ გამწყვებდე — ვა-  
უყენწლო:

— მაშინ ასე... შენ ჩაღეკი ჩემსა და  
ჩემს ცოცხალსა თუ დაღუპულ შვილს  
შორის შეამავლად! — და ვიდრე გოგ-  
ნებული დედაცაი პასუხს ეტყოდა,  
გზაც მოუტრა, — რონელ შვილსა  
მთხოვ, პირველს!

— ყველას ერთად და მეუღლესაც! —  
ისევე აბორვდა თიამათი, — ვანა არჩევან-  
არაღანის თამაშია!.

— არა, თამაში არა... ნაღდი ანგარი-  
შია, ვაჭრობა! ერთში სამს ვაძღვე...  
ჰა მეითხეც, ქმარი, სართად იყოს! ახ-  
ლა რას იტყვი, ტუბალ-ჩუღიანთ ძი-  
ძავე?

— ჰქუაში ნუ მატყუებ... მე არავინ  
წამსვლია შენ წამგვარე! შენ კი შვილი  
თავად წაგივიდა... ეს ჩვენებური  
ლაპარაკი კარგად გისწავლია, გულით  
კი „სირსვალა დედოფალი“ ხარ და  
მთელი ქვეყანა საეპტრო და ჩუღიანები  
გვონია!

მაგრამ რაც უფრო უკმეხად უტევდა  
„ჩუღიანეთი“, მით უფრო უკლებდა კი-  
ლოს „სირსვალა“...

— აქ მარტო ჩვენი საქმე ხომ არ არ-  
ის... მთელი სამეფო, ყველა თქვენი  
ტომისა და მოდგმის ვარაუღია და ნუ-  
თუ გული არ გერჩის!

ნემსკავი სწორად გადაავლო, თიამა-  
თის მკერდზე სარაკუნა თავად შეიკბა.

— შენ გულნახევარავ, საერთო საქ-  
მეში ავრე ახირებულად ნუ მრევ! არც  
იქა ვაქვს პირი ნათელი... მაგრამ ეს შენ  
და შენმა შვილმა იცი... სხვებიც არიან  
გამრკვევნი და გამკითხველნი... მე ჩემ-  
სას ვარკვევ... შენ კი ნუ მიბლანდავ  
გზას... თუმცა ვინც თავისი მეუღლე და  
შვილი არ დაინდო, სხვას რა იმედი უნ-  
და ჰქონდეს... მისიანსა და არამისიანს!

ლაოდიკე გაფითრდა. ენა სასაზე აეკ-  
რა და სული შეუხუთა, მაგრამ დაჭიმულ  
ზამბარას თითქოს რკინის მარწუხები  
დაედო... „აღბათ, მართლაც, ცოცხალია  
ჩემი... და ამ ზარანაშომ იცის, თორემ  
ასეთ პირამთქმელობას ვით ვაპბედავ-

და? ბოლომდე უნდა გავარკვიო, თორემ ასე არც მეფობა, არც ცხოვრება არ შეიძლება, ეს მჩხვანა კი სად წამივია!”

დედოფალი კვლავ თავისი ექვიანობის ტყვეობაში იყო...

— ყველას დაგიბრუნებ... ჩემ შვილთან კი ჩემი სიტყვა უნდა წაიღო... სიტყვასაც ახლავ გეტყვი, სანამ ვაღამრეხ შენი უკმეზობა... თუ ცოცხალია, მოვადგმე მამისა და დედის ტანტს ეპატრონოს, როგორც თავად გასსაჯოს ისე! — ლაოდიკემ ხმას უკლო და ჰვრეტა დაძაბა... არა, არ ცდება, თიამათ, ეს ჩულიანი ზარნაშო, უსმენს, წარმშეკრულად, მაგრამ აღარც ისე სიძულვილის მოჭარბებულად... და გაბოროტებამ უფრო გაუტეხილა და დააქსელვინა სიტყვა.

— მალე მაცნობოს და მოვიდეს, თორემ ყველას ცუდი დღე გველის, როგორც თქვენ ამბობთ, მგლის ნაშვირები შეგეჭამენ ყველას... გამიიგე? — სულ ჩურჩულში გადასული ხმით შეეკითხა.

— გავიიგე... რაღაცას ჰკვალავ და ჰფარცხავ! — უკვე სულ სხვა კილოთი უპასუხა თიამათმა და დაბნეულად ხელები დაუშვა.

ლაოდიკემ სული აღარ მოათქმევინა.

— უმცროსს ახლავ გავაყოლებ... დანარჩენებს, მაშინვე — პირველ პასუხს რომ ნომიტან... თუნდაც სიტყვიერს!... ახლა წადი, სანამ ყველაფერზე უარი არ ვთქვი!

მაგრამ ტუბალულ დედაკაცს დედოფალი უკარნახებდა ალალ პასუხს:

— თუ გულით სწადიხარ, ხალასია შენი ნათქვამი, ჩემი ქმარ-შვილი რაღად ვწადს მიველად? რა თავნის წაგების გეშინია, დიდო ვაჭარო!? ან მე რა გულით უნდა ვქებნო შენი შვილი? ახლა მეც მომისმინე: ან სულ ყველას — ჩემიანებს შინ გამატან და მე ლაღად წავალ შენი შვილის შინ ნოსაყვანად... თანაც შენს წერილს, ანდერძის მაგიერ დასტურს წავიდებ... ან მეც მოვსულვარ მსხვერპლად შენი ზევობისა და წყეულობე იყავ!

თიამათმა სარაკუნას მჭილი შემოჰკრა

და ძვალა ხელი დიდ წყევლად აღმართა... მაგრამ ლაოდიკემ ჩამიშინებულ ხმით გაწყვეტინა...

— კმარა! შენგან წყევლა არ მაქლია... არც სხვისგან, მაგრამ მე ბელისუფალი ვარ და შენზე სათნო... თანახმა ვარ, ყველას გაგატან!.. შენ კი არც ისეთი უპკუო ჩანხარ, როგორც მეგონა... ვაჭრობაში მაჭობე, შენი მცირე საქმე გაინაღდე... იმედი მაქვს, დიდ საქმესაც გამოაგვარებ!

მერმე ზარიადრე იხმო და „ძიძიანთ“ მთელი ოჯახის განთავისუფლება და მოედანზე მოგვრა უბრძანა, თიამათი ისევე მუნჯა-ქორიას ჩააბარა, თავად კი საწოლში შეიკეტა და ბრაზის კურცხალი ჰყარა, ბალიში დაბდღვნა, მერმე ქმრისეულ სამწიგნობროში შეირაზა და „ცოცხალ თუ არაცოცხალ ძესთან“ წერილის წერას შეუდგა. მაგრამ ან ხელი არ ემორჩილებოდა, ან ბერძნული ასოები, ან სიტყვები. ბოლოს მიხვდა, რომ გული იყო დამნაშავე... ვერასვით შეილის-სახელი ვერ დასწერა... დერღეტის კალმები თითებს შორის გველის წიწილებივით იკლავებოდნენ და ეტრატზე შესამიანი სისნი გაჰქონდათ... ბოლოს და ბოლოს, გულმა ძირითად კითხვაზე ვერ გასცა პასუხი — რა სწადდა მას? ერთადერთი, რაც იყო ვარკვეულზე ვარკვეული, თუ იგი, ზღვაში წასული, ცოცხალია და მობრუნდა, დედის გვირგვინოსნობა გათავებულა, თუ კი ამით ამოიწურა გათვება! შვილის უკანასკნელი, დამწვარი წერილი ახლა მას სწვავდა, საწერს ურევდა.

ვერა, ვერ დასწერა ბარათი შვილთან. სიტყვიერად ამჯობინა... თორემ მის წერილს ანდერძის სული და ძალა გაანინა!

ანდერძის მოვონებამე ქმრისეულ სამწიგნობროში ჩქამი ჩავარდა. აშრი-აღდნენ მეფისეული ეტრატები და გრაგნილები... თითქოს ყალყზე შედვენენ... როგორც ის შავ-ქაჯი, იმ დღეს... როგორც ტუბალელი ზარნაშო... თითქოს ყველას სარაკუნები ჰკიდიათ, აუ-

ბამთ, აღუნართავთ... და სულმოუთქმელად აბმინებენ...:

გეირგეინოსანმა რაზა გულის ფეთვებით გააღო და ახლა სატახტოში გავიდა. აქ სულ შემოეყარა გულზე... ტახტზე რაღაც ჩრდილი იჭდა, იღვა თუ იწვა! ...და ერთად-ერთი მან იცოდა, რომ ეს ჩრდილი მისი არ იყო!

შეჰკივლა, უმალ შემოცვივდნენ ტალავრებიდან, დარბაზებიდან, ბაღისა თუ აივნის კარიდან... ზარიადრეც აქ იყო... სხვანიც...

ის ჩრდილი, ტახტზე კი ისევ იჭდა, იღვა და იწვა!

— მიჰგვარე? — საქმის კილოთი შეეკითხა ზარიადრეს.

— მიგვევარეთ, დედოფალ-გეირგეინოსანო! — მიმხედურად ეფაღვებოდა ქუტა და თავი დაჰხარა საქურთხმელს.

— მოედანზე რა ამბავია?

— დიდი სიხარული და თქვენი დალოცვა ხალხის მიერ!

— ჰო, ეგრე, ეგრე... წაეიდნენ ბედნიერები... ასე გადაეცი იმ აშარს — ჯერ სიტყვიერად-თქო! თავად კი კბილზე კბილი დააჭიროს, მეტს აღარ ვაპატიებ ამდენ უტიფრობას!... აქ კი შეუქო აანთეთ, თორემ ამ სვეტების ჩრდილებმა შემაწუხეს... აი, როდესაც მოვიცლით... ეს დარბაზი უნდა გადავაკეთოთ!.. და კიდევ მიხმეთ ხეარა მოგვთა მოგვი...

□ ბაზრამღობა იმწიბა □

## ნახაპირალიდან საიდუმლო გვირაბამდე

### რეკლამის მითხრობა

ეს იყო ექვსი წლის წინ, შემოდგომაზე, ბორჯომში ვისევენბდი. მტკვრის ზღაპრული ხეობით მოხიბლული, ერთ დღეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს მივაღვექ. მინდოდა ბორჯომელი ძველი ბოლშევიკების რევოლუციური წარსულის საარქივო მასალებს გავცნობოდი. მთელი დღე ხარბად ვკითხულობდი დოკუმენტებს და თვალწინ ის ბობოქარი დღეები მედგა, ან დეაქლმოსილ ადამიანებს რომ გამოუვლიათ. ბოლოს ჩემი ყურადღება განსაკუთრებით ერთმა საბუთმა მიიპყრო: „ჩოხატაურელი რევოლუციონერები ბორჯომის ხეობაში“. — ცხრაასიანი წლებში, — მითხრეს მუზეუმში, — ბორჯომელ რევოლუციონერებთან დიდ მუშაობას ეწეოდნენ გურიიდან გადმოსული ახალგაზრდები, მათი ხელისშემწყობი იყო ამჟამად ბორჯომში მცხოვრები ნოხუცი ქალი, ერკეთელი ოლია შარკოზის ასული კლანდამე, პარტიის წევრი 1907 წლიდან, ნასაქრალის აქანუბნისა და გურიის რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე.

მამინვე მისკენ გავეშურე. სახლში დამხვდა. როცა გაიგო, რისთვის მივედი, ძალიან გაეხარდა. მის დანაოკებულ, ხანდაზმულ სახეს მინც არ ეტყობოდა, რომ სამოცდაათს გადაცილებული იყო. ჯალისაანად და წვერიცხლად გამოიყურებოდა. როგორც კი ვთხოვე ცოტა რამ ეამბნა წარსულიდან, ეს მშვიდი სახის, ხნიერი მანდილოსანი ჩამცხრალი თვალებით, ერთბაშად აენთო და სულ გამოიცვალა.

— ვეპ, შეილო, ჩემი წარსული, ყველა გურული რევოლუციონერის წარსულია. რა უნდა გითხრა ისეთი, თქვენ ზემზე უკეთ რომ არ იცოდეთ! — და თითქოს გულს ქრალითა ისევე გაეხსნათ, თვალები დახუჭა, სული განაბა, მერე, თელი ისევე გააბილა და მოგონებები გადმოიშალა.

ყვებოდა შეუსვენებლივ და ჩემს თვალწინ იშლებოდნენ იმ წარსულის მძაფრბ სურათები.

ბახნაროს მთებიდან დაძრული ღრუბელთა ქარავანი მთელს ვურისს მოედო. პირქვეში დილა გაუთენდათ. ადამიანებს, მართალია, აღრე გაზაფხული იყო, მაგრამ ბუნება მაინც მძვინვარებდა. თემცა ერკეთლებს უფრო ის უკლავდა გულს, რომ აგურ მთელი ერთი წელია, მოსვენება არ აქეთ: აწიოვებენ, არბევენ, გადასახადებით სულს ხდიან.

თი, ჩოხატაურში, ჯვარცმისა და ფარცმის მთელი მოსახლეობა ძალით მოტრეკიათ. ორი ათასი ქალი და კაცი, ნოხუცი და ახალგაზრდა, ზღვასავეთ დელავს. ყველას ცეცხლი გასჩენია გულში. ბოლშევიკებთან უკებ მალლობზე მახრის უფროსი ჯაფარიძე წამოიჭრა.

— ვეპატონებო, ბრძანეთ რას მოითხოვთ! — ავლებით მიმართა მათ.

ამ დროს ხალხს ერთი დაგვეჯილოხიანია გლეხი გამოეყო, მალლობზე შედგა, ჯაფარიძეს განუცხადა:

— რატომ მოვგრეკეთ დღეს აქ ჯოჯოვით? იმისათვის ხომ არა, მღვდლისთვის დრანის ფულს რომ არ ეხბით? გიცხადებთ აქ, ამ ხალხის სახელით, ჩვენ უარს ვამბობთ, გადავიხადოთ ის დრამა თუ რაღაც ჯანდაბა, ისედაც სული გვხდება მთაწრობის გადასახადებით და თქვენ მღვდლებიც ვინდათ ზურგზე აგვიკიდოთ? არა, ეს არ იქნება!

— ვაჭმდი, შე ვლახა, ამას შენ იბოტომ ბედავ, რომ სოფლის მამასახლისები გიწყოებენ ხელს. შე ვერხვენებ ნათ, როგორ უნდა მთაწრობის ბრძანებებს შეუსრულებლობა! — და მამინევე უბრძანა ხალხს, დიდი წრე გავკეთებოთ. ხალხი გაოცდა, რათ გვეკეთებინებს წრესო; როცა წრე შეიკრა, პოლიციელებს უბრძანა:

— აბა, მთათრიეთ ის ობრები აქ! — პოლიციელებმა მოიყვანეს ამალგების, ჯვარცმის საზოგადოების მამასახლისები: თლიძე დილიძე, თემბურაზ ჩხიკვაძე, ჩოხატაურელი ეპიკრი ვასილთ ცინცაძე, ჩაყენეს ხალხის შეა-

გულში, ცხენიანი კახაყები მოისისეს და მაგრად ვააროზგანეს.

— პროვოკაციაა, ხალხო, არ დაუჯეროთ, როდეს იყო ისინი თავიანთი კაცებს ცემდნენ? არ დაუჯეროთ, თვალმომეტყობენ!

— მართალი ხარ შენ, ასალო, ამით ჩვენ გვაშინებენ, მაგრამ არ გაუეთ! — გასმოდა ხალხში წამომძახილება.

პატარა ოლიას ესმოდა ეს და ვერ ვაგვო, რაში იყო საქმე, როცა მამამისმა აუხსნა მათი თვალმომეტყობის მიზეზი, ვოგონამ თავი გაიქონია, — გვატყუებენ, არა? — და მამის ჩოხის კალთებს წაეპოტინა.

ამგვარი მოჩვენებითი სცენები ქაფარაძემ ბევრ სოფელში გაითამაშა, მაგრამ მის ანკეუბს არავინ არ წამოვგო.

თავიდანვე უცნაური ჩვევა დაჰყვა ოლიას: არა რე თავის სოფელ ერკეთში, არამედ მთელს გურიაში თუ რაიმე მოხდებოდა, პირველად მის უნდა ვაგვო. თუმცა, რა ვასაკვირია, მის ოჯახში ყოველ დღე თავს იყრბდნენ ახალთაობის კაცები, მართავდნენ საიდუმლოთი კრებებს, რას არ ამბობდნენ, რა ჩანაფიქრს არ გადაუშლიდნენ ერთმანეთს. ოლიას ყველაფერი ესმოდა, ყველაფერს იმასსოგებდა.

ოლია სულ ახალგაზრდა გოგონა იყო, მაგრამ ყველაფერში ერკეთოდა და რევოლუციონერებს ეხმარებოდა. გაქირავების ტალყვის ევახდნენ, საიდუმლოებას უმზებდნენ. ანდობდნენ, საშაშ დავალებებს ასრულებდა, პროკლამაციებს და აკრძალულ ბროშურებს ავრცელებდა, ფარულ კრებებზე გლეხები მოჰყავდა. ერთ-ერთი ასეთ კრებაზე მსჯელობა შეიქმნა:

— ვის ჩავაბაროთ ეს დროშა? ვინ შეგვიჩაბავს ისე, რომ არავინ ვაიგოს?

— ეგერ კარებთან ატუხული მარკოზას გოგო რომ დვას, მაგავდ უკეთესა ვის ვიშოვით? ჩვენი ვანოს დაი არის?

— გოგო, შეგიძლია ამ დავალების შესრულება?

— როგორ არა, ბიძა იცხე, მომეცით! — ახალგაზრდა კრების თავმჯდომარემ ოლიას დროშა გადასცა.

— აბა, შენ იცი, როგორ მოვუღო!

ოლიამ დროშა დაეცა და საბჭოს უკან, საწებელის ქვეშ, საგანგებოდ გაეთხებულ ხის ყუთში ჩაიღო, ყუთი მიწაში ჩაფლო. ისე უტრიალებდა მას, როგორც შვირფას სამკაულს.

ერთ დღეს, 1903 წელს, ოლიამ ახალგაზრდების მთელი ლაშქარი დაინახა დროშებით ზელში, მარსელიაზის სიმღერით ჩოხატაურისაკენ მიემუხტებოდნენ. ოლია სახლისკენ გაიქცა, ყუთიდან გადამალული დროშა ამოიღო, მალე აადრიალა და ახალგაზრდებს შეუერთდა.

• • •

ეს იყო პირველი დემონსტრაცია ჩოხატაურში. მას გლეხთა ახალაბალი გამოსვლები

მოჰყვა. ახლად შექმნილი გურიის კონტრქტის სოფლებში სანდო პირებს გახედავდნენ ხსანი გლეხებს ამხედრებდნენ მუდუხ მოვარდებს წინა აღმდეგ, მაგრამ ეს შეუმჩნეველი არ ღხრხათ ეინდარბებს, რა არ მოითქვრეს, რა არ იღონეს, მღვდლებს გამოყენებაც სცადეს: შეი სტრების ეკლესიაში ინახებოდა „ლომისკარელად“ წოდებული ხატი, რომელიც განსაკუთრებით მორწმუნეებში იწვევდა შიშს და ზოწონებას. ბლაღოჩინმა რამიშვილმა ის ხატი ქვეითი ჩამოაბანინა, ხალხი შეეყარა და საეკლესიური გაიქონია.

— ხომ იცით, რა ხატია ეს?

— ვიცით.

— ზოდა, რასაც გულში ფიქრობთ, ყველაფერი სთქვიით, თორემ, სულ ერთია, ეს ხატი გავცემთ.

— რა უნდა ვთქვათ?

— სთქვიით, სად იმალეზიან „ბუნტოზნიკები“!

— არ ვიცით!

— თუ არ იცით, აბა დაიფიციეთ ამ ხატზე! ბლაღოჩინის ფანდმა ვასურა: ზოგერთმა მორწმუნემ მართლა დააქრა ეს და ზოთაფეებს ვასცა. იქვე დააბატონრეს თენგიზ ტლენტი, ბათუმელი პრომაგანდისტი იასონ მეგრელძე და სხვები.

ოლია შეწყურებდა ამ სურათს და დელავდა. მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როდესაც ის ხატი ეკლესიიდან გაიტაცეს და ფერფლად აქიკეს.

1903 წლის ნოემბერი იყო.

— ოლია, წამოდა ჩემთან, — უთხრა ვანო კალანდაძემ, — ჩვენ ერთ ადგილას ვიყრიით თავს, შენ გარეთ დადგები, უნდა უთვალთვლო იქაურობას. თუ ვინმე საეშვეოს დაინახავ, მოიბრუნე, კარებზე სამჯერ დაგვიკაკუნებ. ვაიგე? ჩქარა!

— უიარაღოდ ვერ წამოვალ!

— აბა, თუ უიარაღოდ ვერ ძლები! — და ვანომ ნაგანი მისცა. ოლია აედევნა. სულ მალე, ერკეთიდან დამორებით, ჩოხატაურელი რევოლუციონერები ტყეში შეიკრიბნენ. ოლია მშისაგან მინიშნებულ ადგილზე დადგა. ფხიზლობდა. ტყეში ჩიტების ფრთხილად არ ვიარებოდა, მარჯვენა ხელში რევოლვერი ეჭირა. კრებას ვანო კალანდაძე, იცხე ცინცაძე, მერამ ცინცაძე ხელმძღვანელობდნენ.

მაშინ პოლიციელებმა ვერ შეიტყვეს მათი შეკრების ამბავი, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, როცა „ბუნდუხიან მუხსათან“ დღი მიტინგი გაინართა, პოლიციელები თავს დაესხნენ მიტინგს. ოლიამ პირველად აქ იხილა ნამდვილი ბრძოლა. აქ ნახა სისხლში ამოსკრილი გვამები და ცრემლები წამოთვავდა.

ამ დღიდან ოლია კალანდაძე თავისი ძმის რევოლუციონერ ვანოს გზას გაჰყვა, ხოლო მათი ოჯახი, რევოლუციის პატარა ბედდელ იქცა.

შეორად დღეს დღი მიტინგი გაიმართა. კონსპირაციული მიზნით ვანო ამ მიტინგს არ დას-

წრება. ოლიამ ყველაფერი დაწერილებით უამბო მას. ვანომ თავი გააქნია:

— ეს გამკაცრებები ხალხს გადამიბიძგებენ. ვადაწვევები ზომები უნდა მივიღო! — თქვა ეს და იმ დღესვე ობილისს მიაშურა. იქიდან გამოჩენილი ბოლშევიკები ჩამოიყვანა. სასწრაფოდ მოიწვია კრება, მაგრამ სამწუხაროდ, პენსიელებს ისე მოეწონათ ხალხი, რომ ჩამოსულენს წავლებად დაუტარეს. მამის სოფლებიდან შეიღ-შეიღი კაცი მოიწვიეს ვინოს ოჯახში, ესაუბრნენ, შთაგონეს, თუ ვინ არიან გლეხების ინტერესების ნამდვილი დამცველები. მანც მეტად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა, მენშევიკებმა უმჯავესობა მიიხრეს. დაღვა კირტიელი მონენტი, გადაწყდა ისეთი კაცი მოეყვანათ, რომელიც ხალხს ბოლშევიკებისკენ შემობრუნებდა.

გლეხებმა სეფეს ოჯახში იწყეს შეკრება ობილისიდან მოწვეულმა აგიტატორმა უბრალო ენით განუმარტა, თუ რანი არიან მენშევიკები და ბოლშევიკები.

მეორე დღეს ხიდისთავში დიდი მიტინგი გაიმართა. ბენია ჩხიკვიშვილი ხან ერთ გლეხს აქვებდა, ხან — მეორეს, მენშევიკი გრივალ ლორთქიფანიძე კი გამწარებული დადიოდა ხალხს და სიტინგის ჩამლას ლამობდა.

— არ გვიღდა, არ გვიღდა, ძირს! — ბენიას ეს ხმა მამის გაისმა, როცა ობილისიდან მოწვეული პროპაგანდისტი ტრიბუნაზე გავიდა.

— არ გვიღდა, არ გვიღდა! — გაეხმორა გრივალ ლორთქიფანიძე.

— რა? ვინ ხართ თქვენ, არ გვიღდო! რთმ იძაბო? გაგვიკალათ აქვდანი!

— ჩვენ გვიღდა, თქვენ თუ არ გვიღდა, დს-ტოეთ მიტინგი!

იმ შეხლა-შემოხლის დროს ორატორი ტრიბუნაზე იდგა და მშვიდად, აუღელვებლად ლაპარაკობდა. მისი სიტყვის ძალამ ისე დაატყვევა მსმენელნი, რომ სულ შეიცვალა განწყობილება. ყველამ დაიფერა ბოლშევიკების სიმართლეს. ისინიც კი დარწმუნდნენ, ვინც პავლე კალანდაძისა და ბენია ჩხიკვიშვილის აგიტაციის გავლენით ბოლშევიკებს წინააღმდეგ აშკარად გამოდიოდა.

მათილაც, ამბობურებულ ზღვას ჰგავდა ის მიტინგი. მენშევიკებისაგან გაბრიყვებული გლეხები, ახლა კი უკვე გამოფხობებულნი, ვას არ აძლევდნენ მომსხეებებს, ყველას უნდოდა მასთან ახლოს ყოფნა, მისთვის ხელის ჩამორთიგვა, მასთან საუბარი.

• • •

იმ დღეებში ბევრ სოფელში გაიმართა მიტინგი, მათ შორის, ზემო ფარცხმანში, იანეულში, შუა ფარცხმანში და ხიდისთავში. იანეულში მიტინგი ნამდვილად აღელვებულ ზღვიდან ამოვარდნილ ქარიშხალს ჰგავდა. იმ

ქარიშხალმა ზენიტს მამის მიაღწია, როდესაც ობილისიდან ორატორმა განაცხადა:

— მერყეობა არ შეიძლება, რატომ? არ შეიძლება! მენშევიკები გლადატორებს, გრანკებს ვისუფლება უნდა, ესაუც ხალხისათვის ბედნიერება სურს, მისთვის რაი გზა არ არსებობს. არის ერთი გზა, არის ერთი მამართლები, ეს არის ლენინის გზა, პროლეტარიატის ბრძოლის გზა, ეს არის ბოლშევიკური მამართლები. ჩვენც აქეთვე მოვიწოდებთ გულანთებულ გურულებო! — ტამის გრიალში, ხალხს ერთი ვაჟკაცი გამოეყო და ტრიბუნასთან დადგა.

— ნიუო მარო! — ნიუო მარო! გაისმა წამოძახილები.

უზომოდ აღელვებული ნიუო ერთი შედგა და ხალხს ვახედა:

— თუ თდესმე ვახედი სოციალისტური პარტიის წევრი. უსათოდ ბოლშევიკებს პარტიამ ჩავეყრება, რადგან სინართუ მხოლოდ მათს მხარეზეა! — თქვა თუ არა ეს, ტამმა იგრაალა.

ასეთი მღელვარე ხასიათი ჰქონდა მიტინგს შუა ფარცხმანში, დიდ ცაქებებთან მას სიმი ათასზე მეტი კაცი დაესწრო. აქაც გამოარჯვა მართალმა, ბოლშევიკურმა სიტყვამ, მაგრამ ერთ-ერთ სოფელში მიტინგზე, გამძაფრებული ბრძოლის დროს, მენშევიკებს უფრო მეტი მომხრე აღმოაჩნდა. როცა იქიდან მოდიოდნენ, სეფემ უთბრა ობილისელ ორატორს.

— ხედავთ, როგორ უმცირესობაში დავრჩით?

— ეგ არაფერია, გული არ გაიტეხოთ, სულ მალე ამ მიტინგისაგან დიდი არმია შეიქმნება.

ამ სიტყვებმა ყველანი დაინერდა. სულ მალე ვანო კალანდაძის ოჯახში პირველი ბოლშევიკური უჯრდო შეიქმნა, მდევნად სეფე ცინკაძე აირჩიეს. პირველად იგი მცირე იყო, სულ ოცდახუთი კაცი იყო შიგ. მალე გურიის მთელ რიგ სოფლებში შეიქმნა ასეთი უჯრედები. პირველ რიგში, ხიდისთავში, ბახეში და სხვაგან.

ოლია ყველგან ტრიბულებდა, იაზადის ვადა მალვა იყო საქირო, — ოლიამ იცოდა სად მიეტანა, ტყეის ჩამოსხმა იყო საქირო, ოლიამ იცოდა, როგორ ჩამოესხა.

იი, ოლია თავის საშხადი სახლის კერიასთან ჩაცვტულა, ვაკრთ მისი აშხანაგები ყარაულომზე, თეთრთ ტყუას აღნობს ცეცხლზე. ასხამს ნახერტებიან თუნქის ფურცელზე, რომელსაც ჭეშმოდან წყლით სავსე ვედრო აქვს შედგმული. დიდი ამონაჭრიდან დიდ ტყეის აკეთებს, პატარიდან — პატარას. მერე ამ ტყეების რაზმულზე ურბეგებს. ერთ დღეს, როდესაც მობრა ტყეების ჩამოსხმას, კარზე სეფე ცინკაძე მოადგა. ოლიამ სანამ გიგებდა ვინ იყო, ტყეებთან სავსე გოდორს დაუ-

ლო ხელი და უკანა კარებიდან ტყეში გაიქცა. სუფემ ჩაიცინა და მიასძახა:

— საღ ბირბობარ, გოგო, დაბრუნდი უკან!

— ბიბია, სუფე, ეს თქვენა ხართ? მე კი პოლიციელი მეგობრები!

— ოლია, დღეს სოფელ ბურნათში მიტინგია. ამბობენ, ბენიასა და გრიგოლს, რაც გურამში შენსევეყვები, ყველა იმ მოუწყვეითო, წამოღო, გოგო!

ოლიამ კალთაში დროშა გაახვია და სუფეს გაეკიდა.

აი, სოფელი ბურნათი, მიტინგს ოთხი ათასზე მეტი ქალი და კაცი ესრეება. მიტინგის შემდეგ ხალხი ჩოხატაურისაკენ დაიძრა. ორი მისია: წინა დღით არ მოხერხდა გამოსვლა, დღეს კი მაღლა წითელი დროშები აღმართეს, მარსელიოზა დააგუგუნეს.

ოლიამ კალთიდან დროშა ამოიღო, მაღლა ააფრიალა და შესძახა:

— გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს მუშათა კლასის საერთაშორისო დღეს, პირველ მაისს!

გათმა რევოლუციონერი სიტყვები:

— ამხანაგებო! დამკრა საათმა, მთავრობის ძალმომრეობის უკანასკნელმა საათმა, ბედნიერმა საათმა რუსეთის ხალხისათვის! — და ამ სიტყვებს სიმღერა მოჰყვა:

ვერკონ ვეისნის, ვერც დმრთი, მეფე,  
ვერც თითონ გმირი, ამაოდ ველით:  
საბურღელ საგანს მივალწევთ მხოლოდ  
ჩვენის ერთობით, საკეთარ ხელით.

ისევ დაიძრნენ წითელი დროშის ფრიალით, მასზე კარლ მარქსის სურათია, მეორე მხარეზე დახატულია ნიკოლოზ მეორე თავდაცირა. მიიწვევენ გმირული შემართებით. ტყეში მიმალულ პოლიციელები, თათოს, გონზე მოვიდნენო, დემონსტრანტებს წინ გადაუდგნენ. ატყდა სროლა, წივილ-ყვილი, იფერ, დაეცა ერთი ეთაკი, ვერად ფოცხაშვილი, ხალხის რისხვა ახლა უფრო აზვიროდა, ბერდენის ტყვიები პაერში ზეზუნებენ, იფერ მიწაზე გაფორდა სასიკვდილოდ დატრილი მამაკი მებრძოლი ისევ კალანდამე; მალე ძალა მოკრება და წამოდგა, სისხლი დეარად სდის, თანაც წინ მიიწევს, ამხანაგებმა ხელი სტაცეს, უნდოდათ მისი უკან დაბრუნება, მაგრამ, არა, არ შეეძა, მაინც წინ მიიწვეს.

— თავი დამინებთ, მე აქ მოვცდები! იბრძოლეთ! ბოლომდის! იბრძოლეთ ედრ არ გაიმარჯვოთ! — აღმოხდა ეს გულიდან და გაქცევა, მოკვდა ამბოჰრებული ხალხი შეჩერდა, ერთი მებრძოლთაგანი მაღლობზე შედგა, ყერ მებრძოლთა გეამებს დახედა, მერე თავი მაღლა ასწია და ხალხს გასძახა:

— მოჰკლეს ამხანაგი, უბრალო სოფლის მუქელო, მოჰკლეს ხალხის ბედნიერებისა და

თავისუფლებისათვის მებრძოლი! მოჰკლეს, მაგრამ მისი ანდერძი და სახელე უყვედეთ!

ახლა მეორე ავარდა მაღლობზე. — მოჰკლეს — წყევი მტრავალი! ჩვენ გვარომევენ საუკეთესო ამხანაგებს. საუკეთესო დიდება თქვენ, ხიდისთავში, თქვენ შესწირეთ ორი საუკეთესო შვილის სიკოცხე პროლეტარიატის განთავისუფლების საქმეს!

მას შესამე მივეა.

— და შენ, პროლეტარო, უსახლკარო, ღარიბო რუსეთისავე, განვლე ქვეყნად და უამბე ყველა შენ ძმებსა და პატიოსან მოქალაქეთ, რომ აქ, ხიდისთავში, სოფლის მუქედრო სასაფლაოზე განისვენებს ნუშთი თავისუფლებისათვის ორი მებრძოლისა. დაე, ძლიერ რისხვად მოვედინოს მათ ხალხს შერისძიება!

დამწუხრებულმა ხალხმა თავი დახარა. რევოლუციური დემონსტრაცია სამგლოვიარო პროცესიად გადაიქცა.

• • •

ამ ამბავმა მთელი გურია შესძრა. დაიწყო თავდასხმები პოლიციელებზე. შეიარაღებული რაზმელები მიუარდნენ ბოქვულ ვაგუებს კანცელარიას, ვაგუა ხელთ იგდეს, სურბებში წაათრეს და სადღაც სახლში გამოამწყვდინეს.

— ხალხნო, ღაზარეყო მოდის კახავებით, ღაზარეყო! — დიძახა ოლიამ, მართლაც, ბოქვულზე თავდასხმის ვაგევისთანავე, ოსურგეთის მარზის უფროსი ღაზარეყო ჩოხატაურში მოვარდა პლასტუნების, სტრაფნიკების და ოფიცრების მთელი რაზმით. მოდესაც ღაზარეკომ მიდამოები დახვერა, უკან გაბრუნდა. გადაწყდა შეიარაღებული რაზმები შეედგინათ და გამოსვლები მოეწყოთ. თავმყურა ოლიას სახლში დაინიშნა. შედგა რაზმები. პირველ რაზმს დათოგო შევარდნამე ზუეენეს სათავეში, მეორეს — შერამდინ ცინცაქე, მესამეს — გრიგოლ რამიშვილი. რაზმებს რამდენიმე ათასი კაცი და ქალი ვაჟევა უკან. როგორც ზურგის საიმელო ძალა, ყერ სოფელ წიფლანარში მივიდნენ. აქ ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. მალე უზარმაზარ დემონსტრაციად გადაიქცა. წინ რაზმელები მოდიან და წითელი დროშებით მიფრიალებენ. როგორც ერთი კაცი, ისე მიბიძგებენ მწყობრად.

ოლია და მისი სამი ამხანაგი ქალი იქვე არიან. ჩოხატაურში შევიდნენ, კახავები სადღაც მიიშალნენ. ერთი წუთით დემონსტრაცია შედგა. და იმ ხალხს გააცნეს ბახველი გლეხობის მოწოდება.

მერე რაზმელები ნასაიარალისაკენ დაიძრნენ. ბახვის წყალო უკან მოიტოვეს. ნასაიარალის იღმართს შეუდგნენ. არყდა სროლა. არგმარე ცეცხლის ალში გაეხედა. ღაზარეყო თავისი რაზმებით მაღლა გორაკზე ვაჟარდა. წითელ-რაზმელები ნასაიარალის უღელტეხილიდან თავს დაესხნენ ღაზარეკოს ქარის სურებას.

უქუნი დაჰყარა, მაგრამ აქანებულები დაუ-  
მცდრად ისერიან, ბევრი დაბოცეს, ბევრი  
დაქრეს, ბევრმა თავს უშველა გაქცევით. გლე-  
ხები გვერდში უდგენ რაზმელებს, აწვდილ-  
ნენ ტყვია-წამალს და სურსათ-სანოვავს.

ოღია ბრძოლის შედეგში ტრიალებდა.  
მის წინ, ნასაკირალის ეწირო ზიდზე, მოკლუ-  
ლი კახეები ყრია.

— ამაწავებო, რაზმელებო! ლაზარენოს  
დასამარებლად ოზურგეთიდან კახეების ლაშ-  
ქარი წოდეს! — იყვირა ერთმა გლეხმა, რო-  
მელიც სირბილისაგან ძლივს იოქვამდა სულს.  
უცებ რაზმი ყალუხე შედგა. ვიწმამ მეთაუ-  
რის ხმა:

— აბა, ბიჭებო, გადაეცემათ ვა კახეებს!  
რაზმის ერთი ნაწილი კახეების შესახვედ-  
რად დაიძრა. სულ მალე ისინიც გამოჩნდნენ:  
გაიმართა ხელნართული ბრძოლა. კახეები  
ამოხოცეს, რაზმი ისევ ნასაკირალში დამრუნ-  
და. ორი დღე გაგრძელდა სისხლისღვრა.

ლაზარენოს დამარცხების შემდეგ, რაიონი-  
დან გენერალ-გუბერნატორი აღიხანოვ-ავარს-  
კის ოთხთავიანი ჯარი დაიძრა აქანებულთა  
წინააღმდეგ. ნატანები ვადაწვეს. მთელი საქა-  
რთველო დეზუე დადგა. ამ დამძულთ, შემაშ-  
ფოთებულ ამბების გამო ქართულ მოღვაწე-  
თა ერთი ჯგუფი, კავკასიის მეფის ნაცვლის მო-  
ადგილესთან, მღამასთან მივიდა და ქართუ-  
ლი ხალხის სახელით დამსჯელი ლაშქარი  
შეჩერება მოითხოვა. გლეხთა რევოლუციური  
მოძრაობის აღმავლობით შეშინებულმა ხელი-  
სუფლებამ ვადაწვიტა შვიდობიანი გზით—  
დამოკნობიანა გლეხები, ანტიმ მოამამაც  
ენობრივადერთი მოსაზრებით აღიხანოვ-  
ჯარის შეტერა დროებით შეაჩერა. აქანებუ-  
ლებთან მოლაპარაკება სცადა.

მთავარმართებელმა მალამამ კრიმ-გირეის მის-  
წერა: — გურიის აქანების ჩასაქრობად ჩემ  
მიერ ოზურგეთის მახრამი გაიგზავნა ჯარი გენერ-  
ალ აღიხანოვის მეთაურობით. აღიხანოვი რო-  
გორც აღნიშნულ მახრამში, ისე მის მეზობ-  
ლად მდებარე სოფლებში აღჭურვილია გენე-  
რალ-გუბერნატორის გამაჯორებული უფ-  
ლებებით. გენერალ აღიხანოვის რაზმი დაბა-  
ნაკებულთა სადგურ ნატანებში. სამხედრო ძა-  
ლებს ამოქმედების ასაშორებლად შე უმჯო-  
ბესად ვცანი ერთხელ კიდევ უცალო გურიის  
მოსახლეობის გონზე მოყვანა, ხელისუფლები-  
სადმი მისი დამორჩილება და შვიდობიანი  
გზით ნორმალურ მდგომარეობაში წიბო აყე-  
ნება. ამ მიზნის სისრულეში მოსყავნად, ავირ-  
ჩიე რა თქვენი აღმატებულება, როგორც ქე-  
მანურად მოაზროვნე და კაცობოყვარე, მას-  
თან, მახრამსა და მისი მოსახლეობის მყოფდენ  
აღამიანი, ვთხოვთ დაუყოვნებლივ ვაგმზავ-  
როთ ოზურგეთის ნახრამში, შემოიაროთ მახრა-  
ში შეშავალა 25 სოფლის საზოგადოება,  
განუმარტოთ მათი მოქმედების სრული უკანო-

ნობა და შედეგი, რაც მოყვება მათ მიერ კა-  
ნონისა და ხელისუფლებისადმი წინააღმდეგო-  
ბას... ეთილი ინებეთ. ვადასკეთ... მათ, რომ  
თქვენი მოგზაურობა შვიდობიანი გზით მოსა-  
ხლოების დარქმუნების უკანასკნელი ცდაა, და  
თუ ცდა უნაყოფო გამოდგა, მაშინ მოსახლეობა  
დამორჩილებულ იქნება ნატანებში მდგარი ჯა-  
რის საშუალებით, რა მსხვერპლიც არ ენდა  
იყოს ამისათვის საჭირო“.

კრიმ-გირეიმ გურიკში თორმეტი საზოგა-  
დოება შემოიარა. თავისი თვალთ ნაბა აქა-  
ნებულ გლეხების ბრისხანე სახეები.

— დაწყნარდით, მთავრობა თქვენთანაა, ყვე-  
ლა თქვენი კანონიერი და სამართლიანი მოთ-  
ხოვნილება დაუყოვნებლივ იქნება დაწყობილ-  
ლებული, მხოლოდ დამწვიდლით და იარაღ-  
დაყარეთ! — მიწართა მათ კრიმ-გირეიმ.

— რა? იარაღი დაყარეთ და ჩაგზარდეთ?  
ვის ატყუებთ თქვენ?

— არა, არ გატყუებთ, მთავრობა თქვენთა-  
ნაა.

— თუ ჩვენთანაა მოგვაშორეთ ეს სისხლის  
მსმელი ქალაქები!

ეს შეხლა-შემოხლა შეიძლება შეტაკებით  
დამთავრებულყო, მაგრამ კრიმ-გირეიმ ვადა-  
მოიხება თუ არა მოთქენ, გაჩუმდნენ.

ტრიალზე ერთი მაღალი ტანის, განიერ-  
ნახებიანი ვაყაყა ავიდა, ჯერ აღუღებულ  
ხალხს ვახედა და მერე კრიმ-გირეისკენ მიმ-  
რუნდა:

— ჩვენ კარგად ვიცით, უფროსო, ჩვენი  
მოთხოვნილებები და სურვილების დაქაოფო-  
ლება აჩუბებულ წესწიობილებს დამოკნის  
წინააღმდეგ. დაბ, ვიცი ეს და ამნაირი გამარჯვე-  
ბის იმედოც მაქვს არ იფიქროთ გვეშინოდეს,  
არა! ჩვენს გულში შიში არ არის. მერე რა-  
ტომ? იმიტომ, რომ ჩვენი სურვილები და მო-  
თხოვნილება სამართლიანია, იმიტომ რომ ცამ-  
დის მართალი ვართ. ჩვენი კანონიერი მო-  
თხოვნილება უნდა დაწყობილდეს! არ და-  
წყაოფილდება? მაშინ ჩვენ ვიცით, როგორ  
მოვიქცეთ!

— დაბ, ჩვენ ვიცით, მთავრობა, ჩვენი —  
კრებამ ერთხელ დაუდისტურა სოფელ ნანე-  
იშვილისეულის წარმომადგენლებს. მოთმინება-  
დაყარულმა კრიმ-გირეიმ ხალხს მიმართა:

— მამ, რას მოითხოვთ?

გლეხებს ფარცხმელი ლევან მეგრელიშვილი  
გაოფო. მასთან ოღია მივარდა, რაღაც ხელ-  
ში შეაჭრა და იქვე მიმალა. ლევანი კი  
კრიმ-გირეის წინ წელში გაიშარა, ტრობუნაზე  
ავიდა, ხალხს ვახედა, მერე კრიმ-გირეის ჩვიდ-  
მეტმუხლიანი პეტრეცა წარედგინა, სადაც ნათ-  
ლად და მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული ის  
მოთხოვნილება, რაზედაც სოფლის წარმომადგენ-  
ლებმა ილაპარაკეს.

— ჩვენ მოვიტხოვთ ამ წინადადების შეს-  
რულებას, — დამძინა ლევან ნეგრელიშვი-

ლმა, — ჩვენ მოვიტხოვთ, მთავრობამ ალიხანო-  
ვები თუადან მოგვეშოროს, ჩვენი ვაჭაყე-  
ბი არავის უნახავს მტრის წინაშე მუხლზე და-  
ჩოქილნი, არც ახლა მოვებრით უნდა, თავისუ-  
ფლებისათვის უკანასკნელი სისხლის წვეთამ-  
დის ვიბრძოლებით! — დამითურა ლეიანმა.

კრიმ-გირჩი სასტიკად განაჩხდა:

— თქვენ თავი დანებეთ ამგვარ ბეტიციებს,  
ილაბარაეთ წესიერად, მოინანიეთ დანაშაული  
და ჩვენ ყოველმხრივ დაგვენებადებით, ხომ  
იცით, მე ჩამოვედი იმისათვის, რომ მშვიდო-  
ბიანად მოვილაპარაკოთ, თქვენ კი როგორ  
იქცევით? დანაშაულის მოინანიებას მაგვირად,  
იბუქრებით?!

— რაო? დანაშაული მოინანიეთო? რა დანა-  
შაული გვაქვს ჩვენ? ისე დანაშაულე კი ვართ,  
ამდენს რომ ვითვინთ!

— მამ, იერიშზე გადმოდიხართ, არა? —  
თქვა კრიმ-გირჩი, — მე მშვიდობიანი შოლა-  
პარაქებისათვის ჩამოვედი და თქვენ შეტყეაზე  
გადმოდიხართ გინევენებთ, როგორ უნდა შე-  
ტყეა! — და ვიჭრა გაბრძნებული ჩამოვიდა  
ტრიბუნიდან.

• • •

მალე მთელს გურიაში დიდი უბედურება  
დატრიალდა. რვა მარტს კრიმ-გირჩი უკან გა-  
იწვეს. ამ მარტს ალიხანოვ-ავარსკის ათათა-  
სიანი არმია შემოესია გურიას, ალიხანოვს გე-  
ნერალ ტოლმანოვისა და კრილოვის ნაწილები  
მოყვა. აყანყებული გურია ცეცხლში გაახ-  
ვის.

იმ დღეს ოლაი ბახვი გამოინდა პროკლა-  
მაციებით, მაგრამ, როგორც კი დინახა ცეცხლ-  
წყობილი სოფელი, მაშინვე უკან გაბრუნ-  
და და გოფივით გაეარდა ერკეთში.

— მამა, დედა, სიდა ხართ? გამოდით გარეთ!  
ბახვი იწვიის!

ალიხანოვის არმია შემოგვესია, გენერალ  
კრილოვს ნავომრისათვის ცეცხლი წაუკადებია!

— ნავომრისათვის? — ამის თქმაც კი ვერ  
მოასწრეს, რომ მთელი ერკეთის მოსახლეობა  
ქუჩაში გამოეფინა.

— ხალხონ, ძიმიოსა და აცანას შესევია ის  
სისხლის მსმელი კრილოვი, ალიხანოვის დამ-  
ქაში!

— ოზურგეთი იწვიის, ხალხნო, ოზურგეთი,  
კუჭკულო! — აქლომინებული შემოვარდა  
ხალხში ვანო კალანდაძე.

საიდან არ მოზობოდნენ, საიდან არ მოჭონ-  
დათ შემადარწუნებელი ამბები.

— დევაზე იწვიის!

— ქვემო აკეთი იწვიის!

— ნატანები იწვიის!

ვიღაც გლეხი გავიყვებულვით მოვარდა.

— ხალხნო, კრილოვი ჩოხატაურისაკენ დაი-  
რაო!

მალე კრილოვს დიდძალი საჩუქრებით გა-  
ჩრები შეახვედრეს.

გენერალმა

— დიდო ბატონო, თქვენს აღმჯებულებაზე,  
გვედრებით და ვთხოვთ, ინებეთ რაც გუ-  
ნავთ, ოღონდ ნუ გადასწევთ ჩოხატაურს,  
გვისხენით ამ უბედურებისაკენ!

— გურულენი სინდობი არა ხართ, მაგრამ  
მოვიფიქრებთ, ახლა წადით!

— გვედრებით, თქვენი აღმჯებულებაზე! —  
და ვაჭრებმა დაიჩოქეს მის წინაშე. ვაჭრებს  
რატომღაც ეგონათ, კრილოვმა ისმინა მათი  
ვედრება, მაგრამ მამინ მთვლენს თავიანთ  
შეცდომას, როდესაც ღამის ორ საათზე, ჩოხა-  
ტაურში ცეცხლით და შახვილით შემოიჭრნენ,  
როცა იქ ფეხის შედგმისთანავე საწინელი ამ-  
ბები დატრიალდა: დაარბიეს და დააქციეს  
სოფლები, დაანგრეს და ააოხრეს ყველაფერი.  
დაიწყო დაპატიმრებები.

• • •

ალიხანოვი მძვინვარებს. გურია იწვიის, პრო-  
ლეტარიატი ფეხზე დგას. გურიის ამბებმა საზ-  
ღვარგარეთ მყოფ ემიგრანტებთან მიადწია.

ყენევაში ღუნანი გაფაციკებით აღევენება  
თელაურის გურიის ამბებს, აღელვებული წა-  
რდა: აუფასის მოსახლეობის უმარტოების  
რევოლუციური განწყობილება როგორც ქა-  
ლაქებში, ისე სოფლებში უკვე მივიდა თვითმ-  
პყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო-სახა-  
ლზო აჯანყებამდე, რომ უფრომპყრობელებრი  
მოთვრობა უკვე აგზავნის ქაჩებს და არტილე-  
რიას გურიაში, აზღავენს რა აყანყების ყველა  
მნიშვნელოვანი კერის უაღრესად ულმობელ  
განადგურებას.

გურიას მთელი რუსეთის პროლეტარიატი  
უჭირდა მხარს, პირველ რიგში, საქართველოს  
ყველა კლასზე.

ლონდონში, პარტიის მესამე ყრილობაზე,  
გურია ყველასათვის ახლობელი გახდა, მისმა  
ბედმა ყველა დელეგატი ააღლუა.

• • •

ალიხანოვს აფორაქებული, აოხრებული და  
ნახებრად გადამწვარი ოჯახები ერთად შეუყ-  
რია. კახავეთის შემორტყეული ავარსკისი ნერ-  
ველად დგას მათს წინ. ბრახმოარეული თე-  
ლებით დაწყურებს აჯანყებულ გურულებს. შე-  
რე შეინძრა და მრისხანე გამომეტყველებას  
მრისხანე კიბხეები მიავოლა...

— თქვენი სული ჩვენს ხელშია. სოქვათ  
ყველაფერი, სოქვათ, ვინ აგამხედრათ მოთვრო-  
ბის წინააღმდეგ!

— არ ვიცით! — გაისმა და ალიხანოვს სი-  
ძულილით შეხედეს. არცერთი არ იძერის აღ-  
გილიდან.

— არ იტყვიო?

— არ ვიცით! — ასეც გაისმა გუგუნი. ამ



დროს ხალხს ერთი ახალგაზრდა გამოეყო და ალიხანოვისკენ გადადგა ნაბიჯი. უკვლამ მის მამყრო გაეკვირვებულნი თვალნი. ნუთუ გელა-  
ლატობს? ნუთუ გამიცივია?

ამოუბრუნდა ხალხი. ალიხანოვს კი იმედი მიეცა, ნამდვილად დაევიწყებოდა გერულებიო. ახალგაზრდა ტრიბუნის მიუახლოვდა ჯა ხალხს მიმართა:

— ხალხო, რას გაჩემებულხართ, ან რას იძახით, არ ვიცითო? არ იცით, ვინ მიგვიძღვე-  
და წინ? არ იცით, იარაღი რამ გვაქვს? რისი გეშინიათ? — ახლა ალიხანოვს მიუბრუნდა

— დიახ, ხელმძღვანელები გვყავს, უთაონი როდი ვართ, იარაღიც გვაქვს, უიარაღონი როდი ვართ, უკვლად ვართ, მაგრამ თქვენ რა გინდათ? გინდათ ფეხებში გავგეოთ? გინდათ დავიძახოთ, გაუმარჯოს ნიკოლოზსო? ეს გინდათ, არა? ძალიან კარგი. იცოდეთ, რომ თქვენ ვერასოდეს ვერ დაგვიმარჩილებთ, ვერასოდეს ვერ დაგვიმარჩილებთ, თქვენ ჩვენი სისხლის მსმელები ხართ, ხომ გადაგვიწყობთ, ხომ აგვიხარებთ, ხომ დაგვიხარებთ ამხანაგები, მაგრამ ჩვენ არასოდეს არ მოვიხარებთ თქვენს წინაშე! — ახალგაზრდა ხალხისკენ შემობრუნდა. ალიხანოვი გამტყარებელი უყურებს. თუ პირველად სახეზე დიმილი ვიდაცვროდა, ახლა სისხლი ჩადგომოდა თვალებში და ლამობდა ხელი ჩაეღვლო და ახალგაზრდა ძირს ჩამოეგდო, რომ მან ისევ ვინაგრძო:

— ხალხო, რას უძღვით, ვეკუთხოთ ამ სისხლის მსმელებს, ჩვენებურად, გერულად! ხალხ-  
ნო, ძირს შედექი ძირს მთავრობა!

ახალგაზრდა ძირს ჩამოვიდა. კაზაკები ამო-  
ძრავდნენ, მაგრამ უმაღლეს ვალსლტათ ხელი-  
დან შეიქმნა სროლა, შეტაცება. ხალხი ტყი-  
სკენ გაიხილა. გაიხილა ხმები:

— ნეტავ, ვინ იყო ის ბიჭი? ვინ იყო ის დალოცვილი? — მაგრამ არაფერი იცოდა სინამდვილე: თვი გადაცემული და შენიღბული იყო, თუნცა ერთმა კი დაიძახა:

— დავითო, ბიჭებო დავითო, ასყანელი შევა-  
რდნამე!



იმ დამეს ოქაბში არავის ძილი არ წაქაირე-  
ბია თვალზე. დილით ოლიას აცნობეს, სოფელ-  
ში დიდი მიტინგი გაიმართებაო. მალე იქ გაი-  
ნდა. მიტინგი დემონსტრაციით დაიწყო. ვაჟა-  
ოცარი ის იყო, რომ ალიხანოვი კაზაკებთან  
გურიას იყლებდა, ამათ კი ასეთ დროს მიტინ-  
გი დაენიშნათ.

მიტინგზე, ყოველი მეზობე კაცის უკან  
შეიარაღებული რაზმელი იდგა, ცეცხლოვანი  
სიტყვები გაისმოდა. გულიდან ამოქონდათ არა  
ოხერა და ვარჯი, არა დამარცხების განცდა,  
არამედ გამარჯვების რწმენა. მიუღოდნელად  
ტრიბუნასთან გოგონა გამოჩნდა.

— ოლია, ჩვენი ოლია!  
— ვაგოდო?  
— როგორ, შენ პირველად ჩემს ტყვე-  
ნახე თუ? მაგ დრომით მიუძღვის! სახლს და  
სულ ტრიბუნაზე გამოდის!  
ამგვარმა ჩურჩულმა ნიადაგი გადართა  
მიტინგის წინაშე იდგა შორის, ოლია წელში  
გასწორდა და დაიწყო:

შენი კირიმი, ხანჯალო,  
რეინო ხეარასნისაო,  
შენ, ერთადერთო იმედო  
მტრისაგან გამოხსნასაო!  
მომოციქულე მტრის გულთან,  
მიუძღვენ ჩემი სალამი  
ის ვითომც საწერელია,  
ჩაერევე, როგორც კალამი!

თითქოს ვინმეს საგანგებოდ დაეხარებოდა,  
კაზაკები და ბოქაული გამოჩნდნენ, ხალხში  
ჩოქოლი ატყდა. ზოგმა გაქცევა დაძირა,  
მეგრამ ოლია ძირს არ ჩამოდიოდა, კაზაკები  
და ბოქაული უკვე ვარს შემოგურტყნენ, ოლი-  
ამ ხელები მათკენ გაიშვირა და მთელი ხმით  
შესძახა:

ძირს მთავრობავ უყუღმართო!  
ველარ ვიტანთ გასაჭირსო,  
ყოველმხრივ ვაიძახიან:  
„ძირს მთავრობავ! აჲ კი ძირსო“

თქვა ეს, ერთხელ კიდევ გახედა კაზაკებს  
და ტრიბუნადან ჩამოვიდა.  
კაზაკები თოფის კონდახებით დაერივნენ  
გულეებს. ატყდა ცემა-ტყება. მარჯოსამ ხელი  
ჩაავლო ოლიამ, და იმ დამეს მთელი ოქაბი  
ტყეში გაიხიზნა. ტყეს შეაფარა თავი მთელ-  
მა სოფელმა.

ამოძრავდნენ ჩამოშვები. ისევ იმართებოდა  
არაფეგარული კრიბები. ოლია ისევ აერცე-  
ლებდა პაროლამაციებს, ბრძოლებს. ტყეში  
გახიზნულებს გადაცემდა ხოლმე კომიტეტრიდან  
მიღებულ მითითებებს, აერთიანებდა პარტიის  
დაქსაქსულ წევრებს. ეზნადებოდა მომავალი  
საბრძოლო დაეღებების შესრულებისათვის.



რეგულაცია დამარცხდა. რეაქცია მიჭინ-  
ვარებს. მეფის მთავრობა შერს იძიებს რევო-  
ლუციონერებზე. აქა-იქ უიმედობამ და დაცე-  
მულობამ იჩინა თავი. ზოგი აფანეებაში მოწა-  
წილეობას ნაწილს, სასოფარკვეთილებას შეუ-  
პყრო; ზოგი კი ისევ ბრძოლისკენ მოუხიზნა  
მუშებსა და გლეხებს; ზოგიც „ოვადებს“  
ინანიებს; ზოგი საყარობილის ცაე საყარში  
გამომწვევებულთა გამოხსნას ცდილობს. დამ-  
წუხრებულია რუსეთი, დამწუხრებულია საქა-  
რთველო, მისი მოწინავე კუთხე გურია. დამ-

წუხრებულა, მკარამ ინელს არ კარგავს, გამარჯვებისათვის ძალღონეს იკრებს.

მომავალი ბრძოლასაგან მიუწევს გული ყველას. აქეთკენ მიუწევთ გული წასაყარალის აწანყების მუხლმკარა ეაყაყებს. აი, ზოგიერთებს კიდევაც მოუყრიათ თავი ერკეთში, ეანო კალანდაის სახლში. ვანო თბილისში უნდა ვაქცეულყო, მკარამ ცოტახანს კიდევ დარჩა, რადგან საჭიროდ მიიჩნია ხალხის გამხრევა, ამ რწმენის შთაგონება, რომ მომავალი რევოლუციის ეეუთენის.

ერთ საღამოს ვანომ კვლავ გააცნო მეზობლებს ის შეთქმება, რომელმაც ლენინმა მისცა დეკემბრის აჯანყების დამარცხებით შექმნილ ვითარებას.

დეკემბრის აჯანყების დროიდან — წერდა ლენინი, — რუსეთში თითქმის არსად არ შეწყვეტილა სახსენით სამხედრო მოქმედება, რაც აუცილებელია, რაც ახლა გამოხატება რევოლუციური ხალხის მხრივ მტერზე კალაქული პარტიზანული თავდასხმებით... ასეთი პარტიზანული მოქმედება, რაც აუცილებელია ორი სოჭინადადღევე შეიარაღებული ძალის არსებობასა და დროებით გამარჯვებული სამხედრო რეგრესიის თავაშუვებლობის დროს, ამავე დროს იწვევს მტრის დეზორგანიზაციას და აშალებს მომავალ, აშკარა და მსოსობივ შეიარაღებულ მოქმედებას.

— გესმით, ბიკეზო, საით უმიზნებს ლენინი? ნერე, მერე?

— ამგვარი გამოსვლები აუცილებელია აგრეთვე ჩვენი მებრძოლი რაზმების საბრძოლო აღზრდისა და სამხედრო სწავლებისათვის, რაზმებისა, რომელნიც დეკემბრის აჯანყების დროს მრავალ ადგილას პრაქტიკულად მოუშაბდელნი აღმოჩნდნენ მათთვის ახალი საქმისათვის...

— მერე, ამისათვის რა უნდა ქნას პარტიამ?

— პარტიამ ახლანდელ პერიოდში პრინციპულად დასაშვებად და მიზანშეწონილად უნდა აღიაროს იმ რაზმების პარტიზანული საბრძოლო გამოვლენები, რომლებიც შედიან მასში ამ მას ემბროშიან..."

— მორჩა და ვთავიდა. ყველაფერი ნათელია: გურია ისე ფეხზე უნდა დადგეს პარტიზანული ბრძოლისათვის.



ამ ხანებში ქუთაისის საგუბერნიო ციხეში უამრავი პოლიტიკური პატიმარი იყო გამოშვადებული. ზოგს შორეულ ციხეებში სამუდამო კატარადა მოელოდა, ზოგს სახარობელაზე აყვანა და ზოგს დახვერტა. რადაც არ უნდა დაჯდომილათ, ციხიდან გვირახბა უნდა გამოეყვანათ და მისი საშუალებებით პატიმარები გამოეცქირათ. ამ საქმეში ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი იყო ვანო კალანდაძე. ერთ დღეს მან ძილიან გაახარა გულდაწყვეტილი მშობლები, მო-

ულოდნელად ჩამოვიდა. ერთი ყვირა შინ იყურებადი აფიქრებდა და აწეალებდა. უკვე წასვლის დროს რომ დადგა, თავის ფეხს მიწაზე დაეხრეა — ოლია, ჩემთან ერთად უნდა წაიქცეოდეს ქუთაისში!

— რატომ მაინცდამაინც ქუთაისში?

— ვანომ ოლიას საიდუმლო გაუმხილა.

— საგუბერნიო ციხიდან პოლიტიკური პატიმრები უნდა გავაქციოთ, ახლა მერე არაფერი მეთხოვ, დანარჩენს იქ გეტყვი.

ოლიამაც არ ჩაიკობა. გადაწყვიტა, წაყოლოდა.

ციხიდან რევოლუციონერმა კოტე ცინცაძემ, როდესაც ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან ეტაპით ციხეებში უნდა წაეყვანათ, წინაღობით თავის ამხანაგებს დაეით სულაშვილს, თომა ჩუბინიძეს, ისმაილ კუშბურაძეს და სხვებს შეუყარა თავი და უთხრა:

— გადასახლებიდან მალე გამოვიქცევი, ჩამოვალ ქუთაისში და ყველას გამოგვიყვანთ ამ კოჩხებითდან!

მხარბევიან, ცისფერთვალა, ქერამიან კოტეს საკანთან გაყვანისას თომა მიიძახა:

— ბარონე, ვანო, ბაკუა, შარო, ილიკო...

კოტე მიხვდა, რისთვის ჩამოუთვალეს ეს სახელები.

ქართულ ენაზე გამოქვეყნებული წერილები მ. გორკის შესახებ, იმით არიან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ ისინი ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის ახალ ეტაპს გამოხატავენ და თითქმის სრულიად თავისუფალნი არიან ნაროდნიკული ლიტერატურული კრიტიკის შეცდომებისა და ცდუნებებისაგან. ქართული სალიტერატურო კრიტიკის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, ისევე როგორც ამ კრიტიკის პოზიცია საერთოდ, განსაზღვრავს საკითხებისადმი მარქსისტულ მიდგომაზე მეტყველებს და, ამდენად, ეს წერილები მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთ პირველ ნიმუშებად ვმეგობრებოდან.\*

ასეთია, კერძოდ, შ. ჩიტაძისა და ივ. გომართლის წერილები მაქსიმ გორკის შემოქმედების შესახებ, რომელთაც უფრო ვრცლად შევეხებით.

პირველი ქართველი კრიტიკოსი, რომელმაც მიხნად მ. გორკის შემოქმედების ანალიზი დაიხატა და მამინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალს, მაქსიმ პეშკოვს, მთელი რიგი საინტერესო წერი-

ლებისა უძღვნა — ივანე გომართელი იყო.

ივანე გომართელი ფრედერუხე ტული ფიგურაა ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიაში. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე იგი ერთ-ერთ ყველაზე უფრო თვალსაჩინო მოღვაწედ გვევლინება ქართული ლიტერატურის-მცოდნეობის სარბიელზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის დამლევისა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისის ქართული კრიტიკული რეალიზმის საკითხების მოწინავე, პროგრესულ-დემოკრატიულ კუთხით დამუშავებაში ივ. გომართელს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკუთვნის.

ივ. გომართელი, ა. წულუკიძისა და რამდენიმე ქართველ კრიტიკოსთან ერთად, ქართულ მარქსისტულ კრიტიკის<sup>1</sup> ერთ-ერთი წინამორბედაა. თვით ივ. გომართელი თავის მოგონებაში<sup>2</sup> აღიარებს, რომ მისი პირველი კრიტიკული წერილი საშა წულუკიძის გავლენით იყო დაწერილი (მამია გურიელზე) და აღნიშნავს როგორც დამახასიათებელ მხარეს, მარქსისტული მსოფლმხედველობის მომარჯვებას თავის კრიტიკულ საქმიანობაში.

არც ისაა შემთხვევითი, რომ ივ. გომართელის ერთ-ერთი პირველი და ამასთან ერთი ყველაზე უფრო საყურადღებო კრიტიკული წერილი მიეძღვნა ეგნინოშვილს, ვისი შემოქმედებაც კლასობრივი ანტაგონიზმის ჩვენებას, ხალხის გარეგონლუციონერებას ემსახურებოდა, ზალხის ძალა და გამარჯვებაში რწმენას ნერგავდა. ნინოშვილი არა

<sup>1</sup> ამ ტერმინს მ. გორკისთან მეტი შეპირისპირებისათვის ვხმარობთ, თორემ „პროლეტარული კრიტიკა“, როგორც ასეთი, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გამოყოფილ მიმდინარეობად არ არსებობდა. უფრო სწორია და მიზანშეწინილი ხმარება გამოთქმისა „მარქსისტული სალიტერატურო კრიტიკა“.

<sup>2</sup> იხ. ივ. გომართელის მოგონება ალ. წულუკიძეზე, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ფონდებში ფ. № 12798.

მართლ „მესამე დასის“ ერთ-ერთი დამაარსებელი, არამედ „მესამედასელთა“ სულიერი მოძღვარიც იყო.

არ ვასულა ორი წელიც ეგ. ნინოშვილზე წერილის გამოქვეყნებიდან (1899 წ.) რომ ივ. გომართელი, მ. გორკის ნაწარმოებების გულდასმით შესწავლასა და მათი ღრმა ანალიზის საფუძველზე, აქვეყნებს რამდენიმე წერილს მ. გორკის შესახებ.

პირველი წერილი რომლითაც ივ. გომართელი გორკის შემოქმედებას გამოეხმაურა, იყო 1900-1901 წლებში დაწერილი ვრცელი კრიტიკული წერილი „რუსული პოეზიის უმთავრესი მომენტები XIX საუკუნეში“<sup>1</sup>, რომელიც რამდენიმე ფელეტონის სახით გამოქვეყნდა<sup>2</sup>.

რამდენადაც ეს კრიტიკული ნაშრომი ფრიად საყურადღებოა ივ. გომართელის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებათა გასარკვევად. ამასთან პირველი წერილია, სადაც ავტორი მ. გორკის შემოქმედებას იხილავს (მთელი რუსული ლიტერატურის განვითარების ფონზე) და რუსული ლიტერატურის საერთო განვითარებისავე თვალსაზრისით აფასებს, ჩვენ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით მასზე.

ივ. გომართელი აღნიშნავს XIX საუკუნის მოწინავე რუსული ლიტერატურის ერთგულებას რეალიზმისადმი, მის მაღალ ჰუმანიზმს, პატრიოტულ ხასიათს და უარყოფითი მხილების იმ პათოსს, რომელმაც ესოდენ გაზარდა მსოფლიოში ამ ყველაზე უფრო მოწინავე მწერლობის (იგულისხმება XIX ს. რუსული ლიტერატურა) საზოგადოებრივი მნიშვნელობა და იდეურ-მეორეაზიზებული როლი ხალხის აღზრდისა და დარაზმების საქმეში.

ქართულ კრიტიკოსს ჩინებულად ესმის, რომ რუსული ლიტერატურის წინამატებები XIX საუკუნეში უწყვეტად არიან დაკავშირებული რუსი ხალხის სახალხო-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომლის შთამავგონებელი ძალა კვებავდა ყველა გამოჩენილი რუსი მწერლის შემოქმედებას.

ივ. გომართელი საქმის ცოდნით აბსოლუტურად ა. პუშკინის, ა. გრიბოედოვის, მ. ლერმონტოვის, ნ. გოგოლის, ნ. ნეკრასოვის, ი. გონჩაროვის, მ. სალტიკოვ-შჩედრინის, ფ. დოსტოევსკის, ლ. ტოლსტოის შემოქმედებას და საგანგებოდ ჩერდება რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების როლსა და მნიშვნელობაზე რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიისათვის.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა ამ ვრცელი კრიტიკული ნარკვევის მეხუთე წერილი (ფელეტონი)<sup>1</sup>, რომელიც მთლიანად მიემდგნა ჩეხოვისა და მ. გორკის შემოქმედების განხილვა-შეფასებას.

ავტორი წერილს იწყებს დებულებით, რომელიც ექვს ფელეტონად დაბეჭდილი მისი მთლიანი ნარკვევის წინა ფელეტონებსაც გასდევს გამჭოლ ხაზად — ესაა მტკიცება იმისა, რომ „რეალიზმი, ცხოვრებით უკმაყოფილება და ამ უკმაყოფილებაზე აგებული ღრმა სევდა რუსეთის სიტყვაკაზმული მწერლობის ძირითად თვისებას შეადგენს მთელი XIX საუკუნის განმავლობაში“.

თუ ივ. გომართლის ეს დებულება მართებულია რეალისტური ამსახველობისა და ცხოვრებით უკმაყოფილების მიმართ, ამას ვერ ვიტყვით „ღრმა სევდაზე“, თუმცაღა გარკვეული პერიოდებისათვის იგი, მართლაც, ფრიად ნიშნული იყო.

კრიტიკოსის შეხედულებათა თავისე-

<sup>1</sup> „კვალ“ 1901 წ. № 35.

<sup>2</sup> აქ და ქვევით ციტირების დროს მხედველობაში გვექნება ავტორის ბოლო (მეექვსე) ფელეტონი: იხ. „კვალ“ 1901 წ. № 35.

<sup>1</sup> წერილი გამოქვეყნდა 1901 წელს „კვალის“ 30, 31, 32, 33, 34, 36 ნომრებში.

<sup>2</sup> საწყებაოდ ეს საგულისხმო წერილი არ არის შეტანილი ივ. გომართლის თხზულებათა „რჩეულის“ ორტომეულში, რომელიც „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1966 წელს გამოსცა (შემდგენელი ე. წიფელია).

ბურება ისაა, რომ იგი მეტად მოხერხებულად (მაგრამ ხშირად ძალზე სუბიექტურად) ახარისხებს რუსული ლიტერატურის განვითარების მთლიან პროცესს ცალკეულ პერიოდებად „სევდის ნიშნის“ მიხედვით<sup>1</sup>. მართალია, სევდა ვერ გამოდგება ვერც პერიოდიზაციის საფუძვლად და ვერც კლასიფიკაციის იმ ნიშნად, რომელსაც ავტორი ასე თანამიმდევრულად და ჭიუტად იყენებს, მაგრამ ივ. გომართლისეული პერიოდიზაცია ძირითადად მაინც მიჰყვება საყოველთაოდ გაზიარებულ სქემას.

ივ. გომართელი XIX საუკუნის რუსულ ლიტერატურის ისტორიას ათწლებლად ყოფს. საზოგადოებრივი სევდის პირველ გამოვლინებას კრიტიკოსი გასული საუკუნის 30-იან წლებში ხედავს. მომდევნო პერიოდში ბრძოლაში ბატონყმობასთან და „ბატონყმობის გადაყარდნის იმედით გამოწვეულმა უკეთესი მომავლის მოლოდინმა“, ივ. გომართლის აზრით, ცოტა ხნით მიავიწყებინა სევდა რუსეთის ბელეტრისტებსა და პოეტებს. „ბატონყმობის გადაყარდნის შემდეგ სევდა ისევ იზრდება და ძლიერდებაო“, რადგან ხალხი, ინტელიგენცია კვლავ იმედგაცრუებულობამ მოიცვა; „ბატონყმობის გაუქმების შედეგად ცხოვრების გაუმჯობესების იმედებს აღსრულება არ ეწერათო“.

ივ. გომართელი, ერთმანეთს ადარებს რა სხვადასხვა ეპოქების რუსული ლიტერატურისათვის ნიშნულ სევდას, აღნიშნავს: „...მეოცდაათე წლების სევდასა და მესამოცდაათე-მეთოთხმოცე წლების სევდას შორის, ერთის მხრივ და ღრუბანდელ სევდას შორის მეორე მხრივ (იგულისხმება XIX საუკუნის 90-იანი წლების დამლევისა და ცხრაასიანი წლების დასაწყისის კრიტიკული რეალიზმი-

სათვის ნიშნული ერთგვარი გულგატეხილობა, გ. ც.) დიდი განსხვავებაა პირველი იყო განსაკუთრებით ფილოსოფიური და სუბიექტური, მეორე კი საზოგადოებრივი და ობიექტურია“<sup>1</sup>.

დღეს ეს დებულება შეიძლება მკითხველს არაზუსტად და ფრიად საკმაოდ ეჩვენოს, მაგრამ ივ. გომართელის შემდგომი მსჯელობა ნათელსა ჰყოფს იმას, თუ რა სურდა კრიტიკოსს ეთქვა ასეთი განსხვავების აღნიშვნისას.

ივ. გომართელი ამტკიცებს რომ 30-იანი წლების რუსულ ლიტერატურაში უქმყოფილებასა და სევდას ვერ ექნებოდა იმდენი „კლასობრივი ხასიათი“ და „შეგნებული რევოლუციური ტენდენცია“ როგორც ეს ნიშნულია კაპიტალიზმის აღმავლობისა, განსაკუთრებით კი იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქისათვის.

მართალია, იგი ცდება, როცა არსებული სინამდვილით ლერმონტოვის უქმყოფილების მიზეზს მხოლოდ და მხოლოდ პოეტის „პირადულ-სუბიექტურ თავისებურებათა სფეროში“ ხედავს, და არა „ცხოვრებისა და პოეტის სოციალურ შეხედულებებში“, მაგრამ იგი პრინციპულად უთუოდ მართალია, როცა ოცდაათიანი წლების მწერლებსა და 90-იან წლების მოღვაწეთა შეპირისპირებისას ასეთი დასკვნა გამოჰყავს:

„სულ სხვაა სევდა ლევიტოვის, პომილოვსკის, სალტიკოვის, გარშინის და სხვების (განსხვავებით, მაგალითად, ლერმონტოვისაგან, გ. ც.). ამათ სიცოცხლე უყვართ, ბედნიერებისაკენ მთელი თავისი არსებით მიისწრაფიან, მაგრამ არ მოსწონთ თვით საზოგადოებრივი ცხოვრების პირობანი, რომელნიც უარყოფენ საზოგადო ბედნიერებას. ლტოლსტოის არსებაში კი სევდის ორივე დასაბამი: ფილოსოფიური და საზოგადოებრივი ერთად შეერთდა. მაგრამ ლტოლსტომ უარყო აქტიური ბრძოლა ცხოვრების სიმშინჯესთან და გლეხების ქობში ჰპოვა ცხოვრების იდეალი.“

<sup>1</sup> საზოგადოებრივი სევდის, ამატიისა და ინდიფერენტისმის ცნებებით უფრო აქტიურ ოპერირებასთან გვაქვს საქმე ივ. გომართლის შემდგომდროინდელ ნაშრომებში გორკიზე, მაგრამ ამაზე ჭეშმარიტად.

ეს გლეხი და მისი ცხოვრება რეშეტ-ნიკოვიდან მოკიდებული ჩეხოვამდე დაწერილებით დაახასიათეს რუსეთის ბელეტრისტიკებმა, არაფერი არ გამოტოვეს, მაგრამ სანუგეშო შიგ ვერა ნახეს რა და მემკვიდრეობით ნაანდერძევი სევდა სიტყვაკაშმულ მწერლობაში თანდათან ძლიერდება. ლიტერატურის ასეთი მიმართულების საუკეთესო წარმომადგენლები დღეს რუსეთში არიან ანტ. ჩეხოვი და მ. გორკი<sup>1</sup>».

თუ კრიტიკოსის მსჯელობა ანტ. ჩეხოვის შესახებ არ არის სიმართლეს მოკლებული, ამას ვერ ვიტყვით მ. გორკის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათა მიმართ. მართალია, კრიტიკული ნარკვევი დაწერილია 1900 წელს (გამოქვეყნდა 1901 წელს) და იმხანად მ. გორკის შემოქმედებაში ჯერ კიდევ გრძელდებოდა ე. წ. „რომანტიკული პერიოდი“, რომლისთვისაც ზოგიერთ შემთხვევაში არ იყო უცხო სევდისა და დაეკვების გრძნობაც, მაგრამ უკვე მაშინ მკაფიოდ ჩანდა მწერლის სიმბათია აქტიური, თამამი ბრძოლისადმი, კოლექტივიზმის იდეის ქადაგება, სიყვარული ხალხისადმი და ადამიანთათვის თავგანწირვის კეთილშობილური საქციელის ხოტბა.

ნშიორად ეს ყოველივე ფანტასტიურ-ზღაპრულ სამოსში იყო გახვეული, მაგრამ „სიმღერა შევარდენზე“ (1895), რომელიც რამდენჯერმე ითარგმნა ქართულად, ლეგენდა დანკოზე მოთხრობიდან „დედაბერი იზერგლი“ (1895 წ.) და „სიმღერა ქარიშხალზე“ (1901 წ.) ცხადყოფდნენ იმას, რომ მ. გორკის შემოქმედებაში მართლ სევდა არ იყო დასადგურებელი, რომ სევდა არ იყო ყველაზე მთავარი და განმსაზღვრელი.

მართალია, ივ. გომართელი ჯერ არ იცნობდა თბილისში დაწერილ მ. გორკის „ქალიშვილსა და სიკვდილს“ და შესაძლოა, წერილის შექმნის მომენტი-სათვის არც „სიმღერას ქარიშხალზე“, მაგრამ მის წერილში მაინც ადგილი

აქვს სევდის როლის გაზვიადებას მ. გორკის შემოქმედებისათვის, ეს იმ საერთო კონცეფციით უნდა გავსწავი, რაც წერილის იდეურ ხერხემლად გვევლინება — სევდის „მიგრაციის“ თეორიით, რუსული მწერლობისათვის.

ეს იმის შედეგია, რომ მან ერთგვარი „სევდის ჩარჩო“ შექმნა, გარკვეული სქემა შეიპოშა (სევდის მნიშვნელობის ცხადსაყოფად საერთოდ მთელი რუსული ლიტერატურისათვის) და შეიძლება უნებურად თავის მიერვე შექმნილი სქემის ტყვეობაში აღმოჩნდა. მართალია, ეს სქემა (სევდის საკვალი-ფიკაციო ნიშნად გამოყენება) არც XIX საუკუნის რუსი კრიტიკოსებისათვისაა უცხო და არც დასავლეთ ევროპული კრიტიკული აზრისათვის, მაგრამ ასეა თუ ისე, სევდის როლის ვადაჭარბებამ (რასაც გომართლის ზემოაღნიშნული წერილის შესავალიც მოწმობს) ლიტერატურული ცხოვრების სურათის ერთგვარი გამრუდება მოგვცა.

ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ივ. გომართელს ღრმად და კარგად სცოდნია რუსული ლიტერატურის ცალკეულ პერიოდთა ტიპოლოგიური, ზოგადი ნიშნებიც და ცალკეულ მწერალთა შემოქმედების თავისებურებანიც.

სრულიადაც არაა შემთხვევითი, რომ მ. გორკიზე მსჯელობისას იგი იშველიებს სალტიკოვ-შჩედრინის, გარშინის, პომიალოვსკის, ლევიტოვის, ტოლსტოისა და ჩეხოვის სახელებს.

მართლაც, მ. გორკის შემოქმედებამ გარკვეული გავლენა განიცადა ამ მოღვაწეთა მემკვიდრეობისა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში და ასპექტში მათი შემოქმედების განვითარებად მოგვევლინა. ასე მაგალითად, გორკიმ განაგრძო და განავითარა ლევ ტოლსტოის ტრადიცია პიროვნების შინაგანი სამყაროს მრავალფეროვნად და სრულად გახსნისა, ადამიანთა ცხოვრების ღრმად ჩვენების, და იმ წინააღმდეგობათა ნათელყოფისა, რომელიც ანტაგონისტურ საზოგადოებაში პიროვნებასა და ცხოვრების პირობებს შორის იქმნება.

<sup>1</sup> „კვლი“ 1901 წ. № 35.

მ. გორკიმ გამოიყენა და განავითარა გ. უსპენსკის და ნ. პომიალოვსკის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი მხარეებიც, კერძოდ, სახალხო მასების გაშლილი ჩვენება, დაბეჩავებულ ადამიანთა დასურათხატება, ერთი შეხედვით, პასიურ მასაში თანდათან მზარდი პროტესტის მომწიფება.

არც ისაა შემთხვევითი, რომ ივ. გომართელი მ. გორკის დახასიათებისათვის სალტიკოვ-შჩედრინის მაგალითსაც იშველიებს. სალტიკოვ-შჩედრინის ტენდენციები მტაცებელ-ბურჟუას ბინძურ სულში ჩახედვისა, რეაქციის პერიოდის დამახასიათებელი ანტისაზოგადოებრივი ტიპების ხატვისა — რენეგატების, ვულცოვი ლიბერალების და სხვათა დასურათებისა — მ. გორკიმ უფრო მეტ სიმაღლეზე აიყვანა.

კიდევ უფრო მეტი საერთო ჰქონდა მ. გორკის შემოქმედებას მისი უფროსი თანამედროვეების — ვ. გ. კოროლენკოსა და ა. პ. ჩეხოვის შემოქმედებასთან. ეს იყო ის ე. წ. „დემოკრატიული რეალიზმი“, რომელიც ადრეული პერიოდის გორკის ასე ძალუმაღ აკავშირებდა იმ ორი გამოჩენილი მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან. ამ ორმა დიდმა რუსმა ბელეტრისტმა საკმაოდ დიდი როლი ითამაშა გორკის როგორც მხატვრისა და მოაზროვნის სულიერ და შემოქმედებით ფორმირებაში.

ა. ჩეხოვისათვის დამახასიათებელი კრიტიკა მეშჩანობისა და ოზივაცელობისა, მხილება უსაქმო და უხერხემლო ბურჟუაზიული ინტელიგენციისა, კლასობრივი ჩაგვრის პირობებში პიროვნების ტრაგიზმისა, ისევე როგორც ვ. კოროლენკოსათვის დამახასიათებელი ტიპის მხატვრული ჩამოქმნა, ხალხის წილიდან გამოსული ადამიანის სახის შექმნა, რომელიც კეთილშობილური მიზნებით ისწრაფვის სახალხო თავისუფლებისა, სამართლიანობისა და ჰუმანურობისაკენ — შეიმჩნევა მ. გორკის მთელ შემოქმედებაშიც, მის რეალისტურ ნარკვევებსა და მოთხრობებშიც

და რომანტიკული ელფერით შეყვარდებულ, მაგრამ მეტად ცხუვრებისეულ და დროულ მხატვრულ ნაწარმოებებშიც.

ივ. გომართლის შეხედულებებს მ. გორკიზე დიდი ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს.

მ. გორკის დახასიათებისას ივ. გომართელი ხშირად ა. ჩეხოვის მიმართავს და მას, როგორც ფონს, ისე იყენებს. ივ. გომართელი მ. გორკის ა. ჩეხოვის უპირისპირებდა და ამ შედარების საფუძველზე ორივეს სპეციფიკურობას აღგვნდა.

„მ. გორკი კი სულ სხვაა — წერდა ჯერ კიდევ 1900-1901 წელს — ივ. გომართელი — მ. გორკი მარტო ძლიერი ნიქი კი არ არის, იგი ამავე დროს ძლიერი ბუნებაცაა“.

რას ვულისხმობდა ამ „ძლიერ ბუნებაში“ კრიტიკოსი? მას მხედველობაში ჰქონდა ის პოტენციური რევოლუციური ძალა, ის მტკიცე თანმიმდევრული პროტესტანტული სული, რომლის წყალობითაც მწერალი უკვე მაშინ, არა მარტო ამხილებდა ბოროტებას, არამედ თუმცა ჯერ კიდევ ბუნდოვნად და გაუბედავად, მაგრამ მაინც გარკვეულად ცდილობდა ეჩვენებინა ადამიანები, რომელთაც თუ პოზიტიური ამოცანების გადაწყვეტა არ შეეძლოთ, ყოველ შემთხვევაში შინაგანად მზად იყვნენ ასეთი მისია ეკისრათ.

ივ. გომართელმა მართებულად და ვულთმისნურად იგარძნო ეს გარემოება, რამდენადაც იმ პერიოდის გორკის შემოქმედებაში ასეთი ტენდენცია ჯერ კიდევ არ იყო მთლად ნათლად გამოკვეთილი. გორკის მსოფლმხედველობა, მისი იდეური მრწამსი და იდეალები ყალიბდებოდნენ პროლეტარიატის ბრძოლის, რევოლუციური პრაქტიკის, განმათავისუფლებელი მოძრაობის კვალდაკვალ, მასთან პარალელურად და მებრძოლ სოციალ-დემოკრატიასთან კავშირის განმტკიცებასთან ერთად.

ივ. გომართელი, მ. გორკის ბიოგრაფიის ძირითად ნაწებში გადმოცემის

შემდეგ, გადადის მისი შემოქმედების გარჩევა-შეფასებაზე. ავტორი არ ლატობს თავიდან აღებულ კურსს და ანალიზს ამჯერადაც იმავე სევდაზე მსჯელობით იწყებს. მაგრამ აქვე აღნიშნავს, რომ თუმცა სევდა მ. გორკის ყველა მოთხრობაში იგრძნობა... ეს სევდა არ არის არც ლერმონტოვის, არც შჩუდრინის, არც ვარშინის ან ჩეხოვისა. პირველთა სევდა რაღაც უიმედო, უმოძრაოა. გორკის სევდა კი ხანდახან თუ მშვიდი და წყნარია, ხანდახან **გაბრაზებულია, აღელვებული, ამხედრებული და საბრძოლველად გამზადებულია**<sup>1</sup> (ხაზი ჩემია, გ. ც.).

კრიტიკოსი მკვეთრად ანსხვავებს აღრეული პერიოდის რუსული ლიტერატურის წარმომადგენელთა შემოქმედებაში გამოვლინებულ სევდას გორკისეულ სევდასგან და აღნიშნავს, რომ პირველთა მიზეზი უძლურებაა, ხოლო გორკის სევდისა „ძაღლონის სიჭარბე“<sup>2</sup>.

გორკის „...მკაფიო იდეალი აქვს და ამ იდეალით აღჭურვილი იკვლევს თანამედროვე ცხოვრებას; რადგანაც ეს ცხოვრება მის იდეალს სრულებით არ შეეფერება, ამიტომ ერთსა და იმავე დროს, მისი მოთხრობები ცხოვრების მდიდარ პოეტურ სურათსაც წარმოადგენენ და შეუბრალებელ სატირასაც იმდენად შეუბრალებელს, რომ როდესაც დღევანდელი საშუალო ინტელიგენტი უკვირდება გორკის გამირებს და თავის სულიერ სიმდიდრეს მათსას ადარებს, შეუძლებელია თავის თავის არ შერცხვეს და თავი ძირს არ დახაროს ამ მაწანწალა ხალხის წინაშე“.

როგორც ვხედავთ, აქ უკვე იმპერატორულადაა აღნიშნული მ. გორკის „მკაფიო იდეალის“ არსებობა. წერილის ავტორის აზრით, სწორედ ეს „მკაფიო იდეალია“ მიზეზი იმისა, რომ მ. გორკის ნაწარმოებები „პოეტურ სურათსაც“ წარმოადგენენ (ივ. გომარტელი ამ გა-

მოთქმაში „რომანტიკულ სურათს“ ე. წ. მწერლის იდეალის შესაბამისად შექმნილ „მომავლის სურათს“ გულწაქეობს) და „შეუბრალებელ სატირასაც“. შეუბრალებელი სატირის მოცემა, ავტორის კონცეფციით, გორკიმ იმიტომ შესძლო, რომ არსებულ სინამდვილეს თავის „მკაფიო იდეალს“ უღარებდა და იმ იდეალის სიმაღლიდან უფრო ნათლად მოჩანდა თანამედროვეობის სიმაღაღლე.

ამრიგად, ივ. გომარტელი ერთ-ერთი პირველი უსვამს ხაზს იდეური მომენტის მნიშვნელობას მ. გორკის იმეამინდელ შემოქმედებაში და თუმცა მწერლის იდეურობა მაშინ ჯერ კიდევ არ ატარებდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროლეტარული იდეოლოგიის ნიშანთვისებებს, ქართველმა კრიტიკოსმა მაინც სწორად შეიგრძნო, რომ ეს „იდეური მომენტი“ თავისუფლებისათვის ბრძოლას უკავშირდება და მწერლის მხატვრულ თავისებურებათა საფუძვლად გვევლინება.

„გორკის მიზანია დღევანდელ ცხოვრების ნაკლულოვანებანი გადაუშალოს მკითხველს, ამ ცხოვრებას ძლიერი პროტესტი გამოუცხადოს და მიუთითოს მკითხველს, თუ სად არის ხსნა, რა არის საჭირო ცხოვრებისა და ადამიანის ახამაღლებლად. გორკის დიდი მნიშვნელობა და ორიგინალობა სწორედ ამაში მდგომარეობს — წერს ივ. გომარტელი. იგი არ კმაყოფილდება მარტო ცხოვრების გაიციხვით, როგორც შვრებოდნენ რუსეთის ყველა ბელეტრისტები და პოეტები, ის გვითითებს „წამალზედაც“<sup>1</sup> (ხაზი აქ და ყველგან ჩემია — გ. ც.).

კრიტიკოსის აღნიშნული აზრი განსაკუთრებულ ხაზგასმას მოითხოვს. ივ. გომარტელმა სწორად დინახა, რომ მ. გორკის შემოქმედების უკვე ის ნაწილი, რომელიც 1901 წლამდე გამოქვეყნდა, სხვა არაფერია თუ არა თამამი და მტკიცე პროტესტი უკუღმართი სოციალ-

<sup>1</sup> ის ზემოდ ციტირებული წერილი „კვადრანტი“.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>1</sup> ის ზემოდ ციტირებული წერილი „კვადრანტი“.

პოლიტიკური სისტემისადმი და ამავე დროს მითითება იმ გზისაკენ, რომელიც აუცილებელია „ცხოვრებისა და აღამიანის ასამაღლებლად“.

ივ. გომართლის მართებული აზრით, მ. გორკის მთელი „მნიშვნელობა და ორიგინალობა სწორედ ამაში მდგომარეობს. მართლაც იმ პერიოდის მ. გორკის ძირითადი თავისებურება ორიგინალურ თემაში („ბოსიაკების“ ჩვენებაში) კი არ მდგომარეობს, უაღრესად თავისებურ სტილსა და ძლიერ მხატვრობაში კი არ არის, არამედ სინამდვილისადმი დამოკიდებულებაში, „ძლიერ პროტესტში“ და იმ „გზის მითითებაში“, ხსნიან რომ მიემართებოდა.

დღეს, როცა მ. გორკის უკვდავი მემკვიდრეობის კვლევა ერთადერთ სწორ საფუძველზე, თანაც უფართოესი მასშტაბით მიმდინარეობს, კარგად ჩანს, რომ ამ 67 წლის წინ ივ. გომართლის მიერ გამოთქმული აზრი ერთადერთი შესაძლებელი შეფასებაა სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლისა. მართლაც, მ. გორკის როლი და მნიშვნელობა იმ გზის ჩვენება იყო, რომელიც ბრძოლაზე გადადიოდა და ჩაგრული მასების რევოლუციურ მოძრაობას უკავშირდებოდა.

ივ. გომართელი აქვე დასძენს, რომ თუმცა მ. გორკის მოთხოვნებს ერთგვარი ერთფეროვნების ელფერიც დაჰკარავს, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად, თორემ „მისი ყოველი ახალი მოთხოვნა ახალ-ახალ ფიჭვებს უღვიძებს მკითხველს, უხეივს თვალებს და ყოველთვის ახალ-აწლდ კითხვებზე უთითებს“.

კრიტიკოსის აზრით, მ. გორკიმ სრულიად ახალი და ორიგინალური თემა აიჩინა, — ესაა ბოსიაკთა, მაწანწალათა ჩვენება, მაგრამ კრიტიკოსი გარკვევით აღნიშნავს, რომ შწერლის ორიგინალურობა მისი შემოქმედების პრინციპული სიახლე და მნიშვნელობა სრულიადაც არ მდგომარეობს მარტო ამაში, თუმცადა გორკისთანა ძალით, ნიჭით, გამოშახველობით ეს თემა არავის დაუმუშავებია.

ივ. გომართელი აქ დიდ შორსმკვრეტელობას ამტკიცებს და ჩინებულად ხედავს მ. გორკის პერსონაჟების ძალას, მათ ნოვატორულ ხასიათს და პრობლემატურობას. კრიტიკოსი წერს: „მიუხედავად ამისა, გორკის ნიჭის მთავარი ღირსება სრულდებით არ მდგომარეობს ბოსიაკთა საუცხოვო დახატვაში, როგორც ეს ბევრს ჰგონია. გორკიმ ასეთი ხალხი განგებ, განზრახული მიზნით ამოიჩინა. დღევანდელი ცხოვრების დამახასიათებელ თვისებას ბურჟუაზიული კმაყოფილება შეადგენს და მარტო საკუთარი კულისათვის ზრუნვა. ასეთი ცხოვრების მთელი სიბეჭავისა და სისაძაგლის გადმოსაშლელ საუკეთესო მასალას წარმოადგენს მაწანწალა ხალხი, რომლის გულშიც გორკიმ ჩაგვახედა, რადგანაც დღევანდელი ცხოვრების შეუფერებლობას ისე არავინ ხედავს და არავინ გრძნობს, როგორც ეს ხალხი. ამ ცხოვრებას ისე აშკარად და ისე სასტიკად არავინ უცხადებს პროტესტს და არავინ უარყოფს სრულდებით, როგორც ბოსიაკები, სწორედ ამიტომ მიმართა მათ გორკიმ“<sup>1</sup>.

თუ რეაქციული კრიტიკა მ. გორკის „ბოსიაკების“ აპოლოგეტად, მის იდეოლოგიად სახავდა, თუ მას მ. გორკი თემატურ ნაჭუჭში ჩაქეტილ და „იდეალს მოკლებულ“ შწერლად მიიჩნდა, ივ. გომართელმა პირიქით, სწორედ ეს იდეალი მიიჩნა შწერლის ერთ ყველაზე უფრო საყურადღებო მონაპოვრად და შეეცადა ეჩვენებინა ბოსიაკებისადმი მ. გორკის ინტერესის კეშმარტი მიზეზები და მათი შემწეობით ცხადყოფილიდესი მნიშვნელობის იდეა: აღამიანთა სრული პანუსისმგებლობისა თავიანთი ცხოვრებისა და თავიანთი მომავლის წინაშე.

მაგრამ ივ. გომართელი თუმცადა ნათლად ხედავს მ. გორკის დიდ განსხვავებულობას მისი წინაპრებისაგან, სრულიადაც არ წყვეტს მას რუსული ლიტერატურის მაგისტრალური ხაზისაგან და

<sup>1</sup> იქვე.

აღნიშნავს, რომ მისი შემოქმედება წარმოადგენს მოწინავე რუსული მწერლობის საუკეთესო ტრადიციების განვითარებას ახალ ისტორიულ პირობებში.

კრიტიკოსი კვლავ უპირისპირებს მ. გორაკის გმირებს ჩეხოვისას და მთავარ განსხვავებას მათ შორის იმაში ხედავს, რომ მ. გორაკის გმირები — „ცხოვრების უვარგისობაში თვით ადამიანსაც ამტყუნებენ, მასაც ბრალსა სდებენ“. ივ. გომართელს მოჰყავს მ. გორაკის ერთ-ერთი ცნობილი პერსონაჟის სიტყვები: — „ვინ არის ჩვენს წინაშე დამნაშავე? — თვით ჩვენ ვართ დამნაშავე ჩვენი თავისა და ცხოვრების წინაშე“. კრიტიკოსი განსაკუთრებით ხაზს უსვამს მ. გორაკის იმ სიტყვებს, სადაც ადამიანთა ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგების, ძმური თანამშრომლობისა და მშრომელთა მეგობრული სოლიდარობის საჭიროებაა ხაზგასმული.

ახსიათებს რა გორაკისეულ გმირების სულიერ მისწრაფებებს, კრიტიკოსი დაასკვნის: — „აქედან ცხადია, თუ როგორი წყობილებსააქენ არის მათი სიმპატია. რა არის საჭირო მათი აზრით ასეთი წყობილების განსახორციელებლად? უპირველესად ადამიანმა ხელი უნდა აიღოს დღევანდელ ცხოვრებაზე და ეს მაწინააღმდეგარა ხალხი ასეც იქცევა: დღევანდელ ცხოვრებას ისინი სრულებით უარყოფენ და სხვა გზით ცხოვრობენ, მათი სიმშათია და სურვილები სრულებით სხვა არის, ვიდრე დღევანდელი ჩვეულებრივი ადამიანისა. რაღა უარყვეს დღევანდელი ცხოვრების პირობები, მათ თავის ბუნებაში ამოიშალეს ყოველისფერი, რაც კი ადამიანს ბურჟუაზიულმა პირობებმა შთაუწერა. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესი მათგანი დაბალი წრიდან არიან გამოსული, ისინი სრულებით განათვისუფლებული არიან მიწის მონობისაგან. აქროს სასახლეები რომ დაუდგათ და სრულს კმაყოფილებაში ამყოფოთ, მიწას ისინი მაინც აღარ დაუბრუნდებიან. მაგალითად, „ბალკა“-ში სერბთა იაკობზე ამბობს:

„სოფლის სუნი უდის და მე კი ეს სუნი მეგავრებაო“. კერძო საქუთრების უზომო სიყვარული და ფულსა გაღმერთება ჩვენის დროის ერთ ნიშნობლივ მოვლენას შეადგენს. გორაკის მაწინააღმდეგარა ხალხი კი ამ მოვლენის გარეშე დარჩენილი, არავითარი კერძო საქუთრება მას არ იზიდავს, ბურჟუაზიული კმაყოფილებსადმი მათ არავითარი მისწრაფება არა აქვთ.

უბნება რა მ. გორაკის გმირებს, ივ. გომართელი აღნიშნავს, რომ გორაკის მაწინააღმდეგარა ხალხი და ბოსიაკები, მიუხედავად მათი მატერიალური სიღუბნისა, ფრიად გულკეთილი და ამყი ხალხია. მაგრამ თუ მოთმინებიდან გამოიყვან, „საშინელი სიმხეცის ჩადენაც“ შეუძლიათ. ამასთან ერთად, წერს იგი, მათ ახსიათებს ურთიერთგამტანობა, გაჭირვების დროს ერთურთის დახმარების უნარი, შებრალება და სხვა კეთილშობილური ადამიანური თვისებები.

როდესაც გორაკის ტიპებს ეცნობით, ამბობს ივ. გომართელი, — თქვენ გებრალებიან ისინი, მაგრამ სამაგვიროდ მათაც ებრალებით თქვენ, რამდენადაც გორაკის ბოსიაკები თავის თავს თქვენზე მაღლა აყენებენო.

„დღევანდელ ჩვეულებრივ ადამიანსა და ბოსიაკს შორის — წერს ავტორი — დიდი განსხვავებაა: პირველი ყურებად ჩაფლულია დღევანდელი ცხოვრების წუმბეში და იქიდან ამოსვლას არ ცდილობს, მეორე კი ამ წუმბედან ამოვიდა, სრულებით სხვაგვარად ცხოვრობს და ახალ გზას ეძებს, პირველი მძორია აწმყოსი, მეორე კი მომავლის სპეტაკი სულია, მაწინააღმდეგარა ხალხსა სხეულში ჩასახული.

„მე უნდა ამოვშალო ჩემს არსებაში ყველა ჩემი გრძნობანი და ფიქრები, რომლებიც რდესდაც ჩემი იყენენ. ჩვენი თვის საჭიროა რაღაც სხვა, სხვა შეხედულება ცხოვრებაზე, სხვა გრძნობანი. ჩვენ გვეჭირვება რაღაც ახალი“, ამბობს გორაკის ერთი გმირი.

„ბოსიაკები“ თავის არსებაში ძალას გრძნობენ და იმიტომ ყოველგვარ შემ-

თხვევაში მეტად გულმაგარი და ამასთან გამბედავნი არიან, მაგრამ იმათი უმთავრესი თვისება თავისუფლებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისადმი უზომო სტიქიური სიყვარულია. თავისუფლება იმათ ორგანულ მოთხოვნილებას შეადგენს, უამისოთ მათ ცხოვრება არ შეუძლიათ.

აი, სწორედ ეს თვისება გორკის გმირებისა — მათი „თავისუფლებისმოყვარეობა, „დამოუკიდებელი ცხოვრებისადმი უზომო“ ლტოლვა არის ის განმასხვავებელი ნიშანი, რომელსაც კრიტიკოსი გორკისეულ პერსონაჟთა სრულიად განსხვავებული ბუნებისა და ნოვატორული ხასიათის საფუძვლად მიიჩნევს.

ხალხის წიადიდან გამოსულთა თავისუფლებისმოყვარეობა სხვა მწერლებსაც აღუნიშნავთ, მაგრამ მ. გორკის გმირებს ეს არა მარტო სურთ ან წყურიათ, არამედ — „უამისოდ (ე. ი. თავისუფლების გარეშე. გ. ც.) მათ ცხოვრება არ შეუძლიათ, რადგან თავისუფლების წყურვილი მათ ორგანულ მოთხოვნილებას შეადგენს“.

ამაზე უფრო გარკვევით და პირდაპირ თქმა მართლაც ძნელი იყო. მეფის ცენზურის სასტიკი ბატონობის ეამს ქართველმა კრიტიკოსმა მ. გორკის გმირების ქთავარ ნიშნად თავისუფლებისმოყვარეობა მიიჩნია და ზაზგასმით აღნიშნა, რომ ეს მათი „ორგანული მოთხოვნილება“.

ასეთივე ზაზგასმით უნდა შევნიშნოთ, რომ მ. გორკის გმირების ასეთი კვალიფიკაცია (1900 წელს, როცა დაიწერა ეს სტატი) მაშინ, როცა ჯერ კიდევ შექმნილი არ იყო გორკის საუკეთესო ნაწარმოებები, ამასხველი ახალი გმირისა, მეტროპოლი-პროლეტარისა, კრიტიკოსის შორსმჭვრეტელურ უნარსა და სპეციალური რევოლუციური ლიტერატურის უდაო ცოდნაზე მეტყველებს.

ივ. გომართელმა სწორედ დაუკავშირა ამ უმთავრეს მომენტს მ. გორკის როლი რუსული მხატვრული და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების

საქმეში და სწორად დაინახა ის პერსპექტივა, რომლითაც დიდმა მწერალურული მწერალი აიარაღებდა „ხასის გმირებს. ესაა მომავლის იდეა, მომავლის გარდაქმნის იდეა, მომავალი ადამიანის, ძლიერი, აქტიური, ქვეყნის გარდაქმნელი და ახალი სინამდვილის შემქმნელი ადამიანის სახე.

...„გორკის გმირები, თუმცა ყველანი რეალური პირნი არიან, წერდა კრიტიკოსი — ცხოვრებიდან ამოღებული, თუმცა მათს დახასიათებაში გორკის რუსეთის მწერლობაში ტოლი არა ჰყავს, მაგრამ გორკის მნიშვნელობა მაინც ამაში არ მდგომარეობს, მან შთაბერა მომავლის სული თავის გმირებს, მათში გამოხატა დღევანდელი კაცობრიობის საუკეთესო და მასთან უსაჭიროესი, მომწიფებული მისწრაფებანი“.

ივ. გომართელმა, ერთ-ერთმა პირველმა, არა მარტო ქართველ კრიტიკოსთაგან, არამედ საერთოდ მთელი რუსეთის თვალუწვდენელი იმპერიის ლიტერატორთა შორისაც, მკვეთრად, მკაფიოდ და თამამად დააკავშირა მ. გორკი და მის მიერ შექმნილი გმირები კაცობრიობის მომავალთან, მისი თანამედროვე საზოგადოების „უსაჭიროეს და მომწიფებულ მისწრაფებებთან და როგორც ღირსება. აღნიშნა ის გარემოება, რომ მწერალმა თავის პერსონაჟებს „მომავლის სული“ შთაბერა და ამ მომავლის მოახლოების, მისი დამკვიდრების საყვირებდაც აქცია.

მ. გორკის შემოქმედების ამგვარ გვიგებამდე ვერ მივიდნენ ბურჟუაზიული ლიბერალური კრიტიკის წარმომადგენლები. კლასობრივი შეზღუდულობა, ისტორიული პერსპექტივის დაუნახველობა, ეპოქის სასიცოცხლო პროცესებში ჩაუწვდენლობა არ აძლევდა მათ საშუალებას სწორად შეეფასებინათ მ. გორკის შემოქმედება და დაენახათ ის, რაც ასე მკაფიოდ და ნათლად დაინახა მარქსისტული კრიტიკის ერთ-ერთ-

მა პირველმა წარმომადგენელმა საქართველოში, ივ. გომართელმა.

მხოლოდ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანს, მხოლოდ მარქსისტულ მოძღვრებას ზიარებულ კრიტიკოსს შეეძლო ასეთი მართებული, თანმიმდევრული ანალიზი რთული წინააღმდეგობრივი შემოქმედებისა და ამგვარი დასკვნის გამოტანა. სწორედ ასეთი იყო მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი პირველი ქართველი მოღვაწე ივ. გომართელი.

ქართველი კრიტიკოსი მ. გორკის შემოქმედებაში ხედავს კრიტიკული რეალისტის მამხილებლობასაც, უკუღმართი სოციალური სისტემის თანამ უარმყოფსაც და ახალი ცხოვრებისკენ მიმწოდებელსაც, რომელიც ახალი ურთიერთობის, ყოფის დამკვიდრებისათვის იბრძვის და მისკენ გზის მახვენებლად გვევლინება.

ამ ორი მხარის ორგანული შერწყმით, ძველის ნგრევეთა და ახლის შენებით, მომავლის პერსპექტივის დასახვით, ხალხის მომავლის რწმენით შეიარაღებით გახდა დიდი მწერალი იმ ახალი ლიტერატურული მიმდინარეობისა და ახალი შემოქმედებითი მეთოდის პირველ შემოქმედად, რომელმაც შემდგომში სოციალისტური რეალიზმის სახელი მოიპოვა.

ივ. გომართლის წერილში კარგადაა დაჭერილი და ნათელიყოფილი ეს თავისებურება (ორი საწყისის ორგანული შერწყმა, როგორც ახალი მეთოდის განმსახვრელი) — კრიტიკული რეალიზმის ნეგატურობისა და ახალი რევოლუციური ლიტერატურული მეთოდის პოზიტიურობის, მისი დამარბმელ-მაორგანიზებელი და გამარეკოლუციონერებელი ფუნქციათა ურთიერთ გადაადრელება.

წერილის დასასრულს ი. გომართელი აჯამებდა რა თავის საგულისხმოდ ნაშედეგლად მოწინავე აზრებს მ. გორკის ალნიშნადა: „...ცალი ხელით გორკი აქცევს აწმყოს, მეორეთი კი აშენებს მომავალს. იგი ვითითებს, თუ როგორი უნდა ვიყოთ ჩვენ და როგორი მომავალი უნდა შევქმნათ და აი, სწორედ აქ არის გორკის ძალა და მისი ღრმა მნიშვნელობა. რუსეთის ბელეტრისტიკის უმოდრაო, უძლური და უიმედო სევედა გორკის ნიჭმა მოძრავ, დაუდგრომელ, ძლიერ და იმედით აღსავსე სევედათ აქცია. გორკი წინ მისწრაფის მთელი თავისი ძლიერი არსებით და იქითკენ ეზიდება კაცობრიობას.

აშენდება ის, რის აშენებასაც გორკი გვიქადაგებს, ან შევძლებთ აშენებას? — ამას მომავალი დაგვანახვებს, ხოლო უპირველესი პირობა კი ამისათვის იმ კარგი თვისებებით აღჭურვაა, რომლებსაც გორკი გვიხატავს თავის ვმირებში“.

ივ. გომართლის ციტირებული წერილი XX საუკუნის დამდგვის ქართული კრიტიკული აზრის ერთი საუკეთესო ნიმუშია. ამ წერილმა უდიდესი გავლენა მოახდინა მკითხველებზე და ფართო საზოგადოებრიობისათვის მ. გორკის თხზულებების შეფასების, მათდამი დამოკიდებულების გამომუშავების უმნიშვნელოვანეს ორიენტირად იქცა.

ამ წერილმა ხელი შეუწყო ქართველ მკითხველ მასებს სწორი წარმოდგენა შეემუშავებინათ მ. გორკის შემოქმედებაზე, გაიზარდა მწერლისადმი სიმპათია მშრომელ და დემოკრატიულ ფენებში, ხელი შეუწყო მისი პოზიციის იდეური მიზანდასახულობის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის გარკვევას, მწერლის „არსსა და სულში“ წედომას.

გვ. 100

## გვირგული სსოპრების ეპოქა

ახლანდელ საბჭოთა მწერლების რიგებს გამო-  
აყვანდა გამოჩენილი პროზაიკოსი, რამდენიმე ის-  
ტორიული რომანის და მოთხრობის ავტორი  
ანა ანტონოვსკაია.

ახლა, როცა იგი ჩვენს შორის აღარ არის,  
ჩვენი მოვალეობაა ერთხელ კიდევ თვალი გა-  
დავავლოთ მის მოღვაწეობას, განვიხილოთ და  
ლირსეულად დავაფასოთ მისი შემოქმედება. ანა  
ანტონოვსკაიამ თავისი ხანგრძლივი შთაგონებუ-  
ლი შრომა მიუძღვნა ქართველი ხალხის ისტო-  
რიული წარსულის შესწავლას, მის მხატვრულ  
ასახვას და ამით შემოქმედებითად განაგრძო  
დიდებული ტრადიცია მოწინავე რუსული ლი-  
ტერატურისა და მრავალსაუკუნოვანი კულტუ-  
რის, რომ არაფერია ეთქვას ამ ტრადიციის  
უფრო შორეულ ძირებზე, საკმაოა გვეხსენოთ  
კეთილშობილი სახე ალექსანდრე გრიბოედოვი-  
სა, რომელმაც სამუდამოდ დაუკავშირა თავისი  
ცხოვრება და შემოქმედებითი ბიოგრაფია სა-  
ქართველოს და საქარადისო განსასვენებელი  
ქოვა ქართულ მიწაზე — მთაწმინდაზე, —  
უდიდეს ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა  
პანოეონში.

საქართველოს მიუძღვნეს და ქართულ თემანზე  
შექმნეს თავისი შედევრები ა. ბუშინმა და მ.  
ლერმონტოვმა.

სწორედ რუსული პოეზიის გენიოსების ამ  
უქრობ ქმნილებათა გამო, დიდა კრიტიკოსმა  
ბელინსკიმ აგვესიას რუსული პოეზიის აჯანი  
უწოდა. ეს ტრადიცია არ შეწყვეტილა ვასელი  
საუენის მთელ შანაღზე, ხოლო ჩვენს დრო-  
ში სან პპოვა განსაკუთრებით ფართო და მრავ-  
ალმხრივი გამოვლინება. აქ, ჩვენში, აღაწყო  
მაცისი გორის შემოქმედებითი ბიოგრაფია; სა-  
ქართველოში დაიბადა ვლადიმერ მაიაკოვსკი,  
აქ გაატარა ყრბობა და სიკოცხლის უკანასკნელ  
დღემდე შეინარჩუნა მისადმი გულწრფელი სი-  
ყვარული და გულითადი დამოკიდებულება. თი-  
ნამედროვე რუსული მწერლობის ამ იური გი-  
განტის ვალზე რუსული საბჭოთა ლიტერატუ-  
რის მრავალი ოსტატი თავის ნაწარმოებში ასა-  
ხავს და უმღერის თინამედროვე საქართველოს,  
რუსულ ენაზე ამტყველებს ქართული კლასი-

კური და საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო  
ნიმუშებს და ამით აღრმავენ შორეული წარ-  
სულიდან მომდინარე რუსულ-ქართული კულ-  
ტურულ კავშირ-ერთიერთობას.

ანა ანტონოვსკაიას მიერ ქართულ თემანზე და-  
წერილი ნაწარმოებთ, უწინარეს ყოვლისა, მის  
„დიდ მოწარეს“ უკრაინე ერთ-ერთი უთვალ-  
საზიროესი ადგილი რუსი და ქართველი ხალხ-  
ების საუკუნეობრივი მეგობრობის მატიანში. ეს  
მრავალტომიანი წიგნი გამსჭვალელია უსაზღვ-  
რო სიყვარულით და მატეიისცემით ქართველი  
ერისადმი, რომლის ისტორიული წარსულის  
წარმოსახვას მწერალმა მიუძღვნა მთელი თავისი  
შემოქმედებითი ცხოვრება.

ანა ანტონოვსკაიას ქართული თემისთვის შემ-  
თხვევითი რთვი მიუძღვნა.

იგი დაიბადა თბილისში, მაჭუბოტის და ყრბო-  
ბის უდიდესი ნაწილი გაატარა საქართველოში  
და ქართველი ხალხის სხედასხეა ფენებთან  
შვიდრო ურთიერთობაში.

მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს  
ცხოვრებაში მწიფდებოდა დიდი ისტორიული  
მნიშვნელობის მოვლენები. ქართველი ხალხის  
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა  
ერწყმოდა და უერთდებოდა იმ ხანებში მთელი  
სომხეთით აზერბაიჯანულ პროლეტარიატის  
ბრძოლას. რუსეთის ვაზრული პროლეტარიატის  
კვლადაკალი საქართველოს მუშათა კლასი გაბე-  
დულად და ურყევად დგებოდა დიდი კლასობ-  
რადი ბრძოლების გზაზე. ანა ანტონოვსკაია ვახ-  
და მოწმე იმისა, თუ რა თავგანწირვით იბრძო-  
და ქართველი ხალხი 1905-1907 წლების რევო-  
ლუციის ბარკალებზე. რევოლუციისა, რომელ-  
მაც, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით ფარ-  
თო გაქანება ქოვა საქართველოში. მან საუკ-  
თარი თვალთ ნახა, თუ რა შეუღრცვლად  
უშკაღვდებოდნენ ქართველი ხალხის საუკეთესო  
შვილები რევოლუციის დამარცხების შემდეგ  
დროებით აღზევებულ ცარიისტული რეაქციის  
შავბნულ ძალებზე; თუ რა მისისხანედ და შეუბო-  
ვრად აღუდგა წინ მწიშვიტორ ტეივის და ამ  
მედგარი ბრძოლის შედეგად მიადწია საბჭოთა  
ხელისუფლების დამყარებას, რომელმაც სიმე-

დამოდ იხსნა ქართული ხალხის საუკუნეობრივი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან.

ამ დიდი ისტორიული ამბებისაგან მიღებული შთაბეჭდილებანი ანა ანტონოესკიამ შემდგომში შეაფიქროდა ასახა „ქართული წიგნების“ ციკლში, მხატვრული ფილის „ცეცხლის ტრანსპორტისათვის“ დაწერილ სცენარში, ვრცელ ისტორიულ-კრეატიულ მოთხრობაში „პათეზის რეიდზე“, ბორის ჩოჩინის თანავტორობით შექმნილ რომანში „მშვიდობის ანგელოზები“ და მთელ რიგ სხვა ნაწარმოებებში.

ამ ღირსაღასანიშნავი მოვლენების ქარცეცხლსა და გრივალეებში ქართველმა ხალხმა განსაკუთრებული თვალსაზრისით გამოაჩინა მასწავლებლის ძალა და სიღამაზე, საუკუნეების მანძილზე გამოუმუშავებული ეროვნული ხასიათის თვისებები — მოუდრეკელი თავისუფლებისმოყვარეობა, შებრალო სული, ვაჟაყობა, სიმამაცე და სხვა მალღა მორალური საწყისები. ამ მოვლენების სინათლის შუქზე აღაჭვა მწერალმა ქალმა ქართველი ერის სულიერი სახე და, ცხადია, განიშკვალა კიდევ მისდამი სიყვარულითა და პატრიოტიზმის გრძობით, ერთ-ერთ თავის მხატვრულ-მუშაობის სტრატეგიაში ა. ანტონოესკიამ შემდგენიარად ახალათვის ქართველი ხალხის სულიერი ღირსების თავისი ჭეჭვის ისტორიული ბედისაგან განსხვავებით, უჩველესი დროიდან ქართველ კაცს, იცავდა რა მზით გაიყარონებულ საქართველოს, ზელიდან არ გაუდგია მახვილი, და ცეცხლოვან ბრძოლებში ვაგარაკებულმა ამ მხეილმა გაამახვილა პოეტის კალამი, დაჭიმა ჩონგურის სიმები და დაღო საღებავები მხატვრის პალიტრაზე.

ომების და ბრძოლების საუკუნეებმა გამოქედეს ქართული ეროვნული ხასიათის სამი გრძობა: აყალიბებდა მას — სიმამაცე, სიყვარული, შეგობრობა, რომელთაც ასე ამბიულეებლად უძღვრა „სისხლის ცრემლდათხულებმა“ რუსთაველმა „მინა რბელი კალმით“. თითქმის მუდმივ აუცილებლობას — ნიადგ ხელში სჭეროდა ამოწვეული მხვილი—მეცერი და სასტიკი უნდა გეხება ზენი და ქვეყანი, მარამ ქართული ერის გული და გონება, მტრისადმი მისი ხანებისა და შეუთრებლობისათვის ერთად, ასაზრდოვება დაუწყებელ სიყვარულს მოყვასისა და შეგობრისადმი.

ქართველი ხალხის ისტორიული ბედის და ეროვნული ხასიათის ასეთი ვაგება მწერალმა ქალმა განასახიერა თავის სახელგანთქმულ ეპოქაში „დიდი მოურავი“.

1908 წელს საქართველოში ერთ-ერთი თავის მოგზაურობის დროს ათავლიერებდა რა სახელ-

განთქმულ საფარის მონასტერს, ა. ანტონოესკიამ პირველად ვაიონა საქართველოს ისტორიის ლეგენდარული გმირის ვიოტარის საყვარელ ხელს. მოლაღ ვაჟილარებულმა მწერალმა წარმტაცად უამბო ძველი მონასტრის სანახაღად მოსულ ახალგაზრდა მწერალ ქალს საარაკო გმირული თავგადასავალი დიდი მოურავისა, რომელიც თავგაწირვით იცავდა საქართველოს არსებობას და თავისუფლებას, ვაჟაყობად დაიღუპა საშობლოს მტრებთან ბრძოლაში და თავისი გმირული საქმეებით წარუშლელი კვალი დასტოვა ხალხის სსოვნაში.

ბრძენი ბერეკაცის ნაამბობმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა ა. ანტონოესკიანზე ამ დიდიან მწერალს შეუდგა გ. სააკი ძეზე არსებულ ხალხურ თქმულებათა და გადმოცემათა შეგროვების საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ხელი მიჰყო ისტორიული დოკუმენტების, საარქივო მასალების, ძველებური ხელნაწილების, მათიანების, ქართველი, სომეხი, ირანელი, თურქი და სხვა ეროვნების ისტორიკოსთა შრომების, ფრანგი და იტალიელი მოგზაურების, მისიონერების, ვაჟების და დიპლომატების იღწერილობათა და ჩანაწერების და ყოველივე იმის გულმოდგინე შესწავლას, რაც ყო დაჯეგირებული ყო ვიოტარის საყვარის სახელთან. მისი ცხოვრების და მოღვეწობის ეპოქასთან, ვსოდენ ვეება და შრავალგვარი მასალის, საქართველოს და მის მეზობელი ქვეყნების — რუსეთის, ირანის, თურქეთის ისტორიის ხანგრძლივი და ბევრთი შესწავლის შედეგად მწერალს გამოუმუშავდა ვაჟაყობის ისტორიული კონცეფცია, მოამწიფდა ნათელი შემოქმედებითი შთანაფიქრი, დაუტოვდა ისტორიული რომანისათვის აუცილებელი გამოსახვითი ბერების მთელი არსენალი. ქართული ლიტერატურის, ნივთიერი კულტურის ძეგლების, ძველ მონასტრთა და ციხესიმაგრეთა არქიტექტურის, ფრესკების, ირანმენტების და მინიატურების გულმოდგინე და ყოველმხრივმა შესწავლამ ხელი შეუწყო მწერალს გამოუმუშავებია ნათელი წარმოდგენა ეპოქის სულზე, იმ დროის მატერიალურ კულტურაზე, იმ ეპოქის ადამიანული — თავისი მომავალი ნაწარმოების პერსონაჟებზე. დაეფუძა რა ზედმიწევნით ამ უამრავ მასალას, ზენი საუკუნის ოციან წლებში მოსკოვში დამკვიდრებული მწერალი შეუდგა რომანზე მუშაობას. თავისი დიდი ეპოქის წერის ხანგრძლივი პროცესში მწერალს არსოდეს არ გაუმყვებია უშუალო კავშირი საქართველოსთან. ეპოქის უქანასკნელი წიგნის დამთავრებამდე მწერალი რეგულარულად ჩანოდოდა ზენის რუსულბლოკაში, რათა თავის მესხიერებაში კელვ განეახლებია ასახახვი მოვლენების გეოგრაფიული ფონის, ბუნების სურათების, იმ ადგილების მოხაზულობის და კოლორიტის შეგრძენება, რომლებიც ვიოტარი სააკიძის ცხოვრების

1 იხ. ვახ. «Литература и искусство», 1944 წ. 13 მისი. სტატია «Могучее братство».

ისტორიისთან არის დაკავშირებული. 1929 წელს ავტორმა დაამთავრა პირველი წიგნი. პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულმა თავებმა საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი აღძრა. მანამდე მოეწყო ხელნაწერის განხილვა ქართულ მწერალთა და მეცნიერ სპეციალისტთა წრეში. ახრთა გაცულა-გამოცულა დაეხმარა ავტორს შემოწმებაში, დაეხმარებოდა, საბოლოოდ დაემუშავებია და დახეხეწა თავისი ისტორიული ობიექტის ცალკე ადგილები და მომენტები.

ქართული სალიტერატურო და სამეცნიერო საზოგადოებრიობის გულისხმიერი დამოკიდებულებით და კეთილი განწყობილებით გახსნიებული მწერალი უფრო მეტი ინტენსივობით განაგრძობდა დაძაბულ შემოქმედებით მუშაობას ეპოპეაზე. 1937 წელს კერ ბთლოსში, მერე მოსკოვში გამოცა „დიდი მოურავის“ პირველი წიგნი, 1940 წელს — მეორე. 1947 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა „სოვეტსკი პისატელმა“ გამოაქვეყნა ამ დროისათვის უკვე დამთავრებული სამი ტომი. მომდევნო წლებში გამოიცა მეორე, ხოლო 1958 წელს — მესამე და მეექვსე წიგნი. ამრიგად, 50-იანი წლების დამასრულს დამთავრდა მწერლის ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომა, რომელიც თითქმის ორმოც წლამდე გაგრძელდა. ამ ეტაპს წიგნის წაქეზებულის თვალწინ დგას საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახით მონუმენტური ფიგურა ვიორჯი სააკაძისა, ბრწყინვალე სავშირო საქმეებით, მრავალი მძიმე განსაცდელით აღსავსე მისი უაღრესად რთული ბიოგრაფია. ამ გამოჩენილი მეომრის და საბელშოვიან მოღვაწის ცხოვრების, ბრძოლების და დასწინაობის ისტორია მოთხრობილი და განსახიერებულია ქართული ხალხის ისტორიულ ბედთან კავშირში. ახლა, როცა უკვე დამთავრდა ექვსივე წიგნის გამოცემა, სრული შესაძლებლობა გვაქვს ვიმსჯელოთ ანტიონოვსკაის ექვსტომიანი ეპოპეის ისტორიულ სიმართლესზე, ავტორის ისტორიულ კონცეფციის, ვიორჯი სააკაძის ბიოგრაფიისა და მისი მოღვაწეობასთან დაკავშირებული მოვლენების ავტორისეული გავების სისწორეზე, რომანის მხატვრულ-ესთეტიკურ დონეზე, ავტორის პროფესიულ ოსტატობაზე.

• • •

„დიდი მოურავი“ ფართო მხატვრული ტილოა, რომელიც ასახავს ქართველი ხალხის თავგანწირულ, გმირულ ბრძოლას არსებობისა და თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ამ ნაწარმოების უპირველესი ღირსებაა, მისი ნამდვილი ხალხრობა, ამ ცნების უაღრესად ფართო და საუკეთესო გაგებით. ფეოდალური მონობის უღლის ქვეშ მგმინავი და უცხოელ დამპყრობთაგან არავითხელ სასტიკად გათვლილი და გაწამებული ხალხი, რომელიც ვაჟაკური შეუპოვრობით და თავ-

დადებით ერკინებოდა მძლავრი დამპყრობელის მრავალრიცხოვან ურდოებს, ეს ხალხი არის „დიდი მოურავის“ მთავარი გმირი, რომანში არამარტო უშუალოდ გამოდის საქუთიერ ხალხი — ელესობა, აზნაურები, ხელისნები, მკვებად გამოკეთილ სახეთა მდიდარ ვალებში პერსონაჟები, ეპოპეის ცენტრალური სახე — თეთი ვიორჯი სააკაძე, თავისი დიდებული შესაბუნაობით, თავისი საქმეებით, მისწრაფებით და სულისკვეთებით არის ხალხის ხასიათის საუკეთესო და ამაღლებებელი თვისებების ცოცხალი განსახიერება. ყველა დანარჩენი სოციალური ძალები — მეფეები, შახები და სულთანები, დიდებულები, დიდგვლამები თვადებები, კაზისკაეები, საერო და სასულიერო არისტოკრატის უამრავი წარმომადგენელი, ვაჭრები და სხვები რომანში გამოყვანილი და გამოქვეყნებული არიან ხალხთან მათი ურთიერთობის ასპექტით, ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნებთან და მისწრაფებებთან მათი დამოკიდებულების თვალსაზრისით. ამრიგად, ხალხის ბრძოლა ტორანის, ჩაგვრის, ძალადობის და მტარვალობის უოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ უდგავს საფუძვლად რომან-ეპოპეის „დიდი მოურავის“ პრობლემატიკას. ავტორი ასახავს ამ ბრძოლის პეროიკას და მთავარნებით უმღერის მას. სწორედ ეს აძლევს, უწინარეს ყოვლისა, ა. ანტონოვსკაის ნაწარმოებს დიდ აქტუალობას ჩვენი დროისათვის — კაპიტალისტური მონობის, ჩასობრავი და ეროვნული დისკრიმინაციის, კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ძლევა-მოსილი ბრძოლების ეპოპეისათვის.

„დიდი მოურავის“ ავტორმა თავის მხატვრული წარმოსახვის ობიექტად იირჩია საქართველო, ქართველი ხალხის ისტორიის გარკვეული პერიოდი, რომელიც სხვა პერიოდებისაგან გამოირჩევა განსაკუთრებული სიტუაციით და დრამატიზმით.

„დიდი მოურავი“ ასახული ეპოპეა, — ქართული ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე და შავნული პერიოდი.

შინაგანი სოციალური წინააღმდეგობებით, ფეოდალური ბრძოლებით და ქიშპობით დაჩაბილ-დაგლეჯილი და განაწამებული საქართველო მე-16-17 საუკუნეების მიწაზე განიცდიდა ირანის შაჰების და თურქეთის სულთანების შემსუვსრავ და განანადგურებელ შემოსევებს. ქართველი ხალხი მრავალი საუკუნის მანძილზე იძულებული ხდებოდა მასზე ბევრად მრავალრიცხოვან და ძლიერ მტრებთან განუწყვეტელ სისხლისმღვრელ ომებში, თავისი ძალების უკიდურესი დამახების და უამრავი მსხვერპლის ფასად, დაეცვა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თავისუფალი არსებობა.

ქართველი ხალხისდმი დამპყრობელთა ისტორიულ მიძღვრის და აგრესიულ, ბორც-

ზრახვებს აღიერებდა ის გარემოებაც, რომ იმ დროისათვის სწრაფად შარდი და აღმავალი რუსეთის სახელმწიფო დამამდიდებლად უახლოვდებოდა კავკასიის დარგებს და ამით ქმნიდა სერიოზულ საფრთხეს ირანისა და თურქეთისათვის. ამასთან, საქართველოს ბრძენი მესვეურნი და საუკეთესო მოღვაწენი საბოლოოდ დაადგინეს ისტორიის მსვლელობით მომზადებულ და ნაქარნახვე ერთადერთ სწორ გზას — ძლიერ ერთმორწმუნე შეზობელთან — რუსეთთან დაკავშირების და დამეგობრების გზას.

საქართველოს ისტორიის ამ არჩევნებზე გადასვლას და ტრავიკულს პერიოდში, უმძიმეს განსაცდელთა ციხეში წინააღმდეგობა ქართველმა ხალხმა შეაფარა და თავსაწინააღმდეგობა გამოავლინა ერთმორწმუნე შეზობელთან — რუსეთთან. თავისი სულიერი სამყაროს ძლიერება, ძალა და სილამაზე, თავისი წრიდან წინ წამოსწია შესანიშნავი მხედართმთავარი — დიდად გონიერი, გამჭრიახი და შორსმჭერტეული სახელმწიფო მოღვაწე ვითარგი სააკაძე, თავის მშობლიურ ხალხის სასიცოცხლო ინტერესების და მისწრაფებების მხურვალე დამცველმა ვითარგი სააკაძემ მთელი თავისი ნათელი ცხოვრება მთლიანად მიუძღვნა სახალხო საქმეს. მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი ესწრაფებდა საქართველოს მიწაწყობიდან განედგინა უცხოელი დამპყრობელი, ერთ, ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოდ გაეერთიანებია თავისი ქვეყანა, გაეტარებინა დიდმგლობელ თავადთა უფლებების შეზღუდვისაკენ და მშრომელი ხალხის ცხოვრების პირობების შემსუბუქებისაკენ შემართული საკუთარი რეფორმები.

იმ საუკუნის კონკრეტულმა ისტორიულმა პირობებმა ვითარგი სააკაძეს შესაძლებლობა მოუტანა განეხორციელებინა თავისი კეთილშობილური, იმ დროისათვის ღრმად პროგრესული იდეები. რადღაც ისტორიულ პირობებსა და მისი საკუთარი ძალიან განზრახვებითაა შორის არსებული წინააღმდეგობათა გადალახავების შედეგად დაიღუპა კიდევ საქართველოს ეს სახელმწიფოებრივი გზიერი, მიუხედავად ამისა, ქართული ხალხის გამათავისუფლებელმა ბრძოლამ ვითარგი სააკაძის მეთაურობით მოეცა სახალხო გმირობის გასაუკრის მაგალითები, რომელთაც წარუშლელი კვალი ვაჟლეს ქართველი ერის ხსოვნაში.

აღადგინა რა კვლამატი ისტორიული სიმართლით სახალხო გმირობის ეს ამბავები ეპოქა, „დიდი მოურავის“ ავტორმა თავის ნაწარმოებში დახატა პატრიოტიზმის წმინდა იდეა, ვაკაცობის და სიმამაცის, მეგობრობის და სიყვარულის სულისკვეთებით გამსჭვალული სურათები, გამოკვეთა სახეთა უმდიდრესი ვალერა.

აი, რატომ არის, რომ საქართველოს ისტორიის გარკვეული პერიოდის მასალაზე აგებული ეს

რომანი თავისი მნიშვნელობით შორს სცილდება მასში ასახული მოვლენების გეოგრაფიულ და ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

ჩვენი თანამედროვეობის საშუალოდ გამსჭვებელი ისტორია ამ ნაწარმოებში აღდგენილი მთელი მისი მრისხანე სინამდვილით და მკაცრი სიმართლით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ პერიოდის უმნიშვნელოვანეს პირობებში საქმე სისრულით არ არის დამუშავებული და ამიტომ „დიდი მოურავის“ ავტორს დასჭირდა დიდი, წმინდა შეცნირული და კვლევითი მუშაობა იმისათვის, რომ სწორად გაეშუქებია და გაეხსნა იმ დროის მეტად გართლებული საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების აზრი.

ქართული ერის ისტორიის, ხალხის, ყოფი-ცხოვრების, ემოციის სულიერი და მატერიალური კულტურის ღრმა ავტორისეული ცოდნა რომანში განუყოფიერებელია ავტორისვე გაბედული მხატვრული ფარტაზიით, ცოცხალი, მკვეთრი აღმანიერი ხასიათების გამოკვეთის უნარით, ბუნების და ყოფის კომპოზიტიული, შთამბეჭდავი სურათების წარმოსახვის ოსტატობით. ეს ფართო, მრავალნადავანი და სიგრძე-სიგანეზე განტოტებული ეპოქა მოძრაობს და იმლება მწყობრ კომპოზიტიურ კალაოტში, რომელიც წარმოშობს ეპოქური ზემოქმედების დიდ ძალას. ასახული მოვლენების და ამბების რეალისტური სიმართლე რომანში ორგანულად ერწყმის რომანტიულ მღვლეარებას და ამბავბულობას, რაც საველობით შეესაბამება იმ პერსონალ და პატრიოტულ სულისკვეთებას, რითაც გამსჭვალულია ანა ანტონოესკიის მთელი ქმნილება. ასეთივე ორგანულობით თხრობის ეპოქური ნაკადი რომანში შეერწყმის ნახ, გულითად ლირიზმს, რაც შეათხველს უადვილებს ღრმად ჩაწვდეს რომანის გმირების რთული ვან-ედების და გრანობების სამყაროს.

დიდი შემეცნებითი და იდეურ-აღმზრდელობით მნიშვნელობის ნაწარმოები „დიდი მოურავი“ ავითხება დამაბული ყურადღებით და თანდათან შარდი და ღრმა ინტერესით. თითქმის ოცდახუთი წლის მანძილზე, ეს რომანი გა-მოდიოდა რა ცალკე წიგნებად, მკითხველი მასების თვალწინ შლიდა დამოუკიდებლობისათვის თავდადებული ხალხის თავგანწირულ ბრძოლის ვრცელ პანორამას ისე, რომ ყოველი წიგნი აქტიურად და მჭიდრად იჭრებოდა ჩვენი დროის აღმანიის სულიერ სამყაროში.

\* \* \*

მთავარი ა. ანტონოესკიის ეპოქაში მინდვ ვითარგი სააკაძის ტრავიკულს სახეა. რომანის პირველი ფერკლებიდან მკითხველის წინაშე აღიმართება იშვიათი ფიხიკური და სულიერი ძალის ფიგურა, 18 წლის ბოვანი კბამეტი, რომელიც თავისი სიკიარული მდგომარეობით,

თავის აღზრდით და საზოგადოებრივი მისწრაფებებით მომზადებულია იმისათვის, რომ ვეაქცურო ბრძოლა გერმანიის თავისი სამშობლოს უცხოელ დამპყრობლებს და შინაურ ფეოდალურ რეჟიმს, რომელნიც აპირებდნენ და სისხლისაგან სელიდნენ ქვეყანას. კაბუჯა სააკაძის ვაჟთარბული დატყავდა მალაქასთან ნოსტეს ბაზარზე განზოგადებული ძალით გვიჩვენებს, რომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე გამოვიდა ახალი სოციალური ძალა — წერილი აზნაურობა, რომელიც საც თავის გარშემო შემოუტყრებია უველა დემოკრატიული ფენა — გლეხები, ხელოსნები, წერის, ვაჭრები, შემოუტყრებია იმ მიზნით, რომ აბრძოლოს პროტარქურ სოციალური რევოლუციებისათვის, ქვეყნის გერმანიისათვის, ირანელ და თურქ დამპყრობელთა კლანჭებისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის.

ამ ძალების შეთავაზად, სელისჩამდგმელად და შთამავრებლად გამოდის გიორგი სააკაძე. ვაეკაცობით დაუჭაბუჯური მგზნებარებით აღსავსე სააკაძეს და მის ტოლ მეომრებს, რომლებმაც შემდგომში „ვეფხთა რაზმი“ შეადგინეს, სწეურით სამშობლოს მტრებთან შეხვდა. მართლაც, მალე ისინი ამ ბრძოლის შეაგულში აღმოჩნდნენ. სამ სამეფოდ და რამდენიმე სათავადოდ დაქუცმაცებული საქართველო მე-16-17 საუკუნეების მიჯნაზე ერთმანეთს შორის გაიანჭილეს მეზობელმა მუსულმანურმა სახელმწიფოებმა. აღმოსავლეთ საქართველო ირანის უღლის ქვეშ მოექცა, ხოლო დასავლეთ საქართველოში გაბატონდა თურქეთი. თორივე ეს სახელმწიფო ემება და შემთხვევას დაუფლებოდა მთელს საქართველოს. ასეთ ვითარებაში სისხლისგან დაცული ქართული სამეფოები და სამთავროები განუწყვეტლად სისხლანათავდასხმებს და შემოსევებს განიცდიდნენ. თურქთა ურდოების ერთერთ ასეთ შემოსევას ასახავს ა. ანტონოვსკია თავისი რომანის დასაწყისში. ქართლის მეფის გიორგი X-ის დაშქრობაში მყოფმა კაბუჯმა სააკაძემ ფრიალეთის მადლობზე გამართულ ბრძოლაში ბირველად გამოაჩენდნენ მხედართმთავრის იშვილია უნარი, დევამირული მარჯვენის ძალა, გამჭირაობა და გონების სიმახლეობა ბრძოლის გადაწყვეტ მომენტში, როცა რიცხვობრივად ბევრად მეტს თურქების დაშქარის ის იყო, გამარჯვება უნდა მოგზოვებია, სააკაძემ ვაასალა რა თავი მეფის მადნად, თითქოს მეფის მტრებთან, ბრძოლაში ჩააბა გიორგი მეფის დასავლად რეზერვში მყოფი მეტეხელია რაზმი. ვაეკეთა რა ეს იშვილია სტრატეგიული მანევრი, სააკაძემ ამ რაზმის ძალებით სატრეკელ დაამარცხა მტრის დაშქარი და ამით ომის ბედი ქართულთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. მხედართმთავრის ნიჭთან ერთად სააკაძემ შესანიშნავი მოსაზრებულობა და გონების სიმახლეუ გამოიჩინა. მტრზე მოპოვებული ეს ბრწყინვალე გა-

მარჯვება სააკაძემ მოხერხებულად მიიწერა მეფეს და ამით საბოლოოდ მოიხილარა და მოხიბლეს მეფის გული. მეფე გიორგი X ძალის კმაყოფილი დარჩა იმით, რომ მტრეპაჩისილი მხედართმთავარი გამოვიდა წერილი აზნაურობიდან, რომელიც უპირდაპირდებოდა დიდმფლობელთა თავადებს. გიორგი მეფემ სააკაძე თავის ქარზე დაიხილავა და მას სამფლობელოდ უბოძა დიდი სოფელი ნოსტე ციხე-სიმაგრით, რომელიც მდებარეობდა ქართლის შეთავსულში თვალწარმტაცი დიდგონის მთის ძირში.

ლიც მოტანილია ფაქიზი მხატვრული ტაქტით

• • •

კერ კიდევ „დიდი მოურავის“ გამოქვეყნე-  
ბამდე რუსული საბჭოთა პროზის გამოჩენილი  
ოსტატი ლეონიდ ლეონოვი, ვაყენო რა ბელ-  
ნიწერნი ანა ანტონოვსკაიას რომანის პირველ  
წიგნს, წერდა: „ანა ანტონოვსკაიას უადრესად

საინტერესო წიგნი „დიდი მოურავი“ რომე-  
ლიც მხატვრულად აშუქებს ქართული ხალხის  
მე-16—17 საუკუნეების განმართკისტელებელ  
ბრძოლას, ყოველგვარ უერადღენს! ჩხსახუ-  
რებს ის ვარემოება, რომ საბჭოთა მკითხველი  
არ იცნობს საქართველოს ისტორიას, რის ვა-  
მოც თვითონ მოკლებული ვარ შესაძლებლ-  
ბას. შევათწმუო ასე გატაცებით მოთხრობილი  
ამბების სიმართლე, გვაპირულებს ვიფიქროთ  
იმაზე, რომ გამოიცნოს მთელი რიგი წიგნები,  
რომლებიც გააშუქებენ სსრ კავშირში შემავი-  
ლი მოქმე ხალხების ისტორიულ წარსულს“.

ჩვენი ცნობილმა პროზაიკოსმა მიხ. ქავა-  
ხიშვილმა ან. ანტონოვსკაიასადმი მიწერილი პი-  
რად ბარათში ასე გატაცებით „დიდი მოურავის“  
პირველი წიგნის ბელნიწერიდან მიღებული  
შთაბეჭდილება: „თქვენი რომანი „დიდი მოუ-  
რავი“ დრმა ინტერესით, უფრო მეტად, გატაცე-  
ბათ წვაყიოთ, წიგნი დაწერილია სხვა ერო-  
ვნების მწერლის მიერ, და ისიც ისტორიულ  
ქანრში, თუმა ვი ძალიან მძიმე, რთული, გრძე-  
ლითულია. დამთინანხმებით, რომ ყოველივე ეს  
მძლევდა უფლებას მოკიდებოდე თქვენს  
შრომას სკეპტიკურად, და არ დავიშალავთ,  
უნდობლობითაც კი. მაგრამ „მოურავმა“ გა-  
დენა ევებო, თავი წამაყიოთ შეუწყვეტლად  
და დიდი დამახებლობით. მთელი სულით და  
გულით გილოკავთ თქვენ ვადალახებ მძიმე  
მწერტალი, თქვენ ჩაიღინეთ გმირობა. მე თა-  
ვით ასლახან დავამთავრე ისტორიული რომა-  
ნი „არსენა მარადელი“, თავისი მასალით  
(მე-19 საუკუნის პირველი მესამედი) უფრო  
იოლი, მოეაწლომე მას ჩემი ცხოვრების შეიდე-  
წელი, და სხვებზე უკეთ ვიცი, თუ რა ძნელია  
რომანის დაწერა ქართული ისტორიიდან, მით  
უფრო არა ქართველსათვის და სამჭერ „მით  
უფრო“ გიორგი საყაბის ცხოვრებიდან. ხახ-  
ვა, მით ეიმეორება უამველად თქვენ გმირობა  
ჩაიღინეთ. მოვიცა ვაბულო, მონახო კავშირე-  
ბი მოვლენების შროის და დამიჭირო ეპოქის  
სტილი — აი ყველაზე მძიმე ამოცანები, რომ-  
ლებსაც თქვენ უამველად, თავი ვაართოთ,  
სურთოდ, მე წამიყიოთაჲს საქართველოს ცხო-  
რებიდან უცხოელთა მიერ შექმნილი მთელი,  
და თითქმის მთელი ბელეტრისტიკის ლიტერა-  
ტურა, და ვკისრულობ ვაბედულობას ვანეცხე-  
დო, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ თემის  
სიძნელეს, ანტონოვსკაიას რომანი შეიძლება  
ჩიოთვალის საუკეთესო ნაწარმოებად ამ სტრი-  
იდან“.

როცა ზედიზედ გვეწვდებოდა ანტონოვსკა-  
იას შემდგომი წიგნები, სიდაც ავტორი თან-  
მიმდევრულად აღრმაგებდა თავის კონცეფ-  
ციას და ამაღლებდა მხატვრულ ოსტატობას,  
რომანი უფრო და უფრო იქცეოდა საბჭოთა  
პრესის და ლიტერატურული კრიტიკის შეუ-  
წყვეტილ ყურადღებას.

1943 წელს 12 აპრილს სარედაქციო სტატიაში „უეჭვადია საბჭოთა ხელისუფლება“, ვაზეთი „პრავდა“ „დიდი მოურავის“ შესახებ წერდა: „შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ ისეთ ნაწარმოებს ვამოხსნას, რომელიც გვიხატავს ჩვენს ქვეყნის ხალხთა შორეულ ისტორიას, ისტორიულ მავალითებზე ზრდიან მხატვრულ გემოვნებს და გაკლევან გაკეთილს ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის, ღირსებისა და თავისუფლებისათვის ვიბრძოლოთ ისე, როგორც იბრძოდნენ ჩვენი სახელოვანი წინამრბები“.

„პრავდას“ იმავე ნომერში ალ. ფადეევი სტატიაში „საბჭოთა ლატერატურის შესანიშნავი ნაწარმოებები“ აღნიშნავდა: „მრავალწლიან ნაყოფს შრომისას, რომელიც თავისი სიხსტილი უნაღვრებდა სწავლულ-ისტორიკოსის შრომას, და ამავე დროს უზველ შეიცავს XVI საუკუნის დამლევის და XVII საუკუნის დამლევის საქართველოს ცხოვრების და ყოფის ფერადოვან სურათებს, წარმოადგენს ანტონოვსკიას შესანიშნავი რომანი „დიდი მოურავი“ საქართველოს ისტორიის ერთერთ გამომჩენელ მოღვაწეზე — ვიორგი სააკაძეზე“.

იმაზე, თუ რატომ და რისთვის შეიფარა მრავალმილიონიანმა საბჭოთა მკითხველმა ანა ანტონოვსკიას მიერ ხორციმსხმული სახელვანთქმული გმირი, „პრავდას“ 1942 წლის 13 სექტემბრის ნომერში ცნობილი ეურხალისტი და ლიტერატორი ი. ზასლავსკი სტატიაში „პრავდა დიდ ქართველ მხედარმოთავარზე“ წერდა: „ანა ანტონოვსკიას რომანის „დიდი მოურავი“ შეთხებით ვიორგი სააკაძე ჩვენთვის ახლობელი გახდა. მისი სხე შევიდა ჩვენთა დიდ წინამართ იმ ვაჟკაცურ სახეთა ვალერეში, რომელიც ანათავებდა საუკუნეთთა სიღრმედან და სამშობლოსათვის ბრძოლის ჩვენს ეპოქას ავთშორებენ წინათ ვარდახდილ ბრძოლათა ეპოქასთან. ასეთ დროებში იბადებთან ბუმბერაზი ძალის, დიდი მომხიბლობის, სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულით და მტრისადმი აღგზნებულ სიძულვილით ვამსკვადელი ხასიათები. ასეთი ხასიათის ციცი იყო ვიორგი სააკაძე, მან დიდებით შემოსა თავისი სახელი, როგორც თავისი დროის ერთერთმა უდიდესმა მხედარმოთავარმა. მისი პირადი ბედი ტრაგიკული იყო. ხალხმა აპატია მას შეედომები სამშობლოს მხურვალე სიყვარულისათვის, კეთილმოძობებისა, ვაჟკაცობისა, ნათელი გონებისა და შემოქრული სიმამციასათვის. მრავალტომიან რომანში მოქმედება ვითარდება აუტყარებლად. მოწინებით შლის ატრობი მოვლენების სახიან ქსოვილს, ნატიფი მძივებით მკარავებს ჰველი საქართველოს სურათებს“.

გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ გაჩაღებული წმინდა სამამულო ომის დღებში „მოუ-

რავი“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა თავადღებით მებრძოლ საბჭოთა მურმარებს შორის. მგზნებარე პატრიოტიკისა და ძლევაშოქლიანი სარდლის მონუმენტური სახე აღფრთოვანებდა მამაკე საბჭოთა არმიის შემოქრებს უკვლავ საგმირო საქმეთა ჩასადენად, ჩვენს სამშობლოს სიციცხლისა და თავისუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. ნიკოლოზ ტიხონოვმა, ლაბარაკობდა რა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგებოს პლენუმზე ვაკეთებულ მოხსენებაში იმ დიდ წვლილზე, რომელიც საბჭოთა ლიტერატურამ შეიტანა ფაშისტზე მოპოვებულ ვამარქებაში, ა. ანტონოვსკიას „დიდი მოურავი“ მოხსენია საბჭოთა პროზის იმ თვალსაჩინო ნაწარმოებებს შორის, რომლებიც ისტორიულ თემებზე დაიწერა და ეხმინებოდნენ გრძნობების და აზრებს საბჭოთა ადამიანებისას, რომელნიც თავის მარქვენილ და სისხლით სქედნენ ვამარქებას მისისხლე მტრზე.

ასე დამკვიდრდა საბჭოთა ხალხის ცნობებრებაში საქართველოს ეროვნული გმირის სახე, როგორც ვაჟკაცობის და სიმამციის, კეთილმოძობებისა და გმირობის, როგორც მამულისათვის თავდაღების ცოცხალი სიმბოლო.

— მოხდება ხოლმე, — წერს კრიტიკოსი ზინაიდა კედრინა სტატიაში „ცოცხალი ისტორია“ (იხ. „იზვესტია“. 1952, 20/111) — ვალაშლი წიგნს და ვრძობა, თითქო შედეგ კარი, სხეა, შენთვის ცნობილ თუ უცნობ ცხოვრებაში, ვადამბივე ზღერბლზე“ და მოხვედ ამ ცხოვრების დღილის შევადლში. სწორედ ასეთი რომანები, რომელთა შექმნა ძალუდთ მხოლოდ კუმარბლად ნიქერ მხატვრებს, — არის სოციალისტური რეალიზმის ნამდვილი ნაწარმოები, ენიდან მხოლოდ ვანეთარბები დი, მუდამ წინ მავალი ცხოვრების მართლ ასახვას შეუძლია ვახადოს მკითხველი მწერლის მიერ დახატული სინამდვილის თანამთწილ. ასეთ რომანებს ვეუთენის ჩვენი ისტორიული პროზის საუკეთესო ნაწარმოებები, ისეთნი, როგორც არის აღქმევი ტოლსტოის „პეტრე ბრბელი“, ანა ანტონოვსკიას „დიდი მოურავი...“

„ანა ანტონოვსკიამ, — წერდა ვ. გოლცევი, — ცოცხალი და დამაინტერესებელი ფორმით სწორი წარმოდგენა შევიქმნა იმ ეპოქის საქართველოში სოციალურ-პოლიტიკური ძალების ადგილზე და ვანლაგებაზე, ვეოდალუნთან მსახური ელემენტების ბრძოლაზე, აზნურთა ცდებზე ვაეურთინებთ საქართველო. რომანის რთულ კომპოზიციაში ორგანულად არის ჩართული ხალხის ყოფისა და ზენეველებების მკაფიო სურათებუ. რომანი დიდი მხატვრული დარსებითაა აღბეჭდილი. არა მარტო თვით ვიორგი სააკაძე, თითქმის ყველა დანარჩენი პერსონაჟები მოგონილი კი არა, საესებით რეალ-

რა პირები არიან. წიგნის ყველაზე მეტეობად დაბატულ სურათების რიგს ეკუთვნის ბატალერი სცენები...“

ასეთივე მოწონება დამსახურა „დიდი მოურავს“ მეცნიერ სპეციალისტთა მხრიდანაც, რომელთაც ეს ნაწარმოებები შეიფასეს ისტორიული მეცნიერების პოზიციებიდან. აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გავისინოთ ჩვენი დიდი ისტორიკოსი, თანამედროვე ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი, აკადემიკოსი ივანე ჭავჭავაძე, რომელმაც იყისრა და შეასრულა კიდევ „დიდი მოურავის“ პირველი წიგნის მეცნიერული კონსულტაცია. სამწუხაროდ, მოულოდნელმა სიკვდილმა შეწყვიტა დიდი მეცნიერის შემოიბა ამ ზომართვლებითაც, მაგრამ მის მიერ პირველი ორი წიგნის მოწონება და აღიარება თავისთავად შეტყველებს, რომ ა. ანტონოვსკიას რომანი მეცნიერული თვალსაზრისითაც უეჭველად ღვას თანამედროვე ისტორიოგრაფიის მოთხოვნათა დონეზე.

გამოჩენილმა საბჭოთა ისტორიკოსმა აკადემიკოსმა ე. ე. ტარლემ ვრცელ რეცენზია უძღვნა „დიდი მოურავის“ მეოთხე წიგნს. ცნობილია, რომ მეოთხე წიგნის ერთერთი ცენტრალური თემა საქართველოს მამინდელი მმართველების და მოწინავე აღმსარებლის თანდათან მზარდი მისწრაფება რუსეთთან მეგობრობისა და სამხედრო კავშირის დადებისაკენ. აკადემიკოსი ტარლე, მეოთხე წიგნის განხილვისას, მწერლის მიერ ამ პრობლემის გაშუქებაზე ამახილებს ყურადღებას, მთლიანად იწონებს ავტორისეულ კონცეფციას ამ საკითხში და ბოლოს წერს: „აი ანტონოვსკიას რომანის „დიდი მოურავის“ მეოთხე ტომი დამუშავებულია ზუსტი მეცნიერული მონაცემების მიხედვით. მონუმენტური ფორმით ასახული და სწორად გაშუქებულია ნამდვილი ისტორიული მოვლენები. რომანის აქვს არა მარტო დიდი მხატვრული, არამედ შემეცნებითი ღირებულება.“

აი ანტონოვსკიას ეპოპემ სპეციალურ ლიტერატურაშიც დამკვიდრა სამართი ადგილი საბჭოთა ისტორიული რომანისტიკის იდეურ-მეცნიერულ მონაცემებით პრობლემებისადმი მიძღვნილ ყველ წარმადში — ს. შ. პეტროვის მონოგრაფიაში „საბჭოთა ისტორიული რომანი“, ა. ანტონოვსკიას რომანს დამოძილი აქვს მნიშვნელოვანი ადგილი. მიმოიხილავს რა საბჭოთა ისტორიული რომანის ჩამოყალიბების და განვითარების პროცესს, უყუთებს რა ანალიზს

ამ ენარის საკანძო მსოფლმხედველობით და ესთეტიკურ პრობლემებს, მკვლევარს ს. შ. პეტროვის მუდამ მხედველობაში აქვს ანტონოვსკიას — „დიდი მოურავის“ როგორც ერთ-ერთი იმ ნაწარმოებთაგანი, რომლებშიაც ყველაზე მეტად და თანმიმდევრულად გამოჩნდა საბჭოთა ისტორიული მხატვრული პროზის სპეციფიკური დამახასიათებელი თვისებები.

„დიდი მოურავის“ პირველი წიგნების გამოკვეთებისთანავე იგი ითარგმნებოდა და იცემოდა საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რესპუბლიკებში და საზღვარგარეთაც, უველგან იწვევდა ცოცხალ ინტერესს და იმსახურებდა მაღალ შეფასებას. აი რას წერს, მთავრობად, „დიდი მოურავის“ გამო ჩვენი რომანისტი ვალენტ კალიცი ეურჩაღ „ნოვოე თეატრ“-ის ფურცლებზე „მეორედი ეშვიც არ შეიძლება აღვევძრას, რომ ეს წიგნი ჩვენში გახდება ერთერთი ძალზე პოპულარული წიგნი, როგორც თავის ორიგინალურობით, ასევე მოჭმელებათა იმ დამაბულობით, რომელიც ყოველი წიგნის წაითვისისას ძლიერდება... თუმცა ლამარაკია ვრცელ რომანზე, მისი კომპოზიცია არ არის ბელოვსურა, პირიქით, წიგნი ჭკვიანურადაა მოფიჭრებული და შევრული, „დიდი მოურავი“ ისტორიული რომანია, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. რომანის ავტორს არა მარტო მეცნიერული სიზუსტით და სიმკაცრით შეუსწავლია ყოფილი მონასტრებში დაეული ძველი პერგამენტები, არამედ ღრმად ჩასწვლილია სულს ღამაში და მამაცი ხალხისას, რომელიც აზარტებელ ყოფილა დატყვევებული და მიინც მუდამ ხელში სკვრია, იარალი, რომ ებრძოლა თავისუფლებისათვის. მეოთხელი თითქოს ღვას ფერებით მზრწყინავი და ოსტატური ჩუქურთმებით დამუშავებული ხალხის წინ, რომლის ქსოვა ემარჯვებით მხოლოდ აღმოსავლეთში. მაგრამ მისგან იხილება არა მარტო თვარი, სხვა გრძობებიც არ არის დაეული მისი ვასალური მომხიბვლელობისაგან.“

ყველაფერი ეს ცხადყოფს, რომ ა. ანტონოვსკიას „დიდი მოურავს“ სამართლიანად და დამსახურებულად უჭირავს თვალსაჩინო ადგილი იმ სულეერ დაეულობათა საგანტრში, რომელთაც ნახევარი საუკუნის მანძილზე გზინდა საბჭოთა ლიტერატურა და რომელიც უღივებს როლს ასრულებდა და ასრულებს ჩვენი ხალხის მდიდარი და კეთილშობილი სულეირი სამყაროს ფორმირებაში.



### ქართული საბჭოთა საბავშვო მწერლობის საკითხები

ახალი თაობის ეთიკური და ესთეტიკური აღზრდა, შესაბამისი მსოფლმხედველობის ფორმირება, საბავშვო მწერლობას დღეს გაცილებით მტკ მოთხოვნებს უფერულს, ვინც იდგის მე პქონია წაყენებულა ეს იმიტომ, რომ „ბოლოს და ბოლოს ყველა ჩვენ ვცხოვრობთ იმათთვის, რომლებიც დღეს ჩვენს შემდეგ მონდინა, ზოლო ზვალ კ ვავეისწრებენ ჩვენ ბედნიერებისაკენ მიმავალ გზაზე. ჩვენ წაფალთ ამ ქვეყნიდან, ბავშვები დარჩებიან... შევეცადოთ ჩვენი ბავშვებიდან აღზარდოთ ახალი კაცობრიობა“ (მ. გორკი). ეს ამოცანა, რასაკვირველია, ჩვენი ეპოქის კანონზომიერი ისტორიული პროცესების ლოკატური შედეგია. უდავოა, რომ ახალი თაობის აღზრდის ეპოქის ეული პრობლემები, ყოველთვის უკავშირდებათა თაობათა ეთიკურ, ესთეტიკურსა და ინტელექტუალური განვითარების უმნიშვნელოვანეს მიზნებსა და ამოცანებს, მაგრამ მათა პარპონიული ერთიანობა მხოლოდ საბჭოთა სანამდევლისათვის გახდა განსაუვთრებით სისხლბორიეული. საბჭოთა საბავშვო მწერლობამ უეადლო ყოველივე ის, რაც წარსულში მას ზღუდავდა, მენტორულ-დოქტორულ ჩარჩოებში პეტავდა, მოქალაქეობრივი გრძობის აღზრდის ნაკვალ, ხშირ შემთხვევაში, ბავშვებს შამზარულ ზნეობრივ ფორმულებსა და მოძლელების მომავლურებულ დოვებებს თავს ახვედა.

სოციალისტური საზოგადოების მჭეფარე ცხოვრების შექმნაში ახალი თაობის აქტიური მონაწილეობის აუცილებლობამ საბჭოთა საბავშვო მწერლობის განვითარების ტენდენციები თავიდანვე ორგანულად დაუკავშირა კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს. ჩვენი ზალბის გმირული წარსულის შეცნობა, ახალი თაობის სულიერი სამყაროს მაღალი ჰუმანიზმის, მეგობრობისა და გმირობის მავალითებით გამდიდრება, ხალხთა შორის სოლიდარობისა და ძმობის გრძნობის აღზრდა, მაღალი პატრიოტული სულიკვეთება, ქართული კლასიკური მწერლობის ის საუკეთესო ტრადიციები, რომლებიც ილიას, აკაკის, ეფეს, ი. ვოვბაშვილის, რ. ერასთვს, ნ. ლო-

მოურის, ე.კ. გაბაშვილისა და სხვათა საბავშვო ნაწარმოებებს იდეურ-მინაარსობრივ საფუძველს წარმოადგენს და რამელიც ქართულ საბჭოთა საბავშვო მწერლობაში თვალბრივად ახალი ესთეტიკური სახეებით არის ხორცშესხმული.

ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის საერთო აღმავლობის ერთ-ერთ პირველ ძირითად ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ გავრძელება ამ შესანიშნავი ტრადიციისა, რომელიც გერ კიდევ XIX საუკუნის სამოციანაწლებიდან მომდინარეობს და საფუძველთა საფუძველი გახდა ეროვნული საბავშვო მწერლობის აღორძინებისათვის.

ეს შესანიშნავი ტრადიცია, განსაკუთრებით უკანასკნელ ათეული წლების მანძილზე, სრულიად ახალი ძალით გამოჩნდა, თვისობრივად ახალ, მაკოცხლებულ წყაროებზე გამოშენილი ქართველი საბჭოთა პოეტების, პროზაიკოსების, დრამატურგების, მეცნიერთა და ქართული საბავშვო მწერალთა შემოქმედებით თანამეგობრობაში. ახლა უკვე ცხადია, რომ საბავშვო წიგნი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს საბავშვო მწერლობის მონაბოლია! ამის გამო ენობრივად და თემატიკურად მრავალფეროვანი, მაღალიდურ-მხატვრული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის შექმნა და დიდი ლიტერატურის დონემდე აყვანა, საბავშვო მწერლებს მიერ ძირითად შემოქმედებით მიზნად იქნა დასახული. ამის შედეგად ჩვენ უკვე გვაქვს დავუწყარი პოეტური სახეებით მდიდარი საბავშვო ლირიკა, პოეტური ეპოსი, მითობრობები, მეცნიერულ-ფანტასტიკური ხასიათის ნაწარმოებები, საბავშვო პიესები, ყოველივე ეს მაღწეულ იქნა ლიტერატურული ტრადიციებისა და თანადროულობის ურთიერთდამოკიდებულებაში პროგრესულისა და ნოვატორულის პარპონიული ერთიანობის გამოკყენებით, სოციალისტური სანამდევლის ენათეტიკურ თავისებურებათა და მოწინავე პედაგოგიური მეცნიერების მიღწევების საფუძველზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობის პერსპექტიული ფაქტორი გახდა ქართულ საბავშვო მწერლობაში ახალი კატეგორიის მძლავრი, საბავშვო ნაკადის გამოჩენა, რომელმაც თან მოიტანა ჩვენი ეპოქის სუნიტება, საბჭოთა ბავშვებისა და ახალგაზრდობის შეუზღუდველი ოცნებანი და ნატურანი, თვისობრივად ახალი ზასიათები და ინტერესთა სფეროები, მხატვრული გამოვლენა, თანადროულობის პათოსი.

ამის შედეგად, ქართული საბჭოთა საბავშვო მწერლობა თემატურად და ენობრივად კიდევ უფრო მრავალსახოვანი და მრავალფეროვანი გახდა. შეიქმნა მთელი რიგი საბავშვო ნაწარმოებები პატრიოტიზმის, კოსმოსის დაპყრობის, საქართველოს ფლორასა და ფაუნის, ტურისტული ექსპედიციის, სპორტის, პოინერთა ბანაჟის, საბჭოთა სკოლისა და მისი ახალი სახის ინტერნატის, სახელოსნო სასწავლებლის, მოსწავლეთა ყოფის, შრომა-სწავლის და მორალური სახის თემებზე, რომლებშიც მოცემულია მეგობრობის, ჰუმანიზმის, ხალხთა სოლიდარობის, გმირობის, სიყვითისა და საერთოდ, მაღალი ზნობრიობის გამარჯვება ცდუნების, სიბნელის, სიყალბის, ბოროტების, უსამართლობის, უცოდინობისა და უფუძვრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თანამედროვე სოციალისტური საზოგადოების მრავალფეროვანი ცხოვრება, ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ტრადიციები, დიდი საბჭოთა მწერლობა და საბჭოთა პედაგოგიური მეცნიერების უკანასკნელი მიღწევები, აა, რა ქმნის მკვიდრ საფუძველს ქართულ საბჭოთა საბავშვო ლიტერატურაში მოწინავეს, პროგრესულსა და ნოვატორული საწყისების პარაზიტული ერთიანობისათვის.

მაგარი მათ შორის უმთავრესია კლასიკური მწერლობის პროგრესული ტრადიციები, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი შეიქმნა ქართულ საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის. საბჭოთა საბავშვო მწერლობა, თუ, ერთი მხრივ, მკიდრად უკავშირდება ჩვენი სამშობლოს წინაშე თანადროულობის მიერ დაყენებულ დიად მიზნებსა და ამოცანებს, მეორე მხრივ, ასაკობრივი და გონებრივი განათლების პრინციპებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად ითვალისწინებს მოზარდი თაობის ინტერესთა სფეროსაც. ამ ორი ფაქტორის ერთობლივად ახალი თაობის აღზრდის და ცხოვრებაში მისი აქტიურად ჩაბმის საფუძველია. ამავ დროს იგი ძირითადი პირობაც გახდა საბავშვო მწერლობაში ახალი ესთეტიკური სახეების შესაქმნელად. ამის შედეგად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ფაქტორად გვევლინება ჩვენი კლასიკური ლიტერატურის საბავშვო პოეზიისა და პროზის ტრადიციის გაგრძელება და, ზოგ შემთხვევა-

ში ნოვატორული განვითარება თანამედროვე ქართულ საბავშვო მწერლობაში, რის შედეგად შეიქმნა დაუფიქრარი პოეტური სახეებით მდიდარი ქართული საბავშვო ლირიკა, პოეტური ეპოსი, მეცნიერულ-ფანტასტიკური ხასიათის ნაწარმოებები, საბავშვო პიესები.

თუ კი ტრადიციებისა და თანადროულობის ერთობლივების პოზიციებიდან, ისტორიულ ასპექტში, განვიხილავთ ქართული საბავშვო მწერლობის ენობრივ თვისებურებათა განვითარებას, ცხადი გახდება ის ფაქტი, რომ მეტწილად საბავშვო მწერლობის წარმოქმნის მიზნებიდან ადვილად რა ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობა, ამ საუკუნის დამატარებელს განვითარების გაჩვენებულ დონეს მხოლოდ საბავშვო პოეზიამ და პროზამ მიაღწია, რაც შეეხება საბავშვო დრამატურგიას, შეიძლება ითქვას, რომ ეს ენობრივ, ამ სიტყვის ნამდვილი გავებით, ამ დროისათვის არც კი არსებობდა.

მაღალხარისხოვანი ქართული საბავშვო დრამატურგიის შექმნა მხოლოდ საბჭოთა ეპოქისთან არის დაკავშირებული. უკანასკნელ ათეულ წლებში ქართული საბავშვო დრამატურგია კი (ს. მთავარი, გ. ნახუციანიშვილი, კ. გოგიანიშვილი, ქ. ქუჩუაშვილი, დ. თაქაიანიშვილი და სხვ.), თემატურად გამარჯვებულად: პატრიოტიზმის, მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლების, სოციალური უკმაყოფილების, საბჭოთა სკოლის მოსწავლეთა შრომა-საქმიანობის, მეგობრობის და სხვა აქტუალურ თემებზე შექმნილი ნაწარმოებები ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის მძლავრ ფაქტორად იქცა.

საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის ენობრივი და თემატური განვითარების პრობლემები მტკიცედ უკავშირდება ასაკობრივ პრინციპის დაცვას: ყოველ ასაკს თავისი პედაგოგიკური, ამბობს ცნობილი საბჭოთა საბავშვო მწერალი ს. მარშაკი, პატარა მკითხველისათვის ეს არის ზღაპარი, ათი წლის ბავშვისათვის „რუსლანი“, თორმეტი-ცამეტი წლის ბავშვისათვის გადამწვება პედაგოგის პროზა, „პოლტავა“, „ბარბიკასი მხეცარი“, ახალგაზრდობის წლებში კი — „ონეგინი“ და ლირიკა.

ბავშვთა სხვადასხვა ასაკში ნაწარმოებების კითხვის ინტერესების გათვალისწინება არის ერთ-ერთი მთავარი პირობა მათთვის განკუთვნილი მაღალ იდეო-მხატვრული ნაწარმოებების შექმნისათვის. მაშასადამე, თეთი საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის თემატურად და ენობრივად მრავალსახობათა განვითარებისათვისაც. ამიტომ როგორც პედაგოგებს, ისე ლიტერატორებს, რომლებიც ბავშვებისათვის წერენ, არასოდეს არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ

მათ საბავშვო აუდიტორიაში მომავალი საზოგადოების ღონე, ძალა, ჭეშია და ტალანტი. ეს უკანასკნელი ბუნებრივად განსაზღვრავს საბავშვო მწერლობის ასახვის სფეროებსავე.

ქართულ საბავშვო პოეზიაში მხატვრულ სიტყვის ოსტატების ასახვის საგნად დღესაც ჩანება ბავშვთა განკლავ-განწყობილებანი, დამატარებისადმი თანაგრძობობა, სწავლა-მეცნიერება მოწოდებები, ბუნების სამყაროს გაცნობა და სხვა თემები, რომელთა აღზრდელიობითი და საგანმანათლებლო ფუნქციები განსაზღვრავენ ამ თემებზე შექმნილ საბავშვო ნაწარმოებების სიტუატურ სიახლოეს, გამოშახველობით სარწმუნოებას სამედიცინოობას, ენობრივ ქსოვილს. მაგრამ თემატურ მრავალფეროვნებაში მარად უქნობ თემად კვლავაც რჩება პატრიოტიზმი, რომელიც მაცოცხლებელ ძარღვად მოქცევა ქართულ ეროვნულ საბავშვო ლიტერატურას მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ახალ თაობაში სამშობლო პატრიოტული გრძნობის აღზრდა თანამედროვე საბავშვო მწერლობის უმადლესი და უეუთილშობილესი მოვალეობაა. „სამშობლო პატრიოტიზმი ზომ პარდა. პარტი მეშვიდარეა წინაპართა მოქმედებითი საქმეებისა, წინაპართა, რომელთაც წინ მიჰყვადან ჩვენი ხალხის განვითარება...“

სამშობლო პატრიოტიზმი თავისი სათავე ღრმა წარსულში აქვს, დაწყებული ხალხური ეპოსით. ის იყრებზ თავისთავში უოველთე კარგს, რაც ხალხს შეუქმნია, და უდიდეს ღირებნად მიანჩნია გაუფრთხილდეს უველა მის მიღწევას<sup>2</sup> (ხაზი ჩვენია. ა. ა.).

ქართული საბავშვო მწერლობის კლასიკოსი შოთ მოციქული შავბნელ წარსულში მტკაცედ ამბობდა „ხმალი შემაწყდეს წელზედა, თუ არ შევაცედ ვმირულად მამულისათვის მტერს ზედა“ და თანაც სწამდა, დადგება დიდი განთიადი, „ამოვა, სევდას უუვეყარი მე სიმღერითა ნელთა, ნათელთა შოთფინება, რაც მოცუღლად ბნელთა“ („სიმღერა“). ეს ნათელი თან მოქცეა დიად სოციალისტურ რეეოლოგიას. თვისობრივად ახალი, უმადლესი და უქმინდესი გრძნობა პატრიოტიზმისა თანამედროვე ქართულ პროფესიულ თუ არაპროფესიულ საბავშვო მწერლობის დიდი მხატვრული დამაყრებლობით, ძლიერი ემოციური ძალით აქვთ წარმოდგენილი ეპიქოსა და ლირიკულ ეანრებში. ამ მიზნით სამშობლო პოეტების მიერ გამოყენებულია ქართული ეროვნული საბავშვო პოეზიისათვის ნაკლებად ცნობილი პოეტური ხერხი — ისტორიული პროცესების ფრაგმენტირებული ჩვენებისას მხატვრული შედარება-

შეპირისპირება, დროის ფაქტორთა საფუტკელზე, რასაც შევარწყმის საბავშვო მწერლობისათვის დამახასიათებელი პედაგოგიური მანერები, ნაცნობიდან უცნობისაკენ, ახლობედულად შორეულობისაკენ.

ნიმუშისათვის, ამყრად, მხოლოდ რამდენიმე მაგალითზე შევუბნდებით.

პატრიოტიზმის თემის ირ. აბაშიძის შემოქმედებაში საერთოდ და, კერძოდ, მის საბავშვო პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უქრავს.

პოეტის მაღალადღერ და მაღალმხატვრულ საბავშვო ლექსებსა და პოემებში საუკეთესოდ და გულმოდგინებით აზრთა სიღრმე და ამამაღლებული განცდები; პატრიოტულ თემზე შექმნილ ნაწარმოებების ინდივიდუალური სტილის შესაბამისად, ოსტატურად დაკავშირებულია ლექსის რიტმულ წყობასთან ლოგიკური და ემოციური შინაარსი.

პოეტური ენის სინატიფე, მხატვრული ეფექტის აზრობრივ-ემოციური ნიუანსებთან შერწყმა პატრიოტული გრძნობის ძლიერ განკლას იწვევს, თუნდაც ისეთ პატარა ლექსშიც კი როგორცაა „მოიარე საქართველო“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პოეტის ეს ლექსი წარსულთან და თანადროელობის ბუნებრივი, ძალდაუტანებელი შერწყმით, ნათელი და ძლიერი იდეით, ბავშვებზე წარმულელ შთაბეჭდილებას ახდენს და შესაბამის ემოციებს იწვევს. მასში ახალი თაობისადმი მიმართუცაა და მოწოდებაც, რომ მათ წინაპრების ნაევაღარზე მთელი სიყვარულთ შეიცნონ საეეობის მიწა-წყობა, შეისწავლონ და დამახასიოვრონ ის, რაც უოველა პატრიოტიზმისათვის არის უმშვენიერესი და უძვირფასესი.

პოეტის მოხდენილი შედარებები, ხალხური ენა, ხალხური ფრაზები („რას არ ნახავს კაცის თვლი“ ან კიდევ „აქვთ ტერით... იქით ჭილა“...), პოეტურ ელერადობაში ოსტატურად გადმოცეულია განწყობილებები მეთოხველს ამამაღლებულ ეფულემა, პატრიოტული მტუნბარებით აღანთებს მის გულს.

ირ. აბაშიძის პოემა „რას გადურჩა თბილისი“ სინატირესთა არა მარტო იმით, რომ იგი წარმოადგენს ქართულ ეროვნულ საბავშვო მწერლობაში არც თუ ისე ფეხმოცილებული ეპიქოს ეანრის — ისტორიული პოემის თავისებურებათა განვითარებას, არამედ იმიოაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი სამშობლო საბავშვო პოეზიაში, პროგრესული ტრადიციებსა და თანადროელობის პარმიონულ მთლიანობას საფუტკელზე, ისტორიული წარსულისა და თანამედროეობის შთოხის ფრაგმენტირებული ჩვენების, მხატვრული ფორმით გადმოცემის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

პოემაში კარგად ჩანს ჩვენი ქვეყნის ისტორ-

1 იქვე, გვ. 144.

2 შ. კალინინი, კომუნისტური აღზრდის შეხახებ, 1953, გვ. 112-113.

რთული წარსული, სავსე სისხლითა და ნაცუ-  
ხარის ფერადობით, აზრებით, ცრემლითა და  
გონებით, მუხანათობითა და მზაკვრობით, დან-  
კარგული ფუჭების აღდგენითა და განახლები-  
ნადასწრებით. პოეტი მხატვრულ სახეობა  
რეალური თანამიმდევრობით მკითხველს თვალ-  
წინ გადაუშლის საქართველოს ისტორიის მძიმე  
სურათებს, წინაპართა გმირულ ბრძოლებს მე-  
ხანათ მტრების წინააღმდეგ, რითაც უღვივებს  
ჩა წინაპრებისადმი პატივისცემის გრძობას,  
ბუნებრივად უკავშირებს დღევანდელ, ახალ  
თბილისს — სიმშვიდით, სიმდიდრით, თავისუფ-  
ლებით დამშვენებულს.

პოემის შესავალისა და ბოლოსიტყვის მხატვ-  
რულ სახეებში, ამ სახეობა პოეტური ელვადობა  
და იგრძნობა თბილისის სიხალთე გამოწვეუ-  
ლი აღტაცება, აღმავლობა. ერთგულად ტყვე-  
ლები პოეტის მიერ ვადმოცემულია თბილისით  
ინტონაციით რიტმულ ცვალებადობაში, რაც  
თავის მხრივ გაპირობებულია შვიდმარცვლოვანი,  
რვაგამარცვლოვანი და თოთხმეტმარცვლოვანი  
ტაქტების მონაცვლეობით. ეს კი დიდ ესთე-  
ტიკურ განცდებს იწვევს.

პოემის შესავალსა და ბოლოსიტყვის პოეტის  
მიერ მიკუთვნიებული აქვს შედარების ფუნქ-  
ცია თანამედროვე „ოქროსი თბილისის“  
მრისხანე და სისხლიან დროში ავარქმინდ დე-  
დაქალაქთან. პოეტური ენის ცხოველყოფილ-  
ობით, ამბავის დინამიკად ვადმოცემით მილ-  
წეულია რთული შინაარსის ადვილად აღქმა,  
კონკრეტულის ცოცხლად წარმოსახვა, რაც დიდ  
ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. უოველივე  
ეს შედეგია მხატვრული რეალიზმის პრინციპ-  
ების პედაგოგიკურ პრინციპებთან ორგანულად  
შერწყმისა.

პოემის ბოლოსიტყვაში პოეტი გვიხატავს ახა-  
ლი თბილისის მშვიდ და თავისუფალ ცხოვრ-  
ებას, დედაქალაქის განახლებას. ვერაფრე და ცბიე-  
რი მტრის საბოლოო დამარცხებას და ახალი,  
სიცოცხლით სავსე თანადროულობის ფერად  
სურათებს ლაკონურად, მაგრამ ისეთი შტრიხე-  
ბით, რომ იგი პოემის შესავალთან ორგანო-  
ლად არის დაკავშირებული. ამით მიღწეულია  
თანადროულობის ნიშნულ თავისებურებათა  
შთქიანობა და, ამასთან ერთად, ერთგვარი პა-  
ჩაღულია ვადლებული ისტორიული წარსულის  
ბნელსა და მწუხარე ამბებთან, თანადროულო-  
ბის ნათელი სახეების, სიმშვიდისა და თავისუფ-  
ლების დამკვიდრების ჩვენების გზით.

პოეტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ  
ახალმა ვითარებამ, სოციალისტურმა წყობამ  
საქართველო ერთა ურდევე კავშირში გააერ-  
თიანა; ავტორს პოეტურ სტრიქონებში მშობ-  
ლიური ქვეყნის სიყვარული „სამშობლოს“  
ენებაში შტრიხი განდენილობით აქვს წარმოდგე-  
ნილი, თანადროულობამ სამშობლოსადმი სიყ-  
ვარული ორგანულად დღევანდელა მომე ერებ-

თან კეთილყოფელ ცხოვრებას, რაც სიუფ-  
ველთა საფუძველთა იმ წარმატებებისა, რა-  
მელთაც მშობლიური ქვეყანა აღწევს.

ქართულ საბავშვო პოეზიაში მატრიოტიზმის  
ამგვარი ვადება, მისი სიძლიერის საფუძველის  
ერთა თანამედრობობათან დაკავშირება ქმნის,  
მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართ-  
ველ საბავშვო მწერლების პატრიოტიზმთან შე-  
დარებით, თანამედროვე საბავშვო მწერალთა  
პატრიოტიზმის თვისობრივ განსხვავებულობას.

მამა-პაპათა ღირსეული საქმიების შემკვიდრე-  
თა ვანწყობილებანი, საქართველოს წარსულ-  
სადმი და მისი დიდებული თანადროულობისად-  
მი, ქართული ენისადმი უაღრესად ძლიერი სიყ-  
ვარული პოეტური ორნამენტების სიუხეითა და  
აზრველუბრითი მუსიკალური ელვადობით  
მთხმის გრ. ამაშისის ზუსტობითა და ლექსში  
„სიმღერა“. უოველი მელიორი და მელა-  
მხატვრული საბავშვო პოეტური ნაწარმოების  
(და არა მარტო საბავშვო პოეტური ნაწარმოე-  
ბის) ვანსაუბრებულ ღირსებას სწორედ ის  
წარმოადგენს, რომ მშობლიური ენის პარმო-  
ნიით იგი ბავშვებზე ძლიერი ზემოქმედების ძა-  
ლად იქცეს. ამაზე თავის დროს მითითებდა  
ბელინსკი: „დე, მათი ყური შეეჩვიოს რუსულა  
სიტყვის პარმონას, გულა ალოუსა მშვენიერე-  
ბის გრძობით; დე, პოეზია, როგორც მუსი-  
კა, მათზე მოქმედებდეს, პირდაპირ, გულის სა-  
შეალებით“<sup>1</sup>.

ეს დიდა ემთხებოდა ძალა შეუზღვევალ  
გრძნობა ლექსში „სიმღერა“:

„გვიყვარს, როგორც ივანანა,  
როგორც ტკილი ზღაპარი,  
საქართველოს ეა და მიწა,  
საქართველოს მთა-ბარი  
იგი ქვეყნის თვლი აბი,  
ზურმუხტ-ლალი ზენია,  
ალაგ-წითელ, ალაგ-ყვითელ  
ალაგ-აღისფერი  
ან კი როგორ არ გვიყვარდეს  
ხალხი სახელგანთქმული,  
ვეკაცების დედა ენა,  
დედა ენა ქართული!  
თუ მამებმა ააყვავეს  
ველ-მინდვრები ბაღებით,  
ჩვენც სამშობლოს ღირსებით  
მემკვიდრენი ვავდებოდით!  
რადგან ახლა ჩვენს მშველში  
ხენიც, ქვანიც მღერია...  
ალაგ-წითელ, ალაგ-ყვითელ,  
ალაგ-აღისფერი!“

ამ რეალისტური ლირიკული ლექსის ბუნებრივ,  
სადა, გამკვირვალ სტრიქონებში ჩანს პოეტის

<sup>1</sup> В. Белинский, т. IV, 1954, გვ. 88

ძლიერი სიყვარული შშობილი მიწისაღმად, ხოლო ლექსის აზრსა და ესთეტიკურ ტკობას მეორე და მეხუთე სტროფების ბოლო სტრიქონები ალაგ-წითელ, ალაგ-ყითელ, ალაგ-ალისფერია მუსიკალური ელერადობითა, მომჭაფლოვებლად ფერთა ელვარებით კიდევ მეტ მომხიბვლელადაა და ძალას მატებს.

სამამულო ომის თემატიკაზე დაწერილი პოემებიდან, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ გრ. აბაშიძის „ზარზმის ზმანება“ რომელიც ვარკვეული ნიშნებით საბავშვო შერაობის კეთილშეშობასაც წარმოადგენს. პოემა უტრადლებას იპირობს არა მარტო იმით, რომ პოეტის მიერ ეპიკური სიღინჯით თხრობა, ობიექტური სინამდვილის მხატვრული სახეებით ჩვენება რთვორც ფრონტზე, ისე ღრმა ზურგში მომხდარი ახალი უხორცების პროცესების მიხედვით, გამოყენებულია პატრიოტული გზნების მხატვრული განხორცების საშუალებად, არამედ ჩვენი ხალხის მიერ გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ წარმოებულ სამკედრო-სასიციოებლო ბრძოლაში მოხვედრულად არის წარმოსახული ქარისკაცის დედის დიდი ადამიანური ღირსება, სულიერი განცდილი და განწყობილობანი. ამ მიზნით პოეტს საიუკარი ძალით გამოუყენებია ყველა სკიპრო მხატვრული გამომსახველობითი საშუალება. მკითხველზე ლოგიკურ-ემოციური ზეგავლენის ეფექტიანობას პოეტი აღწევს მბავის რიტმული დინებით სტროფების მებრული სტრუქტურის ერთიანშეულობის დაურღვევლად. პოეტისათვის სალექსო ფრაზის დამთავრება ძირითადი პირობაა სტროფებში სტრიქონთა რაოდენობის განსაზღვრისათვის, ამასთანავე, შინაარსობრივი თვალსაზრისით, სათანადო განწყობილებების შესაქმნელად ოსტატურად არის მომარცხებული ინტონაციური ხაზტანმა დედის იმედის დაღუპვის, ტაძართან მსჭდომი, შემკრთალი ბალებებისა და დედის განცდილებისაღმად ყურადღების გამახვილებით შესაზმისი ასოციაციების გამოსაწვევად.

სამამულო ომში საბჭოთა ახალგაზრდობის დაუწყვარი გვირგული სახე შექმნა პოეტმა ი. ნონშვილმა ზოია რუხაძის საბრძოლო ცხოვრებისაღმად მიძღვნილ პოემაში.

ეგტორი ღრმა ემოციურობით წარმოგვიდგენს ზოიას მტკიცე ნებისყოფის, ბრძოლის პათოსისა და გამაჩრვების ურყვე რწმენას, მტრისაღმად ზიზსა და შეფრივებლობას, რაც საბოლოოდ ორგანულად უყავიბრდება საბჭოთა პატრიოტიზმის იდეას.

ერთა შორის მეგობრობის განმტკიცების იდეა, რომელიც ჩვენი კლასიკოსების ერთ-ერთ საზრუნავს შეადგენდა, ქართული საბჭოთა საბავშვო პოეზიის ჩასახვის პირველ დღეებშიდანვე გამოჩნდა მთელი თავისი სრულყოფითი. ამ მხრავ ქართული პოეტური სიტყვის გამოჩენილი ოსტატი ა. მამაშვილი-მირცხულავა იყო

პირველი, რომელმაც საბჭოთა პატრიოტიზმის სიციოტლისწინაინაობა დიდი ემოციური ძალით ჩაქსოვა მოზარდი თაობისათვის საგანგებოდ დაწერილ ლექსებში. პოეტის საბავშვო ლექსების კრებული „პოინერული“, მაშინ, ქართული საბჭოთა საბავშვო პოეზიის ჩამოყალიბების პერიოდში, ერთ-ერთი სრულად ახალი მოვლენა იყო, სადაც კარგად ჩანდა ქართული საბჭოთა საბავშვო პოეზიის განვითარების წარმართველი ძალაც. ლექსში „პოინერული“, რომელშიც სახალისი ობიექტი ელერადობა, დინამიური სვლა და ძალის სიღაღღ მზარდ ტონალობაშია გადაზრდილი, მკითხველს ავრძნობინებს ახალი ქვეყნის, ახალი ძალების დაუშრეტელ ენერგიას, ავრძნობინებს, რომ „გვეშენებებს საერთო საქმე და მიზანი მრავალმილიონიან ხალხს“, „აი, ლაშქარი ამდენი, შეერთებულ ძმურადა“, „თვალეზი თვალეზს ხელავენ, გული გულთივე ვიცანის: გავუზიარეთ ერთმანეთს ჩვენი საქმე და მიზანი“; პოეტს სწამს, „კაცი ენასაც ვაიგებს, აზრი თუ ვასავებშია“. ასეთი სულიერი და აზრობრივი ერთიანობა, მტკიცე დარაზმულობა დიდი საშობლოს დასაცავად ეროვნებათა ძმურ ოჯახში შეკავშირებულთათვის, ნიშნულია სწორედ საბჭოთა პატრიოტიზმისათვის. ამის გამო ელერს ძლიერად პოეტის სიტყვები:

„ერთი დაუთვალავი,  
ზღვა ვარსკვლავებებით,  
ერთია მიზანი — გზა;

მოვდივართ სიმღერით,  
მოვდივართ თანაბრად,  
გუგუნებს მერჯავი ხმა,  
დაქვარით ბარაბანს,  
დაქვარით ბარაბანს,  
დაქვარით ბარაბანს: ბრახს!“

ეს არამარტო პოეტის მიერ საბავშვო პოეზიაში უკვე დიდი ხნის წინ ვავლილი პოეტური გზის მაჩვენებელია, არამედ ძველ სამყაროსთან საბჭოთა პატრიოტიკის შემართების პროცესში დაბადებული საბრძოლო პიშინცაა, რომელსაც თავისებური ისტორიული მნიშვნელობაც აქვს ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარების ეტაპების თვალსაზრისით.

პატრიოტიზმის ამგვარი ვაგების ერთ-ერთ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს გ. კაჭახაძის „ერთია ჩვენი საშობლო“. ამ ლექსში პოეტის გაგება საშობლოს ცნებისა უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი, იგი ეროვნულ ჩარჩოებში, მხოლოდ ეროვნული ინტერესებით არა შემოსაზღვრული და ამდენად ამ ლექსის აღმზრდელიობითი ფუნქცია ხალხთა შორის მშობისა და მეგობრობის დანერგვაშია. ქართველის, უკრაინელის, ჩეხების, რუსის, უზბეკის, ყირა-

ვიზის და სხვათა პატრიოტულ გრძნობაზე პოეტი ამბობს:

„ერთი გვაქვს დედა სამშობლო —  
შინ და გმირების ქვეყანა,  
გზა მეგობრობის, გზა მშობის  
მან მოგვცა, მან შეგავყვარა“.

ქართულ საბჭოთა საბავშვო პოეზიაში ლირიკულ-ეპიური ეპარის განვითარებამ გამოიწვიოდა საბავშვო პოეტის მავალა მრავალშვილის მდიდარი პოეტური სამყაროში შიდა დონის მიაღწია. მავალითისათვის შეიძლება დავასახლოთ „გოგია და ტოლია“ იგი, თავისებურად კომპოზიციით, ბავშვთა ბუნების, ხასიათების, განწყობილებების, ოცნების ოსტატურად გადმოცემის ერთ-ერთ ცდას წარმოადგენს. მასში რეალური სინამდვილე დამოთვრებული მხატვრული სახეებით არის მოცემული. კომპოზიციურად პოემა წარმოადგენს ფრაგმენტული სახით მოცემული ლირიკული და ეპიური თხრობის მონაცვლობას ისე, რომ არ ჩანს შიდაფრაგმენტები და კონფლიქტი. პოეტური მტკიცებულების სისადავე, კონკრეტული ინდივიდუალური განცდები, რომლებიც სოციალისტური გარემოს მრავალფეროვნებით არის გამოწყვეტილი, მკითხველში მძლეურ ემოციურ ზეგავლენასა და ესთეტიკურ ტკბობას იწვევს. სოფლის პეიზაჟი („სიბერობა“, „ნადირობა“, „კალოზე“, „ყანაში“, „ღელეზე“), განცდების მონოლოგური და დიალოგური ფორმებში — შერწყმა, სიტუაციების დინამიური ცვლილებობა, პოეტური მტკიცებულების სტრუქტურა, ერთი მხსნობრივი თვალსაზრისით ეთარღება — გვიჩვენებს სოციალისტური გარემოს ფონზე ერთა შიდა და მეგობრობა. ყოველივე ეს, გოგია და ტოლია მდიდარი სულიერი სამყაროს დახატვით, პედაგოგიური პრინციპების შესაბამისად არის წარმოსახული. ბავშვთა ინდივიდუალური ხასიათები, გულბრწყვილი თუ გულწრფელი ქვეყნები, გაუზიარებლად, ბუნებრივ მდინარეებში იმგავად არის გადმოცემული, რომ, მოთვალვად ფრაგმენტულობისა, მაინც იგარძნობა ნაწარმოების შინაგანი მთლიანობა.

საგულისხმოა მავალა მრველიშვილის სხვა პოეტური ხერხები, რომელიც პედაგოგიური პრინციპის — კითხვა-მივების სახით არის წარმოდგენილი და რომლის სათავე XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ საბავშვო შერლობაშია. ნიმუშად შეიძლება დავასახლოთ ბუნებისმეტყველების თემაზე დაწერილი ლექსი „მზა და ვარდი“, სადაც ბავშვური გულბრწყვილობითა და გულწრფელობით არის ნაჩვენები გოგონას ცნობისმოყვარეობა, დინატორებზე და ამავე დროს ვარდის ზრდისა და კვების შესახებ ბავშვთათვის ვარდული სწორი ცნობების მიწოდება სათანადო პოეტური ხერ-

ხით. ამ მხრივ დამახასიათებელია აქ ორი გარემოება: პოეტის ჩანაფიქრი ლექსის დაწყებულან (და არც სათაურიდან) არა ზარს უკეს მხოლოდ უკანასკნელ სტროფშია გამოკვეთილი, სადაც ბავშვი პირველად იგებს, თუ რა აჩვენებს ვარდის ზრდის და რომ წერალი ფესვებით საყვებს იგი მხოლოდ მიწიდან იღებს. ყოველივე ეს კითხვა-მივების ხერხით არის გადმოცემული.

ამავე თემაზე სადაც, გასაგებად და ემოციურად აქვს დაწერილი ქართულ საბავშვო პოეზიაში ნაყოფიერად მომუშავე პოეტის ნ. ჩაჩავას ისეთი ლექსებია როგორცაა „მზეო, ჩქარა გვეწვიო“, „წვიმე, მოდი, მოდი“ და სხვ. პოეტი მიმართულია ფორმის ოსტატურად გამოყენებით ბავშვებს ბუნებრივად მიანიშნებს მზისა და წვიმის სასიცოცხლო ფუნქციანზე. ყოველივე ეს იმგავად არის სალექსო ტრეპებში ნაჩვენები, რომ პოეტური სიტყვის ელერადობით იგი პატარებში ძალდაუტანებლად ცნობიერდება. ეს უშუალოდ, ბუნებრივობა და დახვეწილი პოეტური მტკიცებულება დამახასიათებელია ნ. ჩაჩავას სხვა საბავშვო ნაწარმოებებისათვისაც.

ორიგნალურად არის წარმოდგენილი და მხატვრულად წარმოსახული მ. ლებანიძის საბავშვო ლექსების ციკლი „ოთხი დრო“. აქ კარგად იგარძნობა ჩვენი ქვეყნის ფლორასა და ფაუნაში დროთა ცვლილებების ნიშანთვისებანი, თავისებურებანი, მომხატვლელობა და მრავალფეროვნება.

უმცროსი ასაკის ბავშვების სულიერი სამყარო, ცეროდენების შთამავლებული მხატვრული სახეები შექმნა პოეტმა ჯ. ჩაჩავამ. ამ მხრივ საყმარისა დავასახლოთ „პაწიწინა ამორტს-მეღები“, „პატარა სიმღერები“ და სხვ. ის, რაც ხიბლავს მკითხველს, ესაა ცეროდენების მართალი, გულბრწყვილი და უეშმაყო ბუნების რეალისტურად წარმოსახვა, რითაც პოეტი ოსტატურად აღწევს ბავშვში დადებითი ჩვევისკენ განწყობილების შექმნას.

მორალური თემაზე, პოეტური დიაქტიზმის პრინციპებზე, ფოკლორული ხერხის გამოყენებით, საინტერესო ნაწარმოებები შექმნა პოეტმა დ. გაჩილაძემ („ტუტულს მოკლე ფეხი აქვს“, „ფეხი და ფეხი“ და სხვ.), სადაც სახე-პერსონაჟების ურთიერთგასაუბრებელი, ამბავის დინამიური განვითარებით მიღწეულია ღრმა შთავგონება — მწვერ ჩვეების ტრამაზობის. ყოვლიზინობის, სიკრუის წინააღმდეგ.

პროფესიული საბავშვო პოეტი ა. ონელი, მხატვრული რეალიზმის პედაგოგიური პრინციპებთან ოსტატურად შერწყმით, მისაწვდომად, შთამბეჭდვად ქმნის სათნობისა და სიკეთის დამწერგავ საუკეთესო სურათებს. მან, პოეტური დიაქტიზმის გამოყენებით, ბავშვებს ცხადად უჩვენა ცოდნისკენ მიმავალი „გზა, რომელიც ბრწყინავს მარად“, ხოლო იგავ-არაკული ეპარის ნაწარმოებებით („რატომ ვყოფს შამალი“, „დოკლამა“) — მოხდენილად აღწევს

მოზარდებში სათანადო ზნეობრიობის აღზრდას, საინტერესოდ არის ავებული ხ. ბერულავას „წყაროს თავგადასავალი“. პოეტის ჩანაფიქრი ახალი თაობის იდეურ-მორალური აღზრდის პრობლემებს უკავშირდება. აქ იღებს სათავეს, საგანგებოდ გააზრებული კომპოზიციური ხერხი, რომელიც ცალკეული ეპიზოდებისა თუ სიტუაციების აღწერას ერთ იდეურ მაკსიმალთან აკავშირებს, მონოლოგიური და მიმართებითი ფორმის გამოყენებით, აზრისა და ბანტიას, მათი შეგობრების სახეთა ინტელექტუალური და ემოციური არსი პოეტურა დიდაქტიზმის პრინციპებიდან გამომდინარეობს. სახეთა სასტეგიაში, კომპოზიციაში კარგად ჩანს იდეურ-თემატიკური შინაარსი. პატარა მკითხველი ადვილად შეიტყობს ამ დადებით, მაღალ აღმართურ გრძნობებს, რაც ახასიათებს ამ უსიუფეტო პოემის ვმარებს.

აქვე ასევე უნდა შევნიშნოთ, რომ პატარა მკითხველის მიერ ნაწარმოების შეცნობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აზრის სიტყვიერ ფორმებში ჩამოყალიბებას, უმისიკის თქმით, სიტყვა აზრის სულიერი სამოსელია, ხოლო ბავშვმა ნაწარმოების აზრი რომ გაიგოს, ის უნდა იყოს სადა, რადგან „სისიდაივე წამდელი ხელოვნებაა“! ამ მხრივ „წყაროს თავგადასავალი“ სადა, დახვეწილი პოეტური ენით დაწერილი ნაწარმოებია, რომელიც პატარა მკითხველში ძალდატანებლად იწვევს სათანადო უმოციებს.

ბავშვებში, მოზარდ თაობაში მაღალი მორალის აღზრდისა და ამავე დროს საზრამციის, ყოყმანის, თავისთავზე დიდი წარმოდგენის წინააღმდეგ გამოჩენილი მწერლების ბრძოლის ისტორიულ ასპექტში თუ განვიხილავთ. არ შეიძლება არ გავიხსენოთ დიდი აკადის სიტყვები ზოგიერთ ახალგაზრდის მიმართ: „წაიციტავენ თუ არა ერთს რამე წიგნს, თავი ფილოსოფოსს ჰგონიან; თუ სხვასაც წაუციტავენ არა თუ ის წიგნი, ათასი სხვაე ამისთანა და წაუციტავენ უფრო შესარგებლათაც, ამის წარმოდგენა აღარ შეუძლიან და ტიკებოიეთ დაბრბოლები და ღრმად ჩაფიქრებულნი დაბრბანდებიან თითქმის ქვეყნის ტერიტორია მათ ზურგზედ იდოს“<sup>1</sup> ასეთი უახყოფითი გრძნობის აღმოსაფხვრელად შესაფერისა შეგონების შემცველი ნაწარმოებების შექმნას დღესაც განსაკუთრებულ ყურადღება უნდა მიექცეს.

თანამედროვე ქართულ საბავშვო პოეზიაში მხატვრული დიდაქტიზმის ერთ-ერთ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ე. გრიშაშვილის ლექსი „ზარმაევი“, სადაც ზარმაევის გასაყიებას საქმელი არა მარტო ერთი შეხედვით არის აღქმული, არამედ მისთვის ნიშნული თვისებები

ზუსტად შეერწყმის ზარმაევის გარგვან მკვლასაც:

ნამოვლები მუხის ძირას,

აკნატუნებ მზესუფიჩრას.

პოეტის მიერ საოცარი სიზუსტით დანახული ესაქმურობის დამახასიათებელი დეტალი მკითხველს პარველი სტრუქტურებიდანვე წარმოუახვას ზარმაევის კონკრეტულ, განზოგადებულ მხატვრულ სახეს.

ასეთივე პოეტური გზნებით სრულყოფილი ფორმით გვევლინება დიდაქტიზმი სხვა ლექსებშიც, სადაც განსვს აქტიური პროცესით მკითხველს შეგნებულად გამოაქვს სათანადო მორალური დასკვნა კირვეული ბავშვის ქვედაზე („მიყიდე“), მუხევალიზე („ნუ ვაძაღვებ ხელისათვის“) ქედამაღობის წინააღმდეგ („ო და ყაყაო“), და სხვ.

ეს მიღწეულია იმით, რომ ამ ნაწარმოებებში პირველადი არის მხატვრული სახე, რის შემდეგობითაც ლექსში ჩაქსოვილი აზრს ბავშვი შეგნებულად, ესთეტიკურად შეიკნობს და ფარმობს; ეს კი გარკვეულ შემოქმედებას ახდენს მის გონებას და გულზე, ამით, რასაკვირველია, განისაზღვრება ლექსის კონკრეტული დანიშნულება, მისი ზნეობრივი შთაბუნება და აღზრდობობითი ფუნქცია. „მხატვრული ნაწარმოები აღმზრდობობითი მნიშვნელობა უდიდესია იმატომ, რომ იგი ერთდროულად და ერთნაირი სიძლიერით მოქმედებს აზრსა და გრძნობაზე“<sup>2</sup>. ამას შედგედ პოეტს მინიშნების აღმებითი ქცევის, მაღალი მორალის შესახებ არ შეიძლება ეთოლსაფურელი შედეგი არ მოაქვდეს.

ზრამისადმი ბავშვების დამოკიდებულება, შრომითი ცხოვრებისადმი ჩვევების აღზრდა პოეტური სიტყვის გამოყენებით, რაც მეცხრამეტე საუკუნის სამოცან წლებიდან ქართულ საბავშვო მწერლობის მრავალფეროვან თემატიაში ერთ-ერთ საბატიო ადგილს იჭერდა (ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა, რ. ურისთავი, შოი მღვიმელი და სხვ.), საბავშვო მწერლობის განვითარების შემდგომ ეტაპებზე, კერძოდ კი თანამედროვე საბჭოთა საბავშვო პოეზიაში, თვისობრივად სრულად ახალ განვითარებას პოულობს.

ეს თვისობრივი განსხვავება შექმნა საოცარ-ლისტურმა წყობამ, რომელმაც ჩუყარა საფუძველი თავისუფალი შრომის გამარჯვებას, რაც თავის მხრე ახალ თაობაში ახალი ხასიათების, ახალი მორალის აღზრდა-განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება გახდა. უმცროსი ასაკის ბავშვთათვის შექმნილი პოეზიაში არ არის მშრალი დიდაქტიკური მოწოდება შრომისაკენ არ კიდევ დიდაქტიზმის პრინციპების საფუძველზე ბოლო საუკუნო ტატივი ხელოვნურად მიტრებული დამოძღვრება, არამედ

<sup>1</sup> М. Горький о литературе. 1937, гл. 110.

<sup>2</sup> „ღრობა“, 1875, № 35.

<sup>1</sup> М. Горький. Лит. критич. стат., 1937, гл. 481.

შრომს-საქმიანობაში, შრომითი პროცესისადმი პატივების მიბაძვის ცოცხალი მავალითები ბავშვური გაცეცების, ფანტაზიისა და შათი რეალური შესაძლებლობის სრული პაპაინიფიკაციით არის გადმოცემული. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საღვესო სტრუქტურაში შრომითი პათოსი, შრომითი ცხოვრებისაგან ბავშვთა დეტალურ ფრანზის მელოდურობისა, ტონისა და რიტმის ცვალებადობაში დიდი ემოციური ძალით იგრანობა. ეს განმსხვავებელი ნიშნულსებება წარსულში ბავშვთათვის შექმნილ ლირიკულ ჟანრის ნაწარმოებებთან შედარებაში, მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი ეპოქის დიდი იდეების მატერიალად ჩვენება მტიკედელ შთაბოძდა ქართულ საბავშვო მწერლობაში ეპიური ჟანრის განვითარებას.

მაღალმხატვრული და მაღალიდებური ქართული საბავშვო პოეზია, რომლის შექმნა წარსულში დაავიწარებულა ცხელის ნოველისტურ პოემასთან („საბარლო ბაბუა“), ფოლკლორული თვისებებების შემცველ გ. წერეთლის საბავშვო პოემა „ლომ-კაციან“, შოი მღვიმელის პოემებთან („კოქოს თავთივი“, „ოთხი ძმა პეპელა“, „ზამთარი და ნიბლია“) და სხვ. ახალ ნათელს, ახალ ფერსა და სურნალებს იღებს უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე დაწერილი საბავშვო პოემებში. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვნება, ადამიანთა ურთიერთობაში დამკვიდრებული ახალი განწყობილებანი, ახალი მორალი ნაჩვენებია ორი საწყაროს შედარება-შემიჯნობის (გ. აბაშიძის, „მოსკოვი-მოსტაი“, „იგი ღლიაი“, „რახთავის მერცხლები“), ხალხური შემოქმედებისათვის ეუთონილ თვისებურებთა მაღალი ოსტატობით გამოყენების (გ. აბაშიძის „ნაბოლარა წიწილა“, „რატომ არ აქვს ეგრდელს კუდი“, „მეცამეტე გოჭი“, ი. გრიშაშვილის „ბაბაჯანის ქოშები“, კ. კალაძის „შხაბუბა წვიმის თეგვა-დახავალი“, „უნაწარე გოგონა“ და სხვ.) საბით, რომელთათვის ნიშნულია სინტერესო სიუჟეტი, ამბავის დინამიურად ვადმოცემის ხერხები, ნათელი პოეტური ფრანზა ბრტის ლოგიკური დანება, მაღალტექნიკური ოსტატული ვარაიციები. ამასთან, თანამედროვე ბავშვთა სულიერი სამყარო, მათი მორალური სახეები, უკეთესობისაგან ღტოლვა, ცხოვრებისეულ სურათების შთამავლებელი ხატვით, ეპიური სიღრმით, სიუჟეტის დინამიურად განვითარებითა, ხასიათთა ცვალებადობის რეალისტური ფერებით წარმოსაბვა ნიშნულია ქართული საბავშვო ეპიური ჟანრის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მავ. მრეულიშვილის, რ. მარჯანიის, ი. ნონიშვილის, მარჯანის, ი. შოსაშვილის, ი. ჩხაიასა და სხვათა საბავშვო პოემებისათვის, რაც მკვიდრ საფუძვლზე ქმნის ამ ჟანრის კიდევ უფრო მაღალ დონეზე ასაყვანად. ამის გამო არ შეიძლება დღესაც გამაყუთრებული ყურადღებით არ მოვეკიდოთ ქართულ

საბჭოთა საბავშვო მწერლობაში ეპიური ჟანრის შემდგომი განვითარების პრობლემას. ეფექტობით, ამჟამად ეს პრობლემა სიმჭობა შედარებითი და ლიტერატურული კრიტიკისათვის უბირველეს სასურნავს უნდა წარმოადგენდეს. ეპიური ჟანრის ნაწარმოებები ბავშვებს ძლიერ უყვართ. ამას საფუძვლად უდევს ამბავის განვითარების სიმძაფრე, ფანტასტიკის უხვად გამოყენების შესაძლებლობა, ამბავის გამართობა ხასიათი. ბავშვს „ბუნებრივი მიტრეკილება აქვს უოველივე იმისადმი, რაც სასიამოვნოა, სახუმაროა და თმამზობის ხასიათი აქვს და გაურბის ყოველივე იმას, რაც მკაცრია და სერიოზული.“<sup>1</sup>

ვერ კიდევ ლეკვა პირველი გამოსთქვა აზრი ბავშვთათვის გამართობი ლიტერატურის შექმნის შესახებ, ხოლო თითქმის ასი წლის შემდეგ ჟონ ნიუბერის მიერ გამოცემული პირველი საბავშვო წიგნი ერთ-ერთი მიზეზი გახდა აღნიშნულ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის წარმოშობა-განვითარებისა.

პროგრესული საბავშვო მწერლობა, რომელიც ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში იქმნებოდა მშრალი მენტალურ-დინამიკის პრინციპებისა თუ ინტროპოცენტრიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, თანდათან ამკვიდრებდა საბავშვო ეპიურ ჟანრს, სადაც სასიამოვნო, სასარგებლო და გამართობი ხასიათის ერთობლიობა მხატვრული სრულყოფით იქნებოდა მოცემული, მაგრამ მისი განვითარება, მაღალ საფეხურზე აყვავდა ორგანულად დაკავშირებულია სოციალისტურ სინამდვილესთან.

ამჟამად ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა საბავშვო პოეტური ეპოსის შემდგომი განვითარებისათვის კიდევ უფრო მეტად ნიშნული იყოს სატირული და პატივობლური სახეების შესაძლებლად ხალხური მტიკეების ორგანულად გამოყენება, აღწერითი მომენტების შეყვება, ამბავის დინამიკური განვითარება, დამინტერესებელი მომენტების ზიური მონაცვლეობით, რასაკვირველია, რიტმული ცვალებადობის მიზანშეწონილ ხვეულებში მოქცევით, ფანტასტიკის რეალიზმის პრინციპებთან შეხამება იმგავად, რომ ხელს უწყობდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული პროცესების გახსნას.

• • •

თანამედროვე ქართული საბჭოთა საბავშვო პროზის განვითარებაზე უფროდ კეთილსურველ ვავლენას ახდენდა ქართული საბავშვო პროზის ისტორიული წარსულიდან მომდინარე პროგრესული ტრადიციები; თუ აღინიშნულ საბავშვო პროზაში პატარა მოთბორების, ესკიზების სახით მოცემული იყო ჩვენი ქვეყნის ბუნე-

1 იან ამოს კომენსკი, რჩეული პედაგოგობრივ თხზულებანი, 1949, გვ. 323

ბის წარმტაცი სურათები, ბავშვთა სახეები, იწერებოდა, სპეციალურად ბავშვთათვის, საბუნებისმეტყველო თემებზე მცირე მოთხრობები, ნარკვევები (მხატვრული თხრობის პრინციპების გამოყენებით. ზოგჯერ საუბრობს ან ზოგჯერ კი პირველ პირობის თხრობით, ი. გოგებაშვილი „ჩიტის ბუდის ფასი“, „ნამი“ და სხვ.) თანადროულობამ საბავშვო პროზაში დამკვიდრებულ ეს ტრადიცია ახალ იდეურ-მხატვრულ დონეზე აიყვანა, მისა საზღვრები გაფართოვდა, თემატიკურად გაამდიდრა და ქანობრივად გაამრავლდა; ვრცელი მოთხრობები, ესკიზები, მინიატურები, სათავგადასავლო და მეცნიერულ-ფანტასტიკური ხასიათის ნაწარმოებები ბავშვებისათვის, ახალი იდეურ-მორალური პოზიციებიდან შექმნილი ლიტერატურული ზღაპრები და იგავ-არაკები, მხატვრული ნარკვევები ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებზე, რომლებიც შექმნილია სოციალისტური რეალიზმის შეთადრის გამოყენებით, მნიშვნელოვანი როლის შემსრულებლნი გახდნენ ახალი თაობის ესთეტიკური და მორალური აღზრდის ისტორიული ამოცანებისათვის ბრძოლაში.

თანადროულობამ გადაჭრით მოითხოვა საბავშვო მწერლობაშიც ცხოვრების ჩვენება თანის წინააღმდეგობებით, კონფლიქტებით, პერსპექტივებით. ამ მხრივ თანამედროვე ქართული პროზის გამოჩენილი ოსტატებისა და საყმაოდ ცნობილი საბავშვო მწერლების მოთხრობები, ტრადიციული თემებისა და მოტივების თვისობრივად განსხვავებულ გავრცელებულ-განვითარებასთან ერთად, პატარა გმირების მოქმედების არეს უფრო ფართოდ გვიჩვენებენ ხასიათების ინდივიდუალური გამოკვეთით. ამ მხრივ არაერთი კარგი მაგალითი დასახვდება შეიძლება, რომლებიც როგორც პედაგოგობის, ისე ესთეტიკური კრიტიკაში მრავალი საინტერესო პრობლემის აღმჭრელი გახდა საბავშვო ნაწარმოების თემატიკის, სიუჟეტის, პატარა გმირის ჩვენების, ქანობრივ თავისებურებათა და საბავშვო ნაწარმოებების ენის სპეციფიკურობასთან დაკავშირებით. ეს უკანასკნელი არ შეიძლება არ უყოფილიყო საბავშვო მწერლების განსაკუთრებული უფრადლების ცენტრში, რადგან ცნობილია, რომ ენის აქვს ორი ფუნქცია — საყოფნეიკური (ცაგებინების) და ესთეტიკური (მხატვრული გამოსახვის). ენის კომუნიკაციური და ესთეტიკური საშუალებათა ერთობლიობით საბავშვო მწერლობის ქმნის სახეს. ენა, როგორც მხატვრული გამოხატვისა და ემოციური ზეგავლენის უძლიერესი საშუალება, მტკიცე კავშირშია ენის გრამატიკულ წყობასა და ლექსიკური ფონდის სპეციფიკასთან, მის განვითარებასთან. მხოლოდ მხატვრული სიტყვის მეშვეობით შეიძლება ოსტატურად მოფიქრებულა ესთეტიკური იზიდავდეს მოზარდ თაობას, ანტიერესებდეს მოქმედების განვითარება, გმირის ბედი, ხასიათის

მერყეობა თუ სიმტკიცე, რომელიც ამბავის განვითარებას შერწყმის, ზოგჯერ მოულოდნელობით, ზოგჯერ ტრავიკული შემოტრიალებით თუ გმირთა აღმაკვლავლობით, ამის გამო ქართული საბავშვო პროზის განვითარების ყველა ეტაპზე ნაწარმოების ენის პრობლემა ყუველთვის იყო ერთერთი აქტუალური პრობლემა.

თანამედროვე ქართული საბავშვო პროზა მეტად მრავალფეროვანია და შეუძლებელია ამ წერალობაში მისი სრული სახით წარმოდგენა. ამის გამო, აქ, მხოლოდ რამდენიმე მაგალითის დასახელებას დავგვრდებით.

თანამედროვე ქართული საბავშვო პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის როლიონ ქობქას საბავშვო მოთხრობებში მოცემულ ბავშვთა ყუფა, ბავშვთა მხატვრული სახეები, როგორც მორალური მიმართებით. ისე მხატვრული შესრულებით პროგრესული ლიტერატურული ტრადიციების შემოქმედებით აღ გამოყენებას უკავშირდება. პატრიოტიზმი, მშობლიური ქვეყნის უზენაესი, ცხოველების, მცენარეთა და ფრინველთა სამეფო, მწერლის მოთხრობებსა და ზღაპრებში მოცემული, ჰქმნის თანადროულობის გამოშხატველ ერთ მთლიან მხატვრულ მოვლენას წერის თავისებურების მანერით, განსაზღვრული ხასიათებით, ემოციებით; ყუფილივეს პატარა მეთხველებს უზენაესივე აღუქრავს ასოციაციებს გმირობასთან, სიყუფსთან, მეგობრობასთან, მისთვის ახლობელ გარემოდან შეცნობილ კონკრეტულ მაგალითების საფუძველზე. მწერლის მოთხრობები, ტრადიციული თემებისა და მოტივების თვისობრივად განსხვავებულ გავრცელებულ-განვითარებასთან ერთად, გამდიდრებელია ახალი მოტივებით, ახალი თემებით, რაც პატარა გმირების მოქმედების არეს უფრო გავრცობილად, ფართოდ გვიჩვენებს: მათ გვხვდებით სამოქალაქო ომის ქარცხლებში, სოფლად, საწარმოში, სწავლაში, შრომაში, პიონერთა ბანაკებში და ცხოვრების სხვა უზენაესზე, ინდივიდუალური ხასიათებით, ოცნებებითა და მისწრაფებებით, მაღალი ჰუმანური ვრწმობათა და მომავლის ღრმა რწმენით, ცალკე, განსაკუთრებულ აღნიშვნის ღირსია ქართული საბავშვო პროზის კლასიკური ნიმუში მოთხრობა „მარილის აყვანიში“.

პოეტი ქალი მარჯანის მოთხრობებმა („მამიდა თვის მარანი“, „ველა“, „ზურა ატმის ქალაქში“ და სხვ.) დიდხანია დაიპყრეს პატარა მეთხველების გულს; ანტიბოშორთების ელემენტების მოხერხებულად გამოყენება, ბავშვთა მოქმედების ფსიქოლოგიური მოტივაცია, ნათელი ფრაზა, ხალხური გამოთქმების, ეპითეტების, შედარებების, ალეგორიის ზომიერად ხმარება, პეიზაჟის ჰეშმარითად მხატვრის ფუნქციონალურად მისი ხელწერის ნიშნული თავისებურება.

მწერლობისათვის პატარა გმირების ასახვის, ჩვენების საფუძველი მრავალწინაგოვანია ობი-

ექტრო სინამდვილე: სოციალისტური სოფ-  
ლის, ინდუსტრიული ქალაქის, საწარმოო  
შრომის, სწავლის, სპორტული სახობებისა და  
სხვა თემებზე დაწერილ ნაწარმოებებში, კარგად  
ჩანს ბავშვური მიახლოება და გონებაშახეილო-  
ბა, გაძლიერებული ცნობისმოყვარეობა და  
თავშეუყვებელი გატაცება, გულცილობა და  
თავმოყვარეობა, გულწრფელობა და მორიდ-  
ბელობა. მათ შორის არიან პატემოყვარენი,  
ძლიერ ცელქნი, რომლებიც საწინააღმდეგო  
შესაბამის შემარისპირებით, ერთგვარი კონფ-  
ლიქტით აშბავის განეთარებაში, ბუნებრივ გა-  
მოვლინებას პოულობენ.

მხატვრულ ოსტატობის თვალსაზრისით მთ-  
რჯანის მოთხრობები შეტად სინტერესოა: უმ-  
რეველეს ყოვლისა, მის მოთხრობებში კარგად  
არის გადამყვებული საბავშვო მწერლობისათვის  
ყველაზე სერიოზული პრობლემა — სიუჟეტის  
პრობლემა. ნაწარმოების მტკიცე კომპოზიციაში  
მოქცეული სხვადასხვა მოვლენათა კავშირი,  
წინააღმდეგობა, სიმპათია, ანტიპათია და, სა-  
ერთაოდ, პატარა გმირების ურთიერთობა, ამა-  
თუ იმ ტიპის ხასიათის ზრდისა თუ ცვალებ-  
დობის ისტორია დინამიურად, სინტერესოდ  
ვითარდება. მარჯანის თხრობისათვის განსაკუთ-  
რებით ნიშნულია სასუბარო ინტონაციასავე ავი-  
ბული ბუნებრივი ფრაზა, რაც ბავშვის განწ-  
ყობილების, გატაცების, ჩუქუნის თუ დაქრე-  
ბის ნიუანსების ცხადად გამოხატველია. ეს  
ზრდის ნაწარმოების ემოციური ზეგავლენის  
ძალას.

აქვე ისიც უნდა აღნიშნოთ, რომ მის ნაწარ-  
მოებებში აშკარად იგრძნობა მწერლის გულის  
სიბოძო და სიყვარული არა მხოლოდ დადებითი  
გმირებისადმი, არამედ სინანული და შებრალებ-  
ბა უარყოფითი თვისებების მქონე ბავშვებში-  
სადმიც. ამის შედეგად, ასეთი ბავშვებისადმი  
გულისტკივილი თუ დადობრივი მზრუნველობა  
და სიყვარული, შებრალებისა თუ მისი კარგ  
გზაზე დაყენების მძაფრი სურვილი, ზოგჯერ  
მწერლის ცივ გონებას ძლევის, ზომიერების  
გრძნობას ართმევს და ილიე გზით წარმოვედი-  
გვს გამოსწორების რთულ პროცესს. იგრძნობა,  
მწერალი ცდილობს ზოგიერთ გმირს მიეშველ-  
ოს, თავის პატარა მკითხველს უკვე გამოსწო-  
რებულად უჩვენოს. ამის გამო ზოგიერთ მოთხ-  
რობაში ნაადრევად ამჩარებას ყველაფერს, რაც  
თავისებური კვალს სტოვებს გარდაქმნის პროცე-  
სის ლოგიკურ განვითარებაზე, ლოგიკურ-ემო-  
ციური თვალსაზრისით ამ პროცესს, ე. ი. გა-  
მოსწორების ამბობტედან შესაძინვეად ამცირ-  
ებს.

თანამედროვე პროზაში ბავშვის მორალური  
სიხის ჩვენება ძირითადად პრინციპულად ეწინა-  
აღმდეგება წარსულში ტრადიციულად დამკვიდ-  
რებულ ხელოვნურ სქემებსა და პატარა გმირე-  
ბის არაბუნებრივ მეტყველებას, რომელიც კარ-  
გად არის ცნობილი არა მარტო ქართულ, არა-

მედ დასავლეთ ევროპის საბავშვო მწერლობა-  
ში. ამ შემთხვევაში საბჭოთა პედაგოგიური  
მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების გამო-  
ყენება საბავშვო მწერლობაში, პედაგოგიური  
ფსიქოლოგიისათვის ნიშნული თავისებურებე-  
ბის საფუძველზე ბავშვის სულიერი სამყაროს  
ღრმად შესწავლა და მხატვრული გადმოცემა,  
საბავშვო მწერლობისათვის ერთ-ერთი უადრე-  
ხად სერიოზული პრობლემა გახდა. დღის უკვე  
არ არის სადავო როგორც რუსულ, ისე ქარ-  
თულ საბავშვო მწერლობაში ამ მხრივ რომ  
მნიშვნელოვანი მიღწევები მოპოვებულია. ქარ-  
თულ საბავშვო მოთხრობებში, მინიატურებსა  
და ესკიზებში ამისი ბევრი კარგი მაგალითის  
დასახელება შეიძლება.

პროფესიულ საბავშვო პროზაიკოსთა მომდევ-  
ნო თაობაში ყველაზე პროდუქციულია მწერა-  
ლი ლავრენტი ჭიჭინაძე. მისი მოთხრობები,  
გეგირობთ, განსაკუთრებულ ყურადღებას იქ-  
ვეს უშვებლობით, ბავშვთა განწყობილებების,  
ამაჰლტებელი ნატურისა და ხასიათის ჩვენე-  
ბით.

ნ. კეცხოველის საბავშვო მოთხრობებში წარ-  
მოსახულია საერთოველს ზღაპრული ბუნება —  
შეგარი მთასველვლები, ყვავილია და მცენარეთა  
უმშვენიერესი სამეფო და ამ მომხიბველობა-  
ში ბავშვთა მხატვრული სახეები და ხასიათები.  
საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითა-  
რების მაღალმა დონემ გააძირობა ქართულ სა-  
ბავშვო პროზაში ამ ტრადიციის გაგრძელებისა  
და განვითარების აუცილებლობა ჩვენი ეპოქის  
შესაბამისი ამოცანების მიხედვით.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ,  
ნიკო კეცხოველის შემდეგ, როსტომ ელანიძე  
სასახელოდ აგრძელებს კლასიკურ ტრადიციას  
საბავშვო მწერლობაში. მწერალი ასულგებუ-  
ლეს ბუნებას, ლაბარაკობს იმაზე, რაც ბავშვის  
გათვითცნობიერებისათვის, ბუნებაზე და ბუნე-  
ბის მოვლენებზე მეცნიერული წარმოდგენე-  
სათვისაა საჭირო, მაგრამ აქ უმთავრესი მინი-  
შე მხატვრულია, ხოლო გათვითცნობიერება მის-  
ზეა დამოკიდებული.

ბუნების საიდუმლოების ამოცნობისათვის მო-  
სწავლეთა სინტერესო მოგზაურობანი, ძიებანი,  
რომელნიც მრავალსაბოვანი ასოციაციების აღმ-  
ძვრელნი შეიქმნენ, ქართულ საბავშვო მწერ-  
ლობაში როგორც თემატიკური სიბუნე თანდა-  
ნი ფუნს აკლდებდა. ამ სიხის პირველი მაღალ-  
მხატვრული ნაწარმოებები, შექმნა გამოჩენილ-  
მა მწერალმა ლეო ქიანელმა („ხეთთანის საიდუ-  
მლოება“) მისთვის ჩვეული სიუჟეტის ოსტატუ-  
რად გამლით, დახვეწილი სტილით, მდიდარი  
ხალხური ენით. ამ თემის შემდგომ მხატვრულ  
განსხვავლებას ვხვდებით ს. მთავაძის, გ. შატ-  
ბერაშვილის, ლ. მარულაშვილისა და სხვათა სა-  
თავგადასავლო ნაწარმოებებში.

ახალი თაობის სხედამსხვა ასაკისათვის საკი-

თხავი წიგნების სფეროში დიდხანია მტკიცედ დამკვიდრდა ქართული მხატვრული სიტყვის ცნობილი ოსტატის ანდრო ლომიძის პროზა, რომელშიც საქართველოს მრავალფეროვანი პენჯეი, მდიდარი ფლორა და ფაუნის მომხიბვლელი სამყარო, მონადირეა და მებღვანეთთა განცდანი თუ ლტოლვანი, გაწყობილებანი თუ ინდივიდუალურად გამოკეცილი ხასიოები, სინტერესო თავგადასავალი თუ ეპიზოდები კომპოზიციურად მტკიცედ შეკრულ ნაწარმოებებში უშვებლობით, გემოვნებით და მხატვრული სისრულით არის გადმოცემული.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მწერლისეული ინდივიდუალური სტილი — მოკლე დრამა, საგანგებოდ შერჩეული მხატვრული შედარებანი, აღწერითი მომენტების ნაწარმოებში ისე ზომიერად წარმოვა, რომ იგი ამბავის დინამიურ მსვლელობას არ ანელებს, დახვეწილი დიალოგი, მსუბუქი იუმორი ა. ლომიძის მოთხრობებს სახალისო საკითხავ ნაწარმოებზე ხდის.

ქართულ საბავშვო პროზაში სამამულო ომის თემებზე შექმნილია არაერთი შთაბეჭდილებელი მხატვრული სახე, რომელიც დღესაც ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას. ყველა ისინი ქართული საბავშვო მწერლობის ძვირფასი შენაძენია. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მოთხრობაზე შევაჩერებთ ყურადღებას, სადაც გამოქვეყნდა ბავშვის სახე ფრონტიდან მომოსვლით, ღრმა ზურგში ცხოვრების ფონზე.

არ შეიძლება გულგრილად წაიკითხო ნ. ნაკაშიძის „არიშკა“, სადაც გამოჩენილი საბავშვო მწერალი ქალი არც ისე ბოლო სიუჟეტით, ცოცხლად, დინამიური თხრობით წარმოგვსახავს მომხმარებელს რესპუბლიკიდან ევაკუირებულ არიშკას თავგადასავალს, მის მძიმე სულიერ ვითარებას. ის გამოქვეყნდა ნგრევას, სიკვდილს. დეტოვა ცეცხლში გახვეული, დანაყარებული მშობლიური კუთხე და საქართველოში კეთილდამიანებთან იზოგა ბინა. მოთხრობის ღირსება იმამში მდგომარეობს, რომ მწერალმა შეძლო ბავშვთათვის მისაწვდომი მხატვრული სახეებით დამაჩერებლად ეჩვენებინა უღელმწივლ დარჩენილი ბავშვისაღმა ჩვენი ხალხის დიდი სიყვარული, მზრუნველობა და მისი ბედისაღმა მიაღობა ზემანური დამოკიდებულება.

სამამულო ომის თემზე დაწერილ საბავშვო მოთხრობებიდან საგანგებოდ უყრადღებას იქცევს ქართული მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატის დენა შენგელიას მოთხრობა „მეოთხე მშა“, რომელიც, დამსახურებულად, დიდხანია მტკიცედ დამკვიდრდა ქართული ლიტერატურის პროგრამაში, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო საბავშვო მოთხრობა.

„მეოთხე მშა“ ქართულ საბავშვო პროზაში სამამულო ომის თემზე დაწერილ მოთხრობებიდან იმით განსხვავდება, რომ მასში დიდი ემოციური ძალით, დამაჩერებლად იჭრება მათა

და შვილთა, ძველი და ახალი თაობის ერთიანი სასიცოცხლო და მარადიული გრძნობის — მატრიოტიზმის დიდი ძალა, ნაწილები შეწყობის საბარბალო საქმეების გმირულად გაგრძელებლობა მთელა პლენად. ერთი მხრივ ძველი მატრიოზანული დრამა, რომელიც „ფრიალო დამონძილა, ტყეებით დაცხვებულა, ემათა ვითარებისაგან გახუნებულა, ოქროს წარწყვაც აქა-იქ დასცივინა“ და მეორე მხრივ „ახალ ტარზე დაგებული დროშის ქვეშ“ შანსებით ხელში მდგომარ დედის, იქვე მყოფი მოხუცის, სახალხო მოღმჭრეთა, ონავარა შვილიშვილისა და პატარა გაიანას სახით მწერალი ქმნის მამათა და შვილთა მტკიცე ერთიანობის მომხიბვლელ სურათს.

პატარა ბიჭის, ონავარას, მეომბე მძის კოლორიტული სახე, ბავშვური მიამიტობა, ანულობა, მიხვედრილობა, გამბედაობა და სიყვდილის შიშის გაქარწყლება მწერლის მიერ იმე ღრმად, ისე სულში ჩამწვდინდა, დამარწყვინებლად არის დაბატული, რომ მკითხველში სწრაფად აღძრავს მღელვარე გრძნობასაც.

მოთხრობის მდიდარი ლექსიკა ფრანის ოსტატური ორგანიზაცია ნათლად შეტყვევებს იმ ფორმებზე, რომელიც მწერალს მისთვის ჩვეული ოსტატობით გამოუყენებია ბიჭის სახის გამოსახატვად. ნაწარმოებში კარგად ჩანს მწერლისათვის დამახასიათებელი თავისებური სინტაქსური სტრუქტურა — ინტონაციურად დამატარებელი მოკლე ფრაზები, აღწერითი მომენტების სიმკირე, რაც სიუჟეტის დინამიკურ განვითარებას ორგანულად უწყობს ხელს.

ამბის თანამდებურულ განვითარება, კონფლიქტის მზარდი დაძაბულობა და მასთან დავაშორებულ მოქმედ პირთა შინაგანი დრამატიზმი, მოთხრობის იდეური შინაარსი და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებათა ოსტატურად გამოყენება ცოცხლად წარმოგვიდგენს ძირითად კოლონიას. იმისათვის, რომ ბავშვმა ღრმად გაიგოს ნაწარმოების კოლონია და იდეური შინაარსი, წინაპრათა მატრიოტიკული ბრძოლების ღირსებულად გაგრძელებულა გმირული სული შემცველი იესოს დიდი ემოციური ზეგავლენის ძალისა, მწერალი საგანგებოდ, მგარამ სრულად ბუნებრივად აქცენტობებს აკეთებს უმნიშვნელოვანეს სიუჟეტურ მომენტებზე და ხასიათების გამოსაყვეთად სხვა ეპიზოდებზე, რაც ქმნის მოთხრობის სიუჟეტურსა და იდეურ-კომპოზიციურ თავისებურებას.

ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატის ს. კლდიაშვილის მოთხრობაში „ზურია“ კავკასიის ფერდობებზე ომის ქარაცხვლიან დღებში ერთ-ერთ ოჯახს ცხოვრება წარმოსახულია. ამ ოჯახს ბავშვის ზურიათა ცოცხალი, კოლორიტული სახე არ შეიძლება მკითხველს არ დაამახსოვრდეს. ნაკრისფერი კლდეები, თეთრი მწვერვალები, თეთმფრინავების ლანდები, აფეთქებები, დან-

გრეული და დამწვარი სახლები, ბილიყებზე თუ წაჯარნებზე მებრძოლთა გზის მანვენებული ზურგის გასწვრივ აღმართა, ომის შემდეგ ახალი სოფლის სახეშეცვლილ მიდამოებში შეხვედრა, სიბარული, განცდები ისე უბრალოდ, ისე ემოციურად და მომზიბლველად არის გადმოცემული, რომ მკითხველი მადლიერი რჩება მწერლის მადლიანი კალმისა.

ომის მძიმე დღეებში ჩაბნელებული ქალაქი, ქალაქში საოცრად დაძაბული ცხოვრება, გერმანიური სიძნელეები, მძიმე განცდები არის ნაჩვენები გ. ჩიქოვანის მოთხრობაში „დაურტული ბერთი“. ომის ნაკვალავის ღრმა ჭრილობა, დილაქანზე შერღულიანი და ჩიტანი ერთად მიწვინით გატანილი ბავშვის უსიცილოდ სახე თუ ერთი მხრივ აღძრავს უსიცილოდ მწვავე აღმანიერ გრძობას დაღუპული სიცოცხლის მიმართ, მეორე მხრივ გულისწყრომით გეყვებს იმით მიმართაც, ვინაც ბავშვის სიცოცხლე ამ მდგომარეობაში ჩააგდო და ანატორად დაბატონული ცხოვრებისეული სურათები პატარა მკითხველს გულის და გონებას ერთი დღი მიხანსწრაფვისავე წარმართავს. გ. ჩიქოვანს აქვს სხვა მოთხრობაც, „მეორე ოქაბი“, სადაც ახალი თაობის შესანიშნავი, ცოცხალი სახეება ნაჩვენებია. ეს მოთხრობა დამასხურებულად გაბდა ფართო მკითხველთა საკუთრება.

სამამულო ომის თემზე დაწერილი მოთხრობებიდან, განსაკუთრებული ნაშნით, მხატვრული თავისებურებით ცალკე უნდა გამოყოფთ ერთი ფსიქოლოგიური ნოველა; აქ არ არის აღწერილი არც ტანკების ლეწვა, არც თეთმფრინავების გამაყრუებელი გუნჯი, არც ქალაქების ნგრევა, არც ცეცხლიანი ქაოსი, რომელიც მშობლიურ მიწას ბუგავდა, და არც ბავშვის უშეალო მონაწილეობა ომის ქარცეცხლში, მაგრამ როდესაც ჩვენ ქართული მხატვრული პარობაში გაინდა გამოვარჩიოთ საბჭოთა ხალხის დიდ გამსიღვლიანი ორგანულად დაკავშირებული სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის ქარიშხლიან დღეებში ბავშვის სულიერი საწყაროს შესაცნობი მხატვრული სახე, ჩვენი ფიქრები და აზრები არ შორდება პატარა გმირის, საბრალო ცაბუნის დაზღა და წიხლის, წუთიერად გამოწვეული სიბარულითა თუ აღტაცებას.

ფიქრობთ, ამ მხრივ, ქართული საბავშვო მწერლობის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ქ. ლორთქიფანიძის „ცაბუნისა“, რადგან იგი, ჩვენი ღრმა რწმენით, განეკუთვნება ქართული საბავშვო პროზის სურწყესაც, თუმცა იგი ბავშვთათვის არ არის დაწერილი. მწერლის ისეთი სახეშეგო ნაწარმოებების შემდეგ, როგორცაა „ბიონერი თანლო“, „მებრძოლი ბიონერი“, „სანაბრო“ და სხვ. „ცაბუნია“ საბავშვო მწერლობაშიც მეტად საინტერესო მოვლენია.

მწერალი ღრმად სწვდება თერთმეტი წლის გოგონას სულიერ საწყაროს, მის განცდებს, მის

ოცნებას, მის დამტანველ ფიქრებს და ამის შედეგად ბუნებრივად, უშეალოდ, განვადგინების თუ რა ძლიერია მასში მამობრივ რწმენის ღვაწიანი გრძობა.

ამავე იშვიათ ღრმა ზურგში, სადგურ სამხატვროდიაში, დღიე სამამულო ომის მძიმე დღეებში. პატარა ცაბუნია არ არის გმირობის ჩამდენი; იგი ხსიათის, განწყობილების, ნატერისა და მისწრაფებათა ისეთ სფეროშია მოქცეული, რომლის იქით მაინც ოგრძობა მდელურე ცხოვრების სუნთქვა, ომის ქარცეცხლი და სისხლიანი ნაკვალავი, უმძიმესი დღეების მშფოთვარება, რომელიც ნორჩ სიცოცხლეს სიბარულის მზეს უქრობს.

კითხვობ მოთხრობას და გესმის ნაწვიმარ თემშარზე „ახლიაის ძობის“ დიდი კალიშების ტყაუნი, ზედაც გოგონა ნაწვიმარ გუბეს გვერდს რომ ვერ უვლის, შორიდანვე გამოიქცევა და ზედ გადავლება, ხანდახან მანძილს ვერ მოზოშავს, ნახტომი შეეშლება და წუმშეში ტყამანს გააღებს, ან კიდევ „ცაბუნის“ ზეგნებით სანდლებს გაუჩერებლად ჩაიქცემს და სადგურისავე მოუტრცხლავს. მაგრამ იგივე გოგონა მამის ამბის გასაგებად მოსული დაკრილებით სავსე ვაგონის ვიწრო დერეფანში დადის „როგორც ლანი, არაფერს წაქცევს და არავის არ შეიწუხებს“, მაგრამ აი, მამის შესახებ „საიმედო ამბები“ რომ მოისმინა, „სიბარულის ელდამ აღვილიან მოხსილტა, სანდალზე შესაყრავი გაუწყდა. ზერე სანდალიც უშალევი წაბრო და ფეხშიშველი მოქურცხლა“. აქ სრულიად სადაც, ცოცხლად არის ვადმოცემული ბავშვის მოჭარბებულ აღტაცება და ამის შედეგად დედისეფ თაუშეკავებული სწრაფეა. ცაბუნია გულბრყვილოდ ენდობა უნადაგო სანუგეშებელ სიტყვებს და ამით ერთგვარად შორდება ეკვების აღმტერელ შიშსა და მკაცრ სინამდვილეს, მძაფრ სულიერ მდელურებას, მაგრამ სატყვები, რომელიც მასში აღტაცებას იწვევს, ეს მხოლოდ ფსიქოლოგიური ზემოქმედების ფაქტორად რჩება. ვაივლის ღრო, ცაბუნია მაინც ვერ გაეჭეცევა მწარე სინამდვილეს, იგი მაინც ვაივებს მამის დილუშვის ამბავს, ვაივებს და მკითხველი აქედანვე წარმოიღვემს პატარა გოგონას თუ როგორ აუწყებდა გული, აუთროთობდა ბავები და აყაყალბებულ ცრემლად როგორ დაიღვრება.

ამ პატარა მოთხრობაში გამსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მწერლის წერის მანერა; საგულისხმოა ის ფაქტი, რომ „ცაბუნიაში“ ლოგიკურ-ემოციური თეალასწრისით გაამბილებული ავტორისეული გამოთქმები თუ მკაცრად ჩამოყალიბებულ დიალოგებში მოქცეული ფრაზები ორგანულ კავშირშია ნაწარმოების სხვა მხატვრულ კომპონენტებთან და ამით ბრწყინვალედ არის განზორცავებული მწერლის იდეურ-მინაორბორივი ჩანაფიქრი; ამასთან საგულისხმოა

ოსი, რომ მწერლის თხოობის დინჯ დინებას ორგანულად შეერწყმის ეპისტოლური ფორმით ამბის გავრცელება და ბუნებრივი დასასრულიც.

აქ ყურადღებას აქცევს ის გარემოება, რომ თხოობის უპიური დინება ეპისტოლურ ფორმაცშიც ინარჩუნებს მითხრობელის პირველი სიტყვიდან მომდინარე ინტონაციის, რაც ქართულ ეროვნულ საბავშვო მწერლობის ისტორიაში, კერძოდ, საბავშვო პროზაში ამ სახით პირველად გვხვდება.

ქართულ საბჭოთა საბავშვო პროზაში უფროდ კარგი სიხლვა მოგზაურული ჟანრის ნაწარმოებებს, მოგზაურის ჩინაწერის წიგნის გამოჩენა (ლ. ვითუას „მოგზაურული კრილოვანი“). რომელშიც ფარმონა თავის ქვეყნისადმი დიდი სიყვარულით გამოთბარი მწერლის სუნთქვა და გულის ფეთქვა. იგრძნობა თუ რა ძვირფასია მისთვის მშობლიური ქვეყნის გუგული ქაობები, მიუფალი გამოქვაბულები, აუგალი მწვერვალები და ის აღმჩანებები, რომელთა სიცოცხლე, როგორც ტყბილი სიყვარული, გადაერთო „სულის ჩამდგმელ მხარეს“. ასეთი ნაწარმოებებს აღმზრდელობითა და საგანმანათლებლო ფუნქციები მეტად დიდია, რადგან ისტორიულ წარსულონ ერთად თანამედროვეობის ცოცხალი სურათებიც დაუფიქრებარ შთაბეჭდილებებს ტოვებს.

ქართული საბჭოთა საბავშვო პროზა სხვა მიმართულებითაც ვითარდება: გამოჩენილი მწერალთა, ხელოვანთა, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების, ხალხის საკეთისათვის შებრალო მამაცი გმირების ბიოგრაფიიდან შერჩეული უბიზოლებს ღრმა ემოციურ, მხატვრულ სახეებში გამოყვებას, ბავშვთათვის, ახალგაზრდობისათვის მისაწვდომი ფორმებით დოკუმენტური მოთხრობებისა და რომანის სახით შექმნას უკვე სათანადო ყურადღება მიექცა (ე. დივდარიანის „პოეტის სიკვამლე“). მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი ეპოქის ახალი თაობის ესთეტიკური გემოვნების ზრდის, მათი განათლების დონის, აღმჩანა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მათ იდეალებზე წარმოადგენს გაფართოების პირობებში დოკუმენტური პოზის განვითარებამ კიდევ უფრო მაღალ დონეს უნდა მიადგინოს.

ცალკე უნდა აღინიშნოს უაღრესად ნიჭიერი მწერლის, ჩვენგან ნაადრევად წასული გიორგი შატერაშვილის ღვაწლი, რომელმაც თავისი მხატვრული სიტყვით გაამდიდრა ქართული საბავშვო პროზის საუქნე, თუნდაც ისეთი ნაწარმოებებით, როგორცაა „სათაფლი“, „ხორბალი“, მტკერის სათაფისაკენ“ და სხვ.

უფროდ საინტერესოდ არის დაწერილი მ. მრქლავილის სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოები „იყალბოული ბიჭები“.

ქართული საბავშვო პროზის ოსტატები სათანადო ყურადღებას აქცევენ ერთ ფრიად სე-

რიოზულ მომენტს, რომელიც პატარა გმირების ზნეობრივი სახის ჩვენებას შეეხება და დიდი აღმზრდელობით მნიშვნელობა აქვს. ეს კეთილშობილური თვისებები მკვირ-პირველ მხატვრულ მკითხველს სიმაპაიებებს და მასში მოხლოდ მისინ ბალებს მიმზაველობის სურვილს, როდესაც იგი გმირის შინაგანი ზნეობრივიდან მომდინარეობს და მწერლის მიერ ბავშვის კონკრეტულ ქცევაშია მოცემული.

მხატვრულ ნაწარმოებში მთავარია ბავშვის სიყვით ისე იყოს ნაჩვენები, რომ ეს სიყვით არ იყოს, ერთი მხარე, იმისი შედეგი, თითქოს გმირის ვინმეს ეშინია და იძულებულია ასე მოიქცეს, ან კიდევ ცდილობდეს სათანადო სასუქლი აცდინოს, ხოლო, მეორე მხარე, მისი კეთილი ქცევის სუბიექტური, ფაქტურ გარჩნება უკავშირდებადეს კეთილი ქცევისათვის სათანადო ჩილდის მიღების მოლოდინს. პატარა გმირის კეთილი ქცევა მის შინაგანი ზნეობიდან ბუნებრივად უნდა გამომდინარეობდეს მთელი თავისი ნათელი სახით. ამ თეატლსაზრასათ ერთ-ერთ საუკეთესოს მოთხრობას წარმოადგენს რ. ჯაფარიძის „ფალავანი“, რომელიც მსუბუქი, გასაგებნი და ხატოვანი ენით არის დაწერილი. მოთხრობაში ორი ხასიათია ერთიმეორესთან დაპირისპირებული გონასა და გოგონას სახით. ერთი თერ ტრამბახა, თავის თავის მღიერებაში დარაწმუნებული ცდილობს სხვებიც ამაში დაარწმუნოს, მეორე მოზიდებელია და სრულად არ ცდილობს შინაგანი ძალა და შესაძლებლობა, რაც მას მართლაც გააჩნია, თანამოწონების საგანად გახადოს. თუ ერთი თავის უპირატესობის გამოხატოთაა შეპტრობილი და არც კი ცდილობს მეგობრული სიბოზს გამოჩენას, მეორე მეგობრული გულწრფელობით სილაღესაა მიცემული. მკითხველს თვალში არ ეცემა მწერლის ტენდენცია, კერძოდ, ბავშვებში ეგოიზმის დაგმობა მოთხრობის ღირსეული იშაშია, რამ ამის მკითხველი გრძნობს სიუეტური სიმძაფრეში, ხასიათების ოსტატურად დახატვის შედეგად მიღებულ ესთეტიკურ განცდებთან ერთად. ეგოიზმის თემზე ასეთ მაღალ იდეურ-მხატვრული ნაწარმოები იშვიათია ქართულ საბავშვო პროზაში. უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვეობამ ბავშვებში ამ მავნე ვადმონამოსის აღმოფხვრა ერთ-ერთ ურთულეს ამოცანად დასაბა. ბელინსკის სიტყვები — „ამე ახლა ბევრს ეფიქრობ ეგოიზმის შესახებ. ეს საინტერესო საგანაა კულევისათვის, წყვიდადისა და ბორცებების სულის სხვა არაფერია თუ არა ეგოიზმი“ — დღესაც ბევრის მიქმელება.

საინტერესოა მოთხრობა „ზარბაი მამუკა“. ამბავი სახალისოდ ვითარდება, მაშუას საქციული ისე დინამორად, ისე ცოცხლად არის ნაჩვენები, რომ ბავშვი მას თვალმოუშორებლად ბოლომდე ჩაიკითხავს. ის, რაც მთავარია, ბავშვის გამოსწორება ყოველგვარი დიდაქტიზმის.

ვარემ არის წავეყნები. ეს კი დიდ ესთეტიკურ ტიპობასთან ერთად, სათანადო მორალურ დასვენებას ბუნებრივად გამოატანინებს პატარებს. სტილი, ლექსიკური ფონდი სადა, ხალხური და ასაკისათვის შესაბამისია. ზოგიერთი სიტყვა ხილბუხი ზღაპრიდანაც არის გამოყენებული. ასე, მაგალითად, ქართულ საბავშვო მწერლობაში სიტყვა „ციმ-ციმ“ პირველად გამოჩნდა ხალხურ ზღაპარში („ფასა“), რომელიც დაიბეჭდა „ჩეჩელიში“ 1890 წ. № 3-ში — ასეთ კონტექსტში: „ციმ-ციმ გამოქანეს“. მდიდარი ხალხური მტყუპელები, რასაკვირველია, საბავშვო მწერლის მიერ (და, საერთოდ, მწერლის მიერ) ყოველთვის ყურადღებას იქონიან უნდა იყოს მოცემული, რითაც იგი ხელს შეუწყობს ახალი თაობის მიერ ენის სიმდიდრის დავლენას, ხოლო, მეორე მხრივ, ილიას სიტყვით რომ ვთქვათ: „ნიჭიერი მწერალიც იმისათვის არის სასარგებლო ენისათვის, რომ თავის თბურლებში ენის სიმდიდრე გამოაჩინოს ხელში“.

ა. აბულაშვილისა და ე. კობერიძის მოთხრობა „მამანეში მაცე ჩამოვა“ ასახავს საბჭოთა სკოლის სრულიად ახალი ტიპის — ინტერნატის მრავალფეროვანი მუსიკის თვისებურებას; მოთხრობაში ცოცხლად, შთამბეჭდავად არის გადმოცემული ბავშვთა კოლექტივის სუბიური განწყობილება, მათი მორალური სახე გადასჯარბებლად არის დახატული. სიფრთხილით, მაგრამ გულისხმიერად მოპკიდებთან ავტორები აღმზრდელ-მედიკოსების სახეების შექმნას, სანატორიუმის ექიმის კეთილშობილურ ქცევის ჩვენებას და სხვ.

უკანასკნელად პატარა მკითხველებმა მიიღეს მ. ელიზბეგოვის საბავშვო მოთხრობების წიგნი. პატარა ზურასა და თენგოს მოუხევენარა, მკვირცხლი, სიცოცხლით სავსე ქცევაში ჩანს გულწრფელობაც და ფრთხილი უშეშაობაც. ბავშვური მიამიტობის, ხასიათის ჩვენებისათვის მოთხრობაში კარგად არის გამოყენებული ფოლკლორული მასალა. მხოლოდ აქ დათვლის საფუძვლად მწერლის მიერ გამოყენებულია „წვეილი ზურჩხელა“. სხვა შემთხვევაში, ფოლკლორში „ეს ერთი ზურჩხელას“ რიგობითი გამოჩენილობა ცნობილი, კეთილ ჩანარით ბავშვს კითხვის ინტერესს უქმნის. ამგვარი ხერხი ყოველთვის იყო მისაღები და ეფექტობო, რაც უფრო უკეთ გამოვიყენებთ ფოლკლორს, ხალხურ გამოთქმებს, მახვილსიტყვაობას, მით უკეთესია.

ი. ურჯველშვილის „სუფოროველები“ ერთ-ერთი კარგი ნაწარმოებია, რომელიც თემატურად და მხატვრულად გამოირჩევა მის შემოქმედებლადან. მართალია, მწერალმა შექმნა ავრთვე ვრცელი მოთხრობა „სამხრეთის ვარსკვლავი“ ფეხბურთით ბავშვთა გატაცების თემაზე, სადაც გიგუმს, დიოსს, გიფის, ტარიელის

კოლორიტული სახეებია მოცემული, მაგრამ თუ მის „სუფოროველებს“ შევადარებთ, სადაცოცხლო მოთხრობები აღიძვრება. ამას, უნდა შევხედოთ „სადაც“ სა, ზოგან ვაჭიანურებელი აღწერა „სამხრეთის“ ერთი ტონი ქმნის.

ე. ფიფიანის „მოთხრობის საქანელა“ სოციალისტური მშენებლობის, კერძოდ ნეტარების მშენებლობის ფონზეა გაშლილი. აქ ერთიმეორის უპირისპირედობია, ერთი მხრივ სოფლის წილში აღზარდილი ლია, ვახტანგი, ჭეშმერი და მეორე მხრივ ქალაქელი დათა, მანანა. ამბავი სწორხაზობრივად კი არ ვითარდება, არამედ განწყობილებათა, ხასიათთა დაპირისპირებით.

მოთხრობაში ყურადღებას იქცევს მანანასა და ჭეშმერის სიმამათის, ურთიერთ გუბუდავი სრეკარდის მტკიცე მორალურ ჩარჩოში ჩვენება.

ახალგაზრდების ერთმეორისაკენ გულწრფელ ლტოლვას, სიყვარულის უფაქიზესი გრძნობების თვისებურად ჩვენებას ვხედავთ ა. გეგუბის „ლახარეს წყაროშიც“. ეს შეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც მწერლის მართალი თვლით არის დანახული მოზარდთა სიცოცხლით სავსე ყოველდღიურობაში. ამასთან დავამოვიხილოთ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა ბავშვების გონებრივი განათლების დონეც წარმოშევა საიუბი შეიქმნას საბავშვო რომანი. ასეთი რომანის ფუნქციას მოზარდი თაობის გაზრდილი ესთეტიკური ცნობიერების დაკმაყოფილება უნდა შეადგენდეს. ეს ახალი საერთობია. ცხადია, დღეს „ფისუნებისა“ და „თავუნების“ შესახებ დაწერილი მნიშვნელოვანი და ესკაზული მოთხრობები მხოლოდ მეტად განმარტდური ასაკის ბავშვების კეთვნილებად იქცევა. უკვე საქარია ფართო პლანინი საბავშვო ნაწარმოებების შექმნა, რაც სპეციალური განსჯის საგანი უნდა გახდეს.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საბჭოთა საბავშვო მწერლობაში იგავ-არაკელი ენარი, სხვა ენარებთან შედარებით, ჩამორჩენილია. მართალია რ. ქორჭიას, ე. გოგავშვილის, ლ. ქიბინიძის, ვ. კახიძის და სხვათა მიერ შექმნილია მცირე ფორმის ლიტერატურული ზღაპრები, იგავები, მაგრამ ესენი მაინც ერთეულებს შეადგენენ.

ქართულ საბავშვო მწერლობაში იგავ-არაკელი ენარის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით უარესად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ა. სულავერდის ვრცელი ზღაპრის „საღამურას თავადმანავალი“. ეს ზღაპარი მხატვრული გამოხატვლობითი საშუალებების გამოყენების, სახე-პერსონაჟების, კომპოზიციის, ენისა და ხალხური ზღაპრების ტრადიციისთან ერთად, ერთობის თვალსაზრისით მეტად ბევრი საინტერესო პრობლემის აღმჭერელია. ასეთი ლიტერატურული ზღაპრების შექმნა და განვითარება, ეფექტობო, ქართული საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი საბატიო ამოცანას შეადგენს.

ივანე-არაქელი ქანის განვითარების პრობლემას მით უფრო უნდა შეეჭმის ყურადღება დღეს, როდესაც ბავშვთათვის შექმნილი ზღაპრების სამყაროში იქმნება სრულიად ახალი საბავშვო ზღაპრებისა, როგორცია საბავშვო დეტექტიური ზღაპარი. შეიძლება ამ სახის ზღაპრების შექმნა პედაგოგიური თვალსაზრისით ერთგვარ წინააღმდეგობასაც ხედეზოდეს, მაგრამ იგი საჭიროებს სათანადო ყურადღებას იმ მოსაზრებით, რომ ერთგვარად მაინც განისაზღვროს ზღაპრების ამ ახალ სახეში ხალხური ზღაპრების ტრადიციული გვირგვინის, სიტუაციისა და ავტორის გამონაგონის ურთიერთობა რეალურ ფანტასტიკურისა და რეალურის მიზანშეწონილობის საფუძველზე.

ახალი ყოფის დამკვიდრება, კაბიტალიზმის გაღმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის თავისებურება მრთობის პედაგოგიურმა და ლიტერატურულმა კრიტიკამ სათანადო ყურადღება მიაქციოს ბავშვთათვის ყოფითი სატირული ზღაპრების შექმნასაც, სადაც ჭადოჭრულ ელემენტებს მოეღწეათა პიბერბოლური წარმოსახვა ცვლის. ამგვარ ზღაპრებში, ჩასაყვირგელია, კომიკური ვითარებასთან ერთად შეკრწმული იქნება დრამატული ეპიზოდებიც, დაცული იქნება კონტრასტული ხასიათების პრინციპი ფსიქოლოგიური სიართლის გარეშე. ასეთი ზღაპრები უაუოდ იქნება საინტერესო და გააკვივლო შორაული ფუნქციის შემცველაც.

მოუხედავად ცალკეული შესანიშნავი მოთხრობებისა თუ ლიტერატურული ზღაპრებისა, რომლებითაც შეიძლება იამაყოს ქართულმა სა-

ბავშვო პროზამ საერთოდ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მხატვრული სიტყვის ოსტატებებს მიერ ყერ კიდევ არ არის შექმნილი ისეთი წიგნა, ასეთი გმირი, რომელიც მოზარდ თაობაში იმგვარი პოპულარობით სარგებლობდეს, როგორცია ს. კოლოდის პინოკიო, მარკ ტვენის ტომ სოიერი, თანამედროვე საბავშვო ლიტერატურაში საქმაოდ ცნობილი ზიმოლინო, ზურატიანო, თემური და სხვა, რომლებიც ერთგულ ჩარჩოებს დადიხანია რაც გასცდნენ.

ის ფაქტი, რომ საბჭოთა საბავშვო წიგნების გამოფენამ ინგლისში, იაპონიაში, იტალიაში, ამერიკაში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, რომ ჩები მწერლების ინიციატივით იყო ჩადიჭრებული საბავშვო მწერლების საერთაშორისო შეხვედრის ორგანიზაცია და იგი გადუღებულ სადღესო საერთად იქნა ცნობილი, რომ რუსეთის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემია ინტენსიურ მუშაობას ეწევა საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის ოსტორიის, თგორიისა და კრიტიკის დარგში, რომ სწორედ ამ აკადემიაში დაიბადა არი შეიქმნას სპეციალური საბავშვო ლიტერატურის ინსტიტუტა და რომ საბჭოთა კავშირის მწერალთა ყრალობებზე, აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა ტაშეენტის კონფერენციის დღის წესრიგში სპეციალურად იდგა საერთო საბავშვო ლიტერატურის შესახებ, ერთგულ კიდევ აღსატურებს საბავშვო მწერლობის დიდ ისტორიულ მნიშვნელობას. ყოველივე ეს ქართული საბავშვო მწერლობის ოსტატებს ნამდვილად ახალი, დიდი ამოცანებს წინაშე აყენებს.

## მეფხისბატონის ავტორის ვინაობისათვის

### 7. ისტორიული ცნობები რუსთავსა და რუსთველებზე

#### „ღმრთაების გუჯარი“

რუსთავი ანუ ძველი ბოსტან-ქალაქი, რომელიც გვიანდელ წყაროებში ნაკვების სახელითაცაა ცნობილი, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. „ქართლის ცხოვრების“ ფუძემდებელი, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი რუსთავის დაარსების შესახებ გადმოგვცემს ლეგენდარული ხასიათის ცნობას, რომლის მიხედვით, უძველეს დროში, იმ დროს, როდესაც ქართველთა მამამთავარი (ეთნარქი) ქართლოსი გარდაიცვალა, თითქმის „ცოლმა მისმან... აღაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსაჲ აწუჰქვიან რუსთავი“<sup>1</sup>.

იმავე ლეონტის ცნობით, ქართლოსის გარდაცვალებამ შემდეგ, მისმა ცოლმა ქართული სახელმწიფო თითქმის გაუნაწილა შერლებს და ერთ მათგანს, სახელდობრ ეუბოსს „მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწუჰქვიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე პერეთამდე [...] შესარ] თავადმდე, მთასა ეახეთისასა და მტკლარს შუა“<sup>2</sup>. ისტორიკოსის ეს ცნობა, როგორც ითქვამს, ლეგენდარულია, თანაც ლეონტის მოთხრობის ტექსტი, ამ ადგილას, სადაც ეუბოსის სახლზეა ზედა ლაპარაკი, დაზიანებულია. მაგრამ, ამის მიუხედავად, სხენებული ცნობიდან ჩვენთვის საინტერესო ნათელია, რომ შემოხსენებულ სახლებში, ქართლსა და კახეთს შორის მდებარე ტერიტორიაზე, ისტორიულად ცხოვრობდა „ეუბს“ — ების სახელთ ცნობილი ქართველი ტომი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული დანარჩენ ქართველ ტომებთან, განსაკუთრებით კი კახეთთან, ამ ეუბოსის მხარის ან, უფრო სწორად, ხევის ცენტრი ძველთაგანვე ქალაქი რუსთავი ყოფილა. ისტორიკოსის ლეონტი მროველი, რომელმაც სპეციალურად

შემსწავლა რუსთავის ისტორია, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უკვე ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში რუსთავი ქალაქად იქცა<sup>3</sup>.

რუსთავის შესახებ შედარებით უბი და სარწმუნო ცნობები მოგვეპოვება ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან. როგორც ცნობილია, მეფე მირიანის შემდეგ მის ძეს ბაქარს სამეფო ტახტს ეცილებოდნენ გარდაცვლილი ძმის ბრძენის შვილები, მაგრამ ბაქარმა მოახერხა ძმისწულელების დამოშორება და საუფლისწულო მამულად მათ ეუბეთი უბოძა. ლეონტი მროველის სატყვეობ, ბაქარმა „მოიყვანა მამისწულნი მისნი და მისცა ეუბეთი, და დასხნა რუსთავს ერისთავად“<sup>4</sup>. მშასადამე, ამიერიდან რუსთავი იქცა სამფლობელოდ ბრძენს ძეთა, რომლებიც ეუბეთის ერისთავები გახდნენ. იგივე ლეონტი გადმოგვცემს, რომ IV საუკუნის ბოლოს მეფე თრდატმა „გამოიღო რუსთავი (ლაპარაკია არხის მშენებლობაზე. პ. რ.) და აღაშენა ეკლესია“<sup>5</sup>.

რუსთავის ცხოვრებაში დიდწიშეწილივან მოვლენები ხდება V საუკუნეში, გამოჩენილი მეფის ვახტანგ გორგასალის დროს. ვახტანგის მეფობის დანაწიების, ქვანჭვების ცნობით, რუსთავს ფლობენ იმავე ბრძენის ჩამომავალი — მირიან და გრაგოლ, რომელთა „აქუნდით... ეუბეთი, და ცხოვდებოდეს რუსთავს ციხე-ქალაქსა“<sup>6</sup>. მაგრამ შემდეგში, როგორც ჩანს, ვახტანგ მეფეს კახეთი და ეუბეთი ერთ საერისთავოდ გაერთიანებია და ერისთავად დაუსვა მთავისი უახლოესი თანამებრძოლი დემეტრე.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ქ. რუსთავისათვის ჰქონდა ვახტანგ გორგასალის საეკ-

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 2.

<sup>1</sup> „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, I, გვ. 5.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 9.

<sup>3</sup> „მნათობი“, № 3.

<sup>1</sup> ლ. ქილაშვილი. ქალაქი რუსთავი, 1958, გვ. 41.

<sup>2</sup> „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 131.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 137.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 139.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 185.

ლესიო რეფორმის, რომლის შედეგად მთელი სამეფო 12 საეპისკოპოსო ეპარქიად დაიყო. ამ თორმეტ ეპარქიაში ერთ-ერთი რუსთავის ეპარქია იყო და იქ დაჟდა ეპისკოპოსი I, რომელიც რუსთველად იწოდდა.

მომდევნო საუკუნეების კუბეთსა და რუსთავზე ძალიან მცირე ცნობები მოგვეპოვება. ამ ცნობების მიხედვით სადღერებელია, რომ VI და VII საუკუნეებში კუბეთი კვლავ ცალკე საერისთავო იყო, მაგრამ ეფრო გვიან, სახელდობრ 787 წელს, ვახუშტის ცნობით, ისევ კახეთთან გაერთიანებულა. XI საუკუნის პირველ ნახევარში, კვირიცე კახთა მეფის დროს, კუბეთი კვლავ კახეთის შემადგენლობაშია, თუმცა საკუთარი ერისთავი ჰყავს. ამას მოწმობს ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგი საინტერესო ცნობა: „კვირიცემ დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდდა მეფედ კახთა: გარნა თუ ისინენ ერთსთავნი ჰყრენს, არამედ აჰან კვირიცე მეფე-მან უფროს განამტკიცა და ღახხნა სამი კახეთს და ოთხი ჰყრეთს და კახეთსა ერთი რუსთავს და მისცა სრულიად კუბეთი, რომელ არს ნაგები, ყარაია, ჩადვიარ — სამგორი, უჯარმა, დიდი, მარტყოფი, ვრდანი, ზერცი და თიანეთი, არაგვის კერპი ეიწინამდე“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ამ დროს (XI ს. პირველ ნახევარში) კუბეთი კვლავ თავის ისტორიულ საზღვრებშია და რუსთავიც წინანდებურად მისი ცენტრია. მაგრამ მალე ამის შემდეგ საქართველოს შემოტრევის თურქ-სელჩუკებმა და 1068 წელს რუსთავი და თბილისი სულთანმა ალფარსლანმა დაიპყრო, საქართველოდან წასვლის წინ კი მან ორივე ქალაქი საჩუქრად განძის ამირას ფაღლონს მიართვა. მცირე ხნის შემდეგ მეფე ბაგრატ IV მოახერხა რუსთავის გათავისუფლება და ერთხანს იგი სამეფო ქალაქად ითვლებოდა, მომდევნო პერიოდში კი ქერქობარტ ბაღვაში, ხოლო შემდეგ კახეთის ქორეპსკოპოსს სჭერიათ. „დიდი თურქობის“ დროს რუსთავი, ისევე როგორც თბილისი და საქართველოს მრავალი სხვა ქალაქი, კვლავ თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს, მაგრამ ამ დამპყრობებმა განდევნის დღეც მალე დადგა.

როგორც ცნობილია, სახელთაგანმა მეფემ და ერთ აღმავნებელმა გამანადგურებელი დარტყმები აგება თურქ-სელჩუკთა ურდოებს და ზედღიხედ გაათავისუფლა მათგან საქართველოს ქალაქები და ციხეები. 1115 წელს დავითის უახლოესმა თანამებრძოლმა ვიორგი ჭყონდიდელმა რუსთავი აიღო. „და წარიღო ვიორგი

ჭყონდიდელმან რუსთავიცა, მეფესა მტნარს ყოფსა. ქრონიკონი იყო სამას ოცეცხ თხუთმეტის“ — გვამცნობს ამ ამბავს დიდი ბრძანებლის ისტორიკოსი.

ამიერიდან რუსთავის ცხოვრებაში დაიწყო ახალი, მისი ისტორიის ყველაზე საუკეთესო პერიოდი. რუსთავი სამეფო ქალაქად იქნა გამოცხადებული, არს გამო იქ შემდგომში ერისთავი აღარ მგდარა, თუმცა ქალაქი დროებით სამფლობელოდ მეფის დიდ მოხელეებს შემდგომშიც გადაეცემოდა ხოლმე. რაც შეეხება კუბეთს, გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფოში მან წინანდელი დამოუკიდებელი მნიშვნელობა დაკარგა და კახეთს შეერწყა, თუმცა მასში მთლად არასოდეს არ გათქვეფილა და გვიან ხანში გარეკახეთის სახელი დამკვიდრა. ზვეთურის ვანსაკუთრებულ საინტერესო ამის გამოთქვევა, თუ ვის მფლობელობაში იყო ქ. რუსთავი თამარის ეპოქაში, მაგრამ ეიღერ ამ საკითხს შევეხებოდეთ. ორიოდ სიტყვა ეთქვათ იმაზე, თუ რა პედი ეწია ვახტანგ გორგასალის მიერ რუსთავში დაარსებულ საეპისკოპოსო კათედრას.

რუსთავის ეპისკოპოსებზე წყაროებში შედარებით მცირე ცნობები მოიპოვება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ზერხდება იმ ფაქტს დადგენა, რომ სწინებელი კათედრა არსებობდა და საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში აქტიურ როლს ასრულებდა მთელი ფეოდალური ეპოქის მანძილზე. პირველად რუსთავის ეპისკოპოსი, სახელად სტეფანოსი, ოსწინებმა ერთ სომხურ წყაროში — „ეპისტოლეთა წიგნში“, სადაც წარმოდგენილია დედნის საეკლესიო კრების მონაწილე ეპისკოპოსთა სია. ამ ცნობიდან ცხადი ხდება, რომ სტეფანოს რუსთველს, სხვა ქართველ მღვდელმთავრებთან ერთად, მონაწილეობა მიუღია დედნის საეკლესიო კრების მუშაობაში 506 წელს<sup>2</sup>.

საინტერესო ცნობას რუსთველი ეპისკოპოსის მოღვაწეობის შესახებ შეიძებს IX საუკუნითარების ამსახველი თხზულება, რომელსაც ეწოდება „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა მამისა რუენისა ილარიონ ქართველისა“. ამ თხზულების მიხედვით, როდესაც ილარიონ ქართველი „წარვიდა უდაბნოსა ვარციანასა“ და მისი კეთილი მოღვაწეობის ამავე „ავანთქევა მას ქუეყანასა“, მაშინ „ესმო ეპისკოპოსსა რუსთველსა ღირხება მისა, აღდგა და მივიდა მოკითხვად მისა. იხალა რამ ზირი მისი ყვილი და სიტყვაჲ მდაბალი (და) სამოსელი შეურაცხი, მოკითხა იგი ამბორის ყოფითა წმიდითა და პრქეთა: „მრავლით ეამითგან მინდა ხოლუა შენი, შეილო ილარიონ, და ღირს ვიქმენ მე ცოდვილო

<sup>1</sup> ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, 1958, გვ. 198-199.

<sup>2</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 86-87.

<sup>3</sup> საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 151.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 333.

<sup>2</sup> ლ. ჭილაშვილი, დსახ. ნაშრ., გვ. 49.

ესე მღვდელ (წმინდა) ლოცვისა შენისა. და სრულ ყავ საწადელი ჩემი, რათა მიიღო დღეს მღვდელობა ჩემ მიერ გლახისა. ამისა, ილა-რაონმა თანმომბა მისცა რუსთველს და „მამის აღდგა ეპისკოპოსი იგი და აყრთა იგი მღვდელად, და მოიღეს ლოცვა ტრთიერთას. და წარვიდა ეპისკოპოსი იგი და მიუხარობდა ყოველსა ერსა სათნებათა მისთა. და მრავალი შორით ქვეყანით მოვიდოდეს ზილად და მოღებად ლოცვისა მისისა“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ხსენებული თხზულება, უაღრესად საინტერესო ისტორიული დოკუმენტია, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ არაბ დამპყრობელთა ბატონობის უაღრესად ძნელ პირობებშიც კი, ქართული ეკლესია და ეკრძოდ რუსთავეს „საეპისკოპოსოს“ ვათედრა აქტიურად იბრძოდა ქრისტიანობისა და, მამასადელი, ქართველობის შესანარჩუნებლად. რუსთველ ეპისკოპოსის მარჯვედ წარჩევილია შემთხვევით და ილარიონის სამავალითო ცხოვრების ამბავი მთელი ქვეყნისათვის მოუფენია, რის შედეგადაც „მრავალი შორით ქვეყანით მოვიდოდეს ზილად და მიღებად ლოცვისა მისისა“.

ხეშობსენებული თხზულების ცნობა ჩვენთვის საინტერესოა აგრეთვე იმ მხრივ, რომ იგი გვიდასტურებს რუსთავეის ეპარქიის საზღვრების გაფართოებასა და რუსთველ ეპისკოპოსთა გავლენის გაძლიერებას ფაქტს. ჩანს, რუსთავეის კათედრა ხსენებულ პერიოდში (IX ს. პირველი ნახევარი) იმდენად გაძლიერებულა, რომ დავით გაგუჩის დიდებული მონასტრის მის გამგებლობაში გადასულა.

რუსთველთა მოღვაწეობის შესახებ მომდევნო პერიოდში, ე. ი. X-XII საუკუნეებში ჩვენ არსებითად არაფერი ვიცით, რადგან საატორიო წყაროებში ცნობები მათ შესახებ არ შეგნებულა, მაგრამ სრული საფუძველი გვაქვს ვთქვაოთ, რომ რუსთველთა მოღვაწეობასამკამანობა და გავლენაც მომდევნო პერიოდში კიდევ უფრო უნდა გაძლიერებულყო. მართლაც, თუცა არათა ბატონობის დროსაც კი რუსთველი მღვდელმოყრები წარმატებით განაგრძობდნენ ნაყოფიერ მოღვაწეობას, შემდგომში, როცა საქართველომ უცხო დამპყრობთა ურელი მოიშორა და ცხოვრების ყველა დარგის წინსვლა-აღმავლობა დაიწყო, ცხადია, რუსთავეის კათედრის საქმიანობა და გავლენაც უნდა გაძლიერებულყო.

რუსთველ ეპისკოპოსებს, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მას შემდეგ უნდა მომეტებოდათ პატივი, რაც დავით აღმაშენებელმა თბილისი, მამადიანთა ოთხასი წლის ბატონობის შემდეგ, გაათავისუფლა და საქართველოს დედაქალაქი

ქუთაისიდან კვლავ თბილისში გადმოიტანა. ეს მოხდა XII საუკუნის პირველ მეოთხედში (1122 წელს). ამერიიდან თბილისში გადაიტყა ქართული ეკლესიის უძლიერეს ცენტრად, ხადაც თავის იყრიდა იმდროინდელი ეკლესიისა და განათლების ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები, ბუნებრივია, რომ რუსთავეი, რომელიც ასე ახლოს მდებარეობდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული თბილისთან, და, აგრეთვე, საეკლესიო დედაქალაქ მცხეთასთან, აქტიურად უნდა ჩაბმულიყო, და უთუოდ ჩიება კიდევაც საქართველოს იმ დიდ ეკლესიურ-აღმშენებლობით შემოხაზში, თბილისი რომ ხელმძღვანელობდა. არ უნდა დავავიწყდეს, რომ რუსთველთა საგანგებოში შედიოდა მტკიცის მთელ მარტენა ნაბარის მიღამოები და მათ შორის, აღმა, თბილისის გაზეუბანი დიდები, სადაც თამარ მეფეს სპახალე ჰქონდა და სადაც ამ დიდებულმა მეფემ დავით სოსლანთან ექორწინა; არ უნდა დავავიწყდეს აგრეთვე, რომ თვით თბილისში საქართველოს ეკლესია-მონასტრებს და მათ შორის, ცხადია, რუსთველთა საეპისკოპოსო ეკლესია-მონასტრებსაც ჰყავდათ თავიანთი მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები — ეპარქიის, ხელოსნებისა და ყველის სახით ჰქონდათ დექნები, სახელოსნოები და სხვა ნაგებობანი; ასე რომ, სასულიერო პირები „აქტიურად საქმიანობდნენ თბილისში და ამით ერთგვარ გავლენას ახდენდნენ საქალაქო ცხოვრებაზე“<sup>1</sup>.

როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. შ. მესხია, „მას შემდეგ, რაც თბილისი გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი გახდა იგი ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს ეკლესიურ ცენტრად გადაიქცა. თბილისში წყდებოდა დიდი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი თვ ეკლესიურ-მეცნიერული პრობლემები, აქ იმართებოდა საშეხდრო აღლუმები, სამეცნიერო დისპუტები, ლიტერატურული საღამოები, საბაზრო შეხვედრები... თბილისი იყო ფაქტიურად ქართული საერო პოეზიისა და პროზის განვითარების უმაღლესი საფეხურის შექმნელი... თბილისში სპოვებდნენ უპირველეს შეფასებას შეთელისა და ჩახრუხაძის პოეტური ქმნილებანი, შოთა რუსთაველის შეუდარებელი პოემა, ევრემ მცირისა და იოანე პეტრიწონელის ისტორიულ-ფილოსოფიური ტრაქტატები, დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკების ისტორიული თხზულებები, ბეჭენ და ბექა, მამარაბების ჭედვითი ხელოვნების ნიმუშები“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> შ. მესხია და სხვ., თბილისის ისტორია, 1958, გვ. 57.

<sup>2</sup> შ. მესხია და სხვ., თბილისის ისტორია, 1958, გვ. 71-73.

<sup>1</sup> ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია, 1946, გვ. 171.

თბილისის, როგორც ვაერთიანებული საქართველოს კულტურის ცენტრის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ზარბაზნით აღნიშნავს აგრეთვე მკვლევარი ლ. მენაბდე რომელმაც საგანგებოდ შესწავლა ძველი ქართული მწერლობის კერები და ამ საკითხს ორტომიანი კაბიტაღური ნაშრომი მიუძღვნა. იმ მისი საუბრალებელი აზრით: „თამარის ხანაში არსებულ წარმატებას მიიღწია ქართულმა ლიტერატურამ, დიფერა თუ ითარგმნა უაღრესად მნიშვნელოვანი მძალეზატერული თხზულებანი: „ვეფხისტყაოსანი“, „აბდულმუსიანი“, „თამარიანი“, „ეოსრაზიანი“, „ამირანდარეჯიანი“ და სხვ. მართალია, ჩვენ არ გავგანია პირდაპირი ხასიათის ცნობები დასახლებული ძეგლების თბილისში დაწერისა თუ ჩამოყალიბების შესახებ, მაგრამ მათში ისე ხრულადაა გამოვლენილი ქართული სამეფოს ცენტრის ინტერესები და მისწრაფებანი, აზრები და ზრახვები, სურვილები, იდეალები, რომ ძველი მათი თბილისის კულტურულ-ლიტერატურული გარემოდან გამოთავსა. ყველა ზემოთდასახლებული ძეგლი, საფიქრებელია, თბილისშია ჩამოყალიბებული... ქართული მხატვრული სიტყვის ვადოქარი შოთა რუსთაველი ეცილობდა თამარ მეფის ახლოველი თანამოღწევი აუო“<sup>1</sup>.

ასეთია, თანამედროვე მეცნიერთა აზრით, ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ასპარეზი, რომელიც ჩვენს დედაქალაქ თბილისში შეიქმნა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქაში. ძველი შესამჩნევი არაა, რომ ამ ასპარეზზე აქტიურად მოღვაწიობდნენ და უდიდეს როლს თამაშობდნენ უმადლესი რანგის სასულიერო პირები და მათ შორის რუსთაველები, რომლებიც ათასგვარი ძაღვებით იყვნენ თბილისთან დაკავშირებულნი. სრულიად ბუნებრივია, რომ სწორედ თბილისის დიდმა კულტურულმა გარემომ დაბადა ის დიდებული რუსთაველი, რომელმაც ქართული ლიტერატურის უკვდავი კმნაღება შექმნა.

მაგრამ, როდესაც იმ საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოზე ვლაპარაკობთ, რომელშიც ვეფხისტყაოსანი დაიბადა, სათანადოდ უნდა გავთვალისწინოთ თვით რუსთავეს უდიდესი როლი, დედაქალაქის თბილისში გადმოტანასა და გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს უმაჯალთო გაძლიერებას არ შეეძლო რუსთაველს დადებითად არ ემოქმედა და ამ ქალაქის მეურნეობისა და კულტურის მანამდე არსებული აღმაშენებლობა არ გამოეწვია. როგორც ამ ეოტა ბნის წინათ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხ-

რებმა გვიჩვენა, რუსთავი შუა საუკუნეებში საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი და სამეურნეო-კულტურული ცენტრი ყოფილა. რუსთაველ ან მისი სახალავეს, ვადითა და დიდი საავტორო-საქარაფნო გზები, როგორც საშინაო (ვახუშტისა და ტაო-კლარჯეთის დამაკავშირებელი კახეთ-ქერეთთან), ისე საერთაშორისო (ბარდავი-თბილისი) მნიშვნელობისა.

არქეოლოგმა მ. იუაშენკომ, სამაროვანთა რაოდენობის მიხედვით გამოიანგარიშა, რომ ჭერ კიდეც ადრე ფეოდალურ ხანაში რუსთაველს დაახლოებით 20.000 მცხოვრები ითვლებოდა. იგი იმ დროის კვალბაზე უფრო დიდი ქალაქია. შემდგომში, დავით აღმაშენებლისა და განსაკუთრებით კი თამარის ეპოქაში, რუსთავი, ცხადია, ვაცილებით უფრო დიდი იქნებოდა. არქეოლოგ გ. ლომთათიძის დასკვნით, რუსთავის „ციხე-ქალაქის ისტორიის ყველაზე უფრო მჩქეფარე, მაქსიმალური ვაზრდა-განვითარებისა და ეკონომიური მოღონიერების ხანა, არქეოლოგიური გათხრის მიხედვით, ყოფილა ის საუკუნეანახევარი, რომელსაც სელჩუკთა განდევნიდან ბერქას ლაშქრობამდე ვაუვსოთა. იმდროინდელი ყველაზე უფრო ინტენსიური ცხოვრებისა, საწარმოო საქმიანობისა და ცხოველი ვკონომიური ურთიერთობის მომასწავებელი (კერძოდ, კერამიკის, მინის, ლითონის, საგნებისა და სამკაულის წარმოების, მიწათმოქმედების) არქეოლოგიური ფაქტები, რომლებიც რუსთავს მართლაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქალაქად, ვკონომიურ და კულტურულ ცენტრად წარმოგვიჩვენენ დავითთამარის საქართველოში“<sup>2</sup>.

ნათქვამიდან ცხადია, რომ რუსთავი, რომელიც უშუალოდ შედიოდა თბილისის, დიდ საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოში, თვითონაც ვაერთიანებული საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი და კულტურული ცენტრი იყო. თუ იმ ვარაუდებისაც ვავითვალისწინებთ, რომ რუსთავი იმ დროს, ავად.

<sup>1</sup> რუსთაველი წარმოებული არქეოლოგიური თხრის უდიდესად საინტერესო მასალა, რომლის დიდი ნაწილი ჭერ-ჭერობით გამოქვეყნებულა, ვავაქონო რუსთავის არქეოლოგიურ ექსპედიციითა ხელმძღვანელმა არქეოლოგმა ვიორგო ლომთათიძემ, რომელსაც დიდ მადლობას მოვასწენებ.

<sup>2</sup> ლ. კილაშვილი, ქ. რუსთავი, გვ. 205.  
<sup>3</sup> გ. ლომთათიძე, რუსთაველი წარმოებულ არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები (მასალები საქართველოს და ვავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, 1955, გვ. 171).  
<sup>4</sup> ამოღებულია გ. ლომთათიძის გამოქვეყნებული ნაშრომიდან „ქუბთის ქალაქი რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით“, 1963, ხელნაწერი, გვ. 87—88.

<sup>1</sup> ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, 1962, გვ. 142-143.

ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი თქმით, ცალკე „ობლად მდგომი“ ქალაქი კი არ იყო, არამედ გარშემორტყმული იყო მჭიდროდ დასახლებული დაბა-სოფლებით, რომელთა ნოციერთა მიწები რუსთავის დიდი არხით ირწყვებოდა, მაშინ ჩვენს წინაშე გადაიშლება იმ ხელსაყრელი სახეურნეო-ეკლტურული ვითარების სურათი, თბილისთან ასე ახლოს მდებარე რუსთავი და მისი მცხოვრებნი, განსაკუთრებით კი თანახლეობის პრივილეგირებული ზედაფენა რომ იმყოფებოდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ რუსთავის მფლობელობის საკითხს. ვის ხელში იყო რუსთავი თამარის მეფობის დროს?

ეს საკითხი ქართული ისტორიოგრაფიამ, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, საჭიროდ კარგად შეისწავლა და უცილობლად დაადგინა, თუ ვის მფლობელობაში იყო ქ. რუსთავი და მისი თემი (ე. ი. ყოფილი კუხეთის ტერიტორია) თამარის მეფობის დროს; ყერაოდ, დადგინდა, რომ თამარის მეფობის პირველ ბერიანდში, სახელდობს XII საუკუნის 80-იან წლებში, სამეფო ქალაქი რუსთავი და აგრეთვე მისი მიმდგომი ტერიტორია ექვემდებარებოდა მეფის დიდი მოხელის, ცნობილი აბულასანის მფლობელობაში<sup>1</sup>. ამ აბულასანის ვინაობას ეტყობაობთ თბილისის ე. წ. „ლურჯი მონასტრის“ წარწერიდან, რომლითაც ქართლის მთავარბისეოპოსი ბასილი გვამცნობს: „ვაშენე (ტაძარი) ნაცეცლავებულად ჩემთვის და საყვარლისა მძისა ჩემისა ერისთავთ ერისთავისა, ქართლისა ამირათა ამირასა, რუხსთავისა და შეიღთა მთელეთათა ბატონისა აბულასანისათვის“<sup>2</sup>.

აბულასანი, როგორც წყაროებიდან ჩანს, დიდად გავლენიანი მოხელე უნდა ყოფილიყო თამარის პირველი ქმრის გიორგი რუსის დროს, მაგრამ გიორგის გაქვების შემდეგ მისი გავლენა დამცირებულა, და ცოტა ხნის შემდეგ მას თავისი სამფლობელოები დაუკარგავს. 1191 წელს, როცა თამარა და დავით სოსლანმა გიორგი რუსის აჯანყება ჩაქრეს და თავიანთი ერთგული დიდებულები დაჭიდდნენ, აბულასანისთვისაც ჩამოურთმევიათ მისი „რუსთავი და შეიღი მთიულეთი“ და ეს სამფლობელო ორად გაუტყვიათ: რუსთავი ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის მფლობელობაში გადასულა, ხოლო ცინიანი და მთიულეთი მანდატურთუხუცესი ჰიპატოს მიიღო.

ზაქარია მხარგრძელის მფლობელობაში რუსთავის გადასვლას გვიდასტურებს თამარის პირ-

ველი ისტორიკოსი, ამ ამბების თანამედროვე, რომელიც ამბობს: „შიძევლა გამარჯვებული ამირსპასალარი და თმოგვისაგან კიდევ არა დაკლებს შეიღთა მისთა. მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარიას მხარგრძელსა, მესა სარგის ამირსპასალარისისა, მუღომსა სომეხთა შეფისა იდგილსა, ბატონისა ლორისასა. მოუშატეს ქალაქი-ცა რუსთავი მოყმესა ერისსა სპასბერობისასა“<sup>3</sup>, ხოლო იმავე დროს (ე. ი. 1191 წელს), „ქაბაბრისა მანდატურ-უხუცესსა მოუშატეს და უბოძეს ცინიანი, ქალაქი და ცხე, მრავლათა მთიულეთითა“<sup>4</sup>.

სამწუხაროდ, წყაროებიდან არ ჩანს, თუ რამდენ ხანს იყო რუსთავი ზაქარია მხარგრძელის მფლობელობაში. მაგრამ სრული საფუძველი გვაქვს ედიქტით, რომ ამ გამოჩენილი და მეფის უერთგულესი მხედართმთავრის ოჯახს, ყოველ შემთხვევაში, ზაქარიას სიცილიამდე მაინც (ე. ი. 1212 წლამდე)<sup>5</sup>, რუსთავს არ ჩამოართმევდნენ. ის კი არა, პირადად ლორთქიფანიძის სამართლიანი თქმით, „არც ზაქარიას გარდაცვალებების შემდეგ არის მოსალოდნელი მხარგრძელებისათვის რუსთავის ჩამოართმევა“<sup>6</sup>. მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსთავი მხარგრძელთა მფლობელობაში დარჩა თვით 1265 წლამდე, ე. ი. იმ დრომდე, ვიდრე იგი ბერძე უკანის ურდოებზე არ დაიბრუნეს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, უძველესი დროიდან მოცილებული, რუსთავი ხან საუფლისწულო ქალაქი იყო, ხან საერისთავო, ხან კიდევ უცხო დამპყრობელთა ხელში იმყოფებოდა, ხოლო 1115 წლიდან სამეფო ქალაქად გამოცხადდა და დროებით სამფლობელოდ (და არა საკუთრებად) მეფის დიდ მოხლებებს გადაეცემოდა ხოლმე; მაგრამ არასდროს არც ერთ მის მესაყუთრეს ან მფლობელს — ერისთავს ან სხვა რომელიმე საერო დიდებულს — არ მიუღია და არც შეიძლება მიეღო „რუსთველის“ გვიარწოდება, რადგან რუსთავში, ვახტანგ გორგასალის დროიდან, მუდამ იქნა მაღალი რანგის სასულიერო მწყემსი, რომელიც „რუსთველის“ ზედწოდებას ატარებდა და ჭოვლად შეუძლებელი იყო, რომ მის გვერდით კიდევ მეორე, საერო „რუსთველი“ გამჩინდყო. ალბათ, მე-19 საუკუნემდე ჩვენში აზრად

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 55.

2 იქვე.

3 იე. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 288.

4 მ. ლორთქიფანიძე, რამდენიმე შენიშვნა პ. ინვაროვიას „რუსთველიანის“ და „რუსთველიანის ეპილოგის“ გამო („მაცნე“, 1964, № 6, გვ. 319).

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 374.

2 ს. ჯავახიშვილი, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, 1966, გვ. 121.

არავის მოუვიდოდა, რომ რუსთველი ერისკაცად წარმოედგინა.

